N19 (570) 12/V-18/V-2011 ფასი 1 ლარი

# გზა



ქართული პროზის საგანძური

ტომი №63

ჯემალ ქარჩხაძე

## დრო

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 4 ლარი ღირს

მომდევნო ნომრიდან

## ჩემი რჩეული

ვაჟა-ფშაველა

ხუთტომეული

„ეკრანზე მიყურონ და დაუდგეთ თვალები!"

შიშველი მამაკაცები და ჩაცმული ქალები ქართულ ეკრანზე

„მხოლოდ სცენისთვის „ცოდვა" იქნებოდა"...

„გიორგი შენგელაიამ ვერ გამხადა"...





საბჭოთა რეპრესიები, ინტრიგები და სიყვარულის ძველი ისტორია



„ბომონდს უჩემოდ რა ფასი აქვს?"

საშაურმიდან ჟურნალის რედაქციამდე გავლილი, ეკლიანი გზა



ექსკლუზივი

პროფესორის ოჯახის ტრაგედია

გურამ შარაძის ქალიშვილს შვეიცარიამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა

„მამა ორმა დაქირავებულმა მკვლელმა მოკლა"...

ISSN 1987-5029

# Elos სილამაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი



## სხეულზე პროცედურები

**Elos — ეპილაცია** წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სიწითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

## სახის პროცედურები

**Elos გაახალგაზრდავება** — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

**ჩაეწერეთ უფასო კონსულტაციაზე**

**29 00 66 29 47 47**

**თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge**

კინოთეატრი საქართველო

**5 მაისიდან - 5 ივნისამდე**
**იყიდე 5 ბილეთი**
**ფორსაჟი 5**
**და მიიღე**
**მთაწმინდის პარკთან**
**მდებარე კარტინგ ცენტრის**
**უფასო ვაუჩერი**

IMMI KART MTATSMINDA



კინოთეატრი საქართველო

ფორსაჟი 5

w.w.w.kinosaqartvelo.ge

კვირის პალიტრა
გზა
№19 (570)
12 — 18 მაისი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



### პირველი უთანხმოება...

დიდი ბრიტანეთის პრინც უილიამის მეუღლე, კემბრიჯის ჰერცოგინია ქეთრინ მიდლტონი ქმარზე განაწყენებულია. წყვილს უთანხმოება მას შემდეგ მოუვიდა, რაც უილიამმა გადაწყვიტა, 2 წლის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის საჰაერო ძალებში იმსახუროს.

7

## სახე



### შიშველი მამაკაცები და ჩაცმული ქალები ქართულ ეკრანზე

„შოთიკომ ჯერ სურათები გადამიღო ლიკა ქავჟარაძესთან ერთად (მანამდე ამ ქალბატონს პირადად არც ვიცნობდი). რეჟისორს გადაღებული მასალა მოეწონა. მერე მე და ლიკა ერთმანეთს იქვე შეგვაჩვია“.

20

■ მინიატიურები 5
გამშველებლები
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე 7
■ კულუარებში 12
ვასილ სანოძე ისრაელიდან მშობლებს ესაუბრა
■ კადრს მიღმა 14
■ შოუმენი 18
საშაურმიდან ჟურნალის რედაქციამდე გავლილი ეკლიანი გზა
■ თემა 20
შიშველი მამაკაცები და ჩაცმული ქალები ქართულ ეკრანზე
■ ამპლუა 23
...გამქრალი შეყვარებულის ამბავი
■ რაკურსი 25
ქართველ ხალხსა და ქვეყანაზე განაწყენებული ნუცა კუხიანიძე
■ თაობა 27
ბათუმელი გოგონას წარმატება და „შესაძლებლობების ქვეყანაში“ გამგზავრების სამზადისი
■ კოლეგა 28
„ასეთი ვარ: ვერ ვისვენებ, ერთფეროვნებას ვერ ვეგუები“

## ცხოვრება

### 102 წლის მამიკა კიკნაძე



„ბოლო დროს ისე კარგად ველარ ვარ, როგორც — ადრე. ყურს დამაკლდა და სმენაც დამიქვეითდა. ახალგაზრდობაში კი არ დავდიოდი — დავფრინავდი, დიდი ენერგია მქონდა და რაც თავი მახსოვს, სულ ვშრომობდი“.

33

## გზა ვნილები

### უხერხული სიტუაცია



„დაუფიქრებლობა იყო, აჭარიდან სამეგრელოში რომ გავთხოვდი და დატანჯული დავიარები. ან რა მომარბენინებდა აქ?! მაგრამ სიყვარულმა გადამრია, არავის რჩევა არ ვილე ყურთ. მიყვარხართ და მენატრებით, ჩემო აჭარავ და აჭარლებო. ლიკა“.

64

■ ტკივილი 30

გურამ შარაძის ქალიშვილს შეეიცარიამ თავშესაფარი მისცა

■ პროფესია 33

უპრეცედენტო ოპერაცია თბილისში და ქართველი ექიმების გასაჭირი

■ საუკუნის ტოლი 34

ერთი დღე ხარაგაულში

■ თინეიჯერული პონტები 37

ქალაქი, რომელიც გარყვნილებასთან ასოცირდება

■ ისტორიის ლაბირინთები 41

საბჭოთა რეპრესიები, ინტრიგები და სიყვარულის ძველი ისტორია

■ ანტიდეპრესანტი 44

■ ტაძარი 44

ცხვრებისა და თიკნების იგავი

■ ერუდიტი 46

„თქვენი შოუ“ თქვენი საყვარელი შოუ გახდება

■ საკითხავი ქალებისათვის 48

■ ჯანმრთელობა 50

■ წვეთი პოეზია 52

■ რეალური 53

მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ მისტიკური დეტექტივი 56

რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (დასაწყისი)

■ რომანი 60

სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)

■ გზავნილები 64

უხერხული სიტუაცია

■ ყველა ერთისათვის 68

■ მობილი-ზაცია 70

■ სამყარო 76

■ გასართობი 78

■ ასტროლოგია 80

■ სკანვორდი 81

■ საფირმო კროსვორდი 82


## სამყარო



# ძმარი და მისი სამკურნალო თვისებები

სიცხის დამწევი, მაყვლისა და ჟოლოს ძმარი შვილის გაცივებისას, მაღალი ტამპერატურისა და თავის ტკივილის დროს.

51

## ბიბლუსი



# ხაფანგი



— შვილიშვილი რამხელაა?

— არ მიკითხავს. ასეთი უმნიშვნელო დეტალის ცოდნა რაში გვჭირდება?

— ჯერ არ ვიცით, რა არის უმნიშვნელო ამ საქმეში და რა — მნიშვნელოვანი. თან, ხომ იცი, რომ ეშმაკი სწორედ დეტალებშია მოსაძებნი?

56

## ტაიმ-აუტი



# დეფექტიანი ლამაზმანები

გაბრიელ ფულერი „ნახევარპრინცესა“ (1872-1901) ფეხების გარეშე დაიბადა. ამ ნაკლის მიუხედავად, ლამაზმანი ოთხჯერ იყო გათხოვილი და უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ქალს სპეციალური კორსეტი შეუკერეს, რათა „ჯდომის“ დროს წონასწორობა შეენარჩუნებინა და არ გადავარდნილიყო.

76


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

# გამშველებლები



**შესავლის ნაცვლად** მას შემდეგ, რაც „ასლანი გაიქცა — აჭარა თავისუფალია“, სულ ვფიქრობდი, ეს 6 მაისი ისევ „უფრო გიორგობა“ იყო, თუ „უფრო აჭარის რევოლუციის დღე“.

ჩემს ამ ჭოჭმანს სამი წლის წინ მთლად „ნავთი გადაასხა“ ვანო მერაბიშვილმა, როდესაც იგივე 6 მაისი პოლიციის დღედ გამოაცხადა, მაგრამ ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიარო, რომ მაშინ ისევ გიორგობასა და აჭარის გათავისუფლების დღეს შორის არჩევანის გაკეთებაზე ვფიქრობდი...

დრომ დაამტკიცა, რომ ვანო მართალი ყოფილა! დრო — დროდ და, ამ 6 მაისს ბათუმში ჩატარებულმა პოლიციის ბასტი-ბუბუმ ყველაფერი დამავიწყა. არადა, სხვაც რამდენი რამ მოხდა საინტერესო.

აღლუმიც არის და აღლუმიც — რა ბიჭები, რა გოგოები, რა მანქანები, რა „კობრები“, რა ძვირფასი საზოგადოება პრეზიდიუმში...

გადაირეოდა, გენაცვალე, მედვედევი, აბა რა იქნებოდა, იმ საღამოსვე უკითხავს თავისი მინისტრისთვის, — მე რომ მილიციის პოლიციად გადაკეთება დაგავალეთ, რა ხდებაო?..



ჰმ, მარტო დავალება რას უშველის, თუკი სათანადო მომზადება არ ექნა? მხოლოდ სახელის გადარქმევა ხომ არ არის საკმარისი?!

აი, თუნდაც ჩვენი პატრული რომ ავიღოთ, ანდა მხოლოდ თბილისის საპატრულო სამსახურის შეფი გიორგი გეგეჭკორი! ა, ძმაო, კაცი — რა სიტყვა-პასუხი, რა რაინდობა და თანამოძმის გვერდში დგომა...

სწორედ ამ სადღესასწაულო დღეებში „დაუდგა გვერდით“ ერთ-ერთ ასეთ „თანამოძმეს“: შსს-ს კალათბურთელთა გუნდის მოთამაშეს მსაჯის რაღაც გადაწყვეტილება არ მოეწონა, გააქანა და თავი შიგ თვალში, „ბოდიშმამითხოვია“ და, ხია მსაჯს!

კარგი, მსაჯის ცემა ჩვენთან დიდი ხანია, რაც „ეროვნულ ტრადიციად“ იქცა, მაგრამ ის მსაჯი ქალია!

რაც იყო, იყო — ის კალათბურთელი სათანადოდ დაისაჯა და „პატრულთუხუცესი“ რა შუაშიაო, მკითხავთ.

„იმ შუაშია“, რომ გადმოხტა ეს კაცი მოედანზე, ვიფიქრე, მივა ახლა და „მოაპატრულ-წესრიგებს“ ყველაფერსმეთქი, მაგრამ მე რომ ვიფიქრე, ეგ არაფერი, იქაური დაცვის პოლიციის თანამშრომელმაც ასე იფიქრა და ის იყო უნდა ეთქვა, — ნუ წუხდებით, ბატონო, ჩვენ მივხედავთ ამ ამბავსო, — რომ ისეთი რეკა ყბაში, თქვენი მოწონებული!!!

დიახ, საპატრულოს შეფმა! დიახ, დაცვის პოლიციის თანამშრომელს!! დიახ — „ზედ-შიგ-პირდაპირ“ ყბაში!!!

ოღონდ ერთი ეგ არის, რომ მალევე „დაავიწყდა“ — იმის მიუხედავად, რომ palitratv.ge-ზე ყველას, მათ შორის თვითონაც, შეუძლია ნახოს ეს თვალწარმტაცი კადრები, ჟურნალისტის კითხვაზე პასუხობს, — მე მხოლოდ მოჩხუბრებს ვაშველებდიო...

საერთოდ, ქართველებს ეს სენი ოდითგანვე გვჭირს — ერთმანეთის არ გვესმის ხოლმე, განსაკუთრებით ქართველ ჟურნალისტებს „არ ესმით“ ქართული პოლიციის — აი, აშველებდა კაცი სხვებს და ჩვენ ჩხუბად და დებოშად ვუთვლით, თანაც სამინისტროსაგან რეაგირებას ვითხოვთ — დასაჯეთ-თქო!

იმის არ იყოს, 2007 წლის 7 ნოემბერს რომ საპროტესტო აქცია „გააშველეს“, მერე რომ რამდენიმე ახალგაზრდა სამუდამოდ „გააშველეს“ და თუ ჭკუით არ ვიქნებით, ყველას რომ „გაგვაშველებენ“.

ამიტომ, ჩუმად ვიყოთ, „კურიერს“ ვუყუროთ და პოლიციას „გავუგოთ“!

აი, ჩვენი მიხეილ-პრეზიდენტი — მარტო კი არ მივიდა პოლიციის აღლუმზე, უმცროსი შვილიც მიიყვანა, თანაც — უნიფორმაში გამოწყობილი. ხუმრობა იქით იყოს და, რა მაინტერესებს, იცით? ამას წინათ ჩემმა შვილმა მეზობლის მანქანის მინა ჩატეხა ქვით (შემთხვევით, ცხადია) და მიტყეპას რომ ვუპირებდი, გამახსენდა, რომ შეიძლებოდა ბავშვზე ძალადობისათვის ვინმეს ეჩივლა ჩემთვის (მერე რა, რომ ჩემი შვილია) და პრეზიდენტზე ამ ქვეყნის კანონები არ ვრცელდება? რომელი უფრო დიდი ძალადობაა — ბავშვისთვის რბილ ადგილას ერთი ხელის შემორტყმა, თუ პოლიციის ფორმის ჩაცმა და „პარადის მიღება“?!

**P.S.** ისე, იმ აღლუმზე ყველაზე მეტად ისევ და ისევ ბავშვები მომეწონა — „პოლიციის ჰიმნის“ იმ ყბადაღებული კლიპის მონაწილე ყველა ბავშვი, კრიტიკოსთა ჯიბრზე, შეუკრებიათ, ბათუმში ჩაუყვანიათ და ამჯერად „ცოცხლად“ ამღერეს.

მაგრამ ყველაზე სასაცილო მაინც მონაწილეთა რეაქცია იყო — ტრიბუნაზე მდგომი ქვეყნისა და სამინისტროს „ნაჩალნიკებიდან“ დაწყებული, აღლუმის მონაწილე უკანასკნელი რიგითით დამთავრებული, ისე გაჭიმულები იდგნენ ამ თითის სიგრძე ბავშვების სიმღერაზე, რომ მგონი, მართლა ჰიმნი ჰგონიათ ამ უბედურებს...

...ბათუმიდან რომ ჩამოვიდა, მიშა ვაკის პარკში მივიდა, II მსოფლიო ომის ვეტერანებს მიულოცა გამარჯვების დღე და თან ყველას აჩვენებდა ლუკაშენკოსა და იანუკოვიჩის გამოგზავნილ წერილებს, — ნახეთ, რა ხალხმა მომილოცაო! გულში კი ის დრო ახსენდებოდა, ამერიკიდან რომ დღეში სამჯერ ურეკავდნენ...

„ვაჰ დრონი, დრონი...“

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# ქვეყანა

## ანგელა მერკელი პინგვინის მეურვე გახდა

გერმანიის კანცლერმა ზღვის ბინადარზე მეურვეობა გადაწყვიტა. საკუთარი ქვეყნის ქალაქებში მოგზაურობისას მერკელი უძველეს ზოოპარკს ეწვია და ოკეანარიუმი დაათვალიერა. მან ერთ-ერთი პინგვინის მეურვეობა იკისრა და ამის დამადასტურებელი დოკუმენტი ზოოპარკის დამთვალიერებლებს საჯაროდ გააცნო. ■

## მიშელ ობამა — მწვრთნელი



აშშ-ის პირველი ლედი თეთრი სახლის მინდორზე სამხედრო მოსამსახურეების შვილებს ავარჯიშებს და თავადაც შესანიშნავად ერთობა. მიშელ ობამა უკვე დიდი ხანია ცდილობს, ბავშვებისთვის მისაბაძ მაგალითად იქცეს. გარდა მიშელისა, ბავშვებს აშშ-ში ცნობილი სპორტსმენები — ბილი ჯინ კინგი, მიშელ კვანი და გრანტ ჰილი ავარჯიშებენ. თეთრი სახლის მინდორზე შეკრებილი 80 ბავშვისა და მათი მშობლების წინაშე წარმოთქმული სიტყვისას პირველმა ლედიმ აღნიშნა: „ეს ვარჯიში მხოლოდ ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას როდი ისახავს მიზნად; ცხოვრება — მოძრაობაა, რაც მეტს ვიმოძრავებთ, მით უფრო ჯანმრთელები ვიქნებით“. ■

## ესპანეთში 25 ათასი წლის წინანდელი ნახატი აღმოაჩინეს

ესპანეთის ჩრდილოეთით, ერთ-ერთ გამოქვაბულში პრეისტორიული ხანის ნახატები აღმოაჩინეს. გამოქვაბულის კედლებზე წითელი ფერით დახატულ ცხენებსა და ადამიანის ხელებს არქეოლოგები შემთხვევით წააწყდნენ. ისინი ძველი დასახლების კვალს ეძებდნენ. წითელი გამოსახულებები 1879 წელს ალტამირას გამოქვაბულში აღმოჩენილი პრეისტორიული ნახატების თითქმის თანადროულია. ექსპერტები გამოქვაბულის შესწავლასა და საგნების ძებნას განაგრძობენ. ჰომო საპიენსის პირველი მცირე ჯგუფი ესპანეთის ჩრდილოეთით დაახლოებით 35 ათასი წლის წინ დასახლდა. მათ ზედა პალეოლითის კულტურა შექმნეს. სწორედ მაშინ დაიწყეს ადამიანებმა ქვის იარაღის კეთება და გამოქვაბულების კედლებზე ხატვა. ■

რადიო
თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



## ბინ ლადენის სიკვდილზე აწყობილი ბიზნესი

ნიუ-იორკის მკვიდრმა, მორის ჰარარიმ, „ალ-ქაიდას“ ლიდერის ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციის წყალობით, 120.000 დოლარი იშოვა. როგორც თავად ჰარარიმ განაცხადა, ბენ ლადენის ლიკვიდაციიდან რამდენიმე საათში ინტერნეტსაიტი შექმნა, სადაც მომხმარებლები ოსამას შესახებ ირონიულ ჩანაწარებს ათავსებდნენ; ამერიკელი ამ ფრაზებს სპორტულ მაისურებზე ბეჭდავდა და თითოეულს 12 დოლარად ყიდდა. ჰარარი ამბობს, რომ 2 მაისიდან მან 10000 ასეთი მაისური გაყიდა. ■




## ოპერა წყალქვეშ

გერმანიაში ახალი მუსიკალური ტრადიცია დამკვიდრდა — ოპერის მოყვარულ აუდიტორიას მომღერლები აუზის სიღრმიდან პირზე მიმაგრებული ჟანგბადის ბალონის მეშვეობით უმღერიან. იდეის ავტორი — მომღერალი კლაუდია ჰერი ამბობს, რომ წყლის ქვეშ სიმღერის იდეა 10 წლის წინ, ბერლინში მდებარე Aquaria Palaoa-ის მონახულების შემდეგ გაუჩნდა... კლაუდია, სანამ ოპერის მომღერალი გახდებოდა, ცურვას მისდევდა. მისი იდეის განსახორციელებლად, მომღერლებს სასცენო კოსტიუმების ძებნა აღარ მოუწევთ — საცურაო კოსტიუმი სავსებით საკმარისია. ■



# პირველი უთანხმოება...

დიდი ბრიტანეთის პრინც უილიამის მეუღლე, კემბრიჯის ჰერცოგინია ქეთრინ მიდლტონი ქმარზე განაწყენებულია. წყვილს უთანხმოება მას შემდეგ მოუვიდა, რაც უილიამმა გადაწყვიტა, 2 წლის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის საჰაერო ძალებში იმსახუროს. თავისი ძმის, პრინც ჰარის მსგავსად, შესაძლოა, ისიც ავღანეთში გაგზავნონ, რაც ქეთრინს ძალიან აშინებს. ჟურნალის — National Enquirer ცნობით, პრინც უილიამს სურს, დედის — პრინცესა დიანას მსგავსად, გაჭირვებულ ადამიანებს დაეხმაროს. ქეითი კი შიშობს, რომ ეს სიკეთე და გულმოწყალება უილიამს სიცოცხლის ფასად დაუჯდება. ■





# ჩინური კედლის გაგრძელება აღმოაჩინეს

ჩინელმა არქეოლოგებმა გრანდიოზული კედლის აქამდე უცნობ ნანგრევებს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მთიანეთში მიაგნეს. ჩინური კედლის ეს ფრაგმენტი დინასტია მინის მმართველობის დროს აღადგინეს, რომელიც 1368-1644 წლებში მბრძანებლობდა. მოგვიანებით კედლის დიდი ნაწილი ადგილობრივმა მოსახლეობამ მოანგრია და საკუთარი სახლების ასაშენებლად გაზიდა. ხელისუფლება აღიარებს, რომ აქამდე ამ ისტორიული ძეგლის დასაცავად არაფერი გაკეთებულა. შეგახსენებთ, რომ პირველი გრანდიოზული კედელი ჩინელებმა 2000 წლის წინ, ჩრდილოელი მომთაბარე ტომების თავდასხმის შეჩერების მიზნით ააშენეს. კედლის დიდი ნაწილი მოგვიანებით სხვა დინასტიების მმართველობის დროს აღადგინეს. ბოლო წლებში საკმაოდ ბევრი ეროვნული ძეგლი დაზიანდა, კედლების დიდი ნაწილი მხოლოდ იმის გამო გაანადგურეს, რომ ამ მიმართულებით გზა უნდა გაეყვანათ. ■

# 85 წლის ჰიუ ჰეფნერი ქორწინდება

Playboy-ის დამფუძნებელი 85 წლის ჰიუ ჰეფნერი 60 წლით უმცროს მოდელზე ქორწინდება. საქორწილო მოსაწვევები უკვე დაგზავნილია, ცერემონია კი 18 ივნისისთვის არის დაგეგმილი. მოსაწვევის ტექსტი ასეთია: „კრისტალ ჰარისი და ჰიუ ჰეფნერი ქორწილში სიხარულით გიწვევენ“. მოსაწვევი ერთი შეხედვით, უბრალოა, მაგრამ მას სვაროვსკის ვარდისფერი და ფირუზისფერი კრისტალები ამშვენებს. „ჩვენი ქორწილის გასაფორმებლად სწორედ ამ ფერებს გამოვიყენებთ, ჩვენ უკვე 300 ადამიანი მოვიწვიეთ“, — ამბობს 25 წლის საპატარძლო. ჰეფნერი სამჯერ იყო დაქორწინებული, მაგრამ სამივე ქორწინებამ იმედი გაუცრუა. „ქორწინებაში არ მიმართლებდა. სამი განქორწინება რეკორდი არ არის, ვნახოთ, აქედან რა გამოვა. ჩემთვის მთავარი — ბედნიერებაა. ახლა იმაზე მეტად ბედნიერი ვარ, ვიდრე 20 წლის ასაკში ვიყავი“, — აღნიშნა ჰეფნერმა. ჰიუს ყოფილი მეუღლე, ჰოლი მედისონი დარწმუნებულია, რომ კრისტალი ქმარს გულს ატკენს. ■





# გამარჯვების დღე და 22-ლარიანი კომპენსაცია ვეტერანებისათვის

**„მითხარი, როგორ ექცევი ვეტერანებს და გეტყვი, ვინ ხარ შენ", — ეს გამოთქმა ამერიკელ ომის ვეტერანებს ეკუთვნით. თუ ქართველები ამ აზრს გავიზიარებთ, საკუთარ ხელისუფლებაზე კარგი წარმოდგენა ნამდვილად, არ შეგვექმნება: დღეს ჩვენში ვეტერანები (იმ იშვიათი გამონაკლისების გარდა, რომლებიც რაღაც სასწაულის ძალით, ჯერ კიდევ არ გაუყრიათ სამსახურიდან) მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი, უფლებაშელახული და ღარიბი ფენაა. როგორც საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი ლევან ვეფხვაძე ამბობს, სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოს კანონში ვეტერანთა შესახებ ცვლილებები 2006 წელს შეიტანა და ამოიღო პუნქტი, რომელიც მათთვის დახმარებებისა და შეღავათების გაწევას ითვალისწინებდა. ყოფილი მეომრები დღეს მხოლოდ 22-ლარიანი კომპენსაციით სარგებლობენ.**

*ხათუნა ბახტურიძე*

*საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიხეილ სააკაშვილმა თბილისელ ვეტერანებს ერთ-ერთი ძველი შეღავათი — მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო სარგებლობის უფლება აღუდგინა. ქვეყნის პირველმა პირმა ბოლომდე არც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები გაწირა — მათ წელიწადში ერთხელ, 9 მაისს, როგორც მოწყალება, 200 ლარს ურიგებენ. ვეტერანებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე* ***ოთარ თოიძე*** *გვესაუბრება.*

**— ბატონო ოთარ, რატომ მოუხსნეს შეღავათები საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულ ფენას?**

— ომის ვეტერანებისთვის შეღავათები ჩვენ არ მოგვიხსნია, ეს ტენდენცია ჯერ კიდევ 1952 თუ 1953 წლიდან დაიწყო. პირველ რიგში, ვეტერანებს გაუუქმეს სასტუმროში უფასოდ ცხოვრებისა და ტრანსპორტით უფასო სარგებლობის უფლება, საკავშირო მასშტაბით, მაგრამ დარჩათ ბინისა და დასასვენებელი საგზურების უფასოდ მიღების საშუალება, ასევე ავტომობილისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის ურიგოდ შეძენის პრივილეგია...

**— ბატონო ოთარ, იქნებ იმ ომის ვეტერანების შესახებ ვისაუბროთ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდნენ...**

— ეს ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია. ე.ი. 50-იან წლებში თავად საბჭოთა ხელისუფლებამ თქვა უარი იმ დანაპირების შესრულებაზე, რაც ომის დამთავრების შემდეგ აღუთქვა მებრძოლებს. მოგვიანებით, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, აფხაზეთის ომის შემდეგ გაჩნდა ვეტერანების ახალი არმია. მათ დაემატნენ შრომისა და სახანძრო ძალების ვეტერანებიც. იმ პერიოდში ქვეყანაში ისევ საბჭოთა კავშირის დროს მიღებული კანონები მოქმედებდა და ვეტერანებს ძველი პრივილეგიებით სარგებლობის უფლება ჰქონდათ, თუმცა სახელმწიფო ამ უდიდესი ტვირთის წინაშე უძლური აღმოჩნდა და ყველა კატეგორიის ვეტერანი უსახსროდ დარჩა. შევარდნაძის ხელისუფლება მხოლოდ ძალოვანი უწყებების ვეტერანებს ეხმარებოდა, ისიც — მეტ-ნაკლებად. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, 2004 წელს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს საკმაოდ სოლიდური პენსია დაენიშნათ, რომელიც ახლა 130 ლარს შეადგენს.



**— „ვარდების რევოლუციამდე", საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ნაბრძოლი ვეტერანები ელექტროენერგიის, წყლის, გაზის, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ტრანსპორტის გადასახადებზე შეღავათებით სარგებლობდნენ. დღეს კი ამ ყველაფრის ნაცვლად, 22-ლარიან კომპენსაციას იღებენ.**

— „ვარდების რევოლუციამდე" გადასახადების განახევრება ადვილი იყო, იმიტომ, რომ მაშინ არც შუქი იყო და არც გაზი. დღეს სახელმწიფო ვერ ეტყვის ვეტერანს, — როგორც გინდა, ისე დახარჯე ელექტროენერგია და გაზი და მე გადაგიხდიო; ამიტომაც გადაწყვიტა, რომ მათ კონკრეტული თანხით დახმარებოდა.

**— ფიქრობთ, რომ ვეტერანები 22 ლარით თუნდაც ელემენტარულ ყოფით პრობლემებს მოაგვარებენ?**

— 22 ლარი მინიმალურია, ზოგიერთი ვეტერანი 40 ლარსაც იღებს. ეს დღეს არ არის დიდი თანხა, თორემ 5 წლის წინ საკმაოდ გვარიანი იყო.

**— მართლა ასე ფიქრობთ?**

— შეგახსენებთ, რომ „ვარდების რევოლუციამდე" პენსია 14 ლარი იყო, რომელსაც ხელისუფლება თვეების განმავლობაში არ გასცემდა. ამ ყველაფრის შემდეგ, 22-40-ლარიანი კომპენსაცია ნამდვილად დიდი ფული იყო, მით უფრო, რომ ვეტერანებს პენსიაც ჰქონდათ — 28 ლარის ოდენობით.

**— დღეს არსებული ფასების ფონზე, 22-ლარიანი კომპენსაცია რას ეყოფა?**

— დიახ, დღეს ამ კუთხით ნამდვილად არის პრობლემა, რის გამოსწორებასაც ვცდილობთ.

**— „ქრისტიან-დემოკრატებმა" არაერთხელ წარმოადგინეს კანონპროექტი, რომელიც ვეტერანებისთვის ყოფითი პრობლემების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. საპარლამენტო უმრავლესობამ ამ ინიციატივას მხარი რატომ არ დაუჭირა?**

— ვიდრე „ქრისტიან-დემოკრატები" პარლამენტში შემოვიდოდნენ, ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა უკვე წარმოდგენილი გვქონდა. მათი ავტორი გიგი წერეთელი იყო. ამ პრობლემაზე ჩვენ ნამდვილად ვფიქრობთ, უბრალოდ, აგვისტოს ომმა სერიოზულად შეგვაფერხა, რადგან ვეტერანების რიცხვი კიდევ გაიზარდა. ახლა საპენსიო რეფორმაზე ვმუშაობთ. ალბათ იცით, რომ 1-ელი სექტემბრიდან პენსია ყველასთვის 100 ლარი გახდება. ამას დაემატება 7-ლარიანი დანამატიც. ჩვენ არა გვაქვს იმის პრეტენზია, რომ ქვეყანაში პენსიონერებისა და ვეტერანების საკითხი მოგვარებულია. ყველაფერს დრო სჭირდება. გვირჩევნია, ვიმუშაოთ, ვიდრე პოპულისტური განცხადებები ვაკეთოთ. ■

# „სააკაშვილს რევოლუციაზე მეტად, სამართლიანი არჩევნების ეშინია“

## „ნაციონალები“ კომუნისტური პარტიის „შეცდომას“ არ გაიმეორებენ



**„ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, მხოლოდ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს“, — ამბობს პოლიტიკური ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი. მართალია, „ოპოზიციური რვიანის“ წარმომადგენლები სააკაშვილს ერთპიროვნულ, დიქტატორ მმართველად მიიჩნევენ და ირწმუნებიან, რომ ხელისუფლებიდან საკუთარი ნებით არ წავა, მაგრამ მაინც ცდილობენ, რომ მისი გუნდი საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაზე მოლაპარაკების გზით დაიყოლიონ. „ქართული პარტია“ და „სახალხო კრება“ მიიჩნევენ, რომ „რვიანი“ მოლაპარაკებებში დროს ფუჭად ხარჯავს და გამოსავალს საპროტესტო აქციების გამართვაში ხედავენ, თუმცა ერთიან პოზიციას სხვა საკითხებთან დაკავშირებით ვერ ინარჩუნებენ და ერთმანეთის ლანძღვა-გინების ფონზე, მიტინგების მოწყობას სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფორმით აპირებენ. „ქართულმა პარტიამ“ 9 მაისს საყოველთაო დაუმორჩილებლობის მოწოდებით რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრებს მიჰყო ხელი, „სახალხო კრება“ მასშტაბური მიტინგების დაწყებას 21 მაისიდან აპირებს, მანამდე კი პატარ-პატარა აქციებით შემოიფარგლება.**

**რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ოპოზიციური ძალების შეუთანხმებელ მოქმედებებს და როგორი იქნება ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯი? ეს კითხვები ბატონ სოსო ცისკარიშვილს დავუსვით.**

*ხათუნა ბახტურიძე*

— ეს თავგზაამბნევი არეულ-დარეულობა დაბალი პოლიტიკური კულტურის შედეგია. ერთი შეხედვით, ოპოზიციური ძალების საერთო მიზანი — ხელისუფლების შეცვლაა, მაგრამ რეალურად ისინი მოსვლისთვის იბრძვიან. ეს პოლიტიკური პარტიისთვის ბუნებრივი სურვილია, მაგრამ ხალხმა უნდა იცოდეს, რა განსხვავებაა ხელისუფლების შეცვლასა და ხელისუფლებაში მოსვლას შორის. ჩვენს ქვეყანაში დღეს არსებული სიტუაცია კომიკური იქნებოდა, ტრაგიკული რომ არ იყოს. ის ფაქტი, რომ „ქართული პარტია“ და „სახალხო კრება“ ერთმანეთს ღიად უპირისპირდებიან და ერთმანეთის დისკრედიტაციას ცდილობენ, მხოლოდ იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ორი პოლიტიკური სუბიექტი (მომიტევონ ჩემმა მეგობრებმა „სახალხო კრებიდან“, მაგრამ ეს მოძრაობა სწორედაც რომ პოლიტიკურ ძალად ყალიბდება) „სახელისუფლებო ოლიმპისთვის“ იღვწის. ე.ი. ისინი „ნახევარფინალში“ ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძვიან, გამარჯვებული კი „ფინალში“ ხელისუფლებას დაუპირისპირდება.

**— რამდენად შესაძლებელია, რომ „ნახევარფინალში“ დამარცხებული პარტიის გულშემატკივარმა გამარჯვებულს დაუჭიროს მხარი „ფინალში“ — ხელისუფლების წინააღმდეგ?**

— ძნელი სათქმელია, დღეს ცხადი მხოლოდ ერთი რამ არის — ის პოლიტიკური ძალა (განურჩევლად მისი ავტორიტეტისა და პერსპექტივისა), რომელსაც ზურგს უცხო ქვეყანა გაუმაგრებს, განწირული იქნება მარცხისთვის. ფაქტია, რომ სხვადასხვა ქვეყნის ჩარევით ქართული ხელისუფლების შეცვლა ჩვენი სახელმწიფოსთვის სასიკეთო შედეგს არ იძლევა. თუ სამშობლოზე მართლაც შეგვტკივა გული, კეთილი ვინებოთ და ხელისუფლება, რომელიც არ მოგვწონს, სხვისი დახმარების გარეშე, საკუთარი უნარითა და ძალით შევცვალოთ. საქართველოს სიყვარულის სადღეგრძელოებში გამოხატვა და მუდმივად ახალი პატრონის ძებნა სიკეთეს არ მოგვიტანს.

**— „ოპოზიციური რვიანი“ თუ შეძლებს ხელისუფლების დაყოლიებას საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით?**

— მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას სამართლიანი არჩევნების უფრო ეშინია, ვიდრე რევოლუციის. მმართველ გუნდს ელემენტარული გამოცდილებაც კი არა აქვს იმისა, თუ როგორ უნდა მოიგოს მრავალპარტიული, სამართლიანი არჩევნები. ამიტომ როგორც უნდა ეცადოს „ოპოზიციური რვიანი“, „ნაციონალები“ კომუნისტური პარტიის „შეცდომას“ არ გაიმეორებენ და ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების ჩატარებას არ დაუშვებენ. მათი დევიზი ასეთია,

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 16



# ექსსპიკერი ხელისუფლებას ემუქრება



„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერი ამბობს, რომ ხელისუფლება 26 მაისის აღლუმის მშვიდად ჩატარებას ვერ შეძლებს. მისი თქმით, „სახალხო კრება" 21 მაისს თავისუფლების მოედანზე შეიკრიბება და ხელისუფლების შეცვლისთვის საბოლოო ბრძოლას დაიწყებს. ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდება. ის ხელისუფლების განცხადებას აღლუმის ჩატარების შესახებ პიარისთვის გამიზნულად მიიჩნევს. „ხელისუფლებას კარგი „პიარშიკები" ჰყავს და საკუთარ პიარზე მილიონებს ხარჯავს. რა თქმა უნდა, პიარ-თვალსაზრისით, ხელისუფლება სწორად მოიქცა. მათ ამ განცხადებით გააკეთეს იმის დემონსტრირება, ვითომ დარწმუნებულები არიან, რომ 21 მაისს არაფერი მოხდება. ფიქრობენ, რომ 26-ში მშვიდად, წყნარად ჩაატარებენ აღლუმს. ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ასე არ ფიქრობს ასიათასობით ქართველი, რომელიც სულმოუთქმელად ელოდება ამ ხელისუფლების წასვლას, რომ აღლუმი სამარცხვინო მთავარსარდალმა ველარ ჩაიბაროს", — განაცხადა ბურჯანაძემ. ■

# ლიბიაში სამხედრო ოპერაცია მალე დასრულდება?



იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატინიმ, ლიბიაში ნატოს ოპერაციის დასრულების შესაძლო ვადები დაასახელა. ფრატინის თქმით, არსებობს „ოპტიმისტური სცენარი", რომლის მიხედვითაც ოპერაცია შესაძლოა, რამდენიმე დღეში დასრულდეს, თუმცა უფრო რეალურია, ამას 3-4 კვირა დასჭირდეს. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია, მუამარ კადაფის რეჟიმზე ზეწოლა გაძლიერდეს, რათა პოლიტიკური დარეგულირების პროცესი დაიწყოს. ■

# კადაფი გაუჩინარდა

მას შემდეგ, რაც ტრიპოლიში ნატოს ავიაციის დაბომბვას მუამარ კადაფის უმცროსი ვაჟი, სეიფ ალ-არაბი ემსხვერპლა, ლიბიის ლიდერი აღარსად გამოჩენილა. უცხოელი დიპლომატები ფიქრობენ, რომ შესაძლოა, კადაფი იმავე დაბომბვის დროს დაიჭრა ან დაიღუპა. დიპლომატებმა შეამჩნიეს, რომ კადაფი დაღუპული სამი შვილიშვილისა და უმცროსი ვაჟის დაკრძალვაზე არ გამოჩენილა. თუმცა მასმედია მაშინ მისი შესაძლო დაღუპვის შესახებ არ ალაპარაკებულა. ჟურნალისტების თქმით, თუ კადაფი იმავე შენობაში იმყოფებოდა, სადაც მისი დაღუპული ნათესავები, მას გადარჩენის ძალზე მცირე შანსი ჰქონდა. „იმ ღამეს იმ სახლთან მიგვიყვანეს. ის მთლიანად დანგრეული იყო. ნატომ საგანგებო ჭურვები გამოიყენა — ისინი ჰორიზონტალურ სიბრტყეში დიდ წნევას წარმოქმნის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი ჭურვების გამოყენების დროს ცოცხალი არავინ რჩება", — ჰყვება ტრიპოლიში მყოფი, ანონიმი უცხოელი. ჩნდება კითხვა: თუ კადაფი მართლაც დაჭრილი ან დაღუპულია, მაშ, ვინ ხელმძღვანელობდა ამ დღეებში ამბოხებულთა წინააღმდეგ სამხედრო შეტევას? დიპლომატიური წყაროები და ამბოხებულები ვარაუდობენ, რომ კადაფის შემცვლელი ახლა, მისი ვაჟი, სეიფ ალ-ისლამია. ■

# მალე დედამიწაზე საცხოვრებელი ადგილი აღარ დარჩება?!

2050 წლისთვის დედამიწის მოსახლეობა 9 მლრდ ადამიანს გადააჭარბებს. ასწლეულის ბოლოს კი ეს მაჩვენებელი 10,1 მლრდ-მდე გაიზრდება, — ნათქვამია გაეროს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში. გაეროს მოხსენება, სადაც მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობის ზრდაზეა საუბარი, მოსახლეობის აღრიცხვის განყოფილებამ წარმოადგინა. მისი ავტორების აზრით, წელს მოსახლეობის რაოდენობა 7 მლრდ-ს გადააჭარბებს, 2023 წელს 8 მლრდ-მდე გაიზრდება, 2041 წლისთვის კი 9 მლრდ-ს მიაღწევს. ასეთი მაჩვენებლები იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ მსოფლიოში დემოგრაფიული ტენდენციების პროგნოზირებული სცენარი განვითარდება. ამასთან, მოსახლეობის ზრდა მოსალოდნელია იმ ქვეყნებში, სადაც შობადობის მაჩვენებელი მაღალია, კერძოდ — აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის სახელმწიფოებში. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში დაბალი შობადობაა. ამ ქვეყნებში მოსახლეობის სწრაფი დაბერებაც აღინიშნება. თუკი შობადობა გაიზრდება, 2100 წლისთვის დედამიწაზე შესაძლოა, 15,8 მლრდ-მა ადამიანმა იცხოვროს. ■

# ინტერნეტში ასლან აბაშიძის ფოტოები გავრცელდა

სოციალურ ქსელებში ასლან აბაშიძის მოსკოვში გადაღებული ფოტოები გავრცელდა. ფოტოებზე აჭარის ყოფილი ლიდერი თავის საყვარელ ნაგაზთან, ბასმაჩთან ერთად არის გადაღებული. სურათები სავარაუდოდ, შარშან ივნისში, ასლან აბაშიძის დაბადების დღეს გადაიღეს. ამ დროს აჭარის ექსლიდერი მოსკოვის გარეუბანში, ყოფილი მერის, იური ლუჟკოვის აგარაკზე იმყოფებოდა. ■



*რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ*
*გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები*




# 50 წიგნი

## რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

**30 მაისიდან — 6 ივნისამდე**



მაინ რიდი

**13-დან — 20 ივნისამდე**



თომას მანი (ტომი I)

**27 ივნისიდან — 4 ივლისამდე**



თომას მანი (ტომი II)

და სხვა დიდი წიგნები...

ყოველ ორ კვირაში „კვირის პალიტრასთან" ერთად!

## 16-დან — 23 მაისამდე

### წიგნი 13 ჰომეროსი „ოდისეა"

მხოლოდ „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

## წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

**უკვე გამოსული ტომები:** ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი, მიხაილ ბულგაკოვი, ოსკარ უაილდი, ჩარლზ დიკენსი, ერიხ მარია რემარკი, ფრედერიკ ბეგბედერი, ედგარ პო

**შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!**

**გამოიწერეთ „კვირის პალიტრა" და მიიღეთ თითო ტომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი**

# ვასილ სანოძე ისრაელიდან მშობლებს ესაუბრა

## უცხოელმა კოლეგებმა ქართველ ექიმებს ჩატარებული ოპერაცია მოუწონეს



**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის, ვასილ სანოძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. იგი ისრაელის ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში მკურნალობას აგრძელებს. შეგახსენებთ — 3 მაისს გამთენიისას ვასილ სანოძე ღუდუშაურის კლინიკაში უმძიმეს მდგომარეობაში მიიყვანეს. მას ცეცხლსასროლი იარაღით გამჭოლი ჭრილობა თავის არეში აღენიშნებოდა. შუბლის მარჯვენა მხარეს, საფეთქელთან მოხვედრილი ტყვია მარცხენა მხარეს გამოვიდა. პაციენტი სასწრაფოდ, მართვით სუნთქვის აპარატზე გადაიყვანეს. ამის შემდეგ, რამდენიმესაათიანი ოპერაცია ჩაუტარდა. ნეიროქირურგ გრიგოლ ნანავას განმარტებით, ოპერაციამ ნორმალურად ჩაიარა, პაციენტის მდგომარეობა სტაბილური იყო, მაგრამ ოჯახმა მისი ისრაელში გადაყვანა გადაწყვიტა. იმის გასარკვევად, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო პაციენტის ტრანსპორტირება, ექიმების კონსილიუმი შედგა. ექიმების აზრი ორად გაიყო: ნაწილი მიიჩნევდა, რომ ტრანსპორტირება საშიში იყო, მაგრამ შემთხვევიდან მეორე ღამით, სპეცრეისით ვასილ სანოძე ისრაელში მაინც გადააფრინეს. ეს ქვეყანა ექიმებმა შეარჩიეს, რადგან იქაურ ექიმებს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების მკურნალობის დიდი გამოცდილება აქვთ.**

*თეა ხურცილავა*

ვასილ სანოძე წერეთლის გამზირზე მშობლებთან ერთად ცხოვრობს. დედისერთაა, მეუღლე არ ჰყავს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის, შოთა ხიზანიშვილის ინფორმაციით, სანოძეს სახლში ტაბელური იარაღი გაუვარდა. სამინისტრო მწირი ინფორმაციით შემოიფარგლა. ამ ვერსიის ნაკლებად სჯერა საზოგადოების დიდ ნაწილს. არაოფიციალურ ვერსიებს შორის, აქტიურად განიხილება თვითმკვლელობის მცდელობის ვერსია. ამბობენ, რომ მთვრალმა სანოძემ თავის მოკვლა სცადა, მაგრამ უცნობია, რამ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე; არც ის იცის ვინმემ, თუ რა მანძილიდან მოხდა გასროლა. ექსპერტების მტკიცებით, მიბჯენით გასროლა რომ მომხდარიყო, მისი გადარჩენის შანსი ფაქტობრივად, მინიმალური იქნებოდა.

ცნობილია სანოძის 2 მაისის დღის განრიგიც: შს სამინისტროს გენინსპექციის უფროსმა საღამოს 10 საათზე, სამსახურში თათბირი ჩაატარა, ამის შემდეგ კი რესტორან „პურის სახლში“ წავიდა: გავრცელებული ინფორმაციით, იმ დღეს შს მინისტრის პირველმა მოადგილემ ეკა ზღულაძემ და მისმა ფრანგმა მეუღლემ რაფაელ გლუკსმანმა საქორწინო სუფრა გაშალეს. შეგახსენებთ — ეკა ზღულაძე გეგა ფალავანდიშვილის ყოფილი მეუღლეა; ისინი ერთი წლის წინ გაეყარნენ ერთმანეთს. ეკას ახალი მეუღლე კი პროფესიით ჟურნალისტია, მწერალ ანდრეი გლუკსმანის შვილი.

როგორც ამბობენ, მთვრალი ჩინოსანი რესტორნიდან დაახლოებით ღამის 3 საათზე გამოვიდა და სახლში დაბრუნდა. ღამის 4 საათზე კი რამდენიმე მეზობელს სანოძის დედის განწირული კივილი შემოესმა. დაჭრილი ერთადერთი ვაჟი პირველად თურმე დედამ ნახა. მეზობლები კომენტარისგან თავს იკავებენ. ბევრი ამბობს, რომ გასროლის ხმა არ გაუგონია, უბრალოდ, ბინიდან ხმაური ისმოდა. იმას ადასტურებენ, რომ მალე სადარბაზო სამართალდამცველებით გაივსო.




გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ, დათა ახალაიას და ვასილ სანოძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება გამოქვეყნდა

ღუდუშაურის კლინიკაშიც პოლიციამ დაცვა გააძლიერა და ჟურნალისტებს საავადმყოფოს ეზოში ყოფნის საშუალებაც არ მისცა. დაჭრილის მდგომარეობის გასარკვევად, საავადმყოფოში შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურის მაღალჩინოსნები, დაჭრილის მეგობრები და მინისტრი ვანო მერაბიშვილიც იმყოფებოდნენ. ვასილ სანოძე მინისტრის მეუღლესთან, თაკო სალაყაიასთან მეგობრობს. იგი საზოგადოების ყურადღების ცენტრში, ოქროყანის ტყეში გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ მოექცა. შს მინისტრის მეუღლე თაკო სალაყაიასთან, დათა ახალაიასთან, ოლეგ მელნიკოვთან, გურამ დონაძესთან და თათია მაისურაძესთან ერთად ისიც იჯდა იმ საბედისწერო დღეს „შარდენ ბარში“. სადისტურად მოკლული სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები მკვლელობის დამკვეთებად ზემოთ დასახელებულ პირებს მიიჩნევენ და სხვებთან ერთად, დღემდე, ვასილ სანოძის პასუხისგებაში მიცემასაც ითხოვენ. ამ ფაქტის შემდეგაც თაკო სალაყაიასთან ერთად ხშირად ჩნდებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. კვარიათში სემინარზე ჩასულმა ჟურნალისტებმა ვნახეთ დასასვენებლად ჩამოსული და ფეშენებელურ სახლში დაბინავებულები — თაკო სალაყაია, ვასილ სანოძე და დათა ახალაია. სწორედ იმ დღეს გაათავისუფლეს პატიმრობიდან გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული პირები: ალანია, ლაჭავა, ბიბილურიძე და აფციაური. მალე მეუღლესა და მის მეგობრებს მინისტრი ვანო მერაბიშვილიც შეუერთდა.

ვასილ სანოძე სააკაშვილის გუნდის წევრია. პირველად, ის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, დათა ახალაიასთან ერთად გამოჩნდა. მაშინ მის-

ეილ სააკაშვილმა ისინი აჭარაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულების რანგში მიავლინა და ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო და საგადასახადო სამსახურების გაკონტროლება დაავალა. შემდეგ სანოძე ცოტა ხანი ქვემო ქართლის უშიშროების უფროსიც იყო, იქიდან შს სამინისტროში გადავიდა, მოგვიანებით — გენერალური ინსპექციის უფროსად დაინიშნა. მართალია, გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ, დათა ახალაიას და ვასილ სანოძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება გამოქვეყნდა და სამინისტროს ვებგვერდზე დღემდე დევს ინფორმაცია, რომ გენინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ჯონი ოთარაშვილია, მაგრამ თანამშრომლები ამბობენ, რომ ამ სამსახურის რეალური უფროსი ვასილ სანოძეა. მისი გვარი კიდევ ერთხელ იყო ნახსენები უარყოფით კონტექსტში შარშან, 25 აპრილს: მაშინ თბილისში, ჩიტაძისა და ინგოროყვას ქუჩების კუთხეში მომიტინგეებს სანოძემ ზემოდან წყლით სავსე ცელოფანის პარკები ესროლა. სამოყვარულო კამერით გადაღებული კადრები მთელმა საზოგადოებამ ნახა.



მაშინ მიხეილ სააკაშვილმა ისინი აჭარაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულების რანგში მიავლინა

გასულ კვირას მომხდარ, სანოძის დაჭრის ფაქტს განსაკუთრებული ხმაური მოჰყვა, რადგან ეს ამბავი გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით ევროსასამართლოს მიერ ვერდიქტის გამოტანის შემდეგ მოხდა. ადვოკატი შალვა შავგულიძე აცხადებს, რომ ხელისუფლებას ამ საქმის გამოძიება თავიდან მოუწევს და ამ შემთხვევაში, გენინსპექციის უფროსიც უნდა დაიკითხოს. კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ ხელისუფლება ვილაცებისთვის ჯოხის გადატეხას აპირებდა... კიდევ ერთი ინფორმაციით, სანოძეს დასაჭერი პოლიციელების სია გადასცეს. მათ რიგში ბევრი მისი მეგობარი იყო. ეს ფაქტი თურმე მან მაშინვე გააპროტესტა, მაგრამ მისთვის მიცემული ვადა უკვე იწურებოდა და შესაძლოა, ესეც გამხდარიყო თვითმკვლელობის მცდელობის მიზეზი. რეალურად რა მოხდა, ეს შემთხვევითი გასროლა იყო თუ თვითმკვლელობის მცდელობა — მხოლოდ მან და მისმა მშობლებმა იციან, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა, რომ რეალური მიზეზი საზოგადოებამ შეიტყოს.

9 მაისს სანოძეების ბინას მივაკითხეთ, რათა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ოჯახის წევრებისგან შეგვეტყო. მართალია, მეზობლებმა გვითხრეს, რომ მისი მშობლები შინ იმყოფებოდნენ, მაგრამ ბინის კარი არავინ გაგვიღო. ფაქტია — მათ უცხო ადამიანებთან, მით უმეტეს ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ სურთ. მშობლები ავადმყოფ შვილს ისრაელში არ გაჰყოლიან; როგორც ამბობენ, პაციენტს სპეცრეისით რამდენიმე მაღალჩინოსანი გაჰყვა.

მეზობლის თქმით, თურმე ქართველ ექიმებს ჩატარებული ოპერაცია უცხოელმა კოლეგებმა მოუწონეს და ამიტომ სანოძეს ქირურგიული ჩარევა იქ ისევ არ დასჭირვებია. საქართველოში იმასაც ამბობდნენ, რომ გამოჯანმრთელების შემთხვევაში, ის მეტყველებასა და სიარულს ველარ შეძლებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ესეც გადაჭარბებულია. მეზობელმა ისიც გვაცნობა, რომ ავადმყოფი გონზე მალევე მოვიდა, კონტაქტში შედის და ისრაელიდან მშობლებსაც ესაუბრება; ისინიც დამშვიდდნენ, რადგან შვილის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებაო.



ადვოკატი შალვა შავგულიძე აცხადებს, რომ ხელისუფლებას ამ საქმის გამოძიება თავიდან მოუწევს და ამ შემთხვევაში, გენინსპექციის უფროსიც უნდა დაიკითხოს

ამ ქალბატონმა უკმაყოფილება გამოთქვა მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის გამო: *„ჟურნალისტები რაღაცებს იგონებთ. რით ვერ გაიგეთ, რომ მას სახლში იარაღი გაუვარდა და ეს უბედური შემთხვევა იყო?! ყველაფერს გეტყოდით, რაც დედამისისგან ვიცი, მაგრამ სიმართლეს მაინც არ დაწერთ და რა აზრი აქვს?! ის მაინც დაწერეთ, რომ ძალიან კარგადაა და საშიში არაფერია“*, — გვითხრა მან. ქალბატონს დავპირდი — როგორც წესი, თქვენ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას სიტყვასიტყვით დავბეჭდავთ-მეთქი. შეხვედრა საღამოს საათებში დამითქვა. მითხრა, — ახლა სახლიდან გავდივარ, მეჩქარებაო. დათქმულ დროს ისევ მივედი სანოძეების კორპუსთან, მაგრამ ქალბატონი აღარ დამხვდა. მან არც ტელეფონის ზარს უპასუხა და ბოლოს ტელეფონი გამორთო. როგორც მითხრეს, მეზობელი ქალბატონი დაჭრილის დედასთან მეგობრობს; შესაძლოა, მან აზრი ოჯახს ჰკითხა, უარი მიიღო და ჩემთვის მიცემული პირობა ამიტომ დაარღვია. ■

რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ხელოვნური განაყოფიერების
კლინიკა „ინ ვიტრო“

გთავაზობთ სამედიცინო მომსახურების ფართო არჩევანს: უშვილობის მკურნალობა (როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა), IVF „ინ ვიტრო“ განაყოფიერება, ICSI - ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინიექცია, TESA - ტესტიკულური სპერმის ექსტრაქცია, დონაცია-სუროგაციის პროგრამა, საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია, ემბრიონების კრიოპრეზერვაცია, ბლასტოცისტის კულტივაცია, გინეკოლოგიურ დაავადებათა სკრინინგი და მკურნალობა და სხვა. თქვენს განკარგულებაშია უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კვლევითი ლაბორატორია.

მისამართი: ლუბლიანას 2 / 6
ტელ: 15 77 77, 8 (68)405050
e-mail: info@invitro.ge
ვებ-გვერდი: invitro.ge

# თბილისის ბოტანიკურში გადაღებული „უცხოური“ კლიპი უფლისწულის ქორწინების აღსანიშნავად

**საუკუნის ქორწინება — ასე შერაცხეს პრინცი უილიამისა და ქეით მიდლტონის შეუღლება, რომელიც ლამის რამდენიმე თვის განმავლობაში მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. ბუნებრივია, ამ მოვლენას საქართველოშიც დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს, ხოლო მუსიკოსთა ჯგუფმა საგანგებოდ ახალი სიმღერა და კლიპიც მიუძღვნა.**

**სიმღერას ასრულებს ნიჭიერი, მაგრამ საზოგადოებისთვის ჯერ ნაკლებად ცნობილი ქეთევან გიორგაძე, რომელიც ბავშვობიდან მღერის, მაგრამ გარკვეული ხნით სცენას ჩამოშორებული იყო. ახლა კი გაცდენილი დროის ანაზღაურებას ცდილობს და, როგორც თავად ამბობს, მალე მსმენელს არაერთი სიმღერით გაახარებს. სამეფო წყვილისთვის მიძღვნილ სიმღერასა და რეჟისორ კობა ბრეგვაძის მიერ გადაღებულ კლიპზე, აი, რა გვიამბო:**

*ელენე ბასილიძე*



**ბაია (ქეთევან) გიორგაძე:**

— რამდენიმე ხნის წინ, გლუკის ერთ-ერთი ოპერიდან მუსიკალური თემა ავირჩიე; არანჟირება გავუკეთეთ, დავწერე ტექსტი, რომელიც შემდეგ ინგლისურად ითარგმნა, და სიმღერა ჩავწერე. სხვათა შორის, ბევრი მეწინააღმდეგებოდა: ძალიან რთულია ამ მელოდიისთვის ტექსტის მისადაგებაო, — მეუბნებოდნენ, მაგრამ დიდი შრომის შემდეგ ყველაფერი შევძელით.

**— ვიცი, რომ ეს სიმღერა ინგლისის პრინცის ქორწინებას მიუძღვენით...**

— დიახ. როცა ამ ქორწინების შესახებ საზოგადოებას აცნობეს, გამიჩნდა სურვილი, მათთვის შეუღლება სიმღერით მიმელოცა. ძალიან გვინდოდა, სიმღერისთვის კლიპიც გადაგვეღო და შევძელით კიდეც. კობა ბრეგვაძემ შეუძლებელი შეძლო — სულ რაღაც 1 კვირაში გადავიღეთ კლიპი. მერე სიმღერა ბრიტანეთის საელჩოში მივიტანეთ. დაგვპირდნენ, რომ სიმღერა სამეფო კარამდე მიაღწევდა, ასევე მოგვცეს საიტის მისამართი, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეეძლო, წყვილისთვის ქორწინება მიელოცა და ჩვენც იქ ავტვირთეთ კლიპი.

**— კლიპი თბილისში გადაიღეთ?**

— კი, სხვათა შორის, კლიპში ისეთი კადრებია, მნახველებს საზღვარგარეთ გადაღებული ჰგონიათ. ბევრმა არ იცის, რომ ბოტანიკურ ბაღში არის ძალიან ლამაზი ჩანჩქერი და სწორედ ამ ჩანჩქერთან გადავიღეთ რამდენიმე კადრი...

**კობა ბრეგვაძე,** *კლიპის რეჟისორი, „პირველი სტერეოს“ პროდიუსერი:*

— როცა ბაიას მოვუსმინე, ძალიან მომეწონა როგორც მისი ნამღერი, ასევე მელოდია, რომელიც გლუკის ოპერიდანაა აღებული. კლიპის გადაღება რომ გადავწყვიტეთ, ვეცადე, კლასიკური, ლამაზი ვიდეო მოგვემზადებინა, რომელიც „გაცვეთილ თემაზე“ აგებული არ იქნებოდა. ბაიას უფალმა კარგი ხმა, ნიჭი და დიდი არტისტიზმი უბოძა. მორიდებულია, მაგრამ თუ გაიხსნა, არაჩვეულებრივად შეუძლია „როლში შესვლა“. ძალიან ვჩქარობდით, მაგრამ 2 კვირის განმავლობაში წვიმდა და გადაღებების დასრულება ძლივს შევძელით. ბაიას ოპერის სკოლა აქვს გავლილი და მისთვის საესტრადო სიმღერის შესრულება ძალიან იოლია.

**— როგორც მივხვდი, ექსტრემალურ პირობებში იღებდით კლიპს...**

— მართალია. ერთხელ, სამების ეზოში პატარა ეპიზოდს ვიღებდით. სააღდგომოდ ეზოში მუშები საქმიანობდნენ, მიდამოს ალამაზებდნენ. ბაიას, გადაღების წინ, ვთხოვე, საცდელად რამდენიმე ფრაზა წაემღერა. ცოტა ხანში მუშებს ერთი კაცი გამოეყო, ჩვენთან მოვიდა და გვითხრა, — თუ გნებავთ, სანამ გადაღებას დაასრულებთ, მუშებს გავაჩერებო. ეს ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა იყო: ისინი დღე და ღამე მუშაობდნენ, რომ ყველაფერი მოესწროთ და ჩვენი ხათრით გაჩერებას აპირებდნენ. ხოლო ბოტანიკურ ბაღში, ვინც კი ბაიას სიმღერა გაიგონა, ყველა ჩვენკენ წამოვიდა. გარშემო იმდენი ადამიანი შემოგვეხვია, ბაიამ ლამის კონცერტი გამართა.



კადრი კლიპიდან

**— ბაია, როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი სიმღერა ჩაწერე...**

— კი, სიმღერა ბათუმზეა. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური მუსიკის შემსრულებელი ვარ, ძალები სხვა ჟანრშიც მოვსინჯე. აგრეთვე, ჩაწერილი მაქვს იაკობ ბობოხიძის სიმღერა ისრაელზე, რომელსაც ივრითზე

გაგრძელება იხ. გვ. 16

# „ინ ვიტრო“ — მეთოდი, რომელიც ხშირად ამართლებს

**„რაც უფრო დროულად გადაწყვეტს პაციენტი, ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდს მიმართოს, მით მეტია შანსი, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს“, — ამბობენ ინ ვიტრო განაყოფიერებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კლინიკა „ინ ვიტროს“ ექიმები. სამწუხაროდ, დღეს ბევრი უშვილო წყვილია, ვინც წლების განმავლობაში უშედეგოდ მკურნალობს და მხოლოდ ხანგრძლივი ფიქრის, ნერვების, დროისა და მატერიალური ხარჯის შემდეგ მიმართავენ ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდს, რომელიც წლებია, წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც. რატომღაც ბევრი ფიქრობს, რომ ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდისთვის მზადება რთული და ხანგრძლივი პროცედურაა და ვერც კი წარმოუდგენიათ, სასურველ შედეგს ძალიან მოკლე ხანში მიაღწიოს.**

*ემა ტუხიაშვილი*

**ნანი მარსაგიშვილი,** *ინ ვიტრო განაყოფიერებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კლინიკა „ინ ვიტროს“ ექიმი-რეპროდუქტოლოგი:*

— რამდენიმე წლის წინ, ინ ვიტრო განაყოფიერება აღიქმებოდა, როგორც ბოლო ეტაპი უშვილო წყვილთა მკურნალობაში. თუმცა ეს ასე ნამდვილად არ არის. თუ წყვილს რეგულარული სქესობრივი კავშირი აქვს და ერთი წლის განმავლობაში ორსულობა არ დადგინდა, რეკომენდებულია, მიმართოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის კლინიკას. ერთი ან ორი წლის განმავლობაში უშვილო წყვილის წარუმატებელი მკურნალობის შემდეგ სასურველია, მათ მიმართონ ინ ვიტრო განაყოფიერებას. არის შემთხვევები, როდესაც წყვილი არ საჭიროებს მკურნალობას მედიკამენტებით და გამოსავალი მხოლოდ ინ ვიტრო განაყოფიერებაა. ინ ვიტრო განაყოფიერების წარმატებულ შედეგზე დიდ გავლენას ახდენს წინა მოსამზადებელი ეტაპი, როგორც ქალისთვის, ისე მამაკაცისთვის. გამოკვლევები ტარდება როგორც ჰორმონული დისბალანსის დასადგენად, ასევე ინფექციების გამოსავლენად. არსებობს ინფექციები, რომლებიც ხელს უშლის ორსულობის დადგომას ან ორსულობის განვითარებას. ტარდება სისხლის შემადედებელი სისტემის გამოკვლევა, სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, დგინდება სისხლის ჯგუფი და რეზუსი. ეს სტანდარტული გამოკვლევები გახლავთ, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა, პაციენტს ჩაუტარდეს სტანდარტზედა გამოკვლევები საჭიროებისდა მიხედვით.

— **რა დრო სჭირდება წინასწარ გამოკვლევებს?**

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მოგვმართავს პაციენტი. თუ ქალი მოგვმართავს მენსტრუალური ციკლის დაწყებიდან მეორე-მესამე დღეს, მაშინ სტანდარტულად ვიწყებთ ჰორმონულ გამოკვლევებს და გადავდივართ ინფექციების კვლევაზე, ვაკეთებთ ფოლიკულის მონიტორინგს, რათა კონკრეტული პაციენტის შემთხვევაში შევისწავლოთ საკვერცხის ფუნქცია. გამოკვლევის შედეგად, თუ გამოვლინდა დარღვევა, რომელიც მოცემულ ეტაპზე გამოსწორებას ექვემდებარება და არ დადასტურდა ინ ვიტრო მეთოდის გამოყენებისთვის სხვა ხელის შემშლელი ფაქტორები, შემდეგი რიგითი მენსტრუალური ციკლიდან ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდს მივმართავთ; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს აღმოაჩნდა ინ ვიტრო მეთოდისთვის ხელის შემშლელი სერიოზული ინფექცია ან ჰორმონული დისბალანსი, მაშინ ეს ყველაფერი უნდა გამოსწორდეს. შესაბამისად, ინ ვიტრო მეთოდისთვის მოსამზადებელი პერიოდი ბევრ რამეზეა დამოკიდებული და საჭიროებს სულ მცირე ერთ თვეს, მკურნალობის შემთხვევაში კი შესაძლოა, ორ-სამ თვეს გასტანოს.

— **მამაკაცის შემთხვევაში კვლევა რა მიმართულებით მიმდინარეობს?**

— მამაკაცის შემთხვევაში სპერმოგრამის მიხედვით იგეგმება ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდის შერჩევა. არის შემთხვევები, როდესაც მამაკაცს ესაჭიროება უროლოგის ან ანდროლოგის კონსულტაცია და შესაბამისი მკურნალობის ჩატარება. სპერმოგრამის მაჩვენებლების მიხედვით განისაზღვრება, ინ ვიტრო განაყოფიერების რომელი მეთოდით ჩატარდება კვერცხუჯრედის განაყოფიერება — ჩვეულებრივი თუ „იქსის“ მეთოდით (ერთი სპერმატოზოიდის შეყვანა კვერცხუჯრედში). არის შემთხვევები, როდესაც მამაკაცს აღენიშნება აზოოსპერმია — ეაკულატში სპერმატოზოიდი არ მოიპოვება. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, ჩატარდეს ე.წ. მინიოპერაცია, როდესაც სათესლე ჯირკვლიდან ხდება ქსოვილის აღება, და შემდეგ მისგან სპერმატოზოიდის გამოყოფა. აღნიშნული სამედიცინო პროცედურა ტარდება ქალზე საკვერცხიდან ფოლიკულების პუნქციის პარალელურად. ასეთ შემთხვევაშიც კი წყვილს ეძლევა შესაძლებლობა, გენეტიკური შვილი იყოლიოს.



— **გამოკვლევების შემდეგ რა პროცედურები რჩება წყვილს იმისათვის, რომ ჩაიტაროს ინ ვიტრო განაყოფიერება?**

— 12-14 დღის განმავლობაში პრეპარატებით საკვერცხის სტიმულაციის ფონზე (რაც ნიშნავს რამდენიმე ფოლიკულის მომწიფებას) მიმდინარეობს ფოლიკულების მონიტორინგი, ფიზიოლოგიურად, საკვერცხეში ერთი ფოლიკული მწიფდება, მაგრამ სუპერსტიმულაციის დროს ხელი უნდა შევუწყოთ ათამდე მაინც ფოლიკულის მომწიფებას. რაც უფრო მეტ კვერცხუჯრედს მივიღებთ, შედეგისთვის უკეთესია. ამის შემდეგ ხდება ფოლიკულების პუნქცია (ფოლიკულური სითხის ასპირაცია), მიღებული კვერცხუჯრედის განაყოფიერება სპერმით და მესამე-მეოთხე დღეს ემბრიონის გადატანა საშვილოსნოს ღრუში. საერთო ჯამში, ყველა ამ პროცედურას დაახლოებით 14-16 დღე სჭირდება. ემბრიონის გადატანიდან მე-12, მე-14 დღეს უკვე ხდება ბიოლოგიური ორსულობის დადგენა. ■

დასაწყისი იხ. გვ. 14

ვასრულებ. ბავშვობიდან ვმღერი. ჯერ ტექნიკუმში ვსწავლობდი ვოკალის განხრით, შემდეგ კი კონსერვატორიაში ჩავაბარე. დავდიოდი ჩემს კონცერტმაისტერთან. მე და მამა ერთად ვარჩევდით სიმღერებს და რეპერტუარს ვამდიდრებდი...

**— შეიძლება ითქვას, რომ მამა შენი პროდიუსერის როლსაც ითავსებს, არა?**

— კი, მართალია, ჩემი კარიერის განვითარებაში მამა აქტიურადაა ჩაბმული. ის რომ არა, მარტო ვერ გავუმკლავდებოდი ყველაფერს. მართალია, სიმღერაზე უარი არასოდეს მითქვამს, მაგრამ იყო ბევრი ფაქტორი, რომელმაც ჩემს კარიერას ხელი შეუშალა. ამას წინათ, ბორია შხიანმა მირჩია, რომ ბატონ ალეკო ხომერიკთან და მის მეუღლესთან — ქალბატონ მარინა დარჯანიასთან მივსულიყავი. ამ ადამიანებმა მასწავლეს, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი მომღერალი, მათგან დიდი თანადგომა ვიგრძენი.



კობა ბრეგაძე

**— შენი კლიპები ქართულ მუსიკალურ არხებზე უკვე გამოჩნდა, არა?**

— კი, რამდენჯერმე გავიდა. ამას წინათ, ტელევიზია „მირ ჰიტ ექსპრესიდან“ დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ჩემი კლიპი მოეწონათ და მაისში მაყურებელს ამცნობენ, თუ როგორ მიუძღვნა ქართველმა გოგონამ სიმღერა ინგლისის პრინცსა და მის მეუღლეს.

**— გავიგე, რომ მუსიკალური პაროდიის გაკეთებაც შეგიძლია; ხშირად ჰბაძავ ცნობილ მომღერლებს?**

— კი, არის რამდენიმე მომღერალი, რომლის ხმის იმიტაციაც გამომდის, მაგრამ ეს ჩემი ხმისთვის საზიანოა და ვცდილობ, ყელი არ დავტვირთო.

**— კობა, ბათუმზე დაწერილ ბაიას სიმღერაზე კლიპსაც თქვენ გადაიღებთ?**

— კი, მას ასე სურს. ბათუმზე არაერთი მუსიკალური კლიპი მაქვს გადაღებული, აგრეთვე — დოკუმენტური ფილმი აჭარაზე.

**— როგორც ვიცი, „პირველ სტერეოზე“ ახალ გადაცემას ამზადებთ...**

— დიახ, „ლაგუნა ვერედან“ პირდაპირი ჩართვები გაკეთდება და ბევრ საინტერესო ადამიანს ვიხილავთ — როგორც ცნობილ, ასევე საზოგადოებისთვის უცნობ ადამიანებს. ვუჩვენებთ, თუ როგორ ისვენებენ, რას ფიქრობენ და როგორ ერთობიან თავისუფალ დროს... მოკლედ, ხალხს გართობისას „ჩავავლებთ“ (*იღიმის*). ■

---

დასაწყისი იხ. გვ. 9

— დაე, იყოს რევოლუცია, ძალით ვერავინ მოგვიგებს. როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლებისთვის მაგალითი გახლავთ „ამხანაგი“ კადაფი, რომელმაც ქვეყნის მმართველის სავარძელს ოჯახიც კი შესწირა.

**— ფიქრობთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლაც ვერ გამოიღებს შედეგს? ტინა კეიდანაუმ თბილისში ვიზიტისას მკაფიოდ თქვა, რომ ამერიკული მხარე დაინტერესებულია, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს შეთანხმება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.**

— საერთაშორისო ორგანიზაციების წინადადებებსა და რეკომენდაციებს აზრი ნამდვილად ექნებოდა, ხელისუფლებას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ადეკვატურად შეფასების უნარი რომ ჰქონდეს. მმართველ გუნდს ასეთი უნარი არ გააჩნია, ამიტომ ძალზე იოლად ახერხებს არასასურველი რჩევების იგნორირებას. ხელისუფლებამ ქართული დიპლომატიის გამარჯვებად მონათლა ტალიავინის დასკვნა. გავოგნდი, როდესაც პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თქვა, რომ სახელმწიფომ სტრასბურგის სასამართლოში სამით ერთი მოუგო გირგვლიანის ოჯახს. ეს მხოლოდ უმეცრება კი არა, უზნეობაცაა. მერწმუნეთ, უმეცარი და უზნეო ხალხი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს არავითარ ანგარიშს არ გაუწევს.

**— რით ახსნით იმ ფაქტს, რომ პოლიციამ რუსთავში დაარბია „სახალხო კრების“ მცირერიცხოვანი აქცია, რომელიც რეალურად, ხელისუფლებისთვის ხიფათს არ წარმოადგენდა.**

— ნათქვამია — შიშს დიდი თვალები აქვსო. სააკაშვილმა შესანიშნავად იცის, რისი უნდა ეშინოდეს და რისი — არა. მმართველმა გუნდმა საკუთარ ხალხს ის არა აპატია, რომ აქცია პოლიციის დღესასწაულის მეორე დღეს გამართა. ვფიქრობ, მსგავსი ფაქტების შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციები სერიოზულად დაფიქრდებიან იმაზე — ღირს თუ არა რეკომენდაციების მიცემა იმ ხელისუფლებისთვის, რომელიც ტრაბახობს, რომ პოლიციური ქვეყანა აქვს. ასეთი ტრაბახი არც ერთი ქვეყნის ხელისუფლებისგან არ მსმენია. მთელი მსოფლიო არმიით ამაყობს. ჩვენ კი გვსურს, რომ ჯარი პატიმრის სტატუსის მქონე, მორჩილ ადამიანთა ჯგუფად ვაქციოთ.

**— რას მიიღებს საქართველო შედეგად, თუ საერთაშორისო ორგანიზაციებმა მიიჩნიეს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებასთან ლაპარაკი არ ღირს?**

— ყველაზე სავალალო შედეგი ის იქნება, თუ დასავლეთი ჩვენზე ხელს ჩაიქნევს და წინ აღარ აღუდგება რუსეთის აგრესიულ ზრახვებს საქართველოს წინააღმდეგ. ■



**„ქართული პარტია“ და „სახალხო კრება“ ერთმანეთს ღიად უპირისპირდებიან და ერთმანეთის დისკრედიტაციას ცდილობენ**

# „გამომცემლობა პალიტრა L"-ის ახალი წიგნები




## დინოზავრები

ფორმატი: 25.5X28.5
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი

ეს სამგანზომილებიანი წიგნი, თავისი მოძრავი ილუსტრაციებით დინოზავრებს თქვენს წინაშე ცოცხლად წარმოაჩენს! იმოგზაურე დინოზავრების საოცრებებით აღსავსე ერაში. აქ შეხვდებით უზარმაზარ, მრისხანე მტაცებლებს. გაიგებთ თუ რომელი დინოზავრი ითვლება ყველა დროის უდიდეს მჭამელად და რა თავდაცვითი მექანიზმები გააჩნია ეულოცეფალუსს!

ფასი: 16.99

## თუთიყუშ ქაქოს თავგადასავალი




ფორმატი: 21.61 X 30.52
გვ. რაოდ.: 88
ყდა: ბალიშა

ფასი: 19.99

მისი თავგადასავალი ხალისიანი, მიმზიდველი და მომხიბვლელია. კითხულობ და ქაქოსთან ერთად განიცდი, გიყვარს, გეშინია, ხან გაოცდები, ხანაც გულიანად იცინებ... მოკლედ, ეს არის შემეცნებითი პოემა ყველასათვის, ვისაც იტაცებს მოგზაურობა საინტერესო ამბებისა და ადამიანების სამყაროში. თუ კითხვით დაიღლებით, ჩართეთ თანდართული დისკი. მისი მეშვეობით, ამ საოცარ ისტორიას მსახიობი რამაზ იოსელიანი მოგიყვებათ.




## მიყვარხარ

ფორმატი: 15.5X21.5
გვ. რაოდ.: 312
ყდა: რბილი

ეს ორიგინალური დიზაინით დამშვენებული წიგნი ნამდვილად საუკეთესო საჩუქარია თქვენი საყვარელი ადამიანისათვის! წიგნში შეტანილია სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი სატრფიალო პოეზიის საუკეთესო ნიმუშები - ლექსები სიყვარულზე, რომლებიც უყვარს ყველა თაობის მკითხველს.

ფასი: 19.99



## იყავი ყურადღებიანი

ფორმატი: 26X28
გვ. რაოდ.: 24
ყდა: მაგარი

ფასი: 8.99

ეს წიგნი თქვენს პატარას გულისხმიერებას, თანადგომასა და სიკეთის კეთებას ასწავლის. წიგნის წაკითხვის შემდეგ ისინი თანატოლების მიმართ უფრო ყურადღებიანები, უფრო მზრუნველები გახდებიან.



## თქვი სიმართლე

ფორმატი: 26X28
გვ. რაოდ.: 24
ყდა: მაგარი

ფასი: 8.99

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ბავშვები მიხვდებიან, რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყველაზე უწყინარ ტყუილსაც კი, რატომ არის ტყუილის თქმა ცუდი საქციელი და რატომ უნდა თქვან სიმართლე ყველგან და ყოველთვის.

♫♪ ხმოვანი წიგნი

## მოეფერეთ პატარას




ფორმატი: 22X22
გვ. რაოდ: 10
ყდა: მაგარი

ამ ხმოვან წიგნს პატარები მაშინვე შეიყვარებენ. მხიარული ხმები კი, რომელსაც ჩანართების გადაშლისთანავე გაიგონებთ, ბავშვებს და მათ მშობლებს მეტად გაახალისებს.

ფასი: 15.99

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge



# სახე

## საშაურმიდან ჟურნალის რედაქციამდე გავლილი ეკლიანი გზა

**მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ ახალი ქართული, ორიგინალური ჟურნალი გამოვიდა, ვაფლისა და ხაჭაპურის „ფურცლებით". ამ ამბავს „კომედი-შოუს" ერთ-ერთი „სკეტჩიდან" შეიტყობდით. მართალია, ჟურნალს სახელწოდება ჯერ არა აქვს, მაგრამ მკითხველთა გულები ისე დაიპყრო, რომ თურმე რედაქციის ფანჯრებთან შეკრებილი ადამიანები ჟურნალისტებს „დადებით" შთაბეჭდილებებს შეძახილებითა და მძიმე საგნების სროლით უზიარებენ. აღნიშნული ჟურნალის დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს — ჩიტოვიჩს, იმავე ნიკა არაბიძეს „რედაქციაში" ვესტუმრე და ვთხოვე, იმ ეკლიანი გზის შესახებ მოეყოლა, რომელიც საშაურმიდან ჟურნალის დაფუძნებამდე გაიარა...**

ეთო ყორღანაშვილი

— **როცა ჟურნალის გამოცემა გადაწყვიტეთ, ამ სფეროში რაიმე გამოცდილება გქონდათ? ვინმესთან კონსულტაცია გაიარეთ?**

— ამხელა რედაქტორი კაცი ვარ, „ვინმესთან" კონსულტაციის გასავლელი რა მჭირს?!

— **კი, მაგრამ საშაურმე და რედაქცია ერთმანეთისაგან „სულ ცოტათი" განსხვავებული სფეროებია...**

— ახლობელი მყავს, რომელმაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი კურსი დაამთავრა (მეორიდან გარიცხეს). კონსულტაცია მასთან გავიარე. ასეა თუ ისე, აღნიშნულ პროფესიაზე გარკვეული წარმოდგენა შემექმნა. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ რთულ საქმეს შევეჭიდე, რადგან არაპროფესიონალი თანამშრომლები მყავს.



**თანამშრომლებთან შედარებით, პროფესორი ვარ!**

— **პროფესიონალურ დავალებებს არც თქვენ აძლევთ.**

— თანამშრომლებთან შედარებით, პროფესორი ვარ! შეიძლება, დიდი პროფესიონალი არც მე ვარ, მაგრამ ტონის აწევა და მაგიდაზე ხელის დაბრახუნება შემიძლია!..

— **წარმატებულია თქვენი ბიზნესი? თქვენი ჟურნალის უკვე მეექვსე ნომერი სახელწოდების გარეშე გამოდის...**

— კრეატიული ჯგუფი არ გვყავს, რომელიც სათაურს მოიფიქრებს, მაგრამ საკმაოდ ორიგინალური იდეებითაც მოგვმართავენ, რაც ჟურნალის გაყიდვას ხელს უწყობს: ჟურნალში ვაფლის ფურცლებია ჩაფენილი. მკითხველს თუ მოშივდა, შეუძლია, ვაფლის ფურცელი ამოხიოს და მიირთვას ისე, რომ საინტერესო სტატიის კითხვა არ შეწყვიტოს...

— **შეგიძლიათ, პროფესიული რჩევა ჩვენც მოგვცეთ?**

— ააა, ჟურნალისტი ხართ? ჩემი სიკვდილი!..

— **ჰო, მაგრამ თქვენი ჟურნალი ისეთი ორიგინალურია, ალბათ კონკურენტად ვერც აღგვიქვამთ...**

— კარგი: ზოგადად, ჟურნალებს რეგიონებში გასვლა და იქაური ამბები აკლია. რეგიონებშიც უნდა წერდეთ ინტერვიუებს.

— **მაგალითად, ვისთან?**

— შეგიძლიათ, ჩემთან — თერჯოლაში წამოხვიდეთ. იქ 700-800 ადამიანია, ვისთანაც ინტერვიუს ჩაწერთ; მთელი წლის მარაგი გექნებათ.

— **ის 800 კაცი რითია განსაკუთრებული?**

— ყველაფერზე საკუთარი შეხედულება აქვთ. მგონი, ძალიან დამყოლი რესპონდენტები იქნებიან. არ გეტყვიან, — უიმე, დღეს არ მცალია და ხვალ მოდიო. თან, ინტერვიუ აუცილებლად სუფრასთან გექნებათ.

— **თქვენ როგორ რესპონდენტებთან გქონიათ შეხება? ინტერვიუები როგორ სიტუაციებში ჩაგიწერიათ?**

— სხვათა შორის, ეკლიანი გზა მაქვს გავლილი: საშაურმის ნაცვლად, რედაქცია რომ გავხსენი, რედაქტორიც მე ვიყავი, ჟურნალისტიც და დამლაგებელიც... ინტერვიუ ყველანაირ სიტუაციაში ჩამიწერია: სუფრასთან, ჩხუბისას (როცა მირტყამდნენ), ჰაერში აგდებულს, დავარდნამდე დამისვამს რესპონდენტისთვის შეკითხვები და პასუხებიც მიმიღია... რომელი შემთხვევა გავიხსენო, არც კი ვიცი.

— **აკი თქვით, არაპროფესიონალთა გუნდი მყავსო?! მგონი, თქვენთან „ნაცნობობის ინსტიტუტი" მოქმედებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნიჭიერ ადამიანებს დაასაქმებდით, არა?**


რას ლაპარაკობთ!.. უჩემოდ ბომონდს რა ფასი აქვს?!

— იცით, რა იყო?.. ეს ხალხი თავიდან ჩემს საშაურმეში მუშაობდა. მერე წავიდნენ, მაგრამ სხვაგან მუშაობა რომ ვერ დაიწყეს, ისევ ჩემთან დაბრუნდნენ. ჩემს ყოფილ თანამშრომლებს უარს ხომ არ ვეტყოდი! ჰოდა, დავასაქმე. ნელ-ნელა ყველაფერს ისწავლიან: სწავლა — სიბერემდეო. ალბათ, 10-15 წელიწადში ნორმალურ ჟურნალს გამოვცემთ.

**— უცხო, პერსპექტიულმა ახალგაზრდამ თქვენთან მუშაობის სურვილი რომ გამოთქვას, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს?**

— თუ ჯანზეა, ეგრევე „სპორტულ გვერდში" გავუშვებთ! კომპიუტერი უნდა იცოდეს აუცილებლად (მართალია, კომპიუტერი არ გვაქვს, მაგრამ — მაინც), ასევე — უცხო ენა. თუ გოგონა იქნება, მომხიბვლელი უნდა იყოს.

**— დაკაბადონებას გასწავლიო, რომ დაპირდით, იმ პრეტენზიული რესპონდენტის მსგავსად უნდა იყოს ჩაცმული (სკეტჩში აღშფოთებული რესპონდენტი ხალათით მიდის, შემდეგ იხდის და საცვლების ამარა რჩება)?**

— დიახ. რედაქციაში შილიფად ჩაცმული უნდა დადიოდეს. ამინდიც ხელს გვიწყობს და გათბობაც გვაქვს. გარეთ როგორც უნდა, ისე იაროს, მაგრამ სამსახურში თხლად უნდა ეცვას!

**— თხის რქის ჰოროსკოპს რომ არ ბეჭდავთ და ტყუპისას ორჯერ წერთ, მკითხველი ამას არ აპროტესტებს?**

— სხვათა შორის, საკმაოდ კრიტიკული მკითხველი გვყავს, თუმცა ჩვენ კრიტიკას არ ვუსმენთ.

**— რატომ?**

— ამის პასუხად „ჩემი" გამონათქვამი მახსენდება: ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი!

**— თქვენს რედაქციაში ალბათ მკითხველთა ზარებიც შემოდის...**

— ზარები არ შემოდის, რადგან ტელეფონი არა გვაქვს. მკითხველთა აზრებს (უფრო მეტად — კრიტიკულს) სხვადასხვა ფორმით ვიგებთ: ფანჯრიდან ხან რა შემოვარდება, ხან — რა (ძირითადად, მძიმე საგნები). ვინც მძიმეს ვერ სწევს, შეძახილებით გვამკობს. რედაქციიდან გვიან ღამით გავდივართ და სახლებში მივდივართ. ასე რომ, მკითხველებთან პირადი კონტაქტი არა გვაქვს. მხოლოდ ფანჯრიდან თუ გადავძახებთ რამეს და ისინიც ამოგვძახებენ ხოლმე.

**— რედაქციის გაფართოებას ხომ არ აპირებთ, მაგალითად — სახაჭაპურეს შემოერთების ხარჯზე?**

— ჩემი გუნდის ორიგინალური იდეებით თუ ვიმსჯელებთ, რატომაც არა?! ვაფლის ჩაფენისას ჟურნალი „დასქელდება". ფენოვანი ხაჭაპურიც რომ ჩავაფინოთ, ურიგო არ იქნება.

**— მაგონი, საშაურმის ნოსტალგია გაქვთ...**

— ჰო, მაინც კვების ობიექტიდან „მოვდივარ"... ჩვენს ჟურნალს ერთი მინუსი აქვს: ფენოვანი ხაჭაპური გასაცხელებელი იქნება ხოლმე. ვისაც სახლში „დუხოვკა" აქვს, ჯერ ჟურნალს შეათბობს და კითხვას ისე დაიწყებს... ჩვენს რედაქციას აუცილებლად გავაფართოებთ. ერთი ჟურნალით არ შემოვიფარგლებით. გვინდა, ყოფილი საშაურმე დიდ ჰოლდინგად ვაქციოთ!

**— მაინტერესებს, უსათაურო ჟურნალის მთავარ რედაქტორს ბომონდური საზოგადოების წევრად ვინ მიგაჩნიათ?**

— ყველა, ვინც ეკრანზე ჩანს. ამათ გარდა, ბომონდურ საზოგადოებას მიეკუთვნება მაგალითად, მაღაზიის გამგე...

**— „კომედი-შოუს" მსახიობი — ნიკა არაბიძე ბომონდური საზოგადოების წევრია?**

— რას ლაპარაკობთ!.. უჩემოდ ბომონდს რა ფასი აქვს (*იცინის*)?!

**— ჟურნალის რედაქციაზე „სკეტჩის" დადგმის იდეა როგორ დაგებადათ?**

— ჟურნალისტებთან საკმაოდ ხშირი შეხება გვაქვს. იდეა ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის ერთ-ერთმა დანაყოფმა მოგვაწოდა. ძალიან მოგვეწონა. ასეთი ტიპის „სკეტჩები" ადრეც გვქონია. ტელევიზიის მსგავსად, პრესის თემაზეც ბევრი რაღაცის გაკეთება შეიძლება.

**— ნიკა, ძალიან სახალისო „სკეტჩი" იყო, მაგრამ ისეთი რაღაცებიც გქონდათ „დაჭერილი", რომ დავინტერესდი: პრესაში ინფორმატორი ხომ არ გყავთ?**

— ააარა!.. ჩვენ თვითონ ვწვალობთ, ვჯახირობთ... შეიძლება, ჩვენს „სკეტჩში" სიმართლის რაღაც მარცვალი იყო, მაგრამ საბედნიეროდ, ზოგადად, საქართველოში ასეთი რედაქციები, ჟურნალისტები, რედაქტორები არ არსებობენ... მერე უკეთეს „სკეტჩს" შემოგთავაზებთ, რომელშიც რედაქციის მუშაობა კარგი კუთხით იქნება წარმოჩენილი: პროფესიონალები გავხდებით, ვისწავლით ჟურნალისტობას, რედაქტორობას, ჟურნალს „გზუს" ან რაიმეს სხვას დავარქმევთ...

**— სახელი „გზუ" თითქოს მეცნობა...**

— „გზუ"?!. არ ვიცი... ეს სახელწოდება ჩვენი მოფიქრებულია! მე მსგავსი სახელის მქონე ჟურნალი არ მინახავს (*იცინის*)!.. ■



# შიშველი მამაკაცები და ჩაცმული ქალები ქართულ ეკრანზე

**ბოლო დროს ქართველი მამაკაცები გათამამდნენ და ეკრანზე საკუთარი სხეული სამოსის გარეშე გამოაჩინეს. მათ პარალელურად, ისეთი მსახიობი ქალბატონებიც არსებობენ, რომლებიც ლამის ფეხის ფრჩხილიდან კისრამდე შემოსილები არიან და ეკრანისთვის გახდას არც აპირებენ ან — ჯერ არ აპირებენ...**

ეთო ყორღანაშვილი

*პირველი ქართველი მამაკაცი, რომელიც გადასაღებ მოედანზე გაშიშვლდა, გივი ბერიკაშვილი გახლავთ: ალბათ ყველას გახსოვთ ფილმი „ლონდრე“, რომელშიც მთავარი პერსონაჟი, უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანების დასახმარებლად, შიშველ-ტიტველი იბრძვის. რთულად თუ მოიძებნება ვინმე, ვისაც ამ ფილმში გივი ბერიკაშვილის გაშიშვლება უხამსობად მოეჩვენება. სამაგიეროდ, როგორც კი ქართულ ეკრანზე შიშველი მამაკაცების „ახალი ტალღა“ წამოვიდა, მას კრიტიკის ტალღაც მოჰყვა...*

*სპორტსმენ რამაზ ნოზაძეს საზოგადოების უარყოფითი აზრი არ ადარდებს, — ღიპიანმა შურიანებმა ჩემს ათლეტურ აღნაგობას უყურონ და დაუდგეთ თვალიო, — ამბობს...*


დაჩაგრული ადამიანების დასახმარებლად, შიშველ-ტიტველი იბრძვის

**რამაზ ნოზაძე:**

— მაშინ საკმაოდ ახალგაზრდა სპორტსმენი ვიყავი. დარბაზში გახდილი ვვარჯიშობდი. რეჟისორი შოთიკო კალანდაძე შემოვიდა, დამინახა, ჩემი სხეული მოეწონა და მითხრა, — შეიძლება, ფილმში გადაგიღოთო? ბევრი ცნობილი მსახიობი ჩამომითვალა, რომლებიც ამავე ფილმში მონაწილეობდნენ. ამიტომ დავთანხმდი.

— **თავიდანვე იცოდი, რომ ეკრანზე გახდა მოგიწევდა?**

— ვიცოდი, რომ რომაელის „კაბა“ მეცმებოდა (ჭიდაობისას, საჭიდაო ტრიკოში გამოწყობილს იმაზე მეტი კი არ მიჩანს, ვიდრე — რომაელის „კაბაში“). გადასაღებ მოედანზე ცოტა სხვანაირად მოხდა, მაგრამ ჩემთვის არც ეს იყო პრობლემა... პირველ ფილმში რომაელის „კაბა“ მეცვა, მეორეში — ზეწარი მქონდა შემოხვეული.


ეკრანზე მიყურონ და დაუდგეთ თვალები

— **მართალია, რინგზეც თითქმის შიშველი ხარ, მაგრამ ფილმში გაშიშვლება ალბათ სულ სხვაა...**

— ერთმანეთისგან მაგრად განსხვავდება! გადასაღებ მოედანზე ჩხუბის სცენა ან გახდილი რომ ხარ მიწოლილი, არაფერია; ტექსტის თანხლებით გადაღება კი ძნელია.

— **ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნე, ეს კადრები აღარც კი მახსოვდაო. როცა კამერის წინ გაიხადე, ახალგაზრდა სპორტსმენი იყავი, ეკრანზე ფილმის გამოსვლისას კი — უკვე წარმატებული. ფილმმა დისკომფორტი ხომ არ შეგიქმნა?**

— მართლაც, ძალიან ძველი კადრები იყო... არანაირი დისკომფორტი არ მიგრძნია. არაა გამორიცხული, მტრებმა თქვან, — აუჰ, ნოზაძემ რა ქნაო?! ეკრანზე მიყურონ და დაუდგეთ თვალები! რომ დავბერდები და ამ სცენას ვნახავ, ვიტყვი: ვა, რა მაგარი ტიპი ვყოფილვარ-მეთქი!.. ფილმში მაყურებლისათვის ისეთი არაფერი მიჩვენებია, რაც ჩემს შეჯიბრებაზე მოსულ გულშემატკივრებს არ უნახავთ.

— **ფილმისთვის გახდა ისევ რომ შემოგთავაზონ, ოღონდ — ეროტიკული სცენისთვის, დათანხმდები?**

— ვერ დავთანხმდები.

— **ვიდრე დაოჯახდებოდი, მანამდეც ასე ფიქრობდი?**

— მანამდე გახდაზე დავთანხმდებოდი, მაგრამ ეროტიკულ სცენაში მონაწილეობაზე — არა.

— **უკვე გახდაზეც უარს ამბობ?**

— გახდას გააჩნია: წელს ზემოთ გავიხდი, ქვემოთ — არა: ჩემი ცოლი იეჭვიანებს (*იცინის*).

— **არანაირი ჰონორარის ფასად?**

— ნოზაძე არ იყიდება! შეიძლება, ვინმეს მეგობრულად უფრო ამოვუდგე მხარში, ვიდრე — გარკვეული თანხის სანაცვლოდ გავიხადო.

**როლანდ ოქროპირიძე:**

— წინათ შოთიკო კალანდაძეს არ ვიცნობდი. თავის ფილმში მონაწილეობა რამდენჯერმე შემომთავაზა. თავდაპირველად უარი ვუთხარი: ცოტა უცნაურია, როცა რეჟისორი (რომელთანაც მეგობრობა არ გაკავშირებს) ფილმში გიღებს და ფულს არ გიხდის. უარის მიუხედავად, რამდენჯერმე კიდევ დამირეკა, — მოდი, ჩემი ფილმები ნახე და ისე გადაწყვიტე, ასე უცებ უარს ნუ ამბობო... სხვათა შორის, მისი ფილმები მომეწონა. დავინტერესდი და მომინდა, ამ ადამიანს მხარში ამოვდგომოდი.

— **როგორ ფიქრობ, შენით რატომ დაინტერესდა? ვიცი, რომ რამაზ ნოზაძე ვარჯიშისას თითქმის შიშველი ნახა და მისი ათლეტური აღნაგობა მოეწონა. სადმე შიშველი შენც ხომ არ განახა?**

— არა, შიშველი გადასაღებ მოედანზეც არ ვუნახავვარ. უნდოდა, უფრო მეტი „რალაცები“ გადაეღო, მაგრამ ჩემგან უარი მიიღო. როგორც თვითონ მითხრა, გადაცემა „პროფილში“ მნახა და მოუნდა, რომ თავის ფილმში გადავეღე. სიმართლეა თუ არა, არ ვიცი.

— **ეროტიკულ სცენაში მონაწილეობისას უხერხულობის განცდა თუ გაგიჩნდა და როგორ დაძლიე?**

— შოთიკომ ჯერ სურათები გადამიღო ლიკა ქავჟარაძესთან ერთად (მანამდე ამ ქალბატონს პირადად არც ვიცნობდი). რეჟისორს გადაღებული მასალა მოეწონა. მერე მე და ლიკა ერთმანეთს იქვე შეგვაჩვია.

— **როგორ შეგაჩვიათ?**



ქალს ვკოცნი, რა მოხდა?!

— მითხრა, აკოცეო. დიდად მორიდებული არ ვყოფილვარ — მსახიობობა ჩემი პროფესიაა. რა თქმა უნდა, უხერხული სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ ზედმეტად — არა.

**— ხალხის რეაქციაზე არ დაფიქრებულხარ? შიშველი მამაკაცი ეროტიკულ სცენაში...**

— როგორც კი ფილმის რაღაც ნაწილს გადაიღებდნენ, დამონტაჟებამდე ვნახულობდი. ამაზე თავიდანვე შევთანხმდით: რაიმეს თუ ზედმეტად მივიჩნევდი, უნდა „ამოგვეჭრა“. ფილმის კადრები რომ ვნახე, იქ ქართველი მაყურებლისათვის მიუღებელი ვერაფერი აღმოვაჩინე — ქალს ვკოცნი, რა მოხდა?!

**— თან, შიშველი ხარ...**

— წელს ზევით შიშველი ვარ და თეძო მიჩანს.

**— თითქოს ტრუსიც არ გაცვია. სინამდვილეში, გეცვა?**

— ნამდვილად მეცვა, ოღონდ — სანახევროდ.

**— ჯერ ტრუსი რა არის და ისიც — სანახევროდ ჩაცმული?**

— (*იცინის*) მართალია. თავდაპირველად, თეძოს გაშიშვლება არ მინდოდა, მაგრამ რეჟისორმა ძალიან მთხოვა — ტრუსი ჩანს და ამის გამო, ხელოვნური კადრი გამოდისო. არ მიმაჩნია, რომ იმ კადრებში რაღაც საოცარია, თუმცა შოთიკოს აქვს ფილმები, სადაც გაცილებით მეტი შიშველი ქალი და კაცია და მათ სრულიად „გარკვევით“ უჩანთ ყველაფერი...

**— ფილმის ნახვის შემდეგ შენს საცოლეს როგორი რეაქცია ჰქონდა?**

— ძალიან სასიამოვნო და კარგიაო, არ უთქვამს. ესთეტიკურად ვერ აღიქვამს.

**— შენ აღიქვამ?**

— არც მე მომწონს.

**— ასეთ ფილმში მონაწილეობა შენმა მეუღლემაც რომ გადაწყვიტოს, რას იზამ?**

— არა მგონია, რომ გადაწყვიტოს.

**— მაინც რომ გადაწყვიტოს? შენც არ აპირებდი შოთიკო კალანდაძის ფილმში მონაწილეობას, მაგრამ მაინც გაშიშვლდი.**

— არ მესიამოვნება, წინააღმდეგი ვიქნები.

**— მსგავს სცენაში გადაღებას კიდევ დათანხმდები?**

— ჰონორარს და რეჟისორს გააჩნია. ახლა უფრო მეტი გამოცდილება მაქვს.

**— რა თანხის სანაცვლოდ გაიხდი?**

— გააჩნია, რეჟისორი ვინაა.

**— შოთიკომ რომ შემოგთავაზოს?**

— შოთიკომ შემომთავაზა, მაგრამ კოსტიუმებზე ვერ შევთანხმდით.

**— კოსტიუმებზე? ეი. ჩაცმული იქნებოდი?**

— კი.

**— ფილმში შენს ეროტიკულ სცენასთან დაკავშირებით უარყოფითი აზრი თუ მოგისმენია?**

— კი, მაგალითად — ღირებული ფილმი მაინც იყოსო, — და ა.შ.

*სამაგიეროდ, უარყოფითი აზრი ვანო თარხნიშვილს არ მოუსმენია (ყოველ შემთხვევაში, თავად ასე მითხრა): არც ისე დიდი ხნის წინ, კინოთეატრებში ახალი ქართული ფილმი — „ჭამა და სექსი“ გამოვიდა და ქართულ ეკრანებზე გაშიშვლებულ მამაკაცებს კიდევ ერთი მსახიობი — ვანო თარხნიშვილი შეემატა. ვფიქრობ, მსახიობი „თამამ“ სცენაში მონაწილეობას ისე დათანხმდა, რომ ფსიქოლოგიურად მზად არ იყო, საკუთარი უკანალი მაყურებლისათვის ეჩვენებინა: მართალია, მითხრა, ამ სცენაში მონაწილეობაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავო, მაგრამ ჩვენს თემას სხვა „შიშველი მამაკაცები“ თუ იუმორით შეხვდნენ, ვანო ძალიან გაღიზიანდა და ინტერვიუ „გამაუქმებინა“. უფრო მეტიც — მანამდე ვერ დამშვიდდა, სანამ არ დარწმუნდა, რომ დიქტოფონით ჩაწერილი მისი საუბარი წავშალე...*

*„ჩაცმულ“ ქალებს რაც შეეხება: უპირველეს ყოვლისა, იმ ქალბატონს დავუკავშირდით, რომელიც ბევრისთვის საყვარელ ქართულ ფილმში — „სიყვარული ყველას უნდა“ — მხოლოდ „აექამდე (მაჯამდე) სახელოებითა და აექამდე (კისრამდე) საყელოი გარდა, სხვანაირ კაბაი“ არ იცვამდა... რა თქმა უნდა, ქეთო ყარაულაშვილის როლის შემსრულებელ ქალბატონს, ციალა გურგენიძეს ვგულისხმობ.*



„აექამდე (მაჯამდე) სახელოებითა და აექამდე (კისრამდე) საყელოი გარდა, სხვანაირ კაბაი“ არ იცვამდა...

**ციალა გურგენიძე:**

— როგორც ვიცი, ფილმის — „სიყვარული ყველას უნდა 20 წლის შემდეგ“ გადაღებას აპირებენ, მაგრამ არ ვიცი, ამ ფილმში ქეთო ყარაულაშვილი ხალხს როგორ მოევლინება —





ფსიქოლოგიურად მზად არ იყო, საკუთარი უკანალი მაყურებლისათვის ეჩვენებინა

შიშველი თუ ისევ ჩაცმული. ეს რეჟისორზეა დამოკიდებული. ჯერ ისიც არ ვიცი, ჩემი პერსონაჟი ფილმში ისევ იქნება თუ არა.

**— თამამად ჩაცმული ქეთო ყარაულაშვილის როლის შესრულებას დათანხმდებით?**

— XXI საუკუნეა. ახლა თინეიჯერებმა ისე გაიხადეს, ქეთო ყარაულაშვილი ქართველ ხალხს სანატრელი გაუხდა. ახლანდელი ვაჟები და ქალები ერთ დონეზე არიან.

**— ერთნაირად გახდილები?**

— მე ასე მგონია. ისე, კაცებს უფრო მეტად აცვიათ, ქალებმა საერთოდ გაიხადეს!

**— რეალურ ცხოვრებაში — კი, მაგრამ ქართულ ფილმებში ბოლო დროს მამაკაცებმაც გაიხადეს.**

— თუ საჭიროა, უნდა გაიხადო, მაგრამ ცხოვრება და ეკრანი ერთი და იგივე ხომ არაა? ეკრანზე მსახიობს გახდის უფლება აქვს — რეჟისორს ასე სჭირდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას უნდა მიჰბაძო. მსახიობი მაყურებლებს ეკრანიდან აგიტაციას უწევს... ახლახან ესპანელებმა გადამიღეს ფილმში, სადაც მოხუცი ქალის როლი შევასრულე. 30-გრადუსიან ყინვაში ღამის პერანგი ჩამაცვეს...

**— წეღან კითხვაზე არ მიპასუხეთ: ეროტიკულ სცენაში მონაწილეობას დათანხმდებოდით?**

— 30 წლის განმავლობაში, თეატრში სულ ბოზების როლებს მათამაშებდნენ — რა ნახეს ჩემში ამისთანა, არ ვიცი! თეატრის სცენაზე ვიხდიდი. ჩემ მიერ შესრულებულ როლებს უხამსობაში არ ჩამითვლიდით, მაგრამ ახლანდელ ფილმებს რომ ვუყურებ, ვგრძნობ, მათში უხამსობაა. არ მინდა, ჩემს კოლეგებზე ცუდად ვილაპარაკო, მაგრამ ზოგს უნდა, ეკრანზე თავისი გულმკერდი გამოაჩინოს. თუ ყველაფერს „ამოყრის“, კარგი მსახიობია? არა, გენაცვალე! 70 წელს ისე მივუახლოვდი, რომ ჩემი სხეულით არასოდეს მივაჭრია.

**— თეატრის სცენაზე კი იხდიდით, მაგრამ ფილმისთვის ანალოგიურად მოიქცეოდით?**

— არა!

**— რატომ?**

— ფილმი — „დოკუმენტია“! გიორგი შენგელაიამ ვერ გამხადა!

**— სცადა?**

— აბა, რა! ფილმიდან — „სიყვარული ყველას უნდა“ ის სცენა ალბათ გახსოვთ, ქეთო დასაძინებლად რომ ემზადება და პერანგს იხდის. პერანგის შიგნით ზეწარი მქონდა აფარებული...

*სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან“ ქალბატონი დოდო აღნიშნავს ხოლმე, მამაკაცებს მოსწონთ, როცა ქალებს ტანზე მომდგარი სამოსი აცვიათ. ქორწილში პენელოპა კრუსის კაბის მსგავსი, გულამოჭრილი კაბის ჩაცმასაც აპირებდა. ჩაცმასთან დაკავშირებული მისი თამამი სურვილები სურვილებადვე რჩება ხოლმე. ამასთან დაკავშირებით, დოდო და მისი როლის შემსრულებელი —* ***ქეთევან კანტიძე*** *ერთმანეთს არ ჰგვანან:*

— რეალურ ცხოვრებაში, რასაც მინდა, იმას ვიცვამ.

**— იქნებ გაქვთ სურვილი, ეკრანზეც თამამად ჩაიცვათ?**

— რა, ცუდად მაცვია ეკრანზე?! ვფიქრობ, სამოსი ჩემი პერსონაჟის შესაფერისადაა შერჩეული. ცხოვრებაშიც ისე ვიცვამ, როგორც ჩემს ასაკს შეეფერება.

**— თამამ სცენაში თამამად ჩაცმული (გახდილი) მონაწილეობას რაიმე ჰონორარის ფასად თუ დათანხმდებოდით?**

— ანჯელინა ჯოლის ტან-ფეხი რომ მქონდეს, შეიძლებოდა, თამამად ჩამეცვა. არ ვამბობ, რომ საშინლად გამოვიყურები, მაგრამ არა მგონია, ჩემს ასაკში თამამ სცენაში მონაწილეობა კარგი იყოს.

**— არა მგონია, თქვენსა და ლიკა ქავჟარაძეს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყოს.**

— მაგრამ ის გამხდარია, სხეულის სხვანაირი ფორმები აქვს.

**— პუტკუნა ქალბატონებს ხომ თავისებური ეშხი აქვთ?!**

— არ ვამბობ, რომ ეშხი არა აქვთ, მაგრამ პუტკუნა ქალებმა ეკრანზე რომ გაიხადონ, უხერხულია...

**თინა მახარაძე:**

— სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან“ თამუნას როლის შესრულებას იოლად დავთანხმდი, რადგან ჩემი ანტისექსუალურობა სუპერსექსუალურობისათვის შემზადებაა.

**— შეიძლება, თინა მახარაძე სექსსიმბოლო გახდეს?**

— რა თქმა უნდა, თამამ სცენებში მონაწილეობის გარეშეც. უპირველეს ყოვლისა, ალბათ გარეგნობა მიწყობს ხელს (*იცინის*).

**— იქნებ გაქვს სურვილი, გაიხადო, შენი სილამაზე წარმოაჩინო?**

— ჯერჯერობით, სერიალისათვის ამის სურვილი არა მაქვს. სხვაგან — სურვილიც მაქვს და შემოთავაზებებიც, მაგრამ დრო — არა. მთლიანად სერიალში ვარ ჩაბმული. არ მინდა, თამუნა ჭელიძემ წარმოაჩინოს, როგორი შეუძლია იყოს: ამის დრო არ დამდგარა...

**— სერიალის დასრულების შემდეგ, ეკრანზე გახდას, ეროტიკულ სცენებში მონაწილეობას დათანხმდები?**

— ჩემთვის ეს სირთულეს არ წარმოადგენს. მით უმეტეს, თუ ეს სცენები კარგადაა გადაღებული, ესთეტიკურად კარგად აღსაქმელიც იქნება. თუკი ასეთ როლს შემომთავაზებენ, ყველა დეტალს ყურადღებას მივაქცევ: ვინაა რეჟისორი, მხატვარი... ის დროც დადგება, როცა ასეთ სცენებში მონაწილეობას მივიღებ, მაგრამ ჯერ ძალიან კარგი მსახიობი გავხდები ანუ ასეთ ნაბიჯს მაშინ გადავდგამ, როცა ვიტყვი, — რაღა გავაკეთო, მე ხომ ისედაც მაგარი ვარ-მეთქი?! ჯერ ღირებული არაფერი გამიკეთებია, რომ ვთქვა — ჩემი გახდის დროა-მეთქი.

**— ბოლო დროს ეკრანზე მამაკაცებიც შიშვლდებიან...**

— ამ ფაქტს მივესალმები. აუცილებლად უნდა გაშიშვლდნენ, ოღონდ — ვიდრე გაშიშვლდებიან, კარგი მსახიობები გახდნენ, რომ მერე მათი გაშიშვლება „ადეკვატური“ იყოს. სამწუხაროდ, ქართულ ფილმებში ასე არაა, უცხოურს კი — ძალიან ბევრს დაგისახელებთ... ■


პუტკუნა ქალებმა ეკრანზე რომ გაიხადონ, უხერხულია

# სპექტაკლით გამხელილი გრძნობისა და უკვალოდ გამქრალი შეყვარებულის ამბავი

**მსახიობი შორენა ბეგაშვილი საზოგადოებამ კინოროლებით გაიცნო. სცენაზე მისი პირველი ასვლა კი — რუსთაველის „თეატრალურ სარდაფში“ პროფესიით ჟურნალისტის, გიორგი ჩხაიძის სახელს უკავშირდება. სპექტაკლი — „ჩვენ დავბრუნდებით“ 4 წლის წინ ლევან წულაძის ხელშეწყობით დაიდგა. გიორგის სწორედ ამ წარმოდგენაზე მუშაობის გახსენება ვთხოვე და ორიოდე კითხვა საკუთარ საქმიანობაზეც დავუსვი.**

*თამთა დადეშელი*

**გიორგი ჩხაიძე:**

— სარეჟისორო ფაკულტეტი არ დამიმთავრებია. პროფესიით ჟურნალისტი ვარ და ამჟამად ერთ-ერთ გამოცემაში ვმუშაობ. პარალელურად, მაგისტრატურაში, სისხლის სამართალს ვსწავლობ. რამდენიმე ხნის წინ კი PR-ის განხრით ავიღე მაგისტრის დიპლომი. რაც შეეხება სპექტაკლს: სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა კიდეც, 4 წლის წინ დადგმული წარმოდგენა რომ გაგახსენდათ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ლევან წულაძეს კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა, რადგან მაშინ ძალიან დამეხმარა. პიესა რომ დავწერე, მას მივუტანე. თეატრში განიხილეს და მოეწონათ. ჭოლამ გადაწყვიტა, სპექტაკლი თვითონ დაედგა, მაგრამ მე, როგორც „რქიანმა“ ადამიანმა, რატომღაც მოვინდომე, თავად გამეკეთებინა, რაც დაახლოებით იგივე იყო, ცალხელა ადამიანი ზღვაში საცურაოდ რომ გადახტეს... საკმაოდ კარგი დასი იყო, 13 ცნობილი მსახიობი: მიშა მესხი, მარინა ჯანაშია, ეკა ანდრონიკაშვილი, ნინო ლეჟავა, იაშკა (დათო იაშვილი), შორენა ბეგაშვილი, რომელმაც მაშინ პირველად ითამაშა სცენაზე. სპექტაკლი რამდენად წარმატებული იყო, ვერ გეტყვით, ეს მაყურებლის განსასჯელია; ერთი კია — სეზონის დახურვამდე რეპერტუარში დარჩა.



მინდოდა, ამ როლზე „უცხო“ გარეგნობის ადამიანი ყოფილიყო



**— რის შესახებ იყო ეს პიესა? საერთოდ, რატომ მოგივიდა აზრად ჟურნალისტს, პიესა დაგეწერა და სცენაზე დაგედგა?**

— შეიძლება, ბევრს გაეცინოს, მაგრამ შეყვარებული ვიყავი, თანაც — პირველად. იმ გოგონას ვერაფერი ვუთხარი და გადავწყვიტე, ამგვარად გამემხილა ჩემი გრძნობა. ვცადე, პიესაში მისი ცხოვრება ამესახა, ოღონდ მოქმედება გასული საუკუნის 90-იან წლებში გადავიტანე. უდენობის, უწყლობის პერიოდია, „დაკარგული თაობა“ — სტუდენტი ბიჭები აფხაზეთის ომში მიდიან... მიშა მესხის პერსონაჟი შეყვარებულს ომიდან უკანასკნელ წერილს სწერს, თვითონ კი ცოცხალი ველარ ჩამოდის. სწორედ ამ შეყვარებულის პერსონაჟი ითამაშა შორენამ.


დათო იაშვილი და მიშა მესხი

**— რა ეწერა წერილში? ის, რისი თქმაც შენ იმ გოგონასთვის გინდოდა?..**

— დიახ. სხვათა შორის, ის გათხოვდა და ბედნიერება მინდა ვუსურვო, რადგან მიყვარდა — ხომ არ მძულდა!..

**— სპექტაკლი „ადრესატმა“ თუ ნახა? თუ იცოდა, მას რომ ეძღვნებოდა?**

— ნახა, მაგრამ მიხვდა თუ — არა, ვერ გეტყვი. ფაქტია, იმ სპექტაკლის შემდეგ უკვალოდ გაქრა და აღარ მინახავს. ალბათ არ მოეწონა.

**— როგორი იყო ფინალი?**

— ბიჭები ომში იღუპებიან, გოგონა კი წერილით ხელში რჩება. სპექტაკლს „ჩვენ დავბრუნდებით“ ერქვა. ისე, ახლაც მჯერა, რომ წართმეულ მიწაზე დაბრუნებას აუცილებლად შევძლებთ...

**— შორენა ბეგაშვილი როგორ აღმოაჩინე? რატომ გადაწყვიტე, მისთვის შეგეთავაზებინა ერთ-ერთი მთავარი როლი?**

— როდესაც მსახიობების ძებნა დავიწყე, ეკა ანდრონიკაშვილი მეხმარებოდა და ფოტოსურათებით შევარჩიეთ. შორენას მაშინ არავინ იცნობდა.

**— კასტინგზე მოსულმა შორენამ მეტყველებითა და მსახიობური ნიჭით აღგაფრთოვანა? თუ გარეგნობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი?**

— მინდოდა, ამ როლზე „უცხო“ გარეგნობის ადამიანი ყოფილიყო და საბოლოოდ, შორენა მოგვეწონა. რატომღაც ეშინოდა ჩემი. როდესაც არაპროფესიონალ რეჟისორს 1-2 წიგნი აქვს წაკითხული და ამბიცია აწუხებს, ის დიქტატორობით ცდილობს წესრიგის დამყარებას და თავის გამოჩენას. მოკლედ, გიჟობანას თამაში მიწევდა. მიუხედავად იმისა, რომ რეპეტიციებიდან ერთი მსახიობი გამექცა კიდეც, უკან მაინც არ დავიხიე: ვიცოდი, რომ პრემიერა უნდა შემდგარიყო. თუმცა ამ პრემიერის შემდეგ ისეთი დეპრესია დამემართა, რომ 6 თვის განმავლობაში ჩემს ოთახში ვიყავი ჩაკეტილი, ხმას არავის ვცემდი და წიგნებს ვკითხულობდი. ბოლოს მეგონა, ლაპარაკი მქონდა დავიწყებული...

**— როგორი იყო შორენა მუშაობის პროცესში? როგორ დაახასიათებ?**

— განსაკუთრებული როლი არ ჰქონია, ამიტომ სათამაშოც ბევრი არაფერი იყო. სხვათა შორის, ძალიან მორიდებული გოგო გახლდათ და ახლაც ასეთია; უბრალოდ, რადგან ეკრანზე გაიხადა, „სხვანაირად“ გამოჩნდა, თორემ საკმაოდ თავმდაბალი ადამიანია და თავში არა აქვს ავარდნილი. იმ სპექტაკლში ისეთი როლი არ ჰქონდა, რომ ტანსაცმლის გახდა დასჭირვებოდა, ამიტომ არ ვიცი, სილიკონი აქვს თუ არა ან — რა ჩემი საქმეა?! (*იცინის*). შორენას მომგებიანი გარეგნობა აქვს, რაც წარმატების მიღწევაში ხელს უწყობს, კარგი „ტელეპროდუქტია“. მხოლოდ სცენისთვის ალბათ „ცოდვაც“ იქნებოდა. საერთოდ, მსახიობებს დალხენილი ცხოვრება არა აქვთ, ზოგს დეპრესია ემართება, ზოგი ლოთდება...


**შეიძლება, ბევრს გაეცინოს, მაგრამ შეყვარებული ვიყავი**

**— საბოლოო ჯამში, კმაყოფილი დარჩი შენი ექსპერიმენტით?**

— დიახ, რადგან ჩემთვის თვითმიზანი არ იყო, ცნობილი რეჟისორი გავმხდარიყავი. მართალია, ცოტა გიჟური საქციელი იყო ის, რაც ჩავიდინე, მაგრამ ახალგაზრდა ადამიანს სიყვარულის გამო უსაყვედურო, ეს იგივეა, რომ ავადმყოფს ცუდად ყოფნა აუკრძალო... ამ სპექტაკლით მაშინ ჩემი სათქმელი ვთქვი და რისი გამოხატვაც მინდოდა, დავაფიქსირე. ■


ამ სპექტაკლით მაშინ ჩემი სათქმელი ვთქვი

# ქართველ ხალხსა და ქვეყანაზე განაწყენებული ნუცა კუხიანიძე

## „დღევანდელი საქართველო მე არ მიყვარს!“

**როგორც მსახიობს, ჟურნალისტებთან შეხვედრები და ინტერვიუები დიდად არ სიამოვნებს. ყოველთვის ოპტიმისტი, კინოსტუდია „სანგუკოს“ დამფუძნებელი — ნუცა კუხიანიძე ამჯერად გულდაწყვეტილია. პირადად მე, ასეთი ნუცა არასდროს მინახავს. ერთი თვის წინ, როდესაც ამ სტუდიის ახალი ფილმის პრეზენტაციისთვის მოწყობილ პრესკონფერენციაზე კომენტარი ვთხოვე, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ძალიან მალე ისევ ამ ფილმის გამო აღშფოთებულ ნუცა კუხიანიძესთან მომიწევდა შეხვედრა.**



*ლალი ფაცია*

**— თქვენი კინოსტუდიის ახალი ნამუშევრის (თამარ შავგულიძის ფილმი — „დაბადებულები საქართველოში“) პრემიერა კინოთეატრებში უკვე შედგა. მაყურებელმა როგორ მიიღო?**

— სამწუხაროდ, ფილმზე მაყურებელი არ დადის, რის გამოც შოკში ვართ! ასეთ უინტერესობას ჩვენი საზოგადოების მხრიდან არ ველოდით. მართლა ვერ ვხვდებით, რა ხდება და რატომ ხდება ასე. საქმე ის არაა, რომ ვინმეს ფილმი არ მოსწონს. უბრალოდ, მაყურებელი კინოთეატრამდე არ მოდის, რომ შეაფასოს. საერთოდ, არც აინტერესებს...

**— არადა, როგორც ვიცი, ამ ფილმს კარგი სარეკლამო კამპანია ჰქონდა. თქვენი მხრიდან არაფერი დაგიკლიათ...**

— კი, ასეა. „დაბადებულები საქართველოში“ არაკომერციული ფილმია. როგორც იცით, ჩვენი სტუდიისთვის მნიშვნელოვანია არაკომერციული, საავტორო კინოს გადაღება. ამიტომ ვიცოდით, რომ ამ ფილმზეც გარკვეული კატეგორიის ადამიანები მოვიდოდნენ და არა ე.წ. „მასა“, მაგრამ იმ პიარიდან გამომდინარე, რაც ამ ფილმს გავუკეთეთ, ასეთ შედეგს მაინც არ ველოდით.

**— ე.ი. ფილმი ვერ ამოიღებს იმ თანხას (60.000 ლარი), რაც მასზე დაიხარჯა?**

— კინოთეატრებში არავინ დადის და — როგორ? დარბაზი ჯერ არ გავსებულა. ვინც საქართველოში ღირებულ კინოს აკეთებს (ფულზე ორიენტირებულ „ნაგავს“ არ ვგულისხმობ, რომელიც ჯერ კინოთეატრებში, მერე — „რუსთავი 2“-ზე გავა და მორჩა), მათთვის როგორი სტიმულის დამგდებია, იცით?..

**— შენთვის, როგორც კინოსტუდიის დამფუძნებლისთვის, ხელმძღვანელისთვის, ამავე დროს ფილმში მონაწილე მსახიობისთვის, რას ნიშნავს ეს?**

— იმას, რომ აქ აღარაფერი მესაქმება! როგორც ჩანს, ჩემი ქვეყანა მე და ჩემნაირებს, ვისაც კინოში რაღაცის გაკეთება სურს, არ იღებს. ჩემი და გუკას 5-წლიანი შრომა წყალში ჩაიყარა...

**— რატომ? თქვენი კინოსტუდიის სხვა ნამუშევრებსაც ასეთი სიტუაცია ახლდა?**

— არა, ასეთი სიტუაცია არასდროს ყოფილა...

**— შესაძლოა, ამ ფილმს „ჭამა და სექსმა“ გაუწია კონკურენცია, რადგან მის პარალელურად გადიოდა კინოთეატრებში...**

— არც „ჭამა და სექსზე“ მისულა დიდი რაოდენობით მაყურებელი. ამის ფონზე, მით უფრო ვერ ვხვდები, რა სახის ნამუშევრები იზიდავს ქართველ მაყურებელს. რა თქმა უნდა, მაინც „ჭამა და სექსის“ მსგავსი ფილმები ურჩევნია. თუმცა ამასაც ვერ გავიგებ. რაღაც მგონია, რომ უფრო ცუდი კინო მოსწონთ... ვფიქრობ, რომ ქვეყანამ კულტურული განვითარება შეაჩერა. დიახ, აბსოლუტურად არ მრცხვენია ამის თქმის — გული ძალიან მტკივა. გზების, შენობების, ხიდების მშენებლობა როგორი მოჩვენებითია, იცით? ქართველი ადამიანი შინაგანად აღარ ვითარდება და რაღაც უცხოურის უშნო კოპირებას ახდენს. აზროვნებასა და ფიქრს გადაეჩვია. ამიტომ, დღეს ინდივიდუალობადაკარგული, ემოციაგამოცლილი, უიმედო და აბსოლუტურად დაზომბირებულია საზოგადოება... აქ უყვართ, ერთამანეთს ფრთებს რომ აჭრიან და სიამოვნებას იღებენ. ისე, ასეთი რამ ქართველებს ყოველთვის გვახასიათებდა. ამ ყველაფრით აღშფოთებული ვარ. ქვეყანას კი ეს არ აღელვებს; ადამიანები იმ სივრცეში, რომელშიც ცხოვრობენ, კარგად გრძნობენ თავს... ჩემს მეგობარს ფილმის გადაღებაში დავეხმარე, ის შემოქმედებითად დაიხარჯა, გამოცდილება მიიღო, მსახიობები დაკავდნენ, ნამუშევრისთვის არაფერი დაგვიკლია... ის, რომ ფილმზე მაყურებელი უნდა მოსულიყო, უკვე ჩვენი პრობლემა არ არის. იქ მიუსვლელობით ქვეყანას, საზოგადოებას აკლდება, თორემ მე დავიხურავ ქუდს და წავალ, დიდია მსოფლიო...



ასეთ უინტერესობას ჩვენი საზოგადოების მხრიდან არ ველოდით (კადრი ფილმიდან „დაბადებულები საქართველოში)

**— ცუდია, რომ გული ასე გაქვს გატეხილი... ამერიკაში მყოფს მოგეცა შანსი, მოხვედრილიყავი „ჰოლივუდში“, რაც ნებისმიერი მსახიობის ოცნებაა. ხომ არ მიგაჩნია, რომ ბოლომდე ვერ გამოიყენე შანსი და ხელიდან გაუშვი?**

— საქართველოში იმისთვის დავბრუნდი, რომ ის საქმეები გამეკეთებინა, რასაც 5 წელია, ვემსახურები. მეგონა, ამას რაღაც



ნიკი ჩემთან ხშირად მოდიოდა ხოლმე...

აზრი და შედეგი ექნებოდა... ერთადერთი შედეგი ის არის, რომ გამოცდილება მივიღე...

**— და იქ რომ დარჩენილიყავი, რა იქნებოდა?**

— მოვხვდებოდი ზღაპრულ გარემოში და წარმოდგენა არ მექნებოდა, რა ხდება ჩემს ქვეყანაში, ვინ ვარ და საერთოდ, რანი ვართ ქართველები, როგორია დღეს ჩემი ქვეყანა. ვიცხოვრებდი ფანტასტიკურად, მექნებოდა ყველანაირი პირობა და საშუალება, მაგრამ უფრო რთული გზით წავედი. ახლა კი მზად ვარ, ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავიდე. მგონი, ამისთვის უკვე მომწიფდა სიტუაცია. 3 თვის წინ, ამერიკაში ვიყავი ჩასული და ნიკ ნოლტს სტუმრად ვეწვიე. ბევრი ვილაპარაკეთ. გაიხსენა წარსული და მითხრა, აქ რომ ცხოვრობდი, გამოკეტილი იყავი შენს სახლში, რომელიც ცენტრიდან მოცილებული იყო და საკუთარი სამყარო გქონდაო. ნიკი ჩემთან ხშირად მოდიოდა ხოლმე... მართლაც ასე იყო: ვიყავი ჩემთვის და ვუსმენდი მუსიკას, ვუყურებდი ფილმებს, არც კასტინგებზე დავდიოდი, არც — გასაუბრებებზე...



ის, რომ ფილმზე მაყურებელი უნდა მოსულიყო, უკვე ჩვენი პრობლემა არ არის

**— ისევ აპირებ ამერიკაში წასვლას?**

— ალბათ მალე წავალ...

**— გუკაც ამ აზრზეა?**

— რა თქმა უნდა. როდესაც ხედავ, რომ ველარ ვითარდები, ის ადგილი, სადაც ხარ, უნდა დატოვო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქაურობა არ გიყვარს. მაგრამ დღევანდელი საქართველო მე არ მიყვარს! მე ის საქართველო მიყვარს, რომელიც ჩემშია, რომელიც თავის დროზე მშობლებმა გამაცნეს და შემაყვარეს. რაც ახლა ჩემს ქვეყანაში ხდება, ჩემთან კავშირში არ არის. არ ვიცი, დღეს ეს ვისი ქვეყანაა? ალბათ — ვიღაცის! ჩემი რომ არ არის, ამას ვხედავ!




**— შენთვის ყველანაირი როლის თამაში მისაღებია თუ გაქვს გარკვეული შტამპები?**

— ნებისმიერ როლს ვითამაშებ; მთავარია, გმირი და ამბავი იყოს საინტერესო, მაგრამ ჩვენთან არჩევანის საშუალება არ არის. ამიტომ, მსახიობობა კარგია იქ, სადაც ამ პროფესიას და ზოგადად, კინოს აფასებენ.

**— ნუცა, პირად ცხოვრებაზე საუბარი ჟურნალისტებთან არ გიყვარს. არადა, საზოგადოებას შენი და შენი ოჯახის გარშემო კითხვები ყოველთვის აქვს.**

— ინტერვიუს როცა მისცემ, აზრი უნდა ჰქონდეს. როდესაც შემოქმედებითი პაუზა მაქვს, მაშინ ინტერვიუ ზედმეტია. დავჯდე და ადამიანებს გაზეთებიდან და ჟურნალის ფურცლებიდან ველაპარაკო და ვიქადაგო? „ჩემი აზრით“, „მე ასე ვფიქრობ“ და რაღაც სისულელეები? ასეთი „მარგალიტი“ ისედაც ბევრი გვაქვს...

**— არც ტოქშოუებში მიდიხარ სტუმრად?**

— ცოტა ხნის წინ „ვანოს შოუში“ ვიყავი და ისევ ამ ფილმის გამო. პირველად ვიყავი მის შოუში და ისე ვინერვიულე, რა გითხრათ. კი ვიბრძოლე, — არ წავალ-მეთქი, მაგრამ ბოლოს უარი ვერ ვთქვი, თან, ვანო დადებითი ადამიანია და გავრისკე მისვლა. მერე ინტერნეტით ვიღაცამ მომწერა, — სითამამე გაკლდაო... მოკლედ, ვიმეორებ, იქ ამ ფილმის გამო წავედი, რომ ხალხისთვის კიდევ ერთხელ მეცნობებინა ამის შესახებ. სხვა შემთხვევაში, საკუთარი თავის დასაპიარებლად ხომ არ ვივლი შოუებში?!

**— არც ნანუკას მიუწვევიხარ „ექსკლუზიურ შოუში“?**

— არა, „ექსკლუზიურ შოუში“ პრინციპულად არ მივალ... ისე, ძალიან მაინტერესებს იქ „ექსკლუზიური“ რა არის?!. ■



ჩემი და გუკას 5-წლიანი შრომა წყალში ჩაიყარა...

# ბათუმელი გოგონას წარმატება
## და „შესაძლებლობების ქვეყანაში“ გამგზავრების სამზადისი

**ანა ქასრაშვილი ახალგაზრდა კომპოზიტორი გახლავთ, რომელმაც ბერკლის უნივერსიტეტში (აშშ) სწავლის დაფინანსება მოიპოვა. ბათუმელი ანა ამერიკაში გასამგზავრებლად ემზადება, მანამდე კი ახალ რეპერტუარზე მუშაობს...**



ბათუმში ჩვენი მუსიკალური ჯგუფი გვქონდა

*ეთო ყორღანაშვილი*

— **როგორც ვიცი, ბერკლის უნივერსიტეტში სწავლის 100%-იანი დაფინანსება მოიპოვე. გვიამბე, ეს როგორ მოახერხე?**

— თითქმის 100%-იანი დაფინანსება ანუ წელიწადში 20.000-დოლარიანი სტიპენდია მოვიპოვე, სწავლის საფასური კი 23.000 დოლარს შეადგენს. გამოცდისთვის სტამბოლში გავემგზავრე. საერთოდ, ბერკლიში მისაღები გამოცდები ბევრ ქვეყანაში ტარდება, მათ შორის — აფრიკის ქვეყნებშიც. გამოცდაზე გასასვლელად, სტამბოლი იმიტომ ავირჩიე, რომ ყველაზე ახლოსაა. იქ ბერკლის კოლეჯის წარმომადგენლები იყვნენ, გასაუბრება და გამოცდა ჩაატარეს. სტამბოლში 2 — კლასიკური და საკუთარი ნაწარმოები შევასრულე.

— **გამოცდაში ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობდა?**

— მხოლოდ სტამბოლში 2 დღე დასჭირდათ, რომ ყველა მონაწილისათვის მოესმინათ.

— **დიდი ხანია, რაც მუსიკით ხარ დაინტერესებული?**

— 3-4 წლის ასაკიდან. თავდაპირველად, ანსამბლ „ზღვის შვილებში“ ვმღეროდი; შემდეგ — ბათუმის სამუსიკო სასწავლებელთან არსებულ საკრავიერი ხელოვნების სკოლაში, სადაც სოფო ხალვაში გავიცანი. იმ პერიოდში, მუსიკის წერა დავიწყე. მერე მუსიკალურ სასწავლებელში ჩავაბარე.

— **სოფო ხალვაში „ნუცას სკოლაში“ შენი რჩევით ხომ არ მივიდა? როგორც ვიცი, ამ პროექტში მონაწილეობა მას მეგობარმა ურჩია.**

— კი, ტელეკომპანია „იმედში“ სოფოს დისკი მე მივიტანე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მას დაურეკავდნენ და ეტყოდნენ — მეორე ტურში გადასული ხარო. ასეც მოხდა. სხვათა შორის, „იმედში“ ჩემი დისკიც მივიტანე, მაგრამ კონკურსის დასკვნით ეტაპზე ვერ გავედი.

— **ამის გამო, ალბათ გული დაგწყდა... შეიძლება ითქვას, რომ სიმღერებს უკეთ წერ, ვიდრე — ასრულებ?**

— გული არ დამწყვეტია, რადგან იმ დროს სხვა გეგმები მქონდა — ინგლისში გასამგზავრებლად ვემზადებოდი... განსაკუთრებული ვოკალური მონაცემებით ნამდვილად არ გამოვირჩევი — უბრალოდ, სასიამოვნო ხმის ტემბრი მაქვს, თუმცა მიმაჩნია, რომ ავტორი საკუთარ ნაწარმოებს განსაკუთრებულად ასრულებს.

— **სოფოს მიერ შესრულებული შენი რომელიმე სიმღერის მოსმენისას უკმარისობის გრძნობა თუ გაგჩენია?**

— არა. ეს სოფოს პროფესიონალიზმის შედეგია, ასევე — იმის, რომ ბავშვობიდან ერთად ვიზრდებით: ყველაფერს უთქმელად ხვდება, სიმღერას ისე აღიქვამს, როგორც — მე...

— **როგორი ბავშვობა გქონდათ?**

— მე და სოფო ბავშვობას რომ ვიხსენებთ, იმ ბედნიერ წუთებს თავიდან განვიცდით ხოლმე. ყველაზე მეტად შაბათი გვიყვარდა: დილიდან საღამომდე „მუსიკალურში“ (ეს ექსპერიმენტული სკოლა ედნარ ქიქავამ დააარსა, რომელიც ჩვენი სოლფეჯიოს მასწავლებელი გახლდათ) ვიყავით, სადაც სხვადასხვა გაკვეთილი გვიტარდებოდა, მაგრამ ეს ოფიციალური გაკვეთილები არ იყო — ჩვენი პედაგოგები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ სწავლას ფორმალური სახე არ ჰქონოდა...

— **პოპულარობის მოხვეჭის შემდეგ, სოფო ხომ არ შეიცვალა?**

— სოფო ძალიან თავმდაბალი ადამიანია. ამ თვისებით გამოიცნობა, ნიჭი ადამიანს ღვთისგან აქვს ბოძებული თუ — ეშმაკისაგან (*იღიმის*).

— **ანა, მხოლოდ ფორტეპიანოზე უკრავ?**

— მუსიკალურ სკოლაში ვიოლინოზე დაკვრას ვსწავლობდი. სხვადასხვა კონცერტზე, კონკურსზე გამოვდიოდი, საპრიზო ადგილიც მაქვს დაკავებული.

— **ფორტეპიანოს რაც შეეხება?**

— სკოლა და სასწავლებელი ფორტეპიანოს განხრით დავამთავრე. უძლიერესი პედაგოგი — ირინა ხერჯი მყავდა, რომელმაც პროფესიული კუთხით, ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

— **მუსიკალური განათლების გარდა, სხვა პროფესიაც ხომ არ გაქვს?**

— თსუ-ში რომანისტიკის ფაკულტეტზე (ესპანური ენა) ვსწავლობდი.

— **ესპანური რატომ აირჩიე?**

— ეს უბრალოდ, გატაცება იყო, შეიძლება ითქვას — განტვირთვა. ენების შესწავლისკენ მიდრეკილება მაქვს. რადგან ინგლისური ვიცოდი, გადავწყვიტე, ესპანური მესწავლა, რომელიც მთელ მსოფლიოში გავრცელებული ენაა.

— **შენს სიმღერებს ძირითადად, სოფო ასრულებდა?**

— ვიდრე სოფო „ნუცას სკოლაში“ მივიდოდა, მანამდე ბათუმში ჩვენი მუსიკალური ჯგუფი გვქონდა — ჩემს სიმღერებს ვასრულებდით; მაგრამ ფინანსური მხარდაჭერის უქონლობის გამო, არაფერი გამოგვივიდა (მხოლოდ კახა ცისკარიძის ძმა — ვაჟა გვეხმარებოდა, რომელსაც სტუდია აქვს). მერე სოფო „ნუცას სკოლაში“ მონაწილეობდა, სადაც „თავისუფალ თემაში“ ჩემს სიმღერებს ასრულებდა. სოფოს „საევროვიზიო“ ალბომში ჩემი 6 სიმღერა შედის.

— **ამჟამად, სოფოს გარდა, შენს სიმღერებს სხვები თუ ასრულებენ?**

— ჯერჯერობით, არა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სიმღერებს მხოლოდ მისთვის ვწერ: სოლო კარიერის დაწყება მეც ვცადე, როცა ინგლისში გავემგზავრე. იქ მენეჯერი მყავდა, მაგრამ სამწუხაროდ, კონტრაქტის პირობებზე ვერ შევთანხმდით.

— **ამჟამად რას საქმიანობ?**

— ახლა სწავლისთვის ვემზადები. ბერკლიში ბევრი რამ უნდა ვისწავლო, კომპოზიტორად ჩამოვყალიბდე... მუსიკალურ კარიერას რაც შეეხება, წინასწარ არაფერს ვგეგმავ. ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკა დიდი შესაძლებლობების ქვეყანაა. თუკი რაიმე შანსი მომეცემა, აუცილებლად გამოვიყენებ. სექტემბრამდე ბევრი დროა. ამჟამად ახალ რეპერტუარზე ვმუშაობ. მინდა, გამგზავრებამდე ახალი სიმღერა ან საფორტეპიანო ნაწარმოები დავწერო. ■

# „ასეთი ვარ: ვერ ვისვენებ, ერთფეროვნებას ვერ ვეგუები“

**თვეზე მეტია, რაც ტელეკომპანია „მზის“ ეთერში კვირაობით, საღამოს 8 საათიდან შინაარსით საკმაოდ „დინჯი“, მაგრამ ფორმით დინამიკური შემეცნებითი გადაცემა — „მზის“ კინოკლუბი“ გამოჩნდა და ნელ-ნელა მაყურებელი და გულშემატკივარიც მოიმრავლა. ახალი პროექტი ნაკლებად კომერციულია, მაგრამ ქართული კინოს სიყვარულით შემოქმედებითმა ჯგუფმა — ტელეკომპანია „მზის“ გენერალურმა პროდიუსერმა მაკა ლომიძემ, გადაცემის პროდიუსერებმა — თამთა იაშაღაშვილმა, გიორგი კაკაბაძემ, ჟურნალ „გზის“ ყოფილმა კორესპონდენტმა მაია ღუღუნიშვილმა და წამყვანმა ბექა ელბაქიძემ აშკარად გარისკეს. არადა, რისკი ხშირად ამართლებს და „მზის“ კინოკლუბსაც“ დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ. ალბათ ოდესმე გადაცემასაც დავესწრებით, მანამდე კი „მზის“ კინოკლუბის“ სიმპათიურ და ახალგაზრდა წამყვანს — სასიამოვნო ხმის ტემბრისა და გამართული ქართულით მოსაუბრე 24 წლის ბექა ელბაქიძეს შეგახვედრებთ.**

*ირმა ხარშილაძე*


წამყვანობის საკმაო გამოცდილება მქონდა

— პროექტის იდეა მაკა ლომიძეს გაუჩნდა და მეც დავინტერესდი, რადგან პროექტის არსი ზედმიწევნით ესადაგებოდა ჩემს პროფესიას — ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და მართალია, ტოქშოუ არასდროს წამიყვანია, წამყვანობის საკმაო გამოცდილება მქონდა. კარგად ვიცით, რომ ამ ტიპის პროექტები, განსხვავებით ტელეშოუებისგან, ტელებაზარზე მომგებიანი არ არის, ამიტომ თავდაპირველი ფორმატი ცოტათი შევცვალეთ და კინოკლუბის განხილვის საგნად უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში გადაღებული ქართული მხატვრული ფილმები ავირჩიეთ. ცხადია, ამ ფილმებს მასობრივი მაყურებელი ჰყავს, ისეთიც კი, რომელსაც პროფესიული კრიტიკა არ აინტერესებს, მაგრამ სიამოვნებით მოუსმენს იმ ფილმებში მონაწილე მის საყვარელ მსახიობებს. გადაცემა მართლაც გამორჩეულია, რადგან კინოკრიტიკოსები და ფილმის შემქმნელი კინემატოგრაფისტები პირისპირ საუბრობენ კონკრეტულ ნამუშევარზე, ამ ტიპის საჯარო დებატები კი არასდროს გამართულა. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ქართულ კინოს, რომელიც ნელ-ნელა გამოცოცხლდა, პოპულარიზაცია და ხელშეწყობა სჭირდება. „მზის“ კინოკლუბი“ მაყურებელსაც დაეხმარება და გაუადვილებს არჩევანს: რას უყუროს და რას — არა. გასაგებია, რომ ფილმი, სპექტაკლი არ არის და შეუძლებელია, რეჟისორმა კრიტიკის გათვალისწინებით, ფილმი შეცვალოს; მაგრამ ის კრიტიკა რეჟისორსა და შემოქმედებით ჯგუფს სამომავლოდ უეჭველად წაადგება. სხვათა შორის, საზოგადოება სოციალურ ქსელში ჩვენი ახალი პროექტის ანონსს კეთილგანწყობით შეხვდა, — რა კარგია, რომ პოლიტიკურის გარდა, სხვა თემაზეც, მით უმეტეს — კინოზეცაა შესაძლებელი დებატებიო.

— **გადაცემა მხოლოდ დებატებით არ შემოიფარგლება. ბევრს ჯერ არც უნახავს „მზის“ კინოკლუბი“, ამიტომ აჯობებს, განვუმარტოთ, რა სახისაა და ვინ სტუმრობს.**

— გადაცემა 3 საათზე მეტხანსაც კი გრძელდება. ტელემაყურებელსა და სტუდიის აუდიტორიას, სხვადასხვა პროფესიის სტუმრებს, მათ შორის — თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის „კინოკლუბის“ წევრებს, სხვა სასწავლებლების სტუდენტებს წარვუდგენთ ხოლმე კონკრეტული ფილმის შემოქმედებით ჯგუფს, შემდეგ ვუჩვენებთ ფილმს. კინოჩვენებას მოჰყვება დისკუსია, რომელშიც საკუთარ აზრს, კინოკრიტიკოსების გარდა, გამოთქვამს სტუდიაში მყოფი, საგანგებოდ შერჩეული და არა მხოლოდ ტაშის დამკვრელი მაყურებელი, გადაცემას კი ასრულებს რუბრიკა „კინოსიახლეები“. 30 კინოკრიტიკოსთან ვთანამშრომლობთ, თითოეულ გადაცემაზე სამ მათგანს ვიწვევთ და ვცდილობთ, ყოველ მომდევნოზე შევცვალოთ.

— **„პირში თქმა“ იოლი არ არის. რა გზას ირჩევენ ჩვენი კრიტიკოსები და მათი კრიტიკა**



ერთფეროვნებას ვერ ვეგუები და თუ რაღაც პროექტი ახალს არ მძენს, სხვა საქმეს ვეჭიდები

**თუ არის სამართლიანი, მწვავე და არგუმენტირებული?**

— გადაცემის დაგეგმისთანავე, შერჩეულ ფილმს ვუგზავნით კონკრეტულ კინოკრიტიკოსებს, შემდეგ კი სატელეფონო კონსულტაციას ვიღებ მათგან და ვინიშნავ აქცენტებს — თუ რაზე აპირებენ ყურადღების გამახვილებას გარჩევისას. სატელეფონო საუბრისას ზოგიერთს მკაცრი შეფასებებიც გამოუთქვამს, მაგრამ სტუდიაში რეჟისორისა და შემოქმედებითი ჯგუფის პირისპირ საუბრისას, საქმე საქმეზე რომ მიმდგარა, რევერანსებით გამოუხატავს საკუთარი მოსაზრება. ასეთი „შერბილება“ დიდ უხერხულობას ქმნის. ისედაც, ზურგს უკან „ჭორაობას“ პირში სიმართლის თქმა, პროფესიული შეფასება (და არა — ლანძღვა), არ სჯობია?!

**— თუნდაც კადრს მიღმა, არ საყვედურობთ ხოლმე?**

— კი ვსაყვედურობ, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. ოღონდ საბედნიეროდ, ამას უმრავლესობაზე ვერ ვიტყვი.

**— ბექა, იმდენი გადაცემა კი ჩაწერეთ დღემდე, კინომაყურებლის შეფასებაც რომ შეძლოთ: როგორ იცნობს მაყურებელი ქართულ კინოს და როგორ აფასებს?**

— მაგალითად, სტუდენტები — მომავალი რეჟისორები, მსახიობები, კინომცოდნეები, დრამატურგები კრიტიკულებიც არიან და, ასაკისა და ცოდნის გათვალისწინებით, ნორმალურადაც აფასებენ. ხანდახან აუდიტორიის უმრავლესობისთვის მიუღებელი მოსაზრებაც გამოუთქვამთ, მაგრამ ესეც ასაკისა და გემოვნების გამო ხდება. მთავარია, ჯერჯერობით უვიცობა არავის გამოუმჟღავნებია. სამომავლოდ ვფიქრობთ, დებატებში კულტურის სამინისტრო, ეროვნული კინოცენტრი და დამოუკიდებელი კინოსტუდიებიც ჩავრთოთ და პირისპირ ვისაუბროთ ქართული კინოს ავკარგზე, პრობლემებსა და წარმატებებზე. სექტემბრიდან ახალ რუბრიკებსაც დავამატებთ, კიდევ უფრო საინტერესო რომ გახდეს.



ისე მოულოდნელად ატყდა სტუდიაში აურზაური და ლანძღვა-გინება, ძალიან დავიბენი

**— მითხარი, ტოქშოუ მანამდე არასდროს წამიყვანიაო; არ გაგიძნელდა?**

— პირველმა გადაცემამ, რომლის თემა — რეჟისორ დათო ჯანელიძის „ჯაყოს ხიზნები“ იყო, მშვიდად ჩაიარა. ვგრძნობდი, მეც საკმაოდ მორიდებული ვიყავი წამყვანის ამპლუაში. მეორე გადაცემაზე კი, რომელიც „თბილისურ ლავ-სთორის“ მიეძღვნა, ისე მოულოდნელად ატყდა სტუდიაში აურზაური და ლანძღვა-გინება, ძალიან დავიბენი. ვერ გავერკვიე, ასეთი არაეთიკური, უზრდელური გადაძახილისას რა მექნა. ის გადაცემა მწარედ დამამახსოვრდა. ალბათ ნელ-ნელა დავიხვეწები, რომ თუნდაც ნებისმიერი მოულოდნელობისთვის მზად ვიყო. ჯერჯერობით კი საკუთარი თავით დიდად კმაყოფილი არა ვარ.

**— ბევრ ტელემაყურებელს, მათ შორის მეც განსაკუთრებულად კარგად დაამახსოვრე თავი გადაცემით „ჟურნალისტის დღიური“, სადაც წამყვანიც იყავი და ერთ-ერთი ავტორიც. არადა, პროფესიულად ჟურნალისტიკა არ შეგისწავლია.**

— ჟურნალისტიკის მხოლოდ კურსები გავიარე. თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტზე ვაბარებდი, მაგრამ უფასო განყოფილებაზე ვერ მოვხვდი, ფასიანზე სწავლა კი არ მინდოდა. ამიტომ ჩავაბარე მის „ახლობელ“ — ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე, ოღონდ — კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში და ჟურნალისტიკაც სწორედ იქ შემასწავლა არაჩვეულებრივმა პედაგოგმა — პაატა ნაცვლიშვილმა. სწავლა კი, საბოლოოდ, თეატრალურში დავასრულე, კინომცოდნის სპეციალობით. მსახიობობას საერთოდ ჩამოვშორდი, თუმცა კარგა ხანს „თავისუფალი თეატრის“ ახალგაზრდულ კინოკლუბში ლამის ვცხოვრობდი, მაგრამ, სამწუხაროდ, სცენაზე ვერ მოვხვდი და მხოლოდ ტელევიზიის „სცენას“ დავჯერდი (*იღიმის*). ისე, გამოგიტყდებით, რომ თეატრის მსახიობობა არც მინატრია. კინომსახიობობა მინდა ძალიან. ჩემი კინოდებიუტი კი შედგა რუსუდან ჭყონიას ფილმში — „გაიღიმეთ“ (ეს სამუშაო სათაური გახლავთ), რომელიც სექტემბერში გამოვა ეკრანზე. რაც შეეხება წამყვანობას, ჯერ კიდევ 15 წლისა მივედი რადიო „საქართველოს ხმაში“ და იქაურებს გამოვუცხადე, რომ მათთან მუშაობა მინდოდა. დამსვეს კიდეც მიკროფონთან. რადიოს — ტელეკომპანია „202“ მოჰყვა, მერე — კვლავ რადიოგადაცემები, ისევ ტელევიზია, ამჯერად — ტელეკომპანია „მზე“; მერე „ჟურნალისტის დღიური“, ტელეკომპანია „იმედი“ და... მოკლედ, არ გავჩერებულვარ. ხშირად იხურებოდა ჩემი გადაცემა, მაგრამ ამან, როგორც ჩანს, უფრო მეტის გაკეთების ჟინი გამიჩინა. ასეთიც ვარ: ვერ ვისვენებ, ერთფეროვნებას ვერ ვეგუები და თუ რაღაც პროექტი ახალს არ მძენს, სხვა საქმეს ვეჭიდები, სხვა პროექტს ვიწყებ და აუცილებლად — გაცილებით საინტერესოს. ასე რომ, ვნახოთ, რას მომცემს „მზის“ კინოკლუბი“. ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება. კიდევ ერთ ამბავს გაგიმხელთ: „მზეზე“ ახალი „რეალითი-შოუ“ იწყება — „მზის“ სახლი“, რომლის ერთ-ერთი წამყვანიც ასევე მე ვიქნები. ■

# გურამ შარაძის ქალიშვილს შვეიცარიამ თავშესაფარი მისცა

## „ბედის ირონიაა, მამაჩემის შვილი, ემიგრანტთა რიცხვს რომ შევუერთდი“

**ცოტა ხნის წინ, ცნობილი პროფესორის — გურამ შარაძის ქალიშვილს — რუსუდანს შვეიცარიამ თავშესაფარი მისცა. გასულ კვირას კი რუსუდანის ქმარ-შვილმა — მსახიობმა თემო გოგიძემ პატარა ქალიშვილთან ერთად, საქართველო დატოვა... საზოგადოებისთვის შარაძეების ოჯახის უმძიმესი ტრაგედიის შესახებ კარგად არის ცნობილი, მაგრამ ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა კვლავ პასუხგაუცემელი რჩება. რატომ გახდა იძულებული რუსუდან შარაძე, უცხოეთში ეძებნა თავშესაფარი, ამის შესახებ მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.**



*თეა ხურცილავა*

**რუსუდან შარაძე:**

— 2006 წლის ოქტომბრიდან ჟენევის უნივერსიტეტში ვსწავლობ, მაგრამ მამაჩემის მკვლელობის შემდეგ, სანახევროდ საქართველოში ვიმყოფებოდი. დავაარსეთ „გურამ შარაძის საზოგადოება“, რომელიც ყოველ წელს, 17 ოქტომბერს და 20 მაისს (დაბადების და მკვლელობის დღეებში) აღნიშნავდა. თურმე პრესა მაშინ ჯერ კიდევ არ ყოფილა საბოლოოდ დასამარებული, აქტიურად შუქდებოდა ეს ყველაფერი... ოპოზიციის წარმომადგენლებს ვხვდებოდი და ერთადერთს ვთხოვდი — ხმა ამოეღოთ იმ უსამართლობაზე, რასაც მამაჩემის საჯაროდ დახვრეტა ჰქვია... მაგრამ ახლა მათ სინდისზე იყოს მათი დუმილი. დღემდე არ ვიცი, რა ხდება... ბოლოს, 2010 წლის 17 ოქტომბერს გურამ შარაძის 70 წლის იუბილე აღვნიშნეთ. ამ დღისთვის საგანგებოდ შევქმენით ვებგვერდი (http://guramsharadze.wordpress.com). ვფიქრობ, ამ ეტაპზე, საქართველოში ბრძოლის არც ერთი გზა არ დაგვიტოვებია. ახლა ბრძოლას ჟენევაში განვაგრძობ.

— **არ გაგიჭირდათ თავშესაფრის მიღება?**

— წარვადგინე ჩემს ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება — გურამ, ლაშა და გიორგი შარაძეების საქმესთან დაკავშირებით. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რამდენად დამაჯერებელი იქნებოდა ეს ყველაფერი სრულიად უცხო და ნეიტრალური შვეიცარიელებისთვის. მათ მომისმინეს, შეფასებები არ გაუკეთებიათ და მოკლე დროში, ფოსტით მაცნობეს, რომ საკითხი დადებითად გადაწყდა. მადლობის მეტი რა მეთქმის?! რამდენი პოლიტიკური დევნილიც ეყოლება სააკაშვილის „დემოკრატიულ“ ხელისუფლებას, იმდენი სილის გაწნაა მისთვის.

— **პირადად თქვენზე ხომ არ ხორციელდებოდა რაიმე ზეწოლა?**

— პირდაპირი სახით ზეწოლა არ ყოფილა, მაგრამ ამ წლების განმავლობაში, თბილისში ჩამოსვლის დღიდან, ჩემს მობილურ ტელეფონზე არ წყდებოდა უწმაწური, მუქარის შემცველი ზარები და მესიჯები... ეს იყო მორალური ტერორი, რომელსაც, სამწუხაროდ, შეჩვეული ვარ.

— **დედათქვენი — ქალბატონი სვეტლანა როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას?**

— გადაწყვეტილება ცხელ გულზე არ მიმიღია, ბევრი ვიფიქრე, რადგან ამ ნაბიჯს, საყვარელ ადამიანებთან განშორების ტკივილი ახლავს. წინასწარ გავუზიარე — მეუღლეს, დედას და დედამთილს და ამის შემდეგ გადავდგი ეს ნაბიჯი. ისინი გაგებით მოეკიდნენ ჩემს გადაწყვეტილებას. ყველას ისეთი განცდა გვაქვს, რომ ჩვენი განშორება დროებითია...

— **საქართველოში ჩამოსვლა ხომ არ გეკრძალებათ?**

— არავის არაფერი აუკრძალავს, ნებაყოფლობით ვთქვი უარი საქართველოში ცხოვრებაზე მანამ, სანამ მამაჩემის მკვლელს ერქმევა — საქართველოს პრეზიდენტი! ამასთან, საიდან უნდა ვიყო დარწმუნებული, რომ კაციჭამია სააკაშვილს კვლავ არ მოსწყურდება შარაძეების სისხლი?!

— **თქვენთან ერთად მეუღლე და შვილიც მიდიან. არადა, თემო საქართველოში პოპულარული მსახიობია...**

— თემო ჩემთვის ღმერთის საჩუქარია, მარიკუნაზე აღარაფერს ვამბობ... არ ვიცი, ამ ტრაგედიას მათ გარეშე თუ გადავიტანდი. ვფიქრობ, რომ თემო დაიჩაგრა იმით, რომ ბედი დამიკავშირა. მისმა ერთგულებამ და თანადგომამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მისი პოპულარობა მახარებს, მაგრამ ამასთან, გული მწყდება, რომ თავის საქმეში სათანადოდ ვერ დაიხარჯა. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს დიდ მსახიობობას უწინასწარ-



ამით დასრულდა ჩვენი ოჯახის ბედნიერი ცხოვრება



მეტყველებდნენ. თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას გაუმართლა, როცა გიზო ჟორდანიას ჯგუფში მოხვდა და მისი აღზრდილი და ფავორიტიც გახდა... მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, გურამ შარაძის არათუ შვილებისთვის, არამედ სიძისთვისაც კი ადგილი არსად მოიძებნა: თემო არც ერთმა თეატრმა არ მიიღო. ვის არ მიაკითხა, დაწყებული ლევან წულაძით — დათო დოიაშვილით დამთავრებული; თემო არც ერთი მათგანისთვის უცხო არ ყოფილა.

**— თემოს ოჯახი როგორ შეხვდა თქვენს ამ ნაბიჯს?**

— ჩვენ რაღაცნაირად, ტრაგიკული ადამიანები შევხვდით ერთმანეთს. თემოსაც მამა და ძმა ერთ წელიწადში გარდაეცვალა. დედამისიც თემოს ამარა დარჩა, მაგრამ ძლიერი ქალია, აქეთ გვეხმარება და გვამხნევებს. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი.

**— რუსუდან, თქვენი ოჯახის ტრაგედია ძმის — ლაშას მკვლელობით დაიწყო...**

— ლაშას მკვლელობა უმძიმესი დარტყმა იყო... და ამით დასრულდა ჩვენი ოჯახის ბედნიერი ცხოვრება. წარმოიდგინეთ მამაჩემის მდგომარეობა — ლაშას ხომ მამაჩემისთვის მისამართით „ნასროლი“ ტყვია მოხვდა!.. 1998 წლის 15 ივნისს, მამაჩემის მძღოლმა, ლაშა საკუთარ ლოგინში მოკლული იპოვა. თავში ერთი ტყვია ჰქონდა ნასროლი. ბევრი რამ, მათ შორის ცხედრის მდგომარეობაც ცხადყოფდა, რომ მძინარეს ესროლეს: ტანზე გახდილი იყო, გვერდულად იწვა, ერთი ხელი თავქვეშ ჰქონდა ამოდებული... იარაღი იქვე, ლოგინზე ეგდო. ეს რომ მკვლელობა იყო, ადგილზევე დაადასტურეს ცნობილმა ექსპერტებმა — თამარ დეკანოსიძემ და მაია ნიკოლეიშვილმა. ჯერჯერობით, კონკრეტულად ხელს ვერავის დავადებ. პირველი, რაც მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა — კახა თარგამაძემ მამაჩემს უთხრა (ოჯახის წევრები სახლში არ შეგვიშვეს), — ნასვამ ლაშას გული აერია და დაიხრჩოო. ამის შემდეგ, ცხედარი სადარბაზოს უკანა კარიდან პროზექტურაში ისე გააპარეს, რომ მამას არც უთხრეს. თბილისის პოლიციის შეფმა — სოსო ალავიძემ და თბილისის პროკურორმა — ნუგზარ გაბრიჩიძემ საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს, სადაც განაცხადეს, რომ ლაშამ თავი მოიკლა. გასროლილი ტყვიის გულა კი დაიკარგა... ამ და უამრავი სხვა ფაქტის გათვალისწინებით, ნათელია, რომ ეს წინასწარგანზრახული, პოლიტიკური მკვლელობა მიმართული იყო გურამ შარაძის მორალურად გასანადგურებლად. მიუხედავად მამაჩემის თავდაუზოგავი მცდელობისა, საქმე დღემდე გამოძიებული არ არის.

ლაშა, გიორგი და გურამ შარაძეები



**— როგორ ფიქრობთ — პირადად მას რატომ არ გაუსწორდნენ?**

— 1998-2004 წლებში მამამ ოთხჯერ მოაწყო პრესკონფერენცია, სადაც აცხადებდა, რომ მისი ფიზიკური განადგურება იგეგმებოდა, მაგრამ ამაზე რეაგირება არ მომხდარა. პირველი ასეთი განცხადებიდან ოთხთვე-ნახევრის შემდეგ ლაშა მოკლეს. იმის მერე საქართველოს პრეზიდენტმა — ედუარდ შევარდნაძემ მამას პირადი დაცვა დაუნიშნა. 2003 წლის დეკემბერში კი რევოლუციურმა ხელისუფლებამ დაცვა სასწრაფოდ მოუხსნა, პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლის — ნინო ბურჯანაძის ბრძანებით. ამასთან დაკავშირებით, გურამ შარაძემ ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოში აკრედიტებულ ყველა ქვეყნის ელჩს, სადაც ახალი ხელისუფლების მიერ მის წინააღმდეგ გაჩაღებულ მორალურ და პოლიტიკურ ტერორზე საუბრობდა და ჩვენს სიცოცხლეზე პასუხისმგებლობასაც ამ ხელისუფლებას აკისრებდა. ხელთ მაქვს ეს წერილი.



ჩვენ რაღაცნაირად, ტრაგიკული ადამიანები შევხვდით ერთმანეთს. თემოსაც მამა და ძმა ერთ წელიწადში გარდაეცვალა

**— ბატონი გურამის მკვლელობის საქმე დღემდე ბურუსით არის მოცული; ხომ არ გაქვთ რაიმე ახალი ინფორმაცია?**

— ხმამაღალ ნათქვამში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი დღესავით ნათელია მას შემდეგ, რაც მკვლელობის საქმის მასალებს გავეცანი. შევისწავლე „ალდაგის“ ვიდეოთვალით გადაღებული ფირი, შევხვდი და ვესაუბრე მკვლელობის თვითმხილველებს. ფაქტებზე დაყრდნობით, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ გურამ შარაძე ორმა დაქირავებულმა მკვლელმა მოკლა, ბარათელისგან განსხვავებით — მაღლებმა და „ავაზასავით მოქნილებმა“ (მოწმის სიტყვებია). სხვათა შორის, ერთ-ერთ სასამართლოზე, სადაც ჩვენი ადვოკატების მოთხოვნით, ეს ფირი აჩვენეს, გიორგი ბარათელმა საკუთარი თავი ვერ ამოიცნო. ბარათელს არ მოუკლავს მამაჩემი, ის იძულებით ჩართეს ამ საქმეში. აქვე დავამატებ, რომ 2007 წლის 30 სექტემბერს, როდესაც პირველი სასამართლო პროცესი ჩატარდა, ჟენევიდან საგანგებოდ ჩამოვედი თბილისში, საკუთარი თვალით რომ მენახა გიორგი ბარათელი. როცა დარბაზში შემოიყვანეს, თვალებში შემომხედა და შევატყვე, რომ იმ წუთებში „მიწა გაუსკდა“. მე შევძახე: „გიო, ვიცით, რომ დამნაშავე არ ხარ, ჩვენ შენთან ვართ!“ მან თავი დამიქნია და აღელვებისგან თვალები აუწყლიანდა. ამ ფაქტს უამრავი მოწმე ჰყავს. ეს იყო კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ბარათელი მკვლელი არ არის! სანამ გურამ შარაძის მკვლელები ხელისუფლებაში არიან, რა თქმა უნდა, სიმართლე არ დამტკიცდება.

**— მაგრამ მამის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ თქვენს ოჯახს ახალი ტრაგედია დაატყდა თავს — თქვენი ძმა გიორგი გარდაიცვალა. რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი?**

— ვფიქრობ, ჩვენ შორის, ყველაზე ტრაგიკული ბედის მაინც გიორგი აღმოჩნდა. ის ჩვენში გამორ-

ჩეული იყო... გიორგი ტყვიის გარეშე მოკლეს — მორალურად, ნელ-ნელა. მეამაყება, რომ ვარ გიორგი შარაძის და, რომელიც ქართულ ტელევიზია-ში ნოვატორი გახლდათ. ამასთან, გიორგიმ ციურიხელი ქართველოლო-გი ქალბატონის — ლეა ფლურის ოჯახში 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს, 1921 წლის კონსტიტუციას, შტანდარტისა და გერბის ორიგინალებს მიაკვლია და საქართველოს დაუბრუნა. 2000 წლამ-დე საქართველოს არ ჰქონდა იმ დოკუ-მენტების ორიგინალები, რომლებიც 1991 წელს აღდგენილი სახელ-მწიფოებრიობის იურიდიულ საფუძვ-ელს წარმოადგენს!.. გიორგი შარაძე 2009 წლის 30 ივნისს გარდაიცვალა. ფიზიკურ ტკივილს სულიერი ტკივილიც დაერთო. ვერ გადაიტანა ამხელა უსა-მართლობა. ჯერ ძმა მოუკლეს, რომელიც ვერ დაიცვა, მერე — მამა, რომელიც ასევე ვერ დაიცვა... გიორგი, ფაქტო-ბრივად, მამას დაღუპვას გადაჰყვა. უკა-ნასკნელი 2 წლის განმავლობაში ტახ-ზე არ გაუხდია, ტახტზე, ტელევიზორ-თან იწვა და სრულ მარტოობაში გარ-დაიცვალა. სიკვდილის წინადღეს, მამა კახამ აზიარა. წყალიც ველარ მიიღო, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან...

*რუსუდან შარაძის მეუღლეს, მსახ-იობ თემო გოგიძეს გამგზავრებამდე შევხვდი და რამდენიმე კითხვით მასაც მივმართე.*

**— თემო, წასვლის წინ რა განწყობილება გაქვთ?**

— ბუნებრივია, ვღელავ. იმედი მაქვს, საქართველოდან ცოტა ხნით მოგვიწევს გამგზავრება. მეგობრებმა მითხრეს, — შენი წასვლა თან გვიხ-არია და თან — გვწყინსო. დედას გაუჭირდება ჩვენ გარეშე, მაგრამ ხომ იცით, მშობელი გამუდმებით შვი-ლის კარგად ყოფნაზე ფიქრობს, — მისთვის მთავარია, რომ ჩვენი ოჯახი ერთად იყოს. სიმართლე გითხრათ, ყველაფერი უცებ მოხ-და. არც მე და არც რუსუდანს ამაზე არ გვიფიქრია. არ მიყ-ვარს სიტყვა „ემიგრაცია“... კარ-გად იცით, ჩემი სიმამრი ამ საკ-ითხს როგორ „ეფერებოდა“. არ მეგონა, თუ ჩვენც ემიგრანტის ბედს გავიზიარებდით...

**— ალბათ გიჭირდათ მეუღ-ლის გარეშე ყოფნა, მით უმეტეს — ქალიშვილის აღზრდა.**

— რომ გითხრათ, არ მიჭირ-და-მეთქი, მოგატყუებთ. რუსუდანი იქ სწავლობს, მუშაობს და ბავშვი ჩემთან და ბებიებთან იზრდებო-და. მეგობრები გაკვირვებულები არიან ჩემი საქციელით: არ გვჯე-როდა, თემო ბავშვს ასე თუ გაზრ-დიდაო. ვფიქრობ, განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია. ერთადერთ ქალიშვილს ვზრდი ისე, როგორც შემ-იძლია. კარგი მეგობრები ვართ მე და ჩემი მარიკუნა. ხან ვჩხუბობთ, ხან ერთმანეთს ვეფერებით. დღემდე ბავშ-ვის დაძინების პრობლემა მაქვს. რთუ-ლად გასავლელია დაბანისა და დაძი-ნების პროცედურა.

**— საქართველოში პოპულარუ-ლი მსახიობი ხართ. საყვარელი საქმის მიტოვება რომ გიწევთ, გული არ გწყდებათ?**

— ჩემთვის სიტყვა „პოპულარო-ბა“ სულ სხვა რამეს ნიშნავს: პოპუ-ლარული მსახიობი ზაზა პაპუაშვი-ლია, კაცობის, ზნეობის მაგალითი! საქართველოში დაიბადა, თორემ ჰო-ლივუდს დაიპყრობდა. ვინმემ შეი-ძლება, საკუთარ თავზე თქვას, რომ შოუმენია, როცა ამ ქალაქში „უც-ნობი“ დადის?! ახლოს არც ერთს არ ვიცნობ და ასე თამამად მათზე იმ-იტომ ვსაუბრობ... ხალხის სიყვარულს ნამდვილად ვგრძნობ. ლევან თუთ-ბერიძის ფილმმა — „ქალაღდის ტყვიამ“ გამხადა ცნობილი. დღემდე მესმის, ქუჩაში რომ მივდივარ, ფრა-ზა — „2 ლარი მაჩუქე, რა!“ — რომელსაც ფილმში გამუდმებით ვამ-ბობდი... ვერ გავექცევით ფაქტს, რომ ლევან კოღუაშვილის ფილმი — „ქუ-ჩის დღეები“ მთელმა მსოფლიომ ნახა და ბედნიერი ვარ, რომ ამ ფილმში პატარა წვლილი მეც შევიტანე. ისე, როლებით განებივრებული მაინცდ-ამაინც არ ვყოფილვარ. არადა, რო-ლის თამაში მსახიობისთვის თვითრე-ალიზაციის აუცილებელი პირობაა.

**— გურამ შარაძის სიძეობამ სამსახიობო კარიერაში ხელი ხომ არ შეგიშალათ?**



იმედი მაქვს, საქართველოდან ცოტა ხნით მოგვიწევს გამგზავრება

— არ მინდა ამაზე საუბარი. ამ ოჯახის ტრაგედია საზოგადოებისთვის ცნობილია. დღეს ყველა სფეროში ფარდის უკან ჩასაფრება და მიყუ-რადებაა მოდაში! არც მე და არც რუსუდანს ფარდის უკან დამალვა არ გვჩვევია, ასეთია ჩვენი ცხოვრების წესი. მადლობა ღმერთს, რომ არიან ადამიანები, რომლებისთვისაც ზნეობა უმთავრესია. ჩემი პედაგოგი, გიზო ჟორდანია გვასწავლიდა, — „ჯერ კაცი უნდა იყო და მერე — არტისტი“. სამწუხაროდ, ბოლო დროს ცოტა კაცს ვხედავ და ბევრ — არტისტს.

**— რას ეტყვით მათ, ვინც ემიგრაციაში თქვენს წასვლას გაა-ქილიკებს?**

— მთელი ოჯახი ამოწყვიტეს და სხვა გამოსავალი არ დაგვიტოვეს. რუსუდანი პრესტიჟულ უნივერსიტეტს ამთავრებს, რამდენიმე ენა იცის, მა-გრამ მითხარით, მას რა პერსპექტივა აქვს საქართველოში?.. ლაშა მოკლეს; ამ ამბით გურამი ვერ გატეხეს, ამი-ტომ მერე ისიც დახვრიტეს, რასაც გიორგიც ემსხვერპლა... სამწუხაროა, რომ ასეთი მამის შვილს სხვა ქვეყა-ნა გცნობს დაზარალებულად და შენს სამშობლოში ადგილი არა გაქვს. არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ ვი-ღაც მემუქრება და დამდევს, მაგრამ ფაქტია — რუსუდანის მობილურ ტელეფონზე, როგორც კი საქარ-თველოში ჩამოვიდოდა, მუქარის ზა-რები არ წყდებოდა. გავა დრო და გურამ შარაძეს ქართველი ხალხი ძეგლს დაუდგამს. ის ამ ქვეყანას შეეწირა. საქართველო მას სულსა და გულში ჰქონდა ჩაბეჭდილი. მას სამ-შობლოს სიყვარული არ აპატიეს.

**— თემო, ახლა რა გეგმები გაქვთ?**

— პირველ რიგში, მინდა, ფრანგული კარგად ვისწავლო. ხვალ რა იქნება, არ ვიცი. უფა-ლი ამბობს, — დღევანდელი დღით იცხოვრეო. ისე, სამშობ-ლოში მალე დაბრუნებასაც ველოდები. არ მინდა, პოლი-ტიკური შეფასებები გავაკეთო. მიხარია, ქუჩაში ხალხი სიყ-ვარულით რომ მხვდება, მაგრამ როცა მესალმებიან, როგორც გურამ შარაძის სიძეს, სიყვარუ-ლი მიასმაგდება. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ შვილს თვალებში გამართულად ჩახე-დო!.. ახლა კი ბოდიშს მოგიხდით, აეროპორტში მაგვიანდება, დიდი გზა მაქვს გასავლელი. დიდი მადლობა!

**— ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!**

■

# უპრეცედენტო ოპერაცია თბილისში და ქართველი ექიმების გასაჭირი



**ქართველმა ექიმებმა ცხინვალელი ოსი მოქალაქე სიკვდილს გადაარჩინეს. 58 წლის სერგო ფილიევს კლინიკა „მერამედიში“ თორმეტგოჯა ნაწლავიდან ავთვისებიანი სიმსივნე ამოჰკვეთეს. როგორც ქირურგი — თემურ ბეშკენაძე ამბობს, ოპერაცია უნიკალური იყო, ფილიევის მდგომარეობა 8 წლის განმავლობაში სტაბილური იქნება... ბეშკენაძის თქმით, მსგავსი პათოლოგიები საქართველოში გავრცელებულია, მაგრამ ტექნიკური სიძნელეებიდან გამომდინარე, ექიმები ოპერაციის გაკეთებას ერიდებიან; თუ რის გამო და კიდევ — როგორ მოხდა ცხინვალელი ოსი თბილისურ კლინიკაში — ამის შესახებ თავად ბატონი თემურ მოგვიყვება.**

*ხათუნა ბახტურიძე*

**თემურ ბეშკენაძე:**

— ფილიევი აგვისტოს ომის შემდეგ ცხინვალიდან წამოვიდა. ის დევნილია. მას სიმსივნე ზედ დვრილზე ჰქონდა, რომელიც თორმეტგოჯა ნაწლავზეა განთავსებული. ისრაელში წლის განმავლობაში, დვრილის სიმსივნის 400 ოპერაციას მაინც ატარებენ, საქართველოში კი ეს იშვიათად — სამჯერ ან ოთხჯერ მაინც თუ გაუკეთებიათ, ეგეც საქმეა...

— **პირველად გააკეთეთ ასეთი ოპერაცია?**

— თბილისში — კი, მოსკოვში კი ბევრი ასეთი ოპერაცია მაქვს ჩატარებული. ისე, ფილიევისთვის გაკეთებული ოპერაციის წარმატებით დასრულება მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის, მთელმა საოპერაციო ბრიგადამ (ანესთეზიოლოგით დაწყებული, ექთანით დამთავრებული) იყოჩაღა. გარდა იმისა, რომ ოპერაცია რთული გასაკეთებელია, ძვირიც ჯდება. ამერიკულმა ფარმაცევტულმა კომპანიამ „ჯონსონ-ჯონსონმა“ მექანიკური საკერი აპარატურა (რომელიც მნიშვნელოვნად უადვილებს ქირურგს მუშაობას) გვათხოვა, ოპერაციის ხარჯები კი სახელმწიფომ დაფარა.

— **ჩვენში დვრილის სიმსივნის ოპერაციას იშვიათად იმიტომ აკეთებენ, რომ ძვირი ჯდება, თუ ქართველ ექიმებს შესაბამისი ცოდნა არა აქვთ?**

— ამ ოპერაციის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ დიდი სიზუსტის გამოჩენაა საჭირო; მცირე შეცდომაც რომ დაუშვა, სავალალო შედეგს მიიღებ. ეს კიდევ არაფერი: შესაძლოა, კარგად ჩატარებულ ოპერაციასაც მოჰყვეს გართულება, ამიტომ პაციენტს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. ამისთვის კი საქართველოში შესაბამისი ტექნიკური ბაზა არ არსებობს. იმ აპარატურის ერთი „ნასადკა“, რომელიც „ჯონსონ-ჯონსონმა“ გვათხოვა, 1.500 დოლარი ღირს. რაც შეეხება ქართველ ექიმებს — მერწმუნეთ, მსოფლიოში საუკეთესონი არიან, ებრაელებთან და ინდოელებთან ერთად. ჩვენ რომ შესაბამისი ტექნიკური ბაზა გვქონდეს, საქართველო კავკასიაში მედიცინის ცენტრი გახდებოდა. 20 წელი ვიმუშავე მოსკოვში. ყველა დიდ კლინიკასა და ინსტიტუტში — ქირურგიაში, ნეიროქირურგიასა და რეანიმაციაში წამყვან პოზიციებზე ქართველები იყვნენ. დღეს ამერიკის სამედიცინო დაწესებულებებში ქართველებსა და ინდოელებს ბადალი არ ჰყავთ. აზერბაიჯანში ჯანდაცვის ბიუჯეტი მილიარდ ევროს შეადგენს. საუცხოო კლინიკები და ბოლო მოდელის აპარატურა აქვთ, მაგრამ მუშა ექიმი არ ჰყავთ. თურქები მედიცინის აზრზე არ იყვნენ, მაგრამ ბოლო დროს სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს, იმიტომ, რომ გერმანიასა და ამერიკაში აიმაღლეს კვალიფიკაცია. ქართველებს კი გენეტიკურად აქვთ ნიჭი ამ სფეროში, უბრალოდ ხელშეწყობა სჭირდებათ.

— **თუ ქართველებს ასეთი ნიჭიერი ექიმები გვყავს, ქვეყანაში ამდენი უკმაყოფილო პაციენტი რატომ არის?**

— უკმაყოფილო პაციენტი ყველა ქვეყანაშია. ამერიკაში სამოქალაქო დავების 80%-ს ექიმისა და პაციენტის დავაზე მოდის, მაგრამ ამას ტელევიზიები არ აშუქებენ. საექიმო შეცდომა და კრიმინალი სხვადასხვა რამეა. შეცდომისგან არც ერთი ექიმი არ არის დაზღვეული, ნარკომან ექიმებს არ ვგულისხმობ... საქართველოში მედია მხოლოდ ნეგატიურ ინფორმაციას აშუქებს. ჟურნალისტებმა იმის შესახებ რატომ არაფერი თქვით, აგვისტოს ომის დროს, ღუდუშაურის კლინიკაში ერთი დღის განმავლობაში 12 ოპერაცია რომ გავაკეთეთ და ერთი ავადმყოფიც კი არ დაგვღუპვია? ცნობილ ებრაელ სამხედრო კორესპონდენტს — ზადოკს ოპერაცია პირადად გავუკეთე. თითქმის მკვდარი იყო, ელენთა გახეთქილი ჰქონდა... ზადოკმა სამადლობელი სტატიაც კი დაწერა ქართველ ექიმებზე. არ უარვყოფ, რომ საქართველოში არაკვალიფიციური ექიმებიც არიან, მაგრამ ეს იშვიათობაა; ძირითადი პრობლემა ის არის, რომ სათანადო ტექნიკური ბაზა არ გვაქვს.

— **ისეთ შემთხვევებზე რას იტყვით, როდესაც ექიმებს ოპერაციის დროს პაციენტის სხეულში ესა თუ ის სამედიცინო ხელსაწყო დარჩენიათ? მაგალითისთვის გეტყვით, რომ ერთ-ერთ ჩემს ახლობელს მუცლის ღრუში დოლბანდი დაუტოვეს...**

— კანადაში სპეციალური მუზეუმია, სადაც ექიმების მიერ პაციენტის ორგანიზმში ჩარჩენილი ნივთებია გამოფენილი. რას აღარ ნახავთ იქ?! ყველაზე მეტად, პენსნემ გამაოცა... სხვათა შორის, ერთ-ერთი პაციენტის კუჭიდან ხელსაწყო (მომჭერი) მაქვს ამოღებული, რომელიც იქ ერთი წლის წინ ჩატარებული ოპერაციის დროს მოხვდა. ასეთი ინციდენტები ყოველთვის ხდებოდა და ალბათ მომავალშიც მოხდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები მაღალკვალიფიციური ექიმები არ არიან... ახალგაზრდა ექიმები განსაკუთრებით ნიჭიერები არიან. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი უცხოეთში განათლების მიღების შემდეგ იქვე რჩება. თავის დროზე არც ჩემი გამოშვება უნდოდათ მოსკოვიდან, ქირურგიუ-

ლი განყოფილების ხელმძღვანელად მნიშნავდნენ, მაგრამ ვერ გავჩერდი. ალბათ ასაკის ბრალია (50 წლის ვარ), ჩემი მიწა მიხმობს...

— **ბატონო თემურ, ჩვენ ხშირად იმის მომსწრენიც გავმხდარვართ — ავადმყოფისთვის გადაუდებელი ოპერაცია იმიტომ არ გაუკეთებიათ, რომ მას ფული არ ჰქონდა...**

— რომელ კლინიკებშიც მიმუშავია, იქ ასეთი რამ არ მომხდარა; სხვა კლინიკებზე პასუხს ვერ ვაგებ. დედამიწაზე საოცარი ამბები ხდება, ზოგი დედა შვილს კლავს, მაგრამ ამის გამო ყველა დედა ხომ არ უნდა გავლანძღოთ?! დღეს საქართველოში ექიმების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებაა, ყველგან მათი ლანძღვა-გინება ისმის. ეს დიდხანს თუ გაგრძელდა, ქვეყანაში ექიმობის მსურველი აღარ დარჩება. იცით, რამდენი სტრესის წინაშე ვდგავართ?! აბა, წარმოიდგინეთ — უნდა განვითარდე, როგორც სპეციალისტი, სახლში ფული უნდა მიიტანო, ავადმყოფმა არ უნდა გიჩივლოს... ამდენი დაძაბულობის ფონზე ჩვენც სამკურნალონი ვართ. ყველაფერი კარგად იქნება, თუ ჯანდაცვის სამინისტრო სწორ მენეჯმენტს განახორციელებს. ხელისუფლებამ ამ სფეროში საკმაოდ დიდი ფული ჩადო, ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი სოციალურად დაუცველი ადამიანის ოპერაცია დააფინანსა. ახლა მთავარია, სამედიცინო დაწესებულებები თანამედროვე აპარატურით აღვჭურვოთ და ახალგაზრდებს ცოდნის გაღრმავების საშუალება მივცეთ. მართლა ნიჭიერი ექიმები გვყავს, საოცარი ხელები აქვთ, განსაკუთრებით — ახალგაზრდებს.

— **ბატონო თემურ, სიმსივნის მოხშირების მიზეზი რა შეიძლება იყოს?**

— გეოგრაფიული მდგომარეობა... სიმსივნით დაავადებული ადამიანების რიცხვი განსაკუთრებით დიდია ფოთში, ქუთაისსა და ვანში.

— **გეოგრაფიული მდგომარეობა ადრეც ასეთივე არ იყო?**

— ჩვენს რეგიონში სიტუაცია ჩერნობილის აფეთქების შემდეგ შეიცვალა. რუსებმაც საკმაოდ დიდი რაოდენობით დაგვიტოვეს რადიოაქტიური ნარჩენები სამხედრო ბაზების დაცლის შემდეგ. სხვათა შორის, ჩვენს ჯანმრთელობაზე არასწორი ცხოვრების წესი და უხარისხო საკვებიც მოქმედებს. როგორც ექიმი, გირჩევთ, რაც შეიძლება ხშირად აკონტროლოთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ჯანსაღი საკვები მიიღოთ. ■

*საუკუნის ტოლი*

# ერთი დღე ხარაგაულში

**რედაქციაში მკითხველი — ნანა ხაზალია-კიკნაძე დაგვიკავშირდა და გვაცნობა: ხარაგაულის რაიონის სოფელ საღანძილეში ერთი გულისხმიერი, საოცრად შრომისმოყვარე და კეთილი ადამიანი — ნიკო წიკლაური ცხოვრობს, რომელიც ვფიქრობ, თქვენთვის კარგი რესპონდენტი იქნება; თუ ამ პიროვნებით დაინტერესდებით, მასთან დაკავშირებაში დაგეხმარებითო. რადგან ხარაგაული ჩემი მშობლიური რაიონია, ეს საქმე რედაქციამ მე მომანდო. ქალბატონ ნანას პირადად შევხვდი, საუბრის დროს მითხრა, — ნიკოს დავურეკავ, მანქანით დაგხვდებათ და შეგიძლიათ, ინტერვიუ ჩემი 102 წლის მამიდასთანაც ჩაწეროთ, ის მეზობელ სოფელ ზარანში ცხოვრობს, ასაკის მიუხედავად, მხნედ გამოიყურება და საოცარი მეხსიერება აქვს, მეგზურობას თავად ნიკო გაგიწევთო. აღარ დავაყოვნე და სააღდგომოდ ხარაგაულში გავემგზავრე.**

## 102 წლის მამიდა კიკნაძე და ჩემი მეგზური – ნიკო წიკლაური

*თამუნა კვინიკაძე*

*ნიკო წიკლაური რაიონის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელია. ხარაგაულში მდიდარი ტრადიციების მქონე სახალხო თეატრი ფუნქციონირებს, ნიკო არაერთ სპექტაკლში მონაწილეობს, წერს ლექსებს... მას დათქმულ დროს სამსახურში ვესტუმრე და მერე სოფელ ზარანისკენ, რომელიც რაიონული ცენტრიდან 5 კილომეტრით არის დაშორებული, გზას გავუდექით.*

— **ბატონო ნიკო, ეს მთიული კაცი იმერეთში როგორ მოხვდით?**

— თიანეთის რაიონში დავიბადე, სოფელ გორანაში. 8 წელი იქ ვსწავლობდი, წარჩინებული მოსწავლე ვიყავი. მერე სწავლა თბილისში გავაგრძელე, სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის სარეჟისორო ფაკულტეტზე. იქ ერთი იმერელი გოგო გავიცანი — ლუიზა კიკნაძე, რომელზეც დავქორწინდი და უკვე 33 წელია, ხარაგაულში ვცხოვრობთ.


უკვე 33 წელია, ხარაგაულში ვცხოვრობთ

— **თქვენ შესახებ ქალბატონმა ნანამ ხაზალია-კიკნაძემ ბევრი კარგი რამ მიამბო...**

— სიკეთის კეთება ოჯახს, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ტრადიციულად მოსდგამს. დიდი სამამულო ომის წლებში ბებიაჩემმა, რომელსაც ქმარი ომში ჰყავდა დაკარგული და 4 მცირეწლოვან შვილს დამოუკიდებლად ზრდიდა, უკრაინიდან გამოხიზნული, პარხომენკოების 6-სულიანი ოჯახი შეიფარა. ასევე იქცეოდნენ ჩემი მშობლებიც: შემოდგომაზე მოსავალს რომ ავიღებდით, დედაჩემი სანათესავოს უნაწილებდა. 10 წლის ვიყავი, როცა პირველად ავიღე ხელში ცელი და თიბვა ვისწავლე. მას შემდეგ მშობლებს, როგორც შემეძლო, ისე ვეხმარებოდი და თან, წარჩინებით ვსწავლობდი. უსაქმოდ გაჩერება არც ახლა მიყვარს. ვცდილობ, შეძლებისდაგვარად, ყველას დავეხმარო. 2 თვეა, რაც მანქანა შევიძინე; არ შემიძლია, გზაში მიმავალი ადამიანი მივატოვო, სულერთია, ნაცნობი იქნება თუ — უცნობი. აი, ეს ქალბატონი ჩემი სოფლელია, შინ ბრუნდება; ფეხით 3 კილომეტრი უნდა გაიაროს, გზაში ხომ არ დავტოვებ?!

*მერე ჩემმა რესპონდენტმა მანქანა გააჩერა. შენ გაიხარე, ნიკო! — სახე გაუბრწყინდა ქალბატონს, მანქანაში ჩაჯდა. 200 მეტრიც არ გვქონდა გავლილი, რომ კიდევ 2 მგზავრი დავიმატეთ. ჩვენთან ერთად იმყოფებოდა ნიკოს მეუღლე, ქალბატონი ლუიზა კიკნაძე. ყველანი ერთად საგაზაფხულო საქმეებზე ლაპარაკობდნენ — რომ მიწა დასახნავი აქვთ, მაგრამ გაურკვეველ მდგომარეობაში არიან: პროექტი — „სწრაფი რკინიგზა“ უშუალოდ მათ ეხება, რადგანაც ახალი რკინიგზის ლიანდაგები მათ სოფელზე გადის, ამიტომ, არ იციან, იქიდან ვის გაასახლებენ, ვის — არა; შიშობენ, მიწები რომ დავხნათ,*

*მერე მოსავალი არ დაგვრჩეს ასაღებიო... ამ ლაპარაკში სოფელ საღანძილეშიც შევედით, იქ თანამგზავრები დავტოვეთ და გზა სოფელ ზარანისკენ გავაგრძელეთ, სადაც მამიკა კიკნაძე — ჩემი ყველაზე ხანდაზმული რესპონდენტი გველოდებოდა. ბატონი ნიკო მეუბნება, რომ ქალბატონი მამიკა წლების მანძილზე ბებიაქალად მუშაობდა, საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია; ისეთი მეხსიერება აქვს, გაგაოცებსო...*

**— ვიცი, რომ ამ ოჯახში ხშირად მიდიხართ; ის როგორ იყო, მისთვის წამლის მისატანად აფთიაქში დილის 5 საათზე რომ წახვედით?**

— ეს ამბავიც იცით?!. გავიგე, რომ მოხუცი ცუდად იყო. დილის 5 საათზე ავდექი, ხარაგაულში ფეხით წავედი, აფთიაქის გამგე გავაღვიძე, წამალი ვიყიდე და 7 საათზე უკვე მამიკასთან ვიყავი. იმ წამალმა მდგომარეობიდან გამოიყვანა. უკან დასაბრუნებლად, მოკლე ბილიკი ავირჩიე, რომელიც ტყეზე გადის. შუა გზაში მგლების ხროვა შემხვდა, მაგრამ გადავრჩი.

**— არ შეგეშინდათ?**

— არა (*იცინის*). მშიშარა კაცი დღეში 100-ჯერ კვდება. ჩემი სახლიდან დაახლოებით 3 კილომეტრის დაშორებით ერთი ოჯახი ცხოვრობს, 80 წლის მოხუცები არიან; მათ პურით, პროდუქტით, მედიკამენტებით ვამარაგებ. უხერხულად გრძნობენ თავს, რომ ვწუხდები. ჩემი მადლიერები არიან და მეუბნებიან, — შენი სიკეთე როგორ უნდა გადავიხადოთო?! არაფრის გადახდა არ მინდა, თქვენ იყავით კარგად და მეც თავს მშვიდად ვიგრძნობ-მეთქი. იმ წლებში, როცა არც დენი იყო და არც პური იშოვებოდა, ჩვენი სოფლის ტერიტორიაზე სამგზავრო მატარებლები ხშირად საათობით ჩერდებოდნენ. ბავშვიანი მგზავრები საკვებისთვის გვაკითხავდნენ; როგორც შეგვეძლო, ხელს ვუმართავდით; როცა პურის რიგში ვიდექი და დავინახავდი, ვინმეს პური არ შეხვდა, საკუთარ ულუფას ვუყოფდი. მსიამოვნებს, როცა ვინმეს ვეხმარები და ვახარებ. ჩვენ ხომ წუთისოფელში ვცხოვრობთ და ერთმანეთს უნდა მოვუფეროთ.

**— გეთანხმებით. თქვენ ერთ ლექსში გიწერიათ: „არასოდეს მიზნობა მადლი, თუმც მრავალჯერ დამიმძიმეს სული“.**

— მაშინ ჩემი შვილი სტუდენტი იყო. თბილისში გამოცდის ჩასაბარებლად უნდა წასულიყო, უკან იმ დღესვე ბრუნდებოდა, მაგრამ სამგზავრო ფული რომ მიმეცა, არ მქონდა. სოფელში 10 ლარი ვერ ვიშოვე. ერთ მეზობელთან მივედი; ვიცოდი — ჰქონდა, მაგრამ უარი მითხრა და გამოვბრუნდი. მეორე დღეს იმ მეზობელმა ჩემთან მოხუცი დედა გამოგზავნა, — ხაშურის ბაზრიდან 250 კილო ხორბალი მოვიტანე და ნიკოს სთხოვე, მატარებლის სადგურიდან ხარებით ამატანინოსო. უარი ვერ ვუთხარი.

**— ალბათ ასე ბევრი არ მოიქცეოდა.**

— მეც ხომ მას არ დავემსგავსებოდი!.. ამოვატანინე, მაგრამ სახლში რომ შემიპატიჟა, აღარ შევყევი. ხომ შეიძლებოდა, 10 კილოთი ნაკლები ეყიდა და ჩემთვის ხელი გაემართა?! დიდება უფალს! ჩემ მიერ გაკეთებული მადლი მეც და ჩემს შვილებსაც ყოველთვის წინ გვხვდება. 2005 წლის 1-ელ აპრილს, რკინიგზაზე ფეხით მიმავალს, მოულოდნელად, სამგზავრო მატარებელი დამეჯახა. რა თქმა უნდა, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ვიყავი, არავის ეგონა, თუ გადავრჩებოდი. სანამ რეანიმობილით თბილისში გადამიყვანდნენ, ხარაგაულის საავადმყოფოს ეზო მნახველებს ველარ იტევდა: თურმე ხალხს ვყვარებივარ...

*ამ ლაპარაკში კიკნაძეების სახლსაც მივადექით. ეზოში ქალბატონი ნარგიზი შემოგვეგება — მამიკა კიკნაძის დისშვილი, რომელიც 16 წლია, დეიდასთან ცხოვრობს და უვლის. სახლის გვერდით ვეებერთელა, ლამაზი ცაცხვის ხე დგას; მასპინძელმა მითხრა, რომ ლამის 2 საუკუნის არის. მერე ყველანი ერთად სასტუმრო ოთახში შევედით, სადაც ქალბატონი მამიკა იმყოფებოდა.*

**— მამიკა ბებო, როგორ ხართ?**

— ვარ ისე, როგორც ჩემს ხნოვანებას შეეფერება. ბოლო დროს ისე კარგად ველარ ვარ, როგორც — ადრე. ყურს დამაკლდა და სმენაც დამიქვეითდა. ახალგაზრდობაში კი არ დავდიოდი — დავფრინავდი, დიდი ენერგია მქონდა და რაც თავი მახსოვს, სულ ვშრომობდი.

**— ბავშვობა ამ სახლში გაატარეთ?**

— აქ დავიბადე და გავიზარდე. ეს ჩემი მშობლების სახლია. 4 და-ძმა ვიყავით, დედა ნაადრევად გარდაგვეცვალა, პატარები დავრჩით. მამამ გაგვზარდა. ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა დაქვრივდა, მაგრამ ცოლი აღარ მოუყვანია. სკოლაში გვიან შევედი. ჯერ სოფლის სკოლაში ვსწავლობდი, მერე რაიონში გადავედი, ბოლოს დედაქალაქში წავედი და სამედიცინო ტექნიკუმი დავამთავრე. სწავლის გაგრძელება უმაღლესშიც მინდოდა, მაგრამ იმ წელს ჩვენს ოჯახში დიდი ტრაგედია მოხდა — 29 წლის ძმა დამეღუპა. მამა და ბიძა მას შეჰყურებდნენ. უმაღლესი სასწავლებლის ჯავრი აღარ მქონდა. ამის გამო, მამას ინფარქტი დაემართა. 1934 წელს ხარაგაულში დავბრუნდი და საავადმყოფოში დავიწყე მუშაობა, მაგრამ



ბებიაქალობას
თავი 88
წლის ასაკში
დავანებე

ჩემი პროფესიით — არა. ხარაგაულში სამშობიარო ბლოკი არ იყო და თავიდან ქალებს ბინაზე ვამშობიარებდი. სამშობიარო 1939 წელს გახსნეს და მუშაობა იქ გავაგრძელე.

**— თქვენი პირველი მშობიარე გახსოვთ?**

— როგორ არ მახსოვს?! მეზობლის ქალს ასტკივდა მუცელი და დასახმარებლად მომაკითხეს. ვამშობიარე. გოგონა დაიბადა — ლამარა ტროტაძე. მას ახლა კარგი ოჯახი აქვს. ჩემს სოფელში 10 ქალი მყავს ნამშობიარები.

**— გავიგე, რომ ამ საქმეში ფულსაც არ იღებდით...**

— გაჭირვებული ადამიანისგან ფული როგორ ამეღო?! თუ პატივისცემა უნდოდათ, საჩუქარს მიკეთებდნენ; ამაზეც ვწუხდებოდი. პატარა ბავშვი შენს ხელში რომ დაიწყებს ტირილს, სიცოცხლეს, ამაზე მეტი სიხარული რა უნდა იყოს?! თითოეულ პაციენტს უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი, ბავშვის გულისცემას ვუსმენდი, დახმარება თუ სჭირდებოდა, დროულად ვეხმარებოდი. იმ მომენტში 2 ადამიანის სიცოცხლე მებარა და თავს მოდუნების უფლებას როგორ მივცემდი?! ბებიაქალად 55 წელი ვიმუშავე და ჩემს ხელში არც ერთი მშობიარე არ დაღუპულა. ისე, ბიჭი რომ დაიბადებოდა, მეტად უხაროდათ, ვიდრე გოგოს დაბადება, ამბობდნენ, გვარის გამგრძელებელიაო. ზოგი სუსტი იბადებოდა. რომ ტიროდნენ, ვნერვიულობდი; ხელში ავიყვანდი, გულში ვიხუტებდი და ვატარებდი, სანამ არ დაწყნარდებოდა.

**— საოცარი ადამიანი ხართ! რამდენი წლის იყავით, როცა მუშაობას თავი დაანებეთ?**

— 88 წლის. კიდევ შემეძლო მემუშავა, მაგრამ სამსახურიდან პირდაპირ სასაფლაოზე ხომ არ უნდა წავსულიყავი (*იცინის*)?!

**— სამსახურში ფეხით დადიოდით?**



მამიკა კიკნაძე სამშობიარო სახლის თანამშრომლებთან ერთად
მარცხნიდან (ზის) პირველი

— აბა, რა მექნა? არც ავტობუსი იყო და არც — მანქანა. ყოველდღე ფეხით 10 კილომეტრს გავდიოდი. ხშირად ღამის 3-4 საათზე მაღვიძებდნენ, წვიმასა და დიდ თოვლში მივდიოდი მშობიარე ქალის დასახმარებლად. როცა დრო მქონდა, პროფესიულ ლიტერატურას ვკითხულობდი. ბავშვის აღზრდა დედის მუცლიდან იწყება. როცა ცოლქმარს ერთმანეთთან ცუდი დამოკიდებულება აქვთ, ბავშვი ნერვიული გამოდის. ბებიაქალობა საინტერესო პროფესიაა. უზომოდ მიყვარდა ჩემი საქმე. დასაძინებლად რომ ვწვები, ფიქრებით ისევ სამშობიაროში ვარ, რაღაცებს ვიმეორებ, თითქოს დილას ისევ სამსახურში უნდა წავიდე.

— **საკუთარი ოჯახი არ შეგიქმნიათ?**

— ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ, მამა ავადმყოფობდა. ჩვენთან მამაჩემის ძმა ცხოვრობდა. ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. არ მახსოვს, ერთმანეთისთვის ხმამაღალი სიტყვა ეთქვათ. ერთ დღეს მათ ლაპარაკს მოვკარი ყური: ბიძაჩემი მამას გულისტკივილით ეუბნებოდა, — რომ მოვკვდებით, ამ სახლს „ნამოსახლი“ დაერქმევაო. ეს რომ გავიგონე, შევწუხდი და მამას ვუთხარი, — ნუ გეშინია, რაც ჩემს ძმას უნდა გაეკეთებინა, მე გავაკეთებ, არსად წავალ-მეთქი. შევპირდი და ველარ მოვატყუე. მთხოვნელები მოდიოდნენ, მაგრამ ყველას უარს ვეუბნებოდი. ჩემი დები გათხოვილები იყვნენ. ვერც სასწავლებელში წავედი და ვერც საკუთარი ოჯახი შევქმენი. მყავს დისშვილი, ჩემი ცუნცულია (ასე ვეძახი მოფერებით (*ილიმის*), ისე ნარგიზი ჰქვია), რომელიც მივლის. სხვები ხშირად მაკითხავენ, უყურადღებოდ არავინ მტოვებს. 1910 წლის აღდგომა დღეს ვარ დაბადებული, ზუსტად რა რიცხვში, არ ვიცი...

— **თქვენს ბავშვობაში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს როგორ აღნიშნავდით?**

— ყველანი ვმარხულობდით. დედა აღარ მყავდა, მაგრამ ეკლესიაში ბიცოლას დავყავდი, მოძღვარმა მაზიარა კიდეც.

— **მაშინ ეკლესიაში სიარულს არ გიშლიდნენ?**

— ჩუმად დავდიოდით. ამ სოფელში წმინდა გიორგის სახელობის კარგი ეკლესია გვქონდა, მაგრამ საქართველოს გასაბჭოება რომ მოხდა, კომუნისტებმა დაანგრიეს, ძვირფასი ხატები გაანადგურეს, საფლავები გადათელეს, მღვდლები და დიაკვნები გაპარსეს. ამის გამო გული მტკიოდა. ყველაფერი კარგად მახსოვს... აღდგომას კვერცხს მაინც ვღებავდით, შეძლებისდაგვარად ვემზადებოდით. შენ გაიხარე, რომ მოხვედი! ამ ლაპარაკმა გამომაცოცხლა.

— **მეზობლები თქვენს სანახავად არ შემოდიან?**

— სად არიან მეზობლები? სოფელი ხალხისგან დაიცალა! დამლაპარაკებელი არავინ მყავს...

— **რაიონის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ გაქცევთ? 100 წლის იუბილე არ მოგილოცეს?**

— არა. მე მყავს კარგი ექიმი; როცა თავს შეუძლოდ ვიგრძნობ, ჩემი დისშვილი ურეკავს და მოდის. დიდ ყურადღებას მაქცევს ნიკო. ჩემი მოხუცებულობის დროს, ღმერთად გამიჩნდა — წამალი მინდა თუ სურსათი შემოგველევა, ნიკო გვეხმარება. კეთილი ადამიანია. ჯანმრთელად იყოს და თავის ოჯახთან ერთად დიდხანს იცოცხლოს!.. ძველი მთავრობისგან 5 ჯილდო და ერთი ქების სიგელი მაქვს მიღებული. ომი რომ დაიწყო, ექიმები სამუშაოდ ჰოსპიტალში წაიყვანეს, სამშობიაროში მე დავრჩი. 1947-ში მომცეს მედალი — „ზურგში საუკეთესო და დაუღალავი მუშაობისთვის“.

— **ყველაზე ბედნიერი როდის იყავით?**

— როცა ჩემი დისშვილები დაიბადნენ. დედასავით ვზრდიდი მათ და თავს ბედნიერად ვგრძნობდი. ჩემმა დამ ქმართან მხოლოდ 12 წელი იცხოვრა, მერე ის ომში წაიყვანეს და აღარ დაბრუნებულა. გვერდით ამოვუდექი და ობლები დავაზრდევინე. არ მინდოდა, რამე მოჰკლებოდათ, ყველაფერი მათთვის მინდოდა.

— **გული რაზე გწყდებათ?**

— ჩემს რაიონში ვინც მიცნობდა, ყველა სიყვარულით მკითხულობს. გული არაფერზე მწყდება.

— **თქვენი ჯანმრთელობის საიდუმლო რაში მდგომარეობს?**

— აბა, რა გითხრათ?! ცხოვრება შრომაში გავლიე. დილის 6 საათზე ვდგებოდი, საოჯახო საქმეებს ვაკეთებდი და სამსახურში გავრბოდი. შინ დაბრუნებულს ისევ უამრავი საქმე მხვდებოდა. ზოგჯერ დღე-ღამეში 4 საათზე მეტი არც მეძინა. ენერგიას არ ვიშურებდი. ადამიანმა შენი მოქმედებით უნდა შეგიყვაროს, უნდა ეცადო, ყველასთან კარგი ურთიერთობა გქონდეს. თუ ვინმეს დასჭირდები, უნდა დაეხმარო; მატერიალურად თუ ვერ შეძლებ, რჩევით მაინც უნდა ამოუდგე მხარში.

— **რას გვისურვებთ ჩვენ და ჩვენს მკითხველებს?**

— ახალგაზრდებს ვეტყვი, რომ კარგად ისწავლონ, ასევე — რწმენით იცხოვრონ. ყველას ჯანმრთელობას, სიხარულს, დიდხანს სიცოცხლესა და ბედნიერ მომავალს გისურვებთ! მშვიდობა ყოფილიყოს ჩვენს ქვეყანაში!

*მამიკა ბებოს როცა ფოტოების გადაღების უფლება ვთხოვე, სამზარეულოში მოფუსფუსე დისშვილს დაუძახა: ხომ კარგად გამოვიყურები? თმა შემისწორეო! — მერე სთხოვა, სტუმრები უპატივცემულოდ არ გაუშვა, სუფრა გაუშალეო. ქალბატონი ნარგიზის სახით, იმ დღეს კიდევ ერთი გმირი გავიცანი: „დეიდას ჩვენზე დიდი ამაგი აქვს, ამიტომ ყველაფერი დავტოვე თბილისში და აქ წამოვედი. 34 წლის მანძილზე გეოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად ვმუშაობდი. სამწუხაროდ, საკუთარი ოჯახი არც მე მაქვს. 16 წელია, სოფელში ვცხოვრობ და დეიდას ვუვლი“, — მითხრა და სუფრასთან მიმიპატიჟა. იმ სითბომ, უშუალობამ, სიკეთემ, გულისხმიერებამ, რომელიც ამ ადამიანებისგან მოდიოდა, და მთის ფერდობზე შეყუჟულმა პატარა სოფელმა, ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. მოსაღამოვდა...*

*ჩემს მასპინძლებს გამოვემშვიდობე, მაგრამ ფიქრით მათთან დავრჩი. ამ პატარა, მართლაც ხალხისგან დაცლილი სოფლიდან გაცილებით მეტი რამ „წამოვიღე“, ვიდრე საჟურნალო სტატიისთვის განკუთვნილი მასალა...* ■

# ქალაქი, რომელიც გარყვნილებასთან ასოცირდება

## ვინ შეულახა დედაქალაქს რეპუტაცია

**„მზემ ცალი თვალით გამოიხედა და უკვე გაშიშვლდნენ ეს მიწადასაყრელები!“ — მიაწყევლა პატარა გოგონები მოხუცმა ქალბატონმა, რომელიც ალექსანდრეს ბაღში მზესუმზირას ყიდდა. გოგონებმა მისი ნათქვამი კი გაიგონეს, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს და ხანდაზმულ ქალბატონს სიცილ-ხარხარით აუარეს გვერდი. „ხომ ხედავ, როგორი თავხედები არიან? ეს რა არის, აქ უარესებიც ხდება. წლებია, „სემიჩკას“ ვყიდი და იმას, რასაც ამ ბოლო დროს ვუყურებ, მხოლოდ გარყვნილებას თუ დავარქმევ“, — ლამის ჩურჩულით მითხრა და ვინაიდან პასუხი არ გავეცი, ცოტა არ იყოს, გაბრაზებულმა გადმომხედა.**

*ლიკა ქაჯაია*



— ჰმ... რა იყო, გოგო, ლაპარაკშიც ფული უნდა გადაგიხადო? ალბათ, შენც ამ გარყვნილების მომხრე ხარ. ისე, რას ვამბობ, შენც თითქმის მათი ასაკის ხარ და ალბათ, ამათი საქციელი ამიტომაც არ გიკვირს. ახალგაზრდა რომ ვიყავი, ისეთი გრძელი კაბა მეცვა, რომ კოჭები ძლივს მიჩანდა, ახლა კი აბა, რა გაცვიათ? როგორც ვხედავ, გათხოვილი ხარ და ქმარი ამ შარვლის გამო არ გსაყვედურობს?

— არა, ქალბატონო, არ მსაყვედურობს, — *ვუთხარი და სკამიდან წამოვდექი.*

— ჰა, ახლა ჩემგან გაქცევა გინდა, არა?! წადი, წადი, შენც სხვებს ჰგავხარ...

*ვიფიქრე, ამ ქალბატონს გავეცლები-მეთქი, მაგრამ მალევე შევამჩნიე, რომ უცნაურად ჩაცმული გოგონების ჯგუფი ჩვენკენ დაიძრა და ისევ ჩამოვჯექი.*

— ბებო, ბებო, დიდი ხანია, რაც დაბერდი? — *ჰკითხა მოხუცს გოგონამ, რომელსაც პირში სიგარეტი გაერჭო და თავს უამრავი პირსინგით იწონებდა.*

— რა შენი საქმეა, როდის დავბერდი?! — *ჩაიბუზღუნა ქალმა და არამკითხეს ზურგი შეაქცია, თუმცა ახალგაზრდებმა გასაქანი არ მისცეს და იმდენი ქნეს, რომ ქალმა თავს გაქცევით უშველა, გოგონები კი საოცრად გახალისდნენ, ხუმრობის გუნებაზე დადგნენ. მათ ვთხოვე, ჩემთვის ინტერვიუ მოეცათ.*

**წრიპა,** *16 წლის:*

— ინტერვიუ რა საკითხზე უნდა მოგცეთ? ჩვენ საინტერესოს ვერაფერს გეტყვით...

**გვანცი,** *16 წლის:*

— ჰო, რომელი ნანკა კალატოზიშვილი, ნინა წკრიალაშვილი ან თიკო სადუნიშვილი ჩვენ გვნახე, ენა რომ გავილესოთ?!

**— ნანკა, ნინა და თიკო ენაგალესილები არიან?**

— რა ვიცი, ყველა ჟურნალ-გაზეთში, თანაც, თითქმის ყოველკვირა მათი ინტერვიუ იბეჭდება, ყველა არხზე ეგენი იჩითებიან და...

**ფისო,** *17 წლის:*

— ნეტავ, ხალხს მათი ინტერვიუების კითხვა, მათი ყურება არ ჰბეზრდება? ბიჭების კიდევ მესმის, მაგრამ ეს ქალები რამ გადარია?

**— რას გულისხმობ?**

— იმას, რომ მყავს მეზობელი, რომელიც ამ ე.წ. „ლიცოების“ შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას ეცნობა. ვეუბნები: კი, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავეს რომ ამბობენ, ამის კითხვა არ გეზარება-მეთქი? იცით, რას მპასუხობს: ვიცი, რომ შეიძლება, მათი სტატიებიდან ახალი ვერაფერი შევიტყო, მაგრამ ის, რომ ცნობილების ცხოვრებაში „ვიჭყიტები“, სიამოვნებას მანიჭებსო... ჰოდა, ეჭვი მეპარება, მისნაირებს ჩემი და ჩემი დაქალების ამბავი აინტერესებდეთ...

**წრიპა:**

— სხვათა შორის, თქვენს ჟურნალს დედაჩემი კითხულობს. ის „გზის“ ერთგული ფანია და არც ერთ ნომერს არ „მაზავს“.

**— „გზას“ თავად არ სწყალობ?**

— არა მარტო „გზას“, არამედ არც ერთ ყვითელ პრესას არ ვეცნობი, მაგრამ იმის გამო, რომ ჩემი ოჯახის წევრებს თქვენი ჟურნალი უყვართ, მას ზოგჯერ მეც ვათვალიერებ. სხვათა შორის, ძალიან მომწონს, ჟურნალს წიგნებიც რომ მოჰყვება, თუმცა პირადად მე, მხოლოდ დოჩანაშვილის ნაწარმოები წავიკითხე.

**— ეი. კითხვა გიყვარს...**

— წიგნის ჭია ნამდვილად არა ვარ, მაგრამ ის, რაც პოპულარული და საინტერესოა, მეც მიზიდავს.

**— ანუ გინდა თქვა, რომ „ქართული პროზის საგანძურში“ შენთვის საინტერესო მხოლოდ დოჩანაშვილის შემოქმედება იყო?**

— არა, სხვა მწერლებსაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ნამუშევრები უკვე წაკითხული მქონდა, ზოგიერთის შემოქმედება კი დიდად არ მხიბლავს...

**— საინტერესო იმიჯი გაქვთ — არც პანკებს ჰგავხართ, არც გოთებს, თუმცა აშკარაა, რომ რაღაცები მათგან გაქვთ აღებული...**

**მირანდა,** *17 წლის:*

— მართალი ხარ, ჩვენ არც პანკები ვართ, არც გოთები და არც — ემოები, უბრალოდ, ზოგიერთ ჩვენგანს შავი თვალის ჩრდილი მოსწონს, ზოგს — სვირინგი, ზოგს — ტატუ, ზოგს კიდევ, დახეული ჯინსით სიარული ანიჭებს სიამოვნებას... ვგონებ, ამაში გასაკვირი არაფერია. ხომ იცი, თინეიჯერობის ასაკში გვაქვს უფლება, როგორც გვინდა, ისე ვიაროთ, ხალხი გავაკვირვოთ, მერე კი, როცა „დავღვინდებით“, ამ იმიჯს ველარ მოვირგებთ. ჰოდა, სანამ დროა, ჩვენს ჭიას ვახარებთ, რა!

**წრიპა:**

— მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ამ ყველაფრით უფროსების გაღიზიანებას ვიწვევთ. არ ვიცი, ამ ხალხს რა აცოფებს, მაგრამ ფაქტია, ზოგიერთ ქუჩაში ზიზღით გვიყურებს; მხოლოდ მოხუცებს კი არა, ზოგჯერ

თანატოლებსაც არ ესმით ჩვენი.

**მიკა,** *16 წლის:*

— ლაპარაკია ისეთ გოგო-ბიჭებზე, რომლებიც მშობლების კალთას არიან გამოკერებული და საკუთარი „მე“ არ გააჩნიათ. არ მესმის იმ ბავშვების, რომლებიც მხოლოდ დედ-მამის ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებენ და საკუთარ თავს ბავშვობის ლაღად გატარების უფლებას არ აძლევენ.

**მირანდა:**

— მყავს მეზობელი, რომელიც რეჟიმში ცხოვრობს: დილით სკოლაში მიდის, შუადღეს შინ მეცადინეობს, საღამოს ინგლისურის ან ფორტეპიანოს შემსწავლელ კურსზე დადის, ღამით ისევ მეცადინეობს. მოკლედ, დრო თამაშისთვისაც არ რჩება. პირადად მე, ასე ცხოვრებას ვერ შევძლებ.

**— კარგი, მაგრამ თუ მთელ დღეს ჭრიჭინში გაატარებ...**

**წრიპა:**

— (*მაწყვეტინებს*) შენ გგონია, ჩვენ სასარგებლოს არაფერს ვაკეთებთ? ჩვენი იმიჯი ბევრს აბნევს: ზოგს ჰგონია, რომ არაფრის მაქნისები ვართ, მაგრამ სინამდვილეში, ვისაც აქ გვიყურებ, ყველანი კარგად ვსწავლობთ.

**— მირანდა, პირსინგების გამო პედაგოგებთან პრობლემა არ გექმნება?**

— თავიდან გამუდმებით მსაყვედურობდნენ, მაგრამ როცა მიხვდნენ, რომ ჩემთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, ხელი ჩაიქნიეს... ხომ ხედავ, მე და ჩემს დაქალებს როგორი მინიქვედაბოლოები გვაცვია? ამის გამოც გვსაყვედურობდნენ, მაგრამ მერე თავადვე აღიარეს: გრძელ კაბებში ვერც წარმოგვიდგენიხართ, სასაცილოები იქნებითო.

**— ალბათ, გამომწვევი გარეგნობის გამო ქუჩაში თვალს ხშირად გაყოლებენ...**

— კი, ასეა! განსაკუთრებით, ასაკოვანი კაცები დაგვდევენ, მაგარი სასაცილოები არიან.

**წრიპა:**

— ატეხილებივით დაგვდევენ უკან და ბევრი მათგანი საჩუქრებითაც გვანებივრებს. მათ სულელები ვგონივართ, მაგრამ საბოლოოდ, მოტყუებულები და გასულელებულები თავად რჩებიან...

**— რას გულისხმობ?**

— მათ ვიყენებთ (*იცინიან*).

**მიკა:**

— „ვაბოლებთ“, ვითომ ჩვენც მოგვწონს და ამის წყალობით, თითქმის ყველა კაფე-ბარი მოვლილი გვაქვს, გასართობ ადგილებშიც დავდივართ და მობილურზე თანხაც ყოველთვის გვაქვს.

**მირანდა:**

— პირადად მე, ამას წინათ ვიღაც კაცმა ოქროს კულონი მაჩუქა და ავიღე. ეს ჩემმა უფროსმა დამ რომ გაიგო, ლამის მცემა: კაცს ასეთი ძვირად ღირებული საჩუქარი როგორ გამოართვი? ეს დანიშვნის ტოლფასიაო!.. რა სისულელეა! ჩემი და წინა საუკუნეშია ჩარჩენილი.

**— გამომწვევად იმიტომ იცვამთ, რომ კაცები გადარიოთ?**

— არა, ეს ჩვენც გვსიამოვნებს.

**წრიპა:**

— ქალმა ის უნდა ჩაიცვას, რაც უხდება. ცუდი აღნაგობა რომ მქონდეს, მინიკაბებს არ გავიკარებდი, მაგრამ მიხდება და რატომ არ უნდა ჩავიცვა?!

**— ამბობენ, თინეიჯერების „წყალობით“, თბილისი გარყვნილების ცენტრად იქცაო...**

— ამას იმიტომ ამბობენ, რომ გოგონები გამომწვევად ვიცვამთ? გამომწვევად ჩაცმა გარყვნილებას სულაც არ ნიშნავს. ადრე კოჭებამდე კაბები და ყელიანი სვიტრები ეცვათ, მაგრამ „გულავს“ მაინც ახერხებდნენ. ასე რომ, გარეგნობა ქალის სიბილწე-პატიოსნებაზე ნამდვილად არ მეტყველებს.

**ფისო:**

— მე თუ მკითხავ, თბილისი სოფლიდან ჩამოსული გოგონებისა და ბიჭების წყალობით იქცა გარყვნილების ცენტრად. მოდი, ამ ბაღში გავიაროთ და იმ წყვილებს, რომლებიც ხალხის თვალწინ „ზასაობენ“, ვკითხოთ, საიდან არიან. თუ გინდა, დაგენაძლევები, რომ ათიდან ცხრა მაინც იქნება რაიონიდან ჩამოსული. ჩვენ, საღად მოაზროვნე თბილისელებს კი მიგვაჩნია, რომ ბაღში „ლოვეს“ კოცნა-პროშნა სამარცხვინო საქციელია!

**წრიპა:**

— აქ მირანდას გამოვყევით, დღეს „ლოვეს“ უნდა შეხვდეს. მათ 3 წელია, ერთმანეთი უყვართ, ჰოდა, გინდ დაიჯერე, გინდ — არა, მაგრამ ერთმანეთისთვის ჯერ არ უკოცნიათ.

**მირანდა:**

— ამას მერეც მოვასწრებთ (*იცინის*). თუ შეყვარებულობის პერიოდში ისიამოვნებ, გათხოვებას ხიბლი აღარ ექნება. როგორც უნდა გაგიკვირდეთ (ჩვენი გარეგნობიდან გამომდინარე), მე და ჩემს მეგობრებს მიგვაჩნია, რომ პატარძალი უბიწო უნდა იყოს.

**— მე ვიყავი მომსწრე იმისა, თუ როგორ დასცინეთ მოხუც ქალბატონს...**

— შენ იმის მომსწრეც ხომ იყავი, თავად როგორ მოგვაწყევლა, როცა აქ ჩავიარეთ? ვინ ეკითხებოდა, ჩვენ რა გვეცა ან გვესვა?! ჰოდა, ვინაიდან არამკითხე იყო, ამიტომაც გავამწარეთ.

**მიკა:**

— სახლში მეც მყავს მოხუცებული ბებია, მაგრამ ჩემი ჩაცმულობის ან პირსინგების გამო, მისგან საყვედური თუ შენიშვნა არასდროს მიმიღია და ამას ვიღაც უცხოსგან ვერ ავიტან...

*ამასობაში, მირანდას შეყვარებული მეგობარ ბიჭებთან ერთად მოვიდა და გოგონები სასწრაფოდ გამომემშვიდობნენ. მათი წასვლიდან ცოტა ხანში გვერდით ორი ხანდაზმული მამაკაცი მომიჯდა.*

**გოგი,** *72 წლის:*

— გავიგონეთ, იმ გოგონებს რასაც ეკითხებოდით. მოკლედ, ეს ბავშვები სულ წავიდნენ ხელიდან, მაგრამ სიმართლე კი თქვეს: თბილისი რაიონიდან ჩამოსულებით გაივსო და სწორედ ისინი ბილწავენ ქალაქს.

**— ასე რატომ ფიქრობთ?**

— სოფელში საკუთარ თავს ფრთების გაშლის უფლებას ვერ აძლევენ, რადგანაც იქ ყველა ყველას იცნობს, მაგრამ თბილისში ჩამოსულები კონტროლს კარგავენ, თავს ყველაფრის უფლებას აძლევენ.

**ემზარი,** *70 წლის:*

— ადრე გოგოს მუხლი თუ გამოუჩნდებოდა, სირცხვილისგან წითლდებოდა, ახლა კი მუხლს ვინ ჩივის, როცა უკაცრავად და, ტრუსიც უჩანთ.

**გოგი:**

— არადა, ბავშვობაში რამდენს ვწვალობდით, გოგონების ფეხი რომ შეგვეთვალიერებინა!.. იცით, რას ვკადრულობდით? მათ ფეხქვეშ სარკესაც კი ვუგდებდით ხოლმე და ერთხელ ამის გამო ისე მიმჟეჟეს, 2 თვე საავადმყოფოში ვეგდე.

**ემზარი:**

— თბილისში დაბადებულ-გაზრდილი კაცი ვარ და გული მტკივა, დედაქალაქი გარყვნილებასთან რომ ასოცირდება, არადა, მერწმუნეთ, თბილისელი კაცი საკუთარი ქალაქის სახელის შებღალვას არასდროს იკადრებს.

**— არა მგონია, ყველაფერი სოფლიდან ჩამოსულების ბრალი იყოს. ჩემი აზრით, დედაქალაქის სახელს არც თქვენ, თბილისელები უფრთხილდებით...**

— შეიძლება, თითო-ოროლა უხეირო ჩვენს რიგებშიც იყოს, მაგრამ ძირითადად, ჩამოსულები აქტიურობენ და გოგის თქმისა არ იყოს, უცხო ქალაქში ჩამობრძანებულები საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევენ...

*P.S. არ ვიცი, დედაქალაქი მართლაც, გარყვნილების ბუდეა თუ — არა და თუ ასეა, ეს ვისი ბრალია, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ თბილისელები ქალაქის იმიჯის შელახვას რაიონიდან ჩამოსულებს აბრალებენ. ამჯერად, გთავაზობთ თემას: რით სჯობია თბილისელი კაცი ე.წ. სოფლელს ან პირიქით — რითია უკეთესი რაიონში მცხოვრები ადამიანი ე.წ. დედაქალაქელ „სვეტზე“ და საერთოდაც, რა განსხვავებაა მათ შორის? თემასთან დაკავშირებული სხვისი ან საკუთარი თავგადასავალი შეგიძლიათ მომწეროთ ნომერზე: 8(58) 25.60.81 ან მეილზე: lika.qajaia@gmail.com.*

## თინეიჯერები გვწერენ

**საკალელი გოგო:**

„დიდი მადლობა, რომ ჩემი „ესემესი“ დაბეჭდეთ. მინდა, მადლობა გადავუხადო თქვენი ჟურნალის მკითხველებსაც, რომლებმაც დამიმესიჯეს და რჩევა მომცეს; მადლობა მათაც, ვინც ჩემი ამბავი გულთან ახლოს მიიტანა და გამკიცხა, მაგრამ აი, ვიღაც მარის „ესემესმა“ კი გამაღიზიანა. მინდა, მას ვუთხრა, რომ ეს „ლაპები“ თავისთვის შეინახოს, რადგან შესაძლოა, ოდესმე უარეს სიტუაციაში აღმოჩნდეს და აუცილებლად დასჭირდება... იმ ადამიანებს, რომლებმაც ჩემი გაგება სცადეს, პირობას ვაძლევ, რომ მათ რჩევებს აუცილებლად გავითვალისწინებ და „მას“ გულიდან ამოვიგლეჯ. მართალია, ეს გამიჭირდება, მაგრამ შვილების გამო ამასაც გავაკეთებ! გეფიცებით, ყველანაირად ვეცდები, ქმარი ხელახლა შევიყვარო, ის კარგი ადამიანია. P.S. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას“.



**ლორელაი:**

„როცა გენდერულ თანასწორობაზეა ლაპარაკი, სულ XII საუკუნე და თამარ მეფე მახსენდება; ზუსტად მაშინ წერდა შოთაც: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადიაო... და მიკვირს, როცა ამბობენ, — საქართველოში ქალები და კაცები თანასწორები, თანაბარუფლებიანები არ არიანო. ისტორიამ ბევრი ისეთი ქალის სახელი შემოგვინახა, რომლებიც ისეთ საქმეს აკეთებდნენ, რასაც მამაკაცები ვერ უმკლავდებოდნენ, ზოგიერთი მანდილოსანი ხმლით ხელშიც კი იბრძოდა... დღევანდელ დღეს, როცა კაცებმა თითქოს, თავიანთი ფუნქცია დაკარგეს და მატრიარქატი გამეფდა, მე ეს არ მახარებს, რადგან მინდა, ვიყო დამოუკიდებელი (მაგრამ არა თავისუფალი), საქმიანი, წარმატებული, მაგრამ არ მსურს, ეს ყველაფერი პირადი ცხოვრების ხარჯზე მოხდეს. ყველა ქალმა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება უნდა მოახდინოს, მაგრამ ამასთანავე, ქალურობაც არ უნდა დაკარგოს. პირადად მე მსურს, გვერდით ძლიერი მამაკაცი მყავდეს (და მყავს კიდეც); მინდა დავეყრდნო მის მხარს, მქონდეს მისი იმედი, მაგრამ ამავდროულად, უნდა ვიმუშაო. თუ მუშაობას დავიწყებ, მერწმუნეთ, შინ დაბრუნებული აუცილებლად მოვამზადებ სადილს, გავრეცხავ, გავაუთოებ, მოვუვლი შვილებსაც და ამასთანავე, ქმარს ყოველთვის მოწესრიგებული დავხვდები. P.S. მე მაქვს იმის ბედნიერება, რომ თავი ნამდვილ ქალად ვიგრძნო და ეს ჩემი მეუღლის დამსახურებაა. მას უნდა, გვერდით ჰყავდეს წარმატებული, მოწესრიგებული და ხალისიანი ქალი... ასე რომ, ქალებო, ნურც თქვენ დაკარგავთ ქალურობას“.

## „მისმა დამ ტვინი გადამიტრიალა...“

**გიჟავოი:**

„გამარჯობა. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და გადავწყვიტე, ჩემი გულისტკივილიც მოგწეროთ... ბათუმელი შეყვარებული მყავდა. ერთი წელი ვიყავით ერთად, მაგრამ 2 თვის წინ მივხვდი, რომ ჩვენ შორის ურთიერთობა გაცივდა, ის ისე აღარ მექცევა, როგორც ადრე. როცა ვეკითხები: — რა ხდება, აღარ გიყვარვარ? ეს ურთიერთობის გაცივება ჩემი ბრალი ხომ არ არის-მეთქი? არაფერს მპასუხობს... ახლახან ბათუმში ვიყავი. ეს მანაც იცოდა, მაგრამ ერთხელაც არ დაურეკავს, ჩემი ნახვის სურვილი არ გამოუთქვამს. მის ნახვას არც მე ვაპირებდი, მაგრამ მისმა დამ ტვინი გადამიტრიალა და დავურეკე, — მნახე-მეთქი. მიპასუხა: დღეს არ მცალია, ხვალ განახავო, მაგრამ ერთი კვირა ისე გავიდა, ჩემთვის მესიჯიც არ მოუწერია და რომელ პაემანზეა ლაპარაკი?!. მირჩიეთ, როგორ ვათქმევინო, რა მოხდა ჩვენ შორის?“

## „როგორ ვუმკურნალო ვარსკვლავური სენით შეპყრობილს?“

**სალი,** *16 წლის:*

„ჩემი პრობლემა ისაა, რომ ერთი ძალზე პოპულარული ბიჭი მიყვარს. მას მთელი თუ არა, ნახევარი საქართველო მაინც იცნობს. ადრე ამ ბიჭსაც მოვწონდი, მაგრამ მას მერე, რაც „გაიქაჩა“ და „სვეტსკი“ თაყვანისმცემლებიც გაუჩნდა, თავში აუვარდა და ახლა ზევიდან მიყურებს. ჰო, გასაგებია, რომ ჩემზე ლამაზი და თანაც, ასევე პოპულარული გოგონები გაიცნო, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ძველ ნაცნობებს ცუდად უნდა მოგვექცეს?.. მან გული საშინლად მატკინა. ასე ძალიან რომ არ მიყვარდეს, მეც „პაშოლას“ ვეტყოდი, მაგრამ ვიცი, ამის გაკეთებას ვერ შევძლებ. მისი გაღიმებაც კი საკმარისია საიმისოდ, რომ ბრინჯივით დავიბნე და ფეხქვეშ ფიანდაზად გავეგო... ის მაშინ შემიყვარდა, როცა ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო; მომწონდა მისი უბრალოება, ლამაზი თვალები, ახლა კი... მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? იქნებ ვინმემ მითხრას, როგორ ვუმკურნალო ვარსკვლავური სენით შეპყრობილს? რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას!“

***P.S. მაშ ასე, თუ გიჟავოის და სალის წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.***



# სამყარო

## „ჩემი სამკაულებისადმი მიძღვნილი ქათინაური ძალას მმატებს“

**ქალბატონი მაია მიქაშავიძის სახლში სტუმრობისას, სამკაულის მოყვარული მანდილოსნები ჯადოსნურ სამყაროში ხვდებიან. ნების-მიერი ფორმის, ზომისა და სტილის სამკაულები თვალისმომჭრელად ციმციმებს. თავად ამბობს, რომ ძალიან სიამოვნებს, როცა მანდილოსნების გახარებას ახერხებს. შეუძლებელია, მისი სახლიდან გამოხვიდეთ და ბედნიერებისგან არ ბრწყინავდეთ.**

*ელენე ბასილიძე*

— პროფესიით დიზაინერი არ გახლავართ; ვარ პედაგოგი, ფსიქოლოგი... 15 წლის განმავლობაში წარმატებული სააფთიაქო ბიზნესი მქონდა და ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე ამ საქმიანობას თავს დავანებებდი. სამკაულები ძალიან მიყვარს, მათ შესაძენად უამრავ ფულს ვხარჯავდი და უფალმა იმის შესაძლებლობა მომცა, სამკაულების კეთება თავად მესწავლა. სხვათა შორის, სამაჯურები, ყელსაბამები იმდენად მიყვარს, უზომო რაოდენობით ვიკეთებ ხოლმე. სარკეში რომ ჩავიხედავ, თავადვე მრცხვენია. (*იღიმის*). მაქსიმალისტი ვარ, საქმე ან კარგად უნდა გავაკეთო, ან ხელსაც არ მოვკიდებ. ინტერესიანიც გახლავართ, თუ რამე მაინტერესებს, თავს მოვიკლავ და მაინც შევისწავლი იმ საქმეს. ჩემს სახლში ტიპურ ერთოთახიანში, ერთ მშვენიერ დღეს, დამხმარე ქალთან ერთად კედლები უროთი დავანგრიე და ინტერიერი სრულიად შევცვალე.

— **როგორც ვიცი, სამკაულების შექმნაც არავისგან გისწავლიათ...**

— მართალია და არც სხვისი სამუშაო პროცესისთვის მიდევნებია თვალყური. ხელსაწყოების დანახვისას თავადვე მივხვდი, თუ რომელი რაში უნდა გამომეყენებინა. შემიძლია, ფეხსაცმლის ქუსლი გადავჭრა, გავხვრიტო და მისი საშუალებით საყურე შევქმნა. სწორედ ნოვატორული იდეების წყალობით, ჩემი შექმნილი არც ერთი სამკაული ერთმანეთს არ ჰგავს. მაგრამ ჩემი ხელწერა ყველას ეტყობა. ხანდახან ქუჩაშიც მაჩერებენ, — უი, მაია მიქაშავიძის სამკაული გიკეთიათ? რა ლამაზია!.. თავდაპირველად ძალიან ვბრაზდებოდი, თავად ვარ მაია-მეთქი, მაგრამ მერე შევეგუე იმას, რომ საზოგადოება არა მე, არამედ ჩემს სამკაულებს ცნობს. შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ქალები ჩემი სამკაულების მეშვეობით ცნობენ ერთმანეთს.

— **თქვენი ნამუშევრები ძალიან „ფერადოვანია“...**

— მრავალფეროვნება მიყვარს, არ მიყვარს „თბილისური“, შავ-თეთრი ფერები. მათაც კი, ვისაც შავ-თეთრი სამკაულები უყვარდა, ყველამ ფერადი მოირგო. ხანდახან უთქვამთ, — იცით, ძალიან მომწონს, მაგრამ ეს ჩემი სტილი არ არისო, მაგრამ როგორც კი მათ შესაბამის აქსესუარს მოვარგებ, ძალიან მოსწონთ. ვერცხლი ძალიან მომწონს, მაგრამ სამკაულში ვერცხლისფერს იშვიათად ვიყენებ. სხვათა შორის, ემიგრანტები შავი ფერის სამკაულებს ხშირად მთხოვენ. მათ იმდენად იპყრობთ სენტიმენტალიზმი და ნოსტალგია, თბილისს შავ-თეთრ ფერში ხედავენ. ხშირად ვეუბნები, — თბილისი გაფერადდა, რუხი აღარ არის-მეთქი. თითოეული ნამუშევარი ჩემსავე ხასიათს გამოხატავს, მეც ასეთივე ვარ, როგორიც ჩემი ნამუშევრებია. ქალბატონების აღფრთოვანება და ჩემი სამკაულებისადმი მიძღვნილი ქათინაური ძალას მმატებს, რომ მათ გასახარად, უფრო მეტი და საუკეთესო ნამუშევარი შევქმნა. 4 წელიც არ გასულა, რაც ამ საქმეს ვემსახურები. მახსოვს, ჩემი პირველივე გამოფენა ძალიან წარმატებული იყო, იმდენი ადამიანი მოვიდა, გალერეის მახლობლად მანქანის გასაჩერებელი ადგილი აღარ იყო. მას შემდეგ, 2 თვეში ერთხელ მაინც აუცილებლად ვმართავ გამოფენას და ყველა გამოფენაზე რამდენიმე თარო პირველივე დღეს ცარიელდება. გამთენიისას ვდგები და მუშაობას ვიწყებ, რომ 4 დღის განმავლობაში მნახველებს ცარიელი თაროები არ დავახვედრო.

— **მასალას საქართველოში ყიდულობთ?**

— მასალა ყველგან შეიძლება ვიშ-



ჩემი შექმნილი არც ერთი სამკაული ერთმანეთს არ ჰგავს



მაია მიქაშავიძე

ოვო, ნაგავშიც კი. მშრალ ხიდზე დავდივარ და ხშირად ისეთ მძივს ვყიდულობ, რომელშიც მხოლოდ 2 დეტალია ჩემთვის გამოსადეგი — დანარჩენი კი უნდა გადავყარო. მოვიტან, კარგად გავხეხავ, ფორმას შევუცვლი, გავალამაზებ და სამკაულების შესაქმნელად ვიყენებ. მასალას ლილოს ბაზრობაზეც ვყიდულობ, ვაგზალზეც, თბილისის ქუჩებშიც, იტალიაშიც, ამერიკაშიც, დუბაიშიც... თუ რომელიმე ჩემი მეგობარი სამოგზაუროდ მიდის, მასალის ჩამოტანას ვაბარებ და ყველა დაუზარლად მეხმარება.

**— წელან აღნიშნეთ, რომ 2 ერთნაირ სამკაულს არასოდეს ამზადებთ...**

— ალბათ დაახლოებით 20000 სამკაული მაინც მექნება გაკეთებული, მაგრამ მათგან 2 ერთნაირი არ მოიძებნება. ხშირად მთხოვენ, — ზუსტად ისეთი სამკაული მინდა, ამა და ამ ქალბატონს რომ დაუმზადეთო... მე კი ვპასუხობ, ზუსტად ისეთს — არა, სხვანაირს გაგიკეთებთ, მაგრამ იმაზე მეტად მოგეწონებათ-მეთქი.

**— როგორც ვიცი, თქვენს კლიენტებს შორის ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანია.**

— კი. ნანა შონიას, თამთა ჭელიძეს, ლიზა ბაგრატიონს, ვერიკო ტურაშვილს და უამრავ სხვა ადამიანს მოსწონს ჩემი შექმნილი სამკაულები. ია ფარულავას, რომელიც თითქმის არასოდეს იკეთებს ბიჟუტერიას, ხანდახან ჩემი სამკაული უკეთია. ვთანამშრომლობ სერიალთან — „გოგონა გარეუბნიდან“ და მარინა კახიანისთვის ვქმნი სამკაულებს. მან მთელ საქართველოს გააცნო ჩემი შემოქმედება. ძალიან გამორჩეული, განსხვავებული ქალბატონია და გამორჩეულ აქსესუარებსაც ატარებს.

**— საქართველოს ფარგლებს გარეთ სამკაულების გატანა არ გიცდიათ?**

— ჰოლანდიაში მქონდა მაღაზია, მაგრამ სამწუხაროდ, იმდენ ნამუშევარს ვერ ვაკეთებ, რომ საქართველოსაც ვამყოფინო და იქაური მაღაზიაც მოვამარაგო, ამიტომაც სამკაულებს იქ აღარ ვყიდი. შემოთავაზებები მქონია ევროპის არაერთი ქვეყნიდან. მთხოვენ, ჩავიდე და მათთან ვითანამშრომლო, მაგრამ მაშინ ჩემი საყვარელი ქართველი ქალბატონები უნდა დავტოვო და ეს ნამდვილად არ მინდა! ხშირად ვხვდები, რომ ადამიანს არ აქვს საშუალება, სამკაული შეიძინოს. ვიცი, რას ნიშნავს, როცა რაღაც მოგწონს და მისი შეძენის საშუალება არ გაქვს. ბევრის თუ არა, თითო საჩუქრის გაკეთება ხომ შემიძლია?! ამას ხშირად ვაკეთებ და ქალბატონებს ვახარებ... ■

# საბჭოთა რეპრესიები, ინტრიგები და სიყვარულის ძველი ისტორია

**ამ რამდენიმე ხნის წინ, თბილისში ერთი ხანში შესული, არც ისე ცნობილი, მაგრამ ნიჭიერი ამერიკელი ისტორიკოსი გვესტუმრა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების „შიდა სისტემაზე“ ლექცია უნდა წაეკითხა ჩვენი სტუდენტებისათვის. ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი კი, როგორც მოგეხსენებათ, მაშინ დაიბადა, როდესაც საბჭოთა კავშირი უკვე ისტორიას ჩაჰბარებოდა — მიუხედავად იმისა, რომ მის ყოფილ მოქალაქეთა ერთ ნაწილს თავად ლენინ-სტალინის თუ არა, მათი იდეების უკვდავობისა მაინც მტკიცედ სწამდა და 1937 წელზეც მხოლოდ ჩურჩულით საუბრობდა. შესაბამისად, ოკეანისგაღმელი სტუმრის ლექციას ჩვენი გოგო-ბიჭები სწორედ ისევე ისმენდნენ, როგორც თავის დროზე ჩვენ — საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონ ბონაპარტის ამბებს. ჰოდა, მეც ამიტომ გადავწყვიტე, ისეთი რესპონდენტი მეპოვა, ვისაც 70-წლიანი საბჭოთა პერიოდი კარგად ეხსომებოდა და, აქვე გაგიმხელთ — გამიმართლა კიდეც.**

მიხეილ ლაბაძე

*სანამ ჩემს დღევანდელ სტუმარს წარმოგიდგენდეთ, ისევ იმ ხანში შესულ, არცთუ ისე ცნობილ, მაგრამ ნიჭიერ ამერიკელ ისტორიკოსს დავესესხები და გეტყვით, რომ იმ შავბნელ ხანაში ჩვენთან სწორედ ისეთი სიტუაცია სუფევდა, როგორიც სერჯო ლეონეს კარგად ცნობილ ფილმში — „კარგი, ცუდი, ბოროტი“; უკეთ რომ ვთქვათ, არავინ არავის ინდობდა, სუფთა სინდისიც არავის ჰქონდა და ამიტომაც, არც ის იცოდა ვინმემ, როდის მოაკითხავდნენ შავი „ემადინით“ ჯოჯოხეთის მკაცრად მომზირალი მსტოვრები. სხვათა შორის, შავი „ემადინის“ საბურავთა ღრჭიალის ღამეულ ხმაზე, ძილი უფრთხებოდათ თვით იმ მსტოვართა მბრძანებლებსაც, რომელთაც „ხელმძღვანელ ამხანაგებს“ უწოდებდნენ და, როგორც წესი, ყოვლისშემძლეებად მიიჩნევდნენ. ასე რომ, სულაც არ შემცდარა ის ნიჭიერი ამერიკელი ისტორიკოსი, როდესაც მაშინდელი სიტუაციის ზედმიწევნით შესაფასებლად, სერჯო ლეონეს სახელგანთქმული ვესტერნი მოიშველია. სხვა საქმეა, რომ საბჭოთა ისტორიის კვლევას მაშინ შეუდგა, თვით საბჭოთა კავშირი რომ აღარ არსებობდა და ალბათ, ამიტომ დარჩა ხანში შესულ ასაკშიც არცთუ ისე ცნობილად — ამერიკაში უკვე აღარც კი აინტერესებთ „ბოროტების იმპერიის“ საიდუმლოებები.*

*ჩვენთვის კი, დამეთანხმებით, საბჭოთა პერიოდის გახსენება აუცილებელიცაა, რათა ვიცოდეთ, რა გამოვიარეთ — 90 წლის წინანდელი მოვლენები ხომ ისტორიოგრაფიაში, როგორც წესი, „ახალ ისტორიად“ იწოდება, რადგანაც მისი მომსწრენი ჯერ ისევ ჩვენ გვერდით ცხოვრობენ და, არც კი ვიციით, რომ ის, რასაც დღევანდელი გადა-*



სერგო მამულია

*სახედიდან „ისტორიას“ ვარქმევთ, მათი განვლილი პირადი ცხოვრებაა. ჩემი დღევანდელი სტუმარი, 88 წლის ქალბატონი ციცინო სანაძე-მამულიაც ერთ-ერთია იმ ათასთაგან, რომელთა ბავშვობა, ახალგაზრდობა და მოწიფულობაც ავბედით საბჭოთა პერიოდს დაემთხვა და ამიტომაც, სიბერეში ბევრი სათქმელი დაუგროვდა. ქალბატონი ციცინო თავადაც რეპრესირებული ოჯახის შთამომავალია, მისი მეუღლე — სერგო მამულია კი ცნობილი პარტიული მოღვაწის, 1930-1931 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას პირველი მდივნის — სამსონ მამულიას შვილი იყო; ისტორიიდან ცნობილია, რომ ლავრენტი ბერიამ ჩეკისტური მოღვაწეობა ძველი მოწინააღმდეგეების დაჭერით და გადასახლებით დაიწყო; მათ შორის ერთ-ერთი პირველი გახლდათ სწორედ სამსონ მამულია, რომელმაც საქართველო ჯერ კიდევ 1937 წლამდე დატოვა და მოსკ-*



ციცინო სანაძე მეუღლესთან – სერგო მამულიასთან ერთად

*ოვში გადასახლდა, თუმცა ბერიას მაინც ვერ გადაურჩა.*

მიუხედავად ამისა, დღევანდელი ჩვენი ინტერვიუს მიზანი არც იმ ძველი ამბების გახსენებაა და, არც მით უმეტეს — მათი შეფასება. ქალბატონი ციცინო სანაძე-მამულია თავისი განვლილი ცხოვრებისა და გრძნობების შესახებ გვესაუბრება. მასთან შეხვედრა ჩემთვის იმიტომაც იყო საინტერესო, რომ თვალნათლივ დავრწმუნებულიყავი ერთ მეტად ძველ შეგონებაში: ნამდვილი სიყვარული ერთხელ მოდის და არასოდეს მიდის, რაც უნდა მოხდეს, რა ასაკშიც უნდა იყოს ადამიანი და რამდენი რეჟიმიც უნდა შეიცვალოს ამქვეყნად. ასე რომ, სიტყვას თავად **ციცინო სანაძე-მამულიას** გადავცემთ:

— 1937 წელს დააპატიმრეს მამაჩემი — ალექსანდრე სანაძე, უნივერსიტეტის პრორექტორი. მე მამობა გამიწია კორნელი სანაძემ, ბიძაჩემმა. ჩემს მეუღლესთან შედარებით, უფრო უკეთესი სიტუაცია მქონდა, რადგან დედაჩემი არ დაუპატიმრებიათ... კარგად მახსოვს, თუ როგორ დააპატიმრეს მამაჩემი: ჩვენ მაშინ ნაძალადევში — მალაკნების ბაზართან, საბჭოს ქუჩაზე, ბელეტაჟიან სახლში ვცხოვრობდით. ღამით მოაკითხეს და უხმაუროდ წაიყვანეს. ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო მაშინ... 1937 წლის ცნობილ რეპრესიებს ვერც ჩემი მომავალი მეუღლის ოჯახი გადაურჩა.

— **ცნობილია, რომ იმხანად თქვენი მომავალი მეუღლის მამა — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას ყოფილი პირველი მდივანი სამსონ მამულია უკვე მოსკოვში ცხოვრობდა და იქ მეუღლესთან ერთად დააპატიმრეს. როგორ აღმოჩნდა თქვენი მეუღლე საქართველოში?**

— სერგოს მდგომარეობა მართლაც ჩემზე უფრო მძიმე იყო, რადგანაც მისი ორივე მშობელი დააპატიმრეს და მოსკოვში, 12 წლის ბიჭი ღია ცის ქვეშ დარჩა. ნათესავებმა ის საქართველოში ჩამოიყვანეს. აქაც, ხან ვისთან იყო და ხან — ვისთან... ბოლოს კი მამიდამ სენაკში წაიყვანა. მალე, მამიდამისის ქმარი — გვარად გაბისონია, რომელიც პედაგოგი იყო, სამსახურიდან მოხსნეს, რადგანაც მან „ხალხის მტრის“ შვილი შეიფარა. ამიტომაც, მეორე მამიდამ, რომელიც მარტოხელა იყო, სერგო სოფელში წაიყვანა; თუმცაღა, იმავე ბრალდებით — „ხალხის მტრის“ შვილი რატომ შეიფარეო — ისიც მალე დააპატიმრეს. ასე რომ, მარტო დარჩენილი სერგო ახლა დეიდებმა შეიფარეს და თბილისში ჩამოიყვანეს და აქ დაამთავრა ათწლედი; 1943 წელს კი გადაწყვიტა უნივერსიტეტში ჩაბარება. იმ დროს ჩვენთან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფრონტისპირა ზონებიდან ევაკუაციის გამო, განთავსებული იყო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული (საექსტერნო) ფაკულტეტი და სერგომაც იქ მოინდომა ჩაბარება...

— **მერე, როგორც „ხალხის მტრის“ შვილს, პრობლემები არ შეექმნა?**

— გეტყვით... სერგომ მისაღები გამოცდები ფრიადებზე ჩააბარა და უნივერსიტეტიც წარჩინებით დაამთავრა. მაშინ რექტორი ნიკო კეცხოველი გახლდათ; მას თურმე ძალიან მოსწონებია ჩემი მომავალი მეუღლე, როგორც წარჩინებული სტუდენტი და, სახელმწიფო გამოცდების დასრულების მერე თავისთან დაუბარებია. „მე მინდა, მოსკოვში გაგგზავნო, ასპირანტურაში!“ — უთქვამს სერგოსათვის. მოსკოვში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში უპირებდა გაგზავნას, მაგრამ ჩემს მეუღლეს შორს დაუჭერია: რეპრესირებული ოჯახიდან ვარ და არ მიმიღებენო; ნიკო კეცხოველს — ღმერთმა გაანათლოს მისი სული — არაფრის გაგონება არ უნდოდა: „მე საბუთებში არ ჩავწერ, რომ დედ-მამა რეპრესირებული გყავს. კარგ რეკომენდაციასაც მოგცემ, წადი და ჩააბარე!“ — უთხრა მან სერგოს.

— **ნიკო კეცხოველის შესახებ ძალიან ბევრი რამ მსმენია და, მინდა გითხრათ, რომ მართლაცდა დიდი რისკი გაუწევია — 40-იან წლებში ხომ ლავრენტი ბერია განუზომელი გავლენით სარგებლობდა კრემლში; ცხადია, თუკი იგი გაიგებდა, რომ სამსონ მამულიას ვაჟიშვილი მოსკოვში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი იყო, ნიკო კეცხოველს, შესაძლოა, სიცოცხლით ეგო პასუხი... ასე არაა?**

— დიახ! სერგოს წინაშე ნიკო კეცხოველს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. ეს ადამიანი რომ არა, ჩემი მეუღლე ვერაფერს მიაღწევდა. ნიკოს მონდომებით, თბილისიდან მოსკოვში სერგოს გარდა, კიდევ რამდენიმე წარჩინებული სტუდენტი გაგზავნეს. მათ შორის იყო ლევან ალექსიძეც, ცნობილი დიპლომატი და იურისტი. ერთი სიტყვით, ნიკო კეცხოველმა კადრების ფურცელში არ ჩაწერა, რომ სერგო რეპრესირებული ოჯახიდან იყო და ასე გაუშვა მოსკოვში, ასპირანტურაში...

— **ქალბატონო ციცინო, თუ გახსოვთ, სახელდობრ რის გამო დააპატიმრეს სერგოს დედ-მამა, ბრალად რა წაუყენეს?**

— როგორც იცით, სერგოს მამა სამსონი ბერიამდე ცეკას მდივანი იყო... ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ 1937 წელს, დაპატიმრებულთა საქმეებს ასაიდუმლოებდნენ და ვერავინ ხვდებოდა, სინამდვილეში რა იყო მისი დანაშაული. ვისაც დაიჭერდნენ, „ხალხის მტერს“ არქმევდნენ და ცხადია, დაწვრილებით ამაზე ვერაფერს გეტყვით...

— **კეთილი; მაშ, ისევ თქვენი მეუღლის ამბავი გავაგრძელოთ. სერგომ საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში დაიცვა?**

— დიახ, თუმცაღა მანამდე ბევრი რამ გადახდა თავს. ის მოსკოვშიც წარჩინებული ასპირანტი იყო. აი, მისი ნიშნების ფურცელი ახლაც კი შენახული მაქვს (*მიჩვენებს ძველ დოკუმენტს*); ხომ ხედავთ, რა კარგი ნიშნები ჰქონდა... ამის მიუხედავად, პირველად მაინც ჩაუგდეს დაცვა: სადისერტაციო ნაშრომის კითხვაც კი არ ჰქონდა დამთავრებული, როცა დამსწრეთაგან ვიღაც კაცი წამოხტა და შესძახა — დისერტანტი „ხალხის მტრის“ შვილია და აქ გამოსვლის უფლება არა აქვსო. რაღა თქმა უნდა, დაცვა მაშინვე შეწყდა...

— **ვინ იყო ის ვიღაც კაცი?**

— აკი გითხარით, უბრალო დამსწრე, რომლის ვინაობაც არავინ იცოდა; თუმცაღა, მაინც დაუჯერეს. იმ დროს — 1950 წელს ისევ მძიმე ვითარება სუფევდა და, რეპრესირებული ოჯახების შვილებს კვლავინდებურად უნდობლად უყურებდნენ...

— **საბოლოოდ როგორ მოახერხა**

**თქვენმა მეუღლემ დისერტაციის დაცვა?**

— პირველი დაცვა რომ ჩაუგდეს, ასპირანტთა საერთო საცხოვრებლიდანაც მაშინვე გამოუშვეს და სტიპენდიაც შეუწყვიტეს. ასე რომ, მოსკოვში უბინაოდ, ღია ცის ქვეშ დარჩა. მერე თავადვე მიყვებოდა, — ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში სადგურში ვათევდი ღამეს, მილიციას რომ მოსკოვიდან არ გავეძევებინეო. იმხელა ქალაქში მეგობრების იმედად იყო და ისინიც, როგორც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ. ნიკო კეცხოველმა შეიტყო, რომ იქ სერგოს ძალიან უჭირდა და რამდენჯერმე დაეხმარა კიდევაც — 100-100 მანეთი გაუგზავნა მოსკოვში... ბოლოს, მანვე იმარჯვა და მოსკოვში სერგოს თაობაზე თხოვნა გაგზავნა. ჰოდა, აქ ჩამოვიდა აკადემიკოსი ფირატოვი, რომელმაც დეტალურად შეისწავლა სერგოს პირადი საქმე; ნახა, რომ უნივერსიტეტი ფრიადებზე ჰქონდა დამთავრებული და, მოსკოვში დაბრუნებულმა, ჩემს მეუღლეს დაცვაზე ხელმეორედ გასვლის ნება დართო. ასე გახდა სერგო მეცნიერებათა კანდიდატი. მაშინ ის 23 წლისა იყო.

— **საამისოდ მართლაც ახალგაზრდა ყოფილა! სადოქტორო დისერტაცია ჩვენთან დაიცვა?**

— არა, სადოქტორო ვეღარ დაიცვა; ისიც იმიტომ, რომ მოსკოვში, იმ გაჭირვებაში ყოფნისას, ტუბერკულოზი გაუმწვავდა — მარცხენა ფილტვი შეეკუმშა და მერეც, ხშირად აწუხებდა. 1987 წელს სწორედ ტუბერკულოზით გარდაიცვალა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ნიკო კეცხოველი მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგაც ეხმარებოდა — მივლინებით ხშირად გზავნიდა აბასთუმანში და ყოველნაირად ხელს უწყობდა, რომ ჯანმრთელობის მხრივ ნაკლები პრობლემა შეჰქმნოდა.

— **ქალბატონო ციცინო, თქვენი და თქვენი მეუღლის ბავშვობა და ახალგაზრდობა სტალინურ რეჟიმს დაემთხვა და, ამიტომაცაა, რომ ის, რასაც ახლა გვიყვებით, ზოგადად ნაცნობია საბჭოთა ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებისთვისაც, ვისაც მაშინ უწევდა ცხოვრება. თუ შეიძლება, გვიამბეთ, როგორ შეხვდით თქვენს მეუღლეს პირველად?**

— მოკლედ რომ მოგახსენოთ, „გოფილექტი“ იყო პლეხანოვზე — იმ დროის ცნობილი, არისტოკრატიული ბაღი. იქ შევხვდით პირველად ერთმანეთს. მერე სახლამდე მიმაცილა და გამომშვიდობებისას, როგორღაც, ცუდად მოუვიდა (*იღიმება*) — დამიწერა ტელეფონის ნომერი და მითხრა: დამირეკე, როცა გინდა; მოვალ და პირდაპირ წაგიყვან სახლშიო. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ აბა, შეხედეთ ამ სურათს — აი, როგორი ვიყავი იმ დროს... ეს როგორ მაკადრა-მეთქი, გადავირიე! თუმცაღა, ყველაფერი მაინც ისე წარიმართა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დავქორწინდით... ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი... აი, სურათებიც — ისინი დღეს ჩემთვის უძვირფასესი რელიკვიაა. სერგო ნამდვილი ინტელიგენტი იყო, უაღრესად განათლებული და ამიტომაც, ძალიან გამიტაცა...

— **სხვას ხომ არაფერს გაიხსენებდით თქვენი ცხოვრებიდან?**

— სიამოვნებით... მე სამედიცინო განათლება მაქვს მიღებული, ქირურგი ვიყავი და, იმასაც გეტყვით, რომ ქალი ქირურგი მაშინ იშვიათობა იყო: ეს მამაკაცურ პროფესიად ითვლებოდა და, ჩემი კოლეგებიც, ცხადია, სულ მამაკაცები იყვნენ; თუმცა სერგოს ერთხელაც არ უეჭვიანია — მენდობოდა. ერთხელ ვუთხარი: სერგო! ან არ გიყვარვარ, ან ძალიან დარწმუნებული ხარ ჩემში-მეთქი. მისი პასუხიდან მივხვდი, რომ ისე ვუყვარდი, როგორც არასდროს არავინ ჰყვარებიათ... მეც ვენდობოდი მას, არაფერში ვზღუდავდი და ყველა პირობას ვუქმნიდი, რომ თავი კარგად ეგრძნო.

— **როცა დაქორწინდით, მაშინ უკვე თბილისში მუშაობდა?**

— დიახ. აქ რომ ჩამოვიდა, უნივერსიტეტში მუშაობის დაწყება ვერ შეძლო — სერგო საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი იყო; უნივერსიტეტს ამ დარგში არ ჰყავდა პროფესიონალი, მაგრამ ლექციებს სხვა დარგთა სპეციალისტები კითხულობდნენ და ამიტომ იქ ადგილი არ ალმოჩნდა. მოულოდნელად ცეკას მესვეურებმა მოითხოვეს, რომ სერგო მათთან მიეღოთ და მართლაც, — ცეკაში, პროპაგანდის განყოფილების ხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა. იქ დიდხანს ვერ გაძლო და, განცხადება დაწერა — უნივერსიტეტში გადაყვანა ითხოვა; თხოვნა არ დაუკმაყოფილეს, მაგრამ მალე „იმელში“ გადაიყვანეს. მერე კი როგორ მოხდა, არ ვიცი — მეცნიერებას დაუბრუნდა და ისტორიის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა.



აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი

— **ანუ საბოლოოდ მაინც აისრულა წადილი?**

— რა თქმა უნდა... როგორც უკვე გითხარით, ტუბერკულოზი ჰქონდა და სამეცნიერო მუშაობაში ხელი ამიტომ ეშლებოდა. იმ პერიოდში წამალი — სტრეპტომიცინი ახალი გამოსული იყო და იმით მკურნალობდა. სხვა ძლიერმოქმედი პრეპარატები მაშინ არ არსებობდა. სერგოს სიკვდილამდე გვერდით ვედექი და როგორც შემეძლო, ვებრძოდი მის ავადმყოფობას... ის 1987 წლის 22 თებერვალს გარდაიცვალა... ჩვენ ერთი შვილი გვყავს, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება ჩემს მეუღლეს მივუძღვენი. მინდოდა და ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ ეცოცხლა, მაგრამ...

— **ქალბატონო ციცინო, როცა მესაუბრებით, აშკარად ვგრძნობ, რომ მეუღლესთან მართლაც დიდი სიყვარული გაკავშირებთ... გარდა ამისა, თქვენ მართლაც შთამბეჭდავად ალგვიწერეთ — თითქმის გააცოცხლეთ ის პერიოდი, რომელზეც ჩვენს თაობას გადმოცემით თუ გვსმენია; თქვენთვის კი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ასე რომ, ძალზე საინტერესო იყო თქვენთან საუბარი.** ■



სერგო მამულია (მარცხნივ) და ციცინო სანაძე (მარჯვენიდან მეორე) თავიანთ ლიტველ მეგობრებთან ერთად

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. კლოდ მონეს 8 შვილი ჰყავდა.
2. ქუთაისობას 2 მაისს აღნიშნავენ.
3. სუმოს საასპარეზო მოედანი ჩალის კანტით არის შემოზღუდული.
4. ხარება ჯიბუტს გიორგი შენგელაიას ფილმში ზურაბ ყიფშიძე ახმოვანებს.
5. „რევოლუციები ნაპოლეონით მთავრდება“, — უყვარს თქმა ლევან ბერძენიშვილს.
6. მერაბ კოსტავა მთაწმინდის პანთეონში იაკობ გოგებაშვილის გვერდით არის დაკრძალული.
7. ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე მსახიობისა და მხატვრული კითხვის ოსტატის, ტარიელ საყვარელიძის შვილია.
8. ნატო ვაჩნაძე თავად უჯდა შავი ფერის „ემ 1“-ის საჭეს. სამივე შვილს ჩაისვამდა ავტომობილში და ისე მიდიოდა კახეთში. ომის დაწყებისას მთავრობამ მისი ავტომობილი ფრონტზე გაგზავნა.
9. „რაც უფრო მეტ გამარჯვებას მოვიპოვებ, მით უფრო ნაკლებად უნდა მივენდო შემთხვევას, რადგან სამომავლოდ აღარც ერთი გამარჯვება იმდენს არ მომიტანს, რაც ერთ დამარცხებას შეუძლია, რომ წამართვას“, — ამბობდა იულიუს კეისარი.
10. ცნობილი ილუზიონისტი გარი გუძინი მუცლის პრესის სიძლიერის სადემონსტრაციოდ, თაყვანისმცემლებს უფლებას აძლევდა, მისთვის მუცელში მუშტი ჩაერტყათ. ამ ტრიუკის გამო მან შინაგანი ორგანოების დაზიანებით საავადმყოფოში ამოყო თავი და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.
11. მამამისის 57 შვილიდან ოსამა ბინ ლადენი მეჩვიდმეტე იყო. მსოფლიოს მასშტაბით ძებნილი ტერორისტი საბჭოთა კავშირთან ომის დროს ავღანელთა მხარეს იბრძოდა.
12. უცხოურ პრესას ნაპოლეონი ყოველთვის დილაობით ეცნობოდა. ინგლისურ და გერმანულ გაზეთებს მას წვერის პარსვის დროს უკითხავდა ადიუტანტი. ფრანგული პრესა ბონაპარტს არ აინტერესებდა. „ჩვენი გაზეთები მხოლოდ იმას ბეჭდავენ, რასაც ვუბრძანებ“, — ამბობდა იმპერატორი.
13. ვოლტერის მიმართ მტრულად განწყობილმა ლიტერატორთა ჯგუფმა მწერალს ხმები დაუყარა, ტრაგედია „ალზირა“ მისი დაწერილი არ არი-

# ცხვრებისა და თიკნების იგავი

შორენა მერკვილაძე

**იგავი „ცხვრები და თიკნები“ მოთხრობილია მათეს სახარების 25-ე თავში. უფალი მის თხრობას ასე იწყებს: „ხოლო როდესაც მოვა კაცის ძე თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება თავისი დიდების ტახტზე; შეიკრება მის წინაშე ყოველი ერი და გამოარჩევს ხოლმე თხებს ცხვრებისგან: ცხვრებს თავისგან მარჯვნივ დააყენებს, თიკნებს კი — მარცხნივ; ეტყვის მარჯვნივ მდგომთ: მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ საუკუნის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი — ვინაიდან მშიოდა და გამომკვებეთ, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი და მიმიღეთ, შიშველი ვიყავი და შემმოსეთ, სნეული ვიყავი და მინახულეთ, საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ; მას მართლები ეტყვიან პასუხად: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი და დაგაპურეთ? ან მწყურვალი და გასვით?.. მეუფე მიუგებს მათ პასუხად: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც კი გაუკეთეთ ერთ ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ. შემდეგ მარცხნივ მდგომთ მიმართავს: წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის — ვინაიდან მშიოდა და საჭმელი არ მომეცით, მწყუროდა და არ მასვით, უცხო ვიყავი და არ მიმიღეთ, შიშველი ვიყავი და არ შემმოსეთ, სნეული ვიყავი და საპყრობილეში, და არ მომინახულეთ; ისინი კი მიუგებენ პასუხად: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი, ან მწყურვალი, ან შიშველი, ან სნეული, ან საპყრობილეში და არ გემსახურეთ? მეუფე მიუგებს მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: როგორც არაფერი გაუკეთეთ არც ერთს ამ უმცირესთაგან, არც მე გამიკეთეთ, და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი — საუკუნო სიცოცხლეში“..**

იგავს განგვიმარტავს **მამა დიმიტრი ჯანგულაშვილი**:

— იგავში მწყემსში უნდა ვიგულისხმოთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელიც კეთილ მწყემსად მოევლინა კაცობრიობას, რათა გადაერჩინა — ეხსნა ღვთის სასუფეველისათვის დაკარგული ადამიანები და კვლავ სამოთხეში დაებრუნებინა. ცხვრებში იგულისხმებიან მართალი ადამიანები, რომლებიც ღვთის სჯულისა და კანონების მორჩილებით ემსგავსებიან ცხვრებს. ნე-



ტარი თეოფილაქტე ბულგარელი განმარტავს: „მართლებს ცხვრებივით მოაქვთ სარგებლობა კაცთათვის: თავიანთი მატყლით ისინი ღვთიურ საფარველს გვაძლევენ, რძით კი სულიერ საზრდოს გვაწვდიან“. თიკნები არიან ცოდვილები, დაუდეგარი ადამიანები, რომლებიც არ ემორჩილებიან არც სჯულს, არც ეკლესიას: „თიკნებივით ან უფსკრულის პირას დარბიან, ან ციცაბოზე დახეტიალებენ, საიდანაც შესაძლოა, გადაიჩეხონ და დაიღუპონ“... იგავში მაცხოვარი ზედმიწევნით აღწერს, თუ რა მოხდება საყოველთაო განსჯის დროს, როგორ, რის მიხედვით განისჯებიან ადამიანები და როგორი იქნება მართალთა და ცოდვილთა მისაგებელი, ამიტომაც „ცხვრებისა და თიკნების“ იგავს განმმარტებლები წინასწარმეტყველების შემცველ იგავად მიიჩნევენ. ამ იგავში წარმოჩენილია მთელი ქვეყნიერება, მთელი კაცობრიობა. ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, ეკლესიაში მართალნი და ცოდვილნი განურჩევლად არიან წარმომდგარნი ღვთის წინაშე. საყოველთაო სამსჯავროზე კი ისინი გამორჩევით წარდგებიან უზენაესი მსაჯულის წინაშე. ცხვრებისა და თიკნების ანუ მართლებისა და ცოდვილების განრჩევას, იგავის მიხედვით, უზენაესი მსაჯული ერთი საზომით განახორციელებს — ეს არის მათგან გაღებული მოწყალება, რაც თავისთავად მოყვასის სიყვარულსაც გულისხმობს: ღვთის სიყვარულთან ერთად, მოყვასის სიყვარული ხომ ის უმთავრესი მცნებაა, რაზეც ადამიანმა

თავისი ქრისტიანული ცხოვრება უნდა დააშენოს...

იგავიდან ნათლად ჩანს, რომ როდესაც ჩვენ გაჭირვებულთ და განსაცდელში ჩავარდნილთ შევეწევით, ვუწვდით დახმარების ხელს — თავად ქრისტესთვის გავიღებთ მოწყალებას. ამის მქმნელი ადამიანი სანაცვლოდ, უდიდეს ჯილდოს დაიმსახურებს — მარადიული ნეტარების სახით, როდესაც მაცხოვარი თავისგან მარჯვნივ დააყენებს... პატერიკებში მოთხრობილია ასეთი შემთხვევა: ერთ მონასტერში ცხოვრობდა ღვთისმოსაობითა და გლახაკებისადმი მოწყალებით გამორჩეული ბერი მარტირიოსი. მას მოძღვარი სხვა მონასტერში ჰყავდა, ამიტომ ხშირად უწევდა მონასტრიდან გასვლა. ერთხელაც ძირს დავარდნილ გლახაკს წააწყდა. წყლულებისგან დაუძლურებული, ადგომას ცდილობდა, მაგრამ ამის ძალა არ შესწევდა. ბერმა მანტია გაიხადა, დავრდომილი ზედ დააწვინა, შემდეგ ზურგზე მოიკიდა და მონასტრისკენ გაემართა. უკან მობრუნებულს აღარავინ დახვდა. მოულოდნელად ხმა მოესმა: „მარტირიოს, შენ არ უგულებელმყავ მე მიწაზე, მე არ უგულებელგყოფ შენ ზეცაში. შენ აქ შემიწყალე, მე კი საუკუნოდ შეგიწყალებ შენ“. მამათა ცხოვრებიდან არაერთი მსგავსი შემთხვევაა ცნობილი, ამიტომაც ბრძანებს მაცხოვარი: ყოველსა, რომელსაც მისცემთ ძმათა ჩემთაგანსა, მე მომცემთ“. უფალი ასევე ბრძანებს: „ყოველი, რომელი გლახაკთა თანა ჰყოფთ, ჩემ თანა ჰყოფთ“...

წმინდა წერილი გვამცნობს: „კეთილ არს ლოცვაი მარხვასა თანა და მოწყალებაი სიმართლესა თანა. უფროის ამათ ორთასავე უმჯობეს არს მოწყალებაი“... წმინდა მამებიც ბრძანებენ: „ჯერ მოწყალება გაეცი, რომ შენი ლოცვა ცაში დაიწეროსო“... როდესაც ადამიანი მომხვეჭელი არ არის, ადვილად გამცემია, შეუძლია გასაჭირში ჩავარდნილთა შეწევნა, მას გული გამთბარი აქვს და ადვილად შეუძლია უფლის მიღება თავის გულში...

მართალნი, რომლებიც ცხვრებს არიან შედარებულნი, როდესაც დადგებიან მარჯვნივ მეუფისა, მიმართავენ მას: „უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი და დაგაპურეთ? ან მწყურვალი და გასვით?..“ ეს იგავური თქმა მიანიშნებს მართალ ადამიანთა უმთავრეს თვისებაზე — თავმდაბლობაზე, სწორედ თავმდაბლობის გამო მიუგებენ უფალს ამგვარად. როდესაც ადამიანი სიკეთეს აკეთებს და ავიწყდება, ეს ნიშნავს, რომ კეთილ საქმეს უანგაროდ სჩადის. მოწყალების გაღებით, ჩვენ მხოლოდ მცირედ ნაწილს ვუბრუნებთ უფალს მის მიერ მოცემული საბოძვრიდან, იმას ვაკეთებთ, რაც გვევალება.

ერთ პატერიკსაც გავიხსენებ: ერთი ბერი, როდესაც მისგან მოწყალებას ითხოვდნენ, სხვების დასანახავად, ხელს ჰკრავდა მათ, ამ დროს კი ხელში მონეტას უდებდა; თუკი უპოვართ და ღარიბებს ცალკე შეხვდებოდა, ხელში მონეტას უდებდა და თან ხელზე ემბორებოდა. როდესაც სხვა ადამიანებიც წააწყდნენ ამ სიტუაციას, ჰკითხეს: მამაო, რატომ აკეთებ ამასო? მან კი მიუგო: როდესაც პატარა ვიყავი, ეკლესიიდან მომავალმა, გზაში მჯდარი ლატაკი დავინახე; მის წინ ვიღაც კაცმა ჩაიარა და ხელში პური ჩაუდო; ნათლად დავინახე, რომ მოწყალების მთხოვნელის ზურგს უკან მაცხოვარი იდგა; მან ჯვარი გადასახა კაცს, რომელმაც მოწყალება გაიღო. მაშინ დავინახე, რომ წყალობის ფარულად გამცემს ღმერთი აკურთხებს თავისი მარჯვენითო. პატერიკიდან ჩანს, რომ მოწყალება დაფარულად უნდა გავიღოთ. უფალიც ხომ პირდაპირ მოგვიწოდებს ამისკენ: „როცა მოწყალებას იქმ, დაე, შენმა მარცხენამ არ იცოდეს, რას იქმს შენი მარჯვენა, რათა შენი მოწყალება იყოს დაფარული და შენი მამა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგიზღავს შენ“...

იგავიდან ჩანს, რომ მოწყალებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სულის ცხონებისთვის, თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ მოწყალება აცხოვნებს კაცს; მარტოოდენ ხორციელი მოწყალების ქმნით მოვიპოვებთ ცხონებას და აღარც მარხვაა საჭირო, აღარც ლოცვა და აღარც სინანული თუ სხვა სათნოებათა მოპოვება. ჭეშმარიტი მოწყალება სწორედ ამ ქრისტიანულ საქმეებზე აღმოცენდება.

მარცხნივ მდგომთა — „თიკნების“ მიმართ მეუფის მიერ წარმოთქმული სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ უმძიმესი იქნება ხვედრი უმოწყალოთა და ცოდვილთა. როგორც ვთქვით, გაჭირვებულისა და გლახაკის მსახური თვით ქრისტეს მსახურია; რასაც გლაკახებს ვაძლევთ, ქრისტეს ვაძლევთ, და თუ არ მივცემთ, როგორღა მოვითხოვთ მისგან წყალობას?! გულმოწყალე უფალი ყველა ადამიანს ცხონებისთვის ქმნის და არა წარწყმედისთვის, ადამიანთა ხსნისთვის ყველაზე მძიმე სასჯელი — ჯვარცმაც კი იტვირთა და მოგვცა გზა ცხონებისა, მაგრამ გამოვიყენებთ თუ არა ამ ყველაფერს საკუთარი ცხონებისთვის, ეს თითოეული ჩვენგანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული.

„ცხვრებისა და თიკნების“ იგავით უფალი გვაფრთხილებს, — ვიყოთ სულიერად მღვიძარენი, ნუ მივეჯაჭვებით მხოლოდ მიწიერებას, რათა არ აღმოვჩნდეთ „მარცხნივ მდგომთა გვერდით“. ■



ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

სო. — მე გულწრფელად ვისურვებდი, რომ ეს სრული სიმართლე ყოფილიყო, — უთხრა მათ ვოლტერის ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, — ამ შემთხვევაში ჩვენ კიდევ ერთი დიდი მწერალი გვეყოლებოდა.

14. ნიკო ნიკოლაძე 20 წლის განმავლობაში იყო ქალაქ ფოთის თავი. თბილისი-ფოთის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის იგი ოქროს მედლით იყო დაჯილდოებული. ეს მედალი მას უფლებას ანიჭებდა, უფასოდ ემგზავრა მატარებლით რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე.

15. ხარაგაულის რაიონში მუშაობისას, ორი ახალბედა გეოლოგი ერთი სოფლის მახლობლად სიმინდის ყანაში მომუშავე ფეხშიშველა, თავწაკრულ გლეხკაცს შეხვდა. ყმაწვილების დანახვაზე გლეხმა სამუშაო მიატოვა და ახალგაზრდები იქვე მდგარი კაკლის ჩრდილში მიიპატიჟა. ცხელი დღე იყო და ყმაწვილებმა ცდუნებას ვერ გაუძლეს. გლეხმა, თითქოს ჯადოსნურ სუფრაზე, ისე გააჩინა ჩითის ჭრელ ნაჭერზე ტაბაკად შემწვარი ვარია, მჭადი, ჭყინტი ყველი, პრასი და დოქით ღვინო. ორიოდე სადღეგრძელოს შემდეგ მასპინძელმა სტუმრებს ჰკითხა, — რას ეძებთ ამ ტყე-ღრეში, ბიძიკოებოო? ყმაწვილებმა უბოროტოდ იხუმრეს, — ოქროს ვეძებთ და თუ ვიპოვეთ, გზას გამოგიყვანთო. აგაშენათ ღმერთმა, — გაუხარდა მასპინძელს, — თუმცა, თუ რამე გამეგება, ამაოდ დამშვრალხართ: ამ ახლომახლოში, ზედა-ცარცული სქელშრეებრივი კირქვების მეტი სხვა არაფერი მოიპოვება; მართალია, ისინი ალაგ-ალაგ ტრანსგრესიულად არიან განლაგებულნი ძირულის კრისტალური მასივის გრანიტებსა და სხვა ინტრუზიულ წარმონაქმნებზე, მაგრამ ამ კონტაქტების გამოსავლები ზედაპირზე აქ არსად მეგულება და კირქვებში კი, აბა, ოქროს რა უნდაო?! ყმაწვილებმა პირი დააღეს. რა იცოდნენ, რომ მათი მასპინძელი გლეხკაცი — სოფელში მშობლების სანახავად ჩასული, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ნანიტაშვილი იყო, რომელიც მშობლიური კუთხის გეოლოგიურ აგებულებას, ცხადია, ზედმიწევნით იცნობდა.

# „თქვენი შოუ“ თქვენი საყვარელი შოუ გახდება

**„რომ გითხრა, წიგნის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ დრო რომ მქონდეს, ახალ ნაწარმოებებს სიამოვნებით გავეცნობოდი“, — მითხრა „კომედი-შოუს“ მსახიობმა ამიკო ჩოხარაძემ. მას პროზაზე მეტად პოეზია იზიდავს, განსაკუთრებით, აკაკი წერეთლის შემოქმედება უყვარს. ლექსებს თავადაც წერს, მაგრამ ფართო საზოგადოების წინაშე გამოტანას არ აპირებს. პირველი წიგნი, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, ალექსანდრე დიუმას „გრაფი მონტე-კრისტო“ იყო. კითხვაზე — რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი? ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მპასუხობს, — გრაფი მონტე-კრისტოსთანო: გამბედაობითა და სულიერი სიძლიერით ხიბლავს; ამბობს, რომ ეს თვისებები თავადაც აქვს, ცხოვრებაში კი მეგობრებს ერთი ნიშნით ირჩევს — მათ ბოლომდე უნდა ენდობოდეს.**

*თამუნა კვინიკაძე*

### პრეამბულის მაგიერ

**— ამიკო, 10 მაისს „რუსთავი 2“-ის ეთერში „თქვენი შოუ“ დაიწყო, რომლის წამყვანებიც შენ და ფაქო (ლევან გოგორელიანი) ხართ. ამ პროექტზე რას იტყვი, ვისი იდეა იყო?**

— ეს არავისგან გადმოღებული პროექტი არ არის, ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის მოფიქრებული და გაკეთებულია. გადაცემა სამშაბათობით, 22 საათზე დაიწყება.

**— ამ დროს იმედზე „ნანუკას შოუ“ გადის; მაყურებლის მიზიდვას რით აპირებთ? „თქვენი შოუ“ ამ ფორმატის სხვა გადაცემებისგან რით იქნება განსხვავებული?**

— ჩვენ არა მხოლოდ იუმორისტული, არამედ სანახაობრივად ლამაზი, ორიგინალური ნომრები გვექნება.

**— როგორც ვხვდები, შენ და ფაქო მხოლოდ წამყვანები არ იქნებით.**

— იუმორისტულ ნომრებშიც მივიღებთ მონაწილეობას. ეს სტუდიური გადაცემაა, რომელსაც „კომედი-შოუს“ მსგავსად ჩავწერთ. „თქვენი-შოუ“ თქვენი საყვარელი შოუ გახდება.

**— წარმატებას გისურვებთ! ახლა კი დროა, კითხვარზე გადავიდეთ.**

— დავიწყოთ.

**— ეს მთა ისრაელის დაბლობზე, ქვემო გალილეაში, ნაზარეთიდან 9 კილომეტრში მდებარეობს. მთის თავზე 2 მონასტერია — მართლმადიდებლური და კათოლიკური. რომელ მთაზეა ლაპარაკი?**

— სხვა მინიშნებას ვერ მეტყვი?

**— იქ მოხდა იესოს ფერისცვალება.**

— თაბორის მთაზეა ლაპარაკი?

**— დიახ. ქართველთა რომელ ბრძოლაში მონაწილეობდნენ ჯვაროსნები?**

— დავით აღმაშენებლის დროს არ იყვნენ?

**— დავით აღმაშენებელმა არაერთი ბრძოლა...**

— (*მანიშნებს*) დიდგორის ბრძოლას ვგულისხმობ.

**— გამოიცანი. რა ეწოდება სამხედრო იარაღის გამოსაცდელ ადგილს?**

— პოლიგონი.

**— რომელი ნივთიერება სწევს თოვლის ტემპერატურას 0 გრადუსზე მაღლა?**

— არ ვიცი.

**— მარილი.**

— ა!!! მოყინულ გზაზე მარილს აყრიან. როგორ არ გამახსენდა?!



**— ვის პატივსაცემად ეწყობოდა ძველ საბერძნეთში ოლიმპიური თამაშები?**

— არ ვიცი.

**— ზევსის. „საკმარისია, ერთი უბრალო გასეირნება ფსიქიატრიულ კლინიკაში, რათა დარწმუნდე, რომ ძალა არაფერს ნიშნავს“, — რომელი ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსია ამ სიტყვების ავტორი?**

— ვერ გიპასუხებ.

**— ფრიდრიხ ნიცშე.**

— ნიცშეზე ვფიქრობდი და არ გითხარი.

**— ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონში“ რომელი ეკლესიის მოძღვარი იყო მამა იორამი?**

— არ მახსოვს.

**— ორთაჭალის სამების. შემდეგი კითხვა შენი საყვარელი ნაწარმოებიდან არის; იმედია, უპასუხებ: რა გზით მოახერხა ედმონ დანტესმა ციხესიმაგრე იფიდან გაქცევა?**

— გარდაცვლილი აბატის ადგილი დაიკავა.

**— სკოლაში ყველაზე კარგად რომელ საგანს სწავლობდი?**

— ფიზკულტურასა და ხატვას (*იცინის*). მაგრამ არა მხოლოდ ამ საგნებს — მათემატიკასა და ფიზიკასაც კარგად ვსწავლობდი, რადგან მამაჩემი ფიზიკოსია.

**— ფურცელზე ერთმანეთის მიყოლებით გიწერია: 7777. მათ შორის მიმატების, გამოკლების, გამრავლების ან გაყოფის ნიშნები ისე ჩაწერე, რომ ჯამში 2 მიიღო.**

— (*ფიქრობს*) 2 რომ მივიღო, 14 უნდა გავყო 7-ზე.

— **ეს სწორი პასუხი არ არის.**

— 7+7=14, მერე ამ ციფრს გავყოფ 7-ზე.

— **კიდევ ერთი 7-იანი რომ გრჩება?**

— რა უნდა გავაკეთო, მითხარი, რა...

— **7:7+7:7=2. ვინ გადაიღო მულტფილმი „ფიფქია და 7 ჯუჯა“?**

— უოლტ დისნეიმ.

— **ამჟამად რომელი ქალაქი მდებარეობს ანტიკური ქალაქის — დიოსკურიის ადგილზე?**

— სოხუმი.

— **ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რა ჰქვია ვაჭრობის ღმერთს, რომელიც ამასთანავე, მოგზაურთა მფარველადაც ითვლება?**

— ვერ გიპასუხებ.

— **ჰერმესი. რომელი მდინარის შენაკადებია კასისხევი, ლოპოტა და კაბალი?**

— კახეთშია; ალაზნის იქნება.

— **ეს გამოჩენილი მეფე 27 წლისა ავიდა ტახტზე და 65 წელი იმეფა...**

— ერთიანი საქართველოს მეფე იყო?

— **არა.**

— ფარნავაზზე ვფიქრობ, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ.

— **სწორი პასუხია. „თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა“, „ბროწეულის ყვავილივით ჰყვაოდა“, „ერთი მუჭა მიწის მიყრა ვერავინ გაუბედა ამ სილამაზეს“ — რომელ პერსონაჟს აღწერს ასე გიორგი ლეონიძე?**

— მარიტას.

— **მდედრობითი სქესის რამდენი მეფე ჰყავდა საქართველოს?**

— თამარ მეფე.

— **მხოლოდ ერთი?**

— რა თქმა უნდა.

— **ამიკო, ნუ ჩქარობ, დაფიქრდი.**

— (*პაუზის შემდეგ*) რამდენიც უნდა ვიფიქრო, ქალი მეფე მეტი არ გვყოლია და ვინ დავასახელო?!

— **რუსუდან მეფეს ვერ იხსენებ?.. შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ: ჩვენი თანამედროვე რომელი ქართველია გინესის რეკორდების წიგნში შესული?**

— ჯუმბერ ლეჟავა.

— **ვინ არის ავტორი ლექსისა — „გოგოვ, განახე ფეხშიშველი“?**

— არ ვიცი.

— **ვაჟა-ფშაველა. ყველაზე მეტი გაწვევა სცენაზე მიიღო მომღერალმა, რომელმაც 1988 წლის 24 თებერვალს დასავლეთ ბერლინის ოპერის თეატრში შეასრულა ნემორინოს პარტია დონიცეტის ოპერაში „სასიყვარულო სასმელი“: ტაში 1 საათსა და 7 წუთს გაგრძელდა, ხოლო ფარდა 165-ჯერ აიხადა. ვინ იყო ეს მომღერალი?**

— მინიშნებას ვერ მეტყვი? ცოცხალია?

— **არა.**

— ლუჩანო პავაროტიზე ვფიქრობ.

— **ნამდვილად ასეა. რა შეიძლება იყოს ბლაგვიც, მართიც და მახვილიც?**

— კუთხე.

— **ზესტაფონი, ქუთაისი, თბილისი და გორი — ამ ქალაქებიდან რომელია უძველესი?**

— ქუთაისი.

— **რომელ ჟანრს განეკუთვნება ცეკვა „ქართული“?**

— ჟანრებს ვერ მეტყვი?

— **სატრფიალოს, სახუმაროს თუ საომარს?**

— სატრფიალოს.

— **ვინ დაწერა „რევიზორი“ და „მკვდარი სულები“?**

— ნიკოლაი გოგოლმა.

— **სარდინია, სიცილია, კორსიკა — ხმელთაშუა ზღვის ამ კუნძულებიდან რომელია ყველაზე პატარა?**

— სარდინია.

— **ცდები.**

— აბა, კორსიკა?

— **რა თქმა უნდა. ვინ არის ავტორი ცნობილი ფერწერული ტილოსი — „იმერეთი — დედაჩემი“?**

— ეს მართლა არ ვიცი.

— **დავით კაკაბაძე. წარმოიდგინე, რომ დედამიწის გარშემო მოგზაურობ; აღმართი უფრო მეტი შეგხვდება თუ დაღმართი?**

— (*იცინის*) ორივე თანაბრად იქნება.

— **გოეთემ მასზე თქვა: „ის ჩინებული უნდა იყოს ან სულაც არ უნდა იყოს“; შლეგელი ფიქრობდა: „ის არის მუსიკალური გამოხატულება ადამიანის სულიერი მოძრაობისა“; რუსი პოეტი ბრიუსოვი კი წერდა: „ის ადამიანის სიტყვით სარგებლობის ხერხთა შორის ყველაზე სრულქმნილია“. რის შესახებ ამბობდნენ ამ ყველაფერს?**

— პოეზიის შესახებ ხომ არა?

— **გამოიცანი. „ლამაზი ქალი სხვისაა,/ ლამაზი ქალი მტრისას,/ თავს მოგჭრის, ძმაო, ნისიად,/ ისეთ რამეებს იზამს./ ჭკვიანი ქალი რად გინდა?/ ჭკვიანი ქალი — მტრისას!/ თავს დაგაჯდება, გაგქირდავს/ და ამოგიხმობს ტვინსა./ მდიდარი — ჭირვეულია,/ მდიდარი ქალი — მტრისას,/ ღარიბი — სულწასულია,/ სხვისი შეაცდენს ქისა.../ ...თქვენ, ვაჟბატონო, რამდენი/ ცოდვა გდებიათ კისრად,/ ჰაუ, რამდენი ოჯახი/ აშენებულა მტრისას.../“ ვინ არის ამ ლექსის ავტორი?**

— შოთა ნიშნიანიძე.

— **ამ დამწერლობაში 40 ათასზე მეტი სიმბოლოა; რომელ დამწერლობაზეა ლაპარაკი?**

— ჩინურზე.

— **მან პიანისტის კარიერა ხელის თითების დამბლის გამო მიატოვა; მთელი ცხოვრება მუსიკის კრიტიკოსობას მიუძღვნა. ერთხელ, როცა შოპენის ვარიაციები მოისმინა, განაცხადა: „ქუდი მოიხადეთ, თქვენ წინაშე გენიოსია“. დაასახელე ეს პიროვნება.**

— ე.ი. შოპენის თანამედროვე იყო. (*ფიქრობს*) ვერ დავასახელებ.

— **შუმანი. „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიაზე გამარჯვებულებს ნანატრ სტატუეტებს ართმევენ და რამდენიმე დღის შემდეგ უბრუნებენ; რატომ?**

— მათზე მფლობელის სახელი და გვარი ხომ უნდა ამოტვიფრონ!

— **ვის მიმართა დახმარებისთვის წრუწუნამ მულტფილმში — „წუნა და წრუწუნა“?**

— იმას რა ერქვა?

— **მეც ამას გეკითხები.**

— (*ფიქრობს*) ფიცხელას.

— **დაბოლოს, დაასრულე ფრანკლინის ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ ფულს ყველაფერი შეუძლია, ისეთი პიროვნებაა, რომელიც წავა ყველაფერზე...“**

— „...ფულის გამო“.

■

# ცრუ თუ ნამდვილი სიყვარული?

**არც ისე იოლია ცრუსიყვარულის ნამდვილისგან გარჩევა, არც იმის გაგებაა ადვილი — ნამდვილად უყვარხართ თუ არა თქვენს საყვარელ ადამიანს. სიყვარული ხომ გრძნობათა მთელი ქარიშხალია — ხან ქრება, ხან კი ძლიერად უბერავს. თანამედროვე ცხოვრების გიჟურ რიტმში, სადაც გულგრილობა უფრო და უფრო იკიდებს ფეხს, მხოლოდ სიყვარული გვევლინება ხელშეუხებელ სიწმინდედ. ყველას აქვს სურვილი იპოვოს ის — ერთადერთი... ეს მწველი სურვილი გვიბიძგებს აქტიურობისაკენ. ამიტომ ვჩქარობთ და ლამის პირველივე შემხვედრთან, გულმოდგინედ ვქმნით ჩვენი სიყვარულის ისტორიას — ფანტაზიის, გამოცდილებისა და მოლოდინის დახმარებით. თუმცა დაფიქრება ჯობს — იქნებ ჩვენი სიყვარული უბრალოდ — ჩვენივე ფანტაზიის ნაყოფია, ან ჩვენი საფარველია მარტოობისა და უაზრო არსებობისაგან? ამის გარკვევაში დაგეხმარებათ ქვემოთ მოყვანილი ნიშნები, რომლებიც ცრუსიყვარულს ახასიათებს.**



ცრუსიყვარულისას მკაცრად მივდევთ სიყვარულის კანონებს, წესებს და რიტუალებს. გვეჩვენება, რომ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია, ვერ ვსუნთქავთ, ვერ ვიძინებთ, ჩვენი ცხოვრების ყოველ წამს ვუთანხმებთ ერთმანეთს, მოკლედ, ერთ მთლიანობად ვართ ქცეულნი... მაგრამ პირველივე შეცდომის დაშვებისას სიყვარულს ბზარი უჩნდება. არადა გვეგონა, ჭეშმარიტი გრძნობა გვაკავშირებდა. ვიწყებთ ანალიზს — რატომ მოხდა ასე? სად დავუშვით შეცდომა?.. შემდეგ გვეწყება დეპრესია და ბოლოს მივდივართ დასკვნამდე — ეს ის ადამიანი არ იყო და მორჩა!

გარკვეული ხნის შემდეგ ვხვდებით სხვას და ხელახლა იწყება უძილო ღამეები, ახალი სიყვარული და მასთან დაკავშირებული ხლაფორთი. თუმცა დაფიქრება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გვმართებს: ცრუსიყვარულის მთავარი პრობლემა იდეალიზმია. ხშირად ჩვენი სიყვარულის ობიექტი რაღაც თვისებით არ ემსგავსება წარმოდგენილ იდეალს და სწორედ ამ დროსაა განწირული ჩვენი გრძნობა კრახისთვის.

### როგორ გავარჩიოთ ნამდვილი სიყვარული ცრუსაგან?

პირველი ნიშანი ცრუსიყვარულისა არის **„იდეალიზმი“** — ანუ გიყვართ, მაგრამ ისევ განაგრძნობთ იდეალის ძებნას.

**მთელი პასუხისმგებლობის მეორე მხარისთვის დაკისრება**

რამე პრობლემაა? — ე.ი. ეს მამაკაცის ბრალია, მას ხომ მცირე ხელფასი აქვს, ამავე დროს ძალზე მოსაწყენი და უინტერესოა — ხშირად ფიქრობენ ქალები და ამით ისედაც განელებულ გრძნობას უფრო უთხრიან ძირს.

**მოთხოვნების წაყენება, პრეტენზიები და კრიტიკა**

დაიმახსოვრეთ — კრიტიკა და ჭეშმარიტი სიყვარული შორი-შორსაა ერთმანეთისგან.

**წარსულზე დამოკიდებულება და მომავლის შიში**

ზოგს ჩვევად აქვს, მისტიროდეს წარსულს, იმის მაგივრად, რომ დღევანდელი ბედნიერებით დატკბეს. ასეთი ადამიანები ნერვიულები არიან, მათთან ურთიერთობა ძნელია. ისინი ყველა კონფლიქტს და წყენას ეგრეთ წოდებულ „მეხსიერების სკივრში“ ინახავენ და განშორებისას მთავარ არგუმენტად იყენებენ: მთელ ამ ნეგატიურ ენერგიას თავზე გადმოაფრქვევენ ყოფილ შეყვარებულს და ახალი მსხვერპლის საძებნელად გაეშურებიან. ■

## იოგურტი სახისთვის

თუ სტუმრად, რაიმე შეხვედრაზე ან პაემანზე მიდიხართ, დრო კი ძალზე ცოტა გაქვთ, გირჩევთ, მაცივრიდან გამოიღოთ იოგურტი (ჯობს, ნაკლებცხიმიანი და ხილის გარეშე), სახეზე სქელ ფენად წაისვათ და 5-10 წუთის შემდეგ თბილი (და არა — ცხელი) წყლით ჩამოიბანოთ. ეფექტი ნამდვილად გაგაოცებთ. საქმე ისაა, რომ რძის მჟავა სახეს არასასურველ სიწითლეს (მოწითალო ლაქებს) და შესივებას მომენტალურად უქრობს და კანს არნახულად სწრაფად ამშვიდებს. შემდეგ შეგიძლიათ გაიკეთოთ მაკიაჟი — კანის გაღიზიანების ნუ შეგეშინდებათ. ■





## დამცავი საშუალება ხელებისათვის

ფხვნილების, საწმენდი პასტებისა და სარეცხი სითხეების ხმარებისგან ხელის კანი ღიზიანდება. ამის თავიდან ასაცილებლად უნდა გამოიყენოთ კანის დამცველი და დამარბილებელი კრემები. კარგი საშუალებაა სითხე, რომელიც სახლშიც შეგიძლიათ დაამზადოთ: 0,5 ჭიქა გლიცერინს შეურიეთ მცირე რაოდენობის ოდეკოლონი და ლიმონის მჟავას რამდენიმე კრისტალი ან 0,5 ს/კ ძმარი. ეს სითხე დღეში რამდენჯერმე უნდა შეიზილოთ ხელის კანში. ■

# 10 მითი სილამაზის შესახებ

**რა გიშლით ხელს, იმაზე უკეთ გამოიყურებოდეთ, ვიდრე ხართ? დროის დეფიციტი? უსახსრობა? — ალბათ, ყველაზე ხშირად, სურვილის არქონა და მცდარი შეხედულებები. არსებობს რამდენიმე მცდარი მოსაზრება, რომელიც სასურველია გაითვალისწინოთ, რათა ლამაზები და მოხდენილები იყოთ.**

### ივარჯიშეთ და წონაში დაიკლებთ

მხოლოდ ჩვეულებრივი ტანვარჯიშითა და დილის გამამხნევებელი ვარჯიშით გახდომა შეუძლებელია. იმისთვის, რომ წონაში 1 კგ დაიკლოთ, დღეში 8000 კალორია მაინც უნდა დახარჯოთ, მაშინ, როდესაც ნახევარსაათიანი ვარჯიშის შედეგად ორგანიზმი მხოლოდ 300 კალ-ს კარგავს. თუმცა, ტანვარჯიში სხვა სპეციალურ საშუალებებთან ერთად, გახდომაში ნამდვილად დაგეხმარებათ.

### საუნაში ზედმეტ წონას დაკარგავთ

საუნაში ოფლის გამოყოფის ხარჯზე მართლაც კარგავთ დაახლოებით 2 კგ-მდე წონას, რაც ორგანიზმიდან წყლის აორთქლების ხარჯზე ხდება. სამწუხაროდ, „ზედმეტი კილოგრამები“ ძალიან მალე — რამდენიმე საათში აღდგება.

არსებობს ისეთი დიეტები, რომელთა საშუალებით ერთხელ და სამუდამოდ გახდებით.

ნებისმიერი დიეტა ნიშნავს ადრენალინის გამოყოფის შემცირებას, რომელიც ცხიმების წვის ხელშემწყობია. ასე რომ, დიეტის კურსის გავლის შემდეგ წონაში მალევე მოიმატებთ, თუ არ აკონტროლებთ კვების რაციონი, არ შეზღუდავთ ცხიმებისა და შაქრის მიღება.

### რაც უფრო იშვიათად ჭამთ, მით მალე იკლებთ

ადამიანმა დღეში 3-ჯერ მაინც უნდა იკვებოს. თუ მან საუზმე გამოტოვა, მაშინ სადილად 2-ჯერ მეტს შეჭამს; ხოლო თუ სადილის გამოტოვებაც ხშირად უწევს, ამ ყოველივეს რეჟიმიდან ამოვარდნა მოსდევს, ორგანიზმი ვეღარ ახერხებს ზედმეტი კალორიების დაწვას და მას ცხიმის სახით ინახავს. მღრღნელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ 3-ჯერადი კვებისას მათი წონა უცვლელი დარჩა, მაშინ, როცა ერთჯერადი კვების შედეგად იმავე რაოდენობის საკვების მიღებისას, წონის შესამჩნევი მატება დაფიქსირდა.

### ხილი არასუქებს

ნებისმიერი ხილი შაქარს შეიცავს, ე.ი. ორგანიზმს კალორიებით ამარაგებს. ზოგი სახეობის ხილი, მაგალითად, ბანანი, ყურძენი, გაცილებით აქტიურად „ეხმარება“ ორგანიზმს წონის მომატებაში, ვიდრე პურეული და საკონდიტრო ნაწარმი. ამიტომ თუ ხილის დიეტაზე ხართ, მიირთვით საზამთრო, გრეიპფრუტი, ქოლო, მარწყვი, ქლიავი, ანანასი. სხვათა შორის, ანანასიც შაქრით საკმაოდ მდიდარი, მაგრამ წონისთვის უსაფრთხო ხილია, რადგან შეიცავს ბრომელინს — ნივთიერებას, რომელიც ცხიმებს წვას უწყობს ხელს.



### ხალებისა და პიგმენტური ლაქების მოცილება არ შეიძლება

თუ ხალები და პიგმენტური ლაქები სხეულის ისეთ ადგილებში გაქვთ, სადაც ხახუნის დიდი ალბათობაა, ან ისინი ფერსა და ზომას იცვლის, აუცილებლად უნდა მოიცილოთ, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ სპეციალისტის დახმარებით.

### დეკორატიული კოსმეტიკა კანს აფუჭებს

მაკიაჟი არანაირად არ მოქმედებს კანის მდგომარეობაზე, თუ რასაკვირველია, ხარისხიან კოსმეტიკას იყენებთ. კარგი კანი, პირველ რიგში, მემკვიდრულ ფაქტორზეა დამოკიდებული, შემდეგ — ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, და ბოლოს — ასაკზე. ჯანმრთელ, მოვლილ კანს კოსმეტიკური საშუალებები ვერაფერს დააკლებს.

### ტონალური კრემი და მაკიაჟის ქვეშ გაკეთებული დამცავი საფარი, კანს სუნთქვას უშლის

თანამედროვე საშუალებები იმდენად დახვეწილია, რომ არანაირად არ შეიძლება კანს სუნთქვაში ხელი შეუშალოს. ჯანმრთელი კანი შესანიშნავად უძლებს ასეთ საფარს. პირიქით, მისი მეშვეობით კანი საიმედოდაა დაცული ქარისა თუ მზის მავნე ზემოქმედებისგან; გარდა ამისა, დამცავი საფარი ხელს უწყობს კანის ტენიანობის შენარჩუნებას.

### A ვიტამინი ხარისხიანი ნამზეურის გარანტიაა

სინამდვილეში A ვიტამინს ნამზეურთან არანაირი კავშირი არა აქვს. ეს მცდარი აზრი შესაძლებელია იქიდან წარმოიშვა, რომ კაროტინის გადაჭარბებული რაოდენობით მიღებისას კანი მოყვითალო ელფერს იღებს.

### სახის კუნთების ვარჯიში ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს

ნაოჭები, უპირველეს ყოვლისა, კანის დაბერების ნიშანია და გამოწვეულია კოლაგენის ნაკლებობით. ამ პროცესის შეჩერება არაფერს — მათ შორის არც ვარჯიშებს — შეუძლია. სამაგიეროდ, ვარჯიში კანის ელასტიკურობის შენარჩუნებაში ეხმარება და მიმიკური ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს.

■

## ფლავი უზბეკურად



ერბო (ან მცენარეული ცხიმი) კარგად ადუღეთ, ჯერ ჩაყარეთ ხახვი და შეწითლებამდე შუშეთ, შემდეგ — წვრილად დაჭრილი საქონლის (შეგიძლიათ ქათმისაც) ხორცი. ჩააჭერით სტაფილო. ეს ყველაფერი ერთად ხრაკეთ. დაუმატეთ 3-4 ცალი პომიდორი (ან — 1 ს/კ ტომატი) და ცოტაოდენი ძირა. ხრაკეთ ხორცის დარბილებამდე. შემდეგ დაასხით 1 ლ წყალი, ხარშეთ კიდევ ნახევარი საათი. დაუმატეთ ნახევარი კილო ბრინჯი და ქვაბს თავზე მჭიდროდ დაახურეთ. ხარშეთ 20 წუთი — თავიდან მაღალ ცეცხლზე, შემდეგ — დაბალზე. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ძმარი და მისი სამკურნალო თვისებები

**ძმარი ყველასათვის კარგად ცნობილი სითხეა. მას ღვინისა და ვაშლისგან რომ ამზადებენ, არც ეს წარმოადგენს ვინმესთვის საიდუმლოს, მაგრამ ბევრი სხვა, ჩვენი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ძმარიც არსებობს. ადამიანების უმეტესობა კი მხოლოდ ე.წ. სინთეტიკური — სუფრის ძმრით სარგებლობს.**



## მარტივი აღმოჩენა

ძმრის შესახებ კაცობრიობამ 10 ათას წელზე მეტია, იცის და მის წარმოშობას ყურძენს უნდა ვუმადლოდეთ. დიდი ხნის წინ ადამიანებმა შეამჩნიეს, რომ თუ ღვინიან ჭურჭელს 2-3 კვირას თავღია დატოვებდნენ, ის მომჟავო გემოს მიიღებდა და ძმრად იქცეოდა. ვიღაცას რატომღაც თავში აზრად მოუვიდა, არ გადაეღვარა ეს მომჟავე ღვინო და მისთვის სხვა დანიშნულება მოეძებნა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ეს ახალი პროდუქტი უნიკალურ თვისებებს ავლენს:

*ხელს უშლის პროდუქტების გაფუჭებას;

*წყალს ადეზინფიცირებს;

*არბილებს ხორცის ბოჭკოებს და მას მრავალ სენს აშორებს;

*წყურვილის გრძნობას კლავს;

*კარგ გემოს სძენს კერძს.

ამ აღმოჩენის შემდეგ, ღვინის სპეციალურად დაძმარება დაიწყეს. ასე გაჩნდა: თეთრი და წითელი ღვინის ძმარი; ვაშლის, ბრინჯის და კიდევ მრავალი პროდუქტისგან დამზადებული ძმარი. ბოლოს და ბოლოს, საქმე სინთეტიკური ძმრის შექმნამდეც მივიდა.

## ღვინის ძმარი

ბევრ ქვეყანაში, ვაშლის ძმრის გარდა, ღვინის ძმარსაც იყენებენ. ყურძნის ძმარი შაქრის შემცველობის მხრივ, ვაშლის ძმარზე უფრო მდიდარია. ის არც ორგანულ მჟავათა ნაირფეროვანი ასორტიმენტით ჩამორჩება სხვას. კერძოდ, შეიცავს: ღვინის, ჭიანჭველას, ასკორბინისა და სხვა მრავალ მჟავას. სხვათა შორის, სწორედ ორგანული მჟავეებია ძმრის სამკურნალო თვისებების განმაპირობებელი.

ღვინის ძმრის საშუალებით მკურნალობენ:

*ორგანიზმის საერთო სისუსტეს;

*ნერვული სისტემის გადაძაბვას;

*სისხლნაკლულობას.

როგორც წესი, ორგანიზმში ამგვარი ცვლილებები ნივთიერებათა ცვლის მოშლითა და უმადობით მიმდინარეობს; სწორედ ამ დროს შველის ძმარი. ის დადებითად მოქმედებს სისხლის მიმოქცევაზე, ხელს უწყობს დაბალი წნევის მატებას და მაღალი წნევის დაკლებას (ანუ არეგულირებს წნევას). თუ ვაშლის ძმარი საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას არეგულირებს, ღვინის ძმარი დადებითად მოქმედებს სასუნთქი სისტემის ფუნქციონირებაზე. მას ამოსახველებელი მოქმედებაც აქვს და ამიტომ იყენებენ: ბრონქიტის, პლევრიტის და ტუბერკულოზის საწყის სტადიაში.

ღვინის ძმარი თაფლთან ერთად, განსაკუთრებით კარგად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის სისტემაზე, კერძოდ — შველის ფაღარათის დროს, აგრეთვე ნაღვლის ბუშტისა და თირკმლების კენჭოვანი დაავადების სამკურნალოდაც გამოიყენება.

ღვინის ძმრის შეძენა შესაძლებელია მაღაზიაში, მაგრამ მისი მომზადება სახლშიც შეიძლება. ამისათვის იღებენ 1,5 კგ დაჭყლეტილ ყურძენს, ათავსებენ 3-ლიტრიან მინის ქილაში, ამატებენ 200 გ შაქრის ფხვნილს,ასხამენ 1,5 ლიტრ წყალს; შემდეგ ქილას თავზე აფარებენ დოლბანდს და დგამენ ნათელ ოთახში, რათა დუღილის პროცესი დაიწყოს. ძმარი მზად იქნება 3 თვის შემდეგ. მას ნალექს მოხდიან და ბოთლებში ასხამენ. ამ წესით დამზადებულ ძმარს აქვს კარგი გემო, არომატი და შეიცავს 5%-იან ძმრის მჟავას.



## ძველრომაული რეცეპტი

რომის იმპერიაში ძმრის ბალზამის მომზადება იცოდნენ. ეს საიდუმლო რამდენიმე იტალიური კლანის გამდიდრების საფუძველიც კი გახდა. ძმარს, რომელმაც ასწლეულებს გაუძლო და რამდენიმე საიდუმლო ინგრედიენტს შეიცავს, არაჩვეულებრივი არომატი და თვისებები აქვს. ძმრის სულ რამდენიმე წვეთს ასმევდნენ ახალდაქორწინებულებს, სასიყვარულო ვნების აღსაძვრელად. ის ბევრი სენისგან არჩენდა; საუცხოოდ ებრძოდა უძილობასა და დეპრესიას. დღეს ამ არომატულ ძმარს ოქროს ფასი ადევს — გურმანები ერთ ბოთლში 1.000 დოლარს იხდიან! ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არასდროს გვიწერია ამ ბალზამის გასინჯვა. მისი მომზადება შესაძლებელია, თუ ღვინის ან ვაშლისძმრიან ბოთლში ჩავამატებთ: ტარხუნას, თავშავას, მელისას, პიტნას, ქინძსა და სხვა სუნელს. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო და სასარგებლო რეცეპტს.

## ძმარი ტარხუნით

ნახევარლიტრიან ბოთლში ჩასხმულ ძმარს დაუმატეთ 2-3 ღერო ახალი ტარხუნა.

ტარხუნიანი ძმარი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, რეკომენდებულია ინტოქსიკაციებისა და კუჭის დაავადებების დროს. არაჩვეულებრივ გემოს აძლევს სალათებს, განსაკუთრებით — ჭარხლისა და კომბოსტოსგან მომზადებულს.

## ძმარი უსუპით

1 ბოთლ ძმარს დაუმატეთ უსუპის 5 აყვავებული ღერო. ეს ძმარი საუკეთესო გემოს აძლევს ზღვის პროდუქტებს, თევზს, ხორცს. ხოლო ჩაისთან ერთად (ჭიქა ჩაიზე 1 ს/კ ძმარი) გამოიყენება გაციების, ხველის და გრიპის დროს.

## ძმარი ნივრითა და ლიმონით

1 ბოთლ ძმარს დაუმატეთ ერთი კბილი დანაწევრებული ნიორი, ლიმონის პატარა ნაჭერი და 3-4 ღერი კამა. ამ ძმრის სამკურნალო თვისებები ძალზე მრავალმხრივია:

*იმუნომოდულატორი;

*ანთების საწინააღმდეგო;

*გაციების საწინააღმდეგო;

*გრიპის საწინააღმდეგო;

*ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო.

## ვაზის ფოთლებისგან მომზადებული ძმარი თავშავათი

500 გ გაურეცხავ ვაზის ფოთლებს დაასხით 1 ლ ანადუღარი თბილი წყალი და დაუმატეთ 200 გ შაქარი. დააფარეთ დოლბანდი, დადგით სითბოში და ხშირად ურიეთ. 50-60 დღის შემდეგ, როცა დუღილის პროცესი დასრულდება, ძმარი გადაასხით თავშავაჩაყრილ მინის ბოთლში (ნახევარლიტრიან ბოთლში ჩაყარეთ 50 გ თავშავა) და დაახურეთ თავზე.

## მაღაზიაში ვერ შეიძენთ

მეტისმეტად სასარგებლოა კენკროვანი ხილისგან დამზადებული ძმარი. ის ნაკლებად მჟავეა და ცივ წყალში გახსნისას გარდაიქმნება საუცხოო ვიტამინიზებულ ხილის სასმლად. ასეთ ძმარს მაღაზიაში ვერ შეიძენთ, ამიტომ მისი მომზადება დამოუკიდებლად მოგიწევთ. მთავარია, გადაწყვიტოთ, თუ რომელი ხილისგან მოამზადებთ მას — თითოეულ მათგანს ხომ განუმეორებელი თვისებები აქვს:

*შავი მოცხარის ძმარი — პოლივიტამინური პროდუქტია; ახასიათებს ღვინის ძმრის მსგავსი ზოგადგამაჯანსაღებელი მოქმედება; ორგანიზმიდან პურინული ნივთიერების გამოყოფას უწყობს ხელს და ამიტომ გამოიყენება რევმატიზმისა და პოდაგრის სამკურნალოდ;

*სიცხის დამწევი, მაყვლისა და ჟოლოს ძმარი შველის გაციებისას, მაღალი ტამპერატურისა და თავის ტკივილის დროს;

*ალუბლის ძმარი დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ამშვიდებს და ხსნის აგზნებას;

*მარწყვის ძმარი სასარგებლოა გულისთვის, შლის თირკმლის კენჭებს და ხელს უშლის ახლის წარმოქმნას;

*წითელი მოცხარის ძმარი — სიცხის დამწევია და ხელს უწყობს მარილების გამოდევნას ორგანიზმიდან;

*ქაცვის ძმარი ჭრილობების შეხორცებას უწყობს ხელს;

*მოცვის ძმარი აუმჯობესებს მხედველობას;

*შტოშის ძმარს აქვს ბაქტერიოციდული მოქმედება; სასარგებლოა წინამდებარე ჯირკვლის ფუნქციონირებისთვის;

*წითელი მოცვის ძმარს ანტისეპტიკური მოქმედება აქვს.

ძმრის ამ სახეობათა მომზადება ნებისმიერ დიასახლისს ძალუძს.

**ხილის ძმრის მომზადების გამარტივებული რეცეპტი:**

თქვენ მიერ შერჩეული ხილის ახალგამოწურული წვენი ჩაასხით მინის ქილაში, ჩადეთ ჩვეულებრივ ძმარში დასველებული შავი პურის ნატეხი, ქილას დაახურეთ დოლბანდი და დადგით თბილ ადგილას 3-4 კვირით.

ამის შემდეგ მზა ძმარი გადაასხით ბოთლში და თავსახური დაუცვეთ.

## ვაშლის ძმრის მომზადება

აუცილებელია უსასუქო, გადამწიფებული ვაშლის გამოყენება. ამასთან, ვაშლის ხე არ უნდა იყოს დამუშავებული მავნე ქიმიური ნივთიერებებით. კარგად გარეცხვის შემდეგ ვაშლი წვრილად უნდა დაჭრათ ან დაჭყლიტოთ და მოათავსოთ ემალირებულ, ღრმა ჭურჭელში. შემდეგ დაასხით მდუღარე (65-70 გრადუსი) წყალი, ისე, რომ ვაშლი 3-4 სმ-ით გადაფაროს. 1 კგ ტკბილ ვაშლზე დაამატეთ 50 გ შაქარი, ხოლო თუ მჟავეა — 100 გ. ჭურჭელი დადგით თბილ ადგილას, მაგრამ არა მზეზე. პერიოდულად ურიეთ და 2 კვირის შემდეგ გაწურეთ 2-3 ფენა დოლბანდში; გადაასხით დიდ ქილაში (ქილას შევსებამდე 5-7 სმ მაინც უნდა აკლდეს, რათა დუღილის პროცესში არ გადმოვიდეს) და კიდევ 2 კვირა გააჩერეთ. შემდეგ არ აურიოთ, ისე გადაასხით ბოთლებში (არ შეავსოთ ბოლომდე) და თავი დაახურეთ. თუ დიდხანს შენახვა გსურთ, საცობს პარაფინი გადაასხით. დადგით ბნელ ადგილას 4-დან 20 გრადუს ტემპერატურამდე. ■

**P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.



# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

## მცხეთის ქალაქს მირონი დუღს...

მცხეთის ქალაქს მირონი დუღს,
მზის და ვაზის მირონი,
ბებერ ქვებში ღაღადებენ საქმენი
საგმირონი.
იღაღადეთ ფუძის ქვანო,
ქვანო საგუმბათონო,
მცხეთას ხომ არ მიბრძანდებით,
კონსტანტინე ბატონო?
ბულბულს როგორ არ ესტვინა
იბერიის ბაღთათვის,
არ მოევლო პალესტინა,
კილიკია, ბაღდათი.
მოიარე საქართველო მეროჩიკე
ბერივით,
მოიძიე მონასტრები, ჟამით გადაბელილი.
გაწოლილა ქვაში ხავსად
ჟამი – ნაალაპარი,
ხომ არ ამხელს ხვაშიადსა
ქვის გრძნეული ზღაპარი?..
მკათათვეში თრიალეთზე ცაა უკაბადონო,
იქნებ კვეტარს ესტუმრებით,
კონსტანტინე ბატონო!
ვის დაჭრილი მეციხოვნე ჭირის
ოფლგადასხმული,
შენი სიტყვის მალამოთი
გაამართლე წარსული.
გადმოდგება ქართულ მთებზე
დილა საიადონო
და ქუდს გიხდით საქართველო,
კონსტანტინე ბატონო.



*შოთა ნიშნიანიძე*

# სახსოვარი

## ქართული ანდაზები

- ბატონი ცხენზე ვერ დაჯდა, მეჯინიბეს გაუწყრაო.
- ერთმანეთისა ბაძვითა სახლი აივსო ნაგვითა.
- ადამიანი ჯოჯოხეთსაც ეჩვევაო.
- აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო.
- ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო.

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### კ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-18, 2011

**კუმსი** — ხშირი და მჭიდროდ განლაგებული მარცვლების მქონე.

**კუმში** — 1. იგივეა, რაც კუმსი; 2. იგივეა, რაც შეკუმშული (კუმში ჰაერი).

**კუნკრუხი** (საუბ.) — ცხენის უხეირო ტარება.

**კუნკული** — ჩქარი სიარული ბავშვებისა და მოხუცებისა.

**კუნკულა** — 1. ბერების თავსაბურავი — მაღალი ქუდი უკან ჩამოშვებული საბურავით; 2. ქსოვილის ნაჭერი, რომელშიც ხვევდნენ ემბაზიდან ამოყვანილ ახალმონათლულ ბავშვს.

**კუნწუხი** — კენწერო (ხისა).

**კუნჭული** — 1. ბადის ან ნაქსოვის კუთხე (ტომრის კუნჭულში ჩარჩენილი მარცვლები); 2. კუთხე შენობაში, სადგომში; 3. (გადატ.) კუთხე, ნაწილი (ქვეყნისა).

**კუპრიელი** — ტიკი, ტიკჭორა.

**კურანტი** ფრ. — კოშკის საათი, რომელიც დროგამოშვებით რეკავს და ასრულებს რაიმე პატარა მუსიკალურ ნაწარმოებს.

**კურაპალატი** ბერძ. (ისტ.) — ბიზანტიური სამოხელეო წოდებულება. აკუთვნებდნენ ქართველ მეფეებსა და მთავრებს IX-XI საუკუნეებში.

**კურატი** — გაუხედნელი დაუკოდავი ხარი — კურო, ბუღა.

**კურდღლაობს** — 1. კურდღელზე ნადირობს; 2. ღელავს, ბიბინებს (ჯეჯილი).

**კურთუკულმა, კურტუკულმა** — ზურგშებრუნებით, პირუკულმა.

**კურთხევანი** — საეკლესიო წიგნი, რომლის მიხედვითაც სრულდება ნათლობა, ქორწინება, მიცვალებულის წესის აგება და სხვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მორიგანი
# აჩრდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-18, 2011

მარი ჯაფარიძე

ვიდრე გავიგებდი, რა იყო ცელოფანში, სუნთქვა შემეკრა. სკამის საზურგეს ავეკარი და სანდროს მოძრაობას თვალს ისე ვადევნებდი. აუღელვებლად გახსნა, კონვერტი ამოიღო და მომაწოდა. სურათები აღმოჩნდა: მე და ჯონი, მე და ლაშა, მე და ლიზი... სხვადასხვა დროს თითქმის ყველა შეხვედრა იყო გადაღებული.

— ამით რისი თქმა გინდა? — იხტიბარი არ გავიტეხე, მღელვარება დავფარე და გულგრილად მივაწოდე სურათები.

— ამით იმის თქმა მინდა, რომ შენი თითოეული ნაბიჯი დაფიქსირებული მაქვს და ვიცი, რა გზებით, რა მეთოდებითა და ხერხებით იმუშავე, მიშა რომ გაგეთავისუფლებინა. ხომ იცი, რა მოხდება, ეს სურათები იქ რომ ნახონ? — თითი ზემოთ აიშვირა.

— თუ გგონია, რომ შენ კარგი დღე დაგადგება, ძალიან ცდები, — გულგრილ გამომეტყველებას ისევ ვინარჩუნებდი, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ჩემი საქმის გაფუჭება სანდროს მართლა შეეძლო და სიმართლე რომ ვთქვა, ცოტა შემეშინდა კიდეც.

— იმას გულისხმობ, რომ ჩემი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ეს რომ ვიცოდი და შენ წინააღმდეგ ზომები არ მივიღე? — ფოტოები ისევ კონვერტში ჩადო, მერე — ცელოფანში და საგულდაგულოდ შეინახა.

— დიახ, სწორედ მაგას.

— არც ისე სულელი ვარ, ეს ფოტოები თავად ვაფრიალო. არსებობს სხვა გზა, როგორ შეიძლება მისი ადრესატამდე მიტანა.

— ფეხებზე მკიდია, სად მიიტან და ვის უჩვენებ! ამით ვერაფერს მიაღწევ.

— მარგო, ხომ იცი, სიტყვებს ჰაერში არ ვისვრი.

— როგორც გინდა, სანდრო, შენი ნებაა. შანტაჟით ვერ დამითანხმებ შენთან ურთიერთობაზე. მეც მაქვს ისეთი რამ, რაც მაგ ფოტოების გამოჩენის შემთხვევაში საჭირო ადამიანის ხელში მოხვდება და დაემშვიდობე მერე მშვიდ ცხოვრებასა და კარიერას, — კარის სახელური დავქაჩე იმის ნიშნად, რომ გადასვლას ვაპირებდი.

— მაინც რა გაქვს ასეთი? — ჩაიცინა და მაჯაში მწვდა.

— ჩვენი საუბრის ჩანაწერი, — ხელი გავაშვებინე, ჯიბიდან დიქტოფონი ამოვიღე, ცხვირწინ დავუტრიალე და მანქანიდან გადავედი. კარი მივხურე, ჩამოწეულ მინას გარედან იდაყვებით დავეყრდენი და ვუთხარი: — ჭკვიანი ბიჭი ხარ და შეგიძლია განსაზღვრო, რა მოჰყვება ამას — ორ „ბრალდებას“ წაგიყენებენ: ერთი — სიმამრის საცოლეს რომ აბამ და მეორე — თურმე გცოდნია, მე რა გზით ვაპირებდი შენი უშუალო შეფის დაშანტაჟებას და არავითარი ზომები არ მიიღე ჩემს შესაჩერებლად. გგონია, ვინმე შეგარჩენს ამას და თავზე ხელს გადაგისვამენ? აბა, შენ იცი! — მანქანას მოვშორდი და სამსახურისკენ გავემართე.

ერთი სული მქონდა, მისი გამომეტყველება დამენახა, მაგრამ თავს ვძლიე და შენობაში ისე შევედი, უკან არ მიმიხედავს.

კაბინეტში შევედი, კარი ჩავკეტე და დივანზე მოწყვეტით დავეშვი. თავი ხელებში ჩავრგე... დამღალა ამდენმა ინტრიგამ და ხლაფორთმა. წყნარი და მშვიდი ცხოვრება მომინდა უეცრად...

სანდროს ფოტოები რომ გამოეჩინა, ჩემი საქმე ძალიან ცუდად იქნებოდა... სინამდვილეში არავითარი ჩანაწერი არ მქონდა, არც მიფიქრია, ჩვენი საუბარი ჩამეწერა, რადგან ვერაფრით გავთვლიდი წინასწარ სანდროს საქციელს. თუმცა ვიმედოვნებ, რომ უსიამოვნო სიტუაციიდან თავი დავიძვრინე და დავარწმუნე, რომ საუბარი ჩაწერილი მქონდა. ეს კარგი გაკვეთილი იყო ჩემთვის — აწი მეცოდინებოდა, რომ მეტი სიფრთხილე მმართებდა.

შფოთვამ რომ გადამიარა და ბოლომდე დავმშვიდდი, ლევანთან შევედი და ორკვირიანი შვებულება ვთხოვე.

— მარგო, მოიცადე 2 კვირა და სექტემბრის დასაწყისში ერთად დავისვენოთ. თურქეთში წავიდეთ 10 დღით.

— არა, ლევან, საქმეს გულს ვერ ვუდებ, გადავიღალე ეტყობა. ახლა გამიშვი, გადაუდებელი საქმეც არაფერი მაქვს, 2 კვირაში კი რა გამოჩნდება, კაცმა არ იცის. მოსკოვში მინდა წასვლა — დედას ვნახავ. მერე შენთან ერთადაც წამოვალ, თუ გადაუდებელი საქმე არ გამომიჩნდება.

— კარგი, რადგან დედასთან გინდა წასვლა, გაგიშვებ, — უცებ დამთანხმდა.

9 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც შინიდან წამოვედი. მოსკოვის აეროპორტში არაფერი შეცვლილიყო. თითქოს გუშინ წავედი აქედან. ჩემი და დათოს შეხვედრა გამახსენდა და გამეღიმა. წარმოვიდგინე, წვიმაში მოყოლილი, სველი თმითა და ტანისამოსით რა სასაცილოდ გამოვიყურებოდი, როგორ შევყურებდი დათოს — მას ხომ მხსნელად აღვიქვამდი... როგორ ვცდილობდი, თვითმფრინავში უსაბუთოდ ავმძვრალიყავი. უნდა ითქვას, რომ მშვენივრად მოვახერხე... მაშინ ხომ წარმოდგენა არ მქონდა, რა მელოდა უცნობ ქვეყანაში. დიახ, უცნობ და არა — უცხო... საქართველო ჩემთვის უცხო არასოდეს ყოფილა, ქართველად მიმაჩნდა თავი და ამით ვამაყობდი. მიუხედავად იმისა, რომ დედის გვარს ვატარებდი, როცა გვარს მკითხავდნენ, ვამატებდი, — მამა ქართველი მყავს-მეთქი.

...დედა შინ არ დამხვდა. მეზობლებისგან შევიტყვე, რომ ნარკოლოგიურ კლინიკაში იწვა, ალკოჰოლიზმისგან გასაკურნავად. მეზობლებს ძალით წაუყვანიათ, მილიციის დახმარებით.

დედა რამდენჯერმე ვინახულე. პირველად ვერ მიცნო, თევზივით გაცივებული თვალებით მიყურებდა.

როცა ვუთხარი, მარგო ვარ-მეთქი, გამომეტყველება არ შესცვლია, მხოლოდ ტუჩის კუთხეები აეწია, თითქოს გაღიმება სცადა. მზერა ისევ ისეთი ცივი და არაფრისმთქმელი დარჩა... არ მელაპარაკებოდა, მხოლოდ თავს იქნევდა, დასტურის ან უარის ნიშნად, როცა რამეს ვეკითხებოდი.

ჩვენ შორის ყველა დამაკავშირებელი ძაფი გაწყვეტილი იყო. ძალიან მეცოდებოდა, ასეთ მდგომარეობაში რომ ვხედავდი, მაგრამ ეს სიყვარულით არ იყო გამოწვეული — უბრალოდ, მეცოდებოდა და ეგ იყო. მსგავს მდგომარეობაში მყოფი ნებისმიერი უცხო ადამიანიც ალბათ ასევე შემეცოდებოდა. ვცდილობდი, მის თვალებში სითბო, სიყვარული ან ჩემი ნახვით გამოწვეული ოდნავი სიხარული მაინც ამომეკითხა, მაგრამ ამგვარი ვერაფერი შევნიშნე. ერთი თბილი მზერაც კი საკმარისი იქნებოდა, ჩემი გული გამლღვალიყო და დედის მიმართ ის სიყვარული დამბრუნებოდა, რომელიც ბავშვობაში მქონდა. თვალებში ვაშტერდებოდი, ჩემს ბავშვობაზე ველაპარაკებოდი... ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დედის სურათს ვესაუბრებოდი... მხოლოდ თვალს მაყოლებდა... „თვალის გაყოლება" კი სურათსაც „შეუძლია": კედელზე გადიდებული სურათი რომ კიდია, საითაც წახვალ, თვალს იქით „გაყოლებს"... მთელი 2 საათი ვილაპარაკე ასე, მარტომ. ენა არ გამიჩერებია და არც დავმჯდარვარ — ოთახში ბოლთას ვცემდი. წამოსვლის წინ ვკითხე, ნაწყენი ხარ-მეთქი? — არაო, — თავი გადააქნია. რატომღაც მეგონა, მთხოვდა, ცოტა ხანს კიდევ დარჩიო, მაგრამ არაფერი უთქვამს.

მეორედ 3 დღის შემდეგ მივედი. უფრო გამოცოცხლებული მომეჩვენა. დამინახა თუ არა, გაიღიმა. მერე ყურში ჩამჩურჩულა, — აქ რომ შემოდიხარ, გჩხრეკენ? — არა-მეთქი. — 1 ბოთლი არაყი რომ შემომიტანო, შეგიძლიაო? — ეს იყო ყველაზე გრძელი ფრაზა, რომელიც ჩვენ შორის გაიმართა. მივხვდი, რომ დედა სამუდამოდ დავკარგე. თავი ხელებში ჩავრგე და ხმამაღლა ავქვითინდი. თმაზე თითებით ოდნავ შემეხო, წამოდგა და პალატის ოთახიდან გავიდა.

მოსკოვში გაჩერება აღარ მინდოდა. ამ ქალაქთან დედა მაკავშირებდა, მისი არსებობა მუდამ მახსოვდა და თითქოს უხილავი ძაფი მექაჩებოდა. ახლა ეს ძაფიც გაწყდა. სულ 8 დღე დავყავი სახლში, ეს დრო საკმარისი იყო პატარა-პატარა საქმეების მოსაგვარებლად.

წამოსვლის წინადღეს დედა ისევ ვინახულე. დავემშვიდობე და ვუთხარი, აქ აღარ დავბრუნდები-მეთქი. თავი დამიკრა. ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა და ასეთი დამამახსოვრდა დედა — ფხიზელი, ცივი მზერითა და ალკოჰოლისგან ნაადრევად ჩამომჭკნარი სახით.

გვიან ღამით სახლში ტელეფონმა დარეკა. გამიკვირდა, რადგან მთელი კვირის მანძილზე არავის დაურეკავს. ძლივს მივაგენი, სად იყო. ლევანი რეკავდა.

— კი, მაგრამ ჩემი აქაური ნომერი საიდან იცი? — ძალიან გამიკვირდა, რადგან ზუსტად მახსოვდა, რომ მე არ მითქვამს.

— მაგის გაგებას რა უნდა?! — გაეცინა. — მართალია, 2 დღე დავკარგე, მაგრამ მაინც გავიგე. სასწრაფოდ უნდა ჩამოხვიდე.

— მშვიდობაა?

— ჩვენთან — კი, მაგრამ ისეთი საქმე გამოჩნდა, რომელიც შენ უნდა გააკეთო. „ზემოდანაა" დავალებული. ჩემი ბრალი არ არის, შვებულების შეწყვეტა რომ გიწევს.

— არა უშავს, ხვალ ისედაც მოვფრინავდი, ბილეთი უკვე ავიღე.

— კარგი გოგო ხარ. გულმა გიგრძნო ეტყობა.

— ჰო, მიგრძნო. ხვალ შუადღისას მანდ ვიქნები. დროებით, — ყურმილი დავკიდე.

თბილისში დაბრუნებულმა შინ შევირბინე, ლალი მოვიკითხე, შხაპი გადავივლე და სამსახურში წავედი. ლევანს ჩემი დანახვა გაუხარდა. კაბინეტში მარტო არ იყო და თავშეკავებულად მომიკითხა. რადგან სხვების თანდასწრებით დავალებას ვერ მომცემდა, ჩემს ოთახში დავბრუნდი.

ახალი დავალება მკვლელობის გამოძიება იყო, რომელიც წესით, მე არ მევალებოდა, მაგრამ ვინაიდან მოკლული რუსი ჟურნალისტი გახლდათ და შესაძლოა, დაკვეთილი ყოფილიყო, გახმაურებას ერიდებოდნენ. თვით ფაქტსაც მალავდნენ და ცდილობდნენ, როგორმე ჟურნალისტებს არ შეეტყოთ. შემთხვევის ადგილის დათვალიერება გადავწყვიტე და ლაშაც თან ვიახლე. ვინაიდან ასეთ საქმეებში გამოუცდელი ვიყავი, ვღელავდი — ვაითუ, საქმეს თავი ვერ გავართვა-მეთქი! თან იმასაც ვფიქრობდი, შესაძლოა, მე სწორედ იმიტომ დამავალეს, რომ გამოძიება მცდარი გზით წავეყვანო. ამიტომ, გვერდით პროფესიონალი მჭირდებოდა.

ლაშა სიამოვნებით დამთანხმდა. წინასწარ ვიცოდი, რომ შემთხვევის ადგილზე არაფერი ხელმოსაჭიდი არ დამხვდებოდა. ოთახი, სადაც ოლეგი მოკლეს, ჟურნალისტს ნაქირავები ჰქონდა. კარი დალუქული დაგვხვდა. ლუქი ავხსენით და პირდაპირ მომცრო ოთახში აღმოვჩნდით. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს. ყველა ნივთს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. იატაკზე ცარცით გვამის ადგილი იყო მოხაზული. წინასწარ მითხრეს, რომ პროზექტურაში მოკლულის გადასვენების შემდეგ ხელი არაფრისთვის უხლიათ. არც ჩხრეკა იყო ჩატარებული. ხელთათმანები ჩავიცვი და ოთახის დათვალიერება დავიწყეთ. ლაშა თვითონ არ მოქმედებდა, მხოლოდ მითითებებს მაძლევდა, მეუბნებოდა, რა უნდა გამეკეთებინა. შემთხვევის ადგილზე საინტერესო ვერაფერი აღმოვაჩინე. ჟურნალისტის ყველა სამუშაო ნივთი — კომპიუტერი, ვიდეოკამერა, ფოტოაპარატი, ბლოკნოტი — წაღებული იყო. მაგიდაზე მხოლოდ მონიტორი იდგა — პროცესორი გამქრალიყო. საინტერესო ვერაფერი ვნახე. გარდერობიდან ტანისამოსი გადმოვყარე და ჯიბეები სათითაოდ გავჩხრიკე. ერთ-ერთ ჯიბეში „ფლეშკა" აღმოვაჩინე. უზომოდ გამიხარდა, რადგან ეს ერთადერთი რამ იყო, რასაც შესაძლო იყო, დიდი სამსახური გაეწია. „ფლეშკის" დანახვისას ლაშამ აწეული ცერა თითი დამანახვა... კარი ხელახლა დავლუქეთ, რამდენიმე მეზობელი დავკითხეთ და წამოვედით.

— ერთი სული მაქვს, ვნახო, რა არის ჩაწერილი...

— ვიდრე მაგას ნახავ, მანამდე გვამი უნდა დაათვალიერო, — ლაშას გაეღიმა.

— ჰო, ეგ მართალია, მაგაზე არ მიფიქრია.

— მკვდრის ხომ არ გეშინია?

— სიმართლე რომ გითხრა, მიცვალებულს არასოდეს შევხებივარ. ისიც კი არ ვიცი, შემეშინდება თუ არა, მაგრამ შენი იმედი მაქვს: გული თუ წამივა, იმედია, მომასულიერებ.

— მაგარი გამომძიებელი ხარ, — ხმამაღლა გადაიხარხარა მამაკაცმა.

— ყველაფერი პრაქტიკიდან მოდის. აი, ახლა შენი დახმარებით კარგ პრაქტიკას გავივლი და მერე კერძო სამძებრო ოფისს გავხსნი. ნახავ, რა მაგრად გავქაჩავ.

— იმედია, იქაც ამიყვან სამსახურში.

— კი, — თავი ისე სერიოზულად დავუკარი, თითქოს ყველაფერი უკვე მოგვარებული მქონდა და თანამშრომლების შერჩევაღა მქონდა დარჩენილი.

— ისე, ძალიან პრაქტიკული გოგო ხარ, შენი ტვინი ისეა მოწყობილი, ნებისმიერი მოვლენიდან ფულის შოვნის გზას იპოვი. კარგი ბიზნესლედი დადგებოდა შენგან. მე მგონი, პროფესიის არჩევისას შეცდომა დაუშვი.

— მე ჟურნალისტობა მინდოდა... — რაღაცნაირად, დანანებით ვთქვი.

— და იქნებოდი „ჟურნალისტიკის მინისტრის“ მოადგილე, არა?.. აი, მოვედით, — ლაშამ მანქანა ორსართულიანი შენობის ეზოში გააჩერა.

ქალაქის ცენტრალური მორგი ისნის ტერიტორიაზე მდებარეობს. მხოლოდ ფილმებში მქონდა ნანახი, როგორია პროზექტურა... მაგრამ აქ სულ სხვა სიტუაცია დაგვხვდა. შენობა თითქმის დანგრეული იყო, დერეფანში ერთი ნათურა ბჟუტავდა. საშინელი სუნი იდგა — წამლის, ბალზამის, შმორის... უფროსის კაბინეტს ძლივს მივაგენით. საბუთი წარვუდგინე და დახმარება ვთხოვე. საშუალო ტანის, ჩასკვნილი მამაკაცი წინ გაგვიძღვა. კარი თითქმის არც ერთ ოთახს არ ჰქონდა. საიდანღაც წყლის წვეთების ხმა ისმოდა — ისეთი, ჭერიდან რომ ეწვეთება და იატაკზე ეცემა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ „სიკვდილის სამეფოში“ ვიმყოფებოდი და საცაა, ვიღაცა ცივ ხელებს ჩამჭიდებდა და შიგნით შემათრევდა... გული გამალებით მიცემდა და ვგრძნობდი — თუ თავს არ მოვერეოდი, იატაკზე გავიშხლართებოდი.

ერთადერთ დაკეტილ კარს მივადექით. უზარმაზარი ბოქლომი ედო. ჩვენმა გამყოლმა დარაჯს დაუძახა და კარის გაღება უბრძანა. დანგრეულ ოთახში რამდენიმე „კატალკა“ იდგა, რომლებზეც მიცვალებულები ესვენა. მათ ჭუჭყიანი „ადიალები“ ჰქონდათ გადაფარებული. ასეთივე „ადიალები“ იქვე, კუთხეში იყო მიყრილი...

— აი, ესაა ის, ვისაც თქვენ ეძებთ, — ფიქრებიდან მამაკაცის ხმამ გამომარკვია, რომელსაც ერთ-ერთი მიცვალებულისკენ თითი გაეშვირა და ლაშას უყურებდა.

— გმადლობ, — ლაშამ ჯერ მე გამომხედა, მერე მიცვალებულს მიუახლოვდა. ალბათ მიხვდა, რომ ცუდ დღეში ვიყავი და გვამის დათვალიერება საკუთარ თავზე აიღო.

გულისრევის შეგრძნება გამიჩნდა. პირზე ხელი ავიფარე და სახეზე ალმური ვიგრძენი.

— გარეთ გადი, მარგო, — ხელი ამიქნია.

ისედაც ვაპირებდი იქიდან გაქცევას. საშინელმა სუნმა სული შემიხუთა. პირზე ხელებაფარებული გამოვვარდი და შენობის გარე კედელს მივეყრდენი. ალბათ კუჭის წვენის ერთი წვეთიც არ შემრჩა...

— გოგონა, აი, „სალფეტკი“ აიღეთ, — დარაჯი გამომყოლოდა და ერთჯერად ხელსახოცს მაწვდიდა, მაგრამ არ გამოვართვი: მეგონა, მასაც ისეთივე სუნი ექნებოდა.

სული მოვითქვი და იქვე დადებულ სინკარზე ჩამოვჯექი. თან ჩემს თავზე ვბრაზობდი, ეს არ უნდა დამმართოდა, როგორ ვერ გავუძელიმეთქი?! იმ ოთახისკენ გახედვისაც კი მეშინოდა და დაზაფრული, თავს საპირისპირო მხარეს ვაბრუნებდი.

— მარგო, წავედით, — ლაშას ხმა შორიდან გავიგონე და მანქანისკენ მიმავალს თვალიც მოვკარი.

— რა საშინელება იყო, ასეთ სიტუაციაში პირველად აღმოვჩნდი, — დამნაშავესავით ჩავიბურტყუნე, როდესაც ლაშამ მანქანა ადგილიდან დაძრა.

— არა უშავს, პირველად შენზე უარესი დამემართა, — ალბათ უფრო ჩემს დასამშვიდებლად თქვა. — ახლა შენთან ამ თემაზე ლაპარაკი არ ღირს, ისედაც ცუდ დღეში ხარ. ხვალ ვილაპარაკოთ, კარგი?

თავი დავუქნიე და მადლიერი მზერა შევავლე. სამსახურში აღარ დავბრუნებულვარ. იმ დღეს საქმის გამკეთებელი არ ვიყავი — ადამიანად აღარ ვვარგოდი.

რა მომათმენინებდა? შინ მივედი თუ არა, მაშინვე კომპიუტერი ჩავრთე და „ფლეშკა“ მივაერთე. დიდძალი ფოტომასალა იყო ჩაწერილი. სურათებზე აღბეჭდილი ადამიანებიდან ზოგი ვიცანი, ზოგი — ვერა. თუმცა საკმაოდ საინტერესო კადრები იყო „დაჭერილი“. რამდენიმე ტექსტური ფაილიც ვნახე — სტატიების სამუშაო ვარიანტები. „ფლეშკაზე“ არსებული ყველა ფაილის კოპირება მოვახდინე, კომპიუტერი გამოვრთე და დასაძინებლად დავწექი.

დილით ლევანს წინადღის შედეგები მოვახსენე, რადგან გაფრთხილებული ვიყავი, რომ მისთვის თითოეული, უმნიშვნელო დეტალიც კი უნდა მეთქვა, მაგრამ „ფლეშკის“ არსებობის ამბავი დავმალე.

— დახმარება გჭირდება?

— კი. გარდაცვლილის ელექტრონული ფოსტის მისამართი მჭირდება და შემდეგ — პროგრამისტი, რომ ფოსტა გატეხოს. ეჭვი მაქვს, მნიშვნელოვან რაღაცებს მივაგნებ.

ერთ საათში კარზე დააკაკუნეს. ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდა და, — ბატონმა ლევანმა გამომგზავნაო, მითხრა.

— აგერ, ელფოსტის მისამართი და თუ ნებას დამრთავთ, თქვენს კომპიუტერთან ვიმუშავებ.

— კი, ბატონო, — ადგილი დავუთმე და თავზე დავადექი.

ცოტა ხანში, მონიტორს მიშტერებული, ძალზე საინტერესო ინფორმაციას ვეცნობოდი. გარდაცვლილი ჟურნალისტის ფოსტა უამრავ საჭირო ფაილს შეიცავდა. ყველა მათგანის გასაცნობად კარგა ხანი დამჭირდებოდა, მაგრამ ამას გვერდს ვერ ავუვლიდი, რადგან შესაძლოა, საქმის გასახსნელად ხელჩასაჭიდი რამ მეპოვა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*




# ხაფანგში



დასაწყისი

რუსუდან ბერიძე

## თავი I

### იონა

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა საკმაოდ სქელტანიან რვეულში რაღაცის წერასა და ანგარიშში გართული იონა იოსებიძის კარზე ფრთხილად დააკაკუნეს. იონამ სათვალე მოიხსნა და კედლის საათს შეხედა. ამ დროს მას ის ადამიანი აკითხავდა, რომელსაც იმდენად ენდობოდა, რომ სახლის კარს უშიშრად უღებდა. მასპინძელს არც ამჯერად უყოყმანია, რვეული მაგიდის უჯრაში შეინახა, იქვე, კუთხეში მიწყობილი ყავარჯნები მოიმარჯვა და ფეხზე წვალებით წამოდგა. კარამდე წვალებით მიაღწია და გასაღები ფრთხილად გადაატრიალა. კარის გაღება და იარაღის გასროლა ერთი აღმოჩნდა. ზღურბლზე მდგარმა მამაკაცმა, მის წინ უსულოდ დაცემულ ხეიბარს გულგრილად გადააბიჯა და ოთახში შეალაჯა...

კაბინეტში შესულ გამომძიებელ ოთარ ორდენიძეს მისი თანაშემწე ანდრო ლეკიშვილი ფეხდაფეხ მიჰყვა.

— ჰა, ბიჭია, ხომ?

— ბიჭია, — მორცხვად ჩაილაპარაკა ორდენიძემ.

— შეფი არ იყო, ყურებს აგახევდი. მარი როგორაა?

— ცოტა გაუჭირდა, მაგრამ ახლა არა უშავს.

— ხომ გეუბნებოდი, ტყუილად ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. ჰოდა, ახლა მაღარიჩი შენზეა. ვაჟკაცს რას არქმევ?

— თუ კარგად მოიქცევი, შენს სახელს.

— დამცინი, ხომ?

— არც მიფიქრია. მამაჩემსაც ანდრო ერქვა. უფრო სწორად — ანდრია.

— მაგარია! ბარემ მონათვლითაც მომანათვლინე და...

— აი, მაშინ კი ამიშენდება ოჯახი.

— ცუდი ბიჭი ვარ თუ?

— მაგას ახლავე გავიგებ. აბა, მიბრძანე, ჩემს აქ არყოფნაში იოსებიძის საქმესთან დაკავშირებით რა გაარკვიე?

— კრიმინალისტებს ჯერ დასკვნა არ დაუდგიათ, მაგრამ რაღაცრაღაცები გამოვქექე.

— ყურადღებით გისმენ, — მაგიდას საქმიანი იერით მიუჯდა ორდენიძე, — ეს მკვლელობაც თუ ვერ გავხსენით, ხომ იცი, ურთმელიძე სადაც გაგვაძვრენს?

— იქ ძრომიალს თვითონ უფროა მიჩვეული, — ბლოკნოტი გადაშალა ლეკიშვილმა.

— უფროსობის ლანძღვით შორს ვერ წახვალ, იცოდე, — თითი დაუქნია თანაშემწეს გამომძიებელმა.

— ანუ როგორც ბებიაჩემი იტყოდა, ჯოხიც რომ დაგიყენონ უფროსად, ან აუფროსე, ანდა დაიხურე ქუდი და შინ წაეთრიეო, ხომ?

— ბრძენი ქალი ყოფილა ბებიაშენი, მაგრამ მოდი, ისევ ჩვენს საქმეს მივხედოთ, — უსაგნო კამათის გაგრძელება აღარ ისურვა ორდენიძემ.

— მაშ ასე, იონა იოსებიძეს ერთი საწარმო ჰქონდა გახსნილი და ძველებურ ნივთებს უკეთებდა რესტავრაციას. მეზობლები ამბობენ, ოქროს ხელი ჰქონდაო. მარტო ცხოვრობდა. მამამისი, წლების წინ, ციხეში მოუკლავთ.

— რისთვის იჯდა?

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ აუცილებლად გავარკვევ. დედა კი 2 წლის წინ გარდაცვლილა.

— ცოლ-შვილი?

— უცოლშვილო იყო. არც სხვა ახლო ნათესავი ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, მეზობლები ასე ამბობენ. მოკლულის გვამიც ერთ-ერთმა მეზობელმა აღმოაჩინა.

— მკვლელობა რომელ საათზე მოხდა?

— ჯერ პათოლოგ-ანატომს ოფიციალური დასკვნა არ მოუცია, მაგრამ ალბათ, ასე, ნაშუაღამევსო.

— მეზობლებმა სროლის ხმა თუ გაიგონეს?

— მოკლულის გარდა, იმ ეზოში სამად სამი ოჯახი ცხოვრობს და მკვლელობის ღამეს 2 შინ არ იყო. კარის მეზობლებს კი — ბებიას და შვილიშვილს — არაფერი გაუგონიათ. მართალია, იმ ღამეს ორივეს გვიან დაუძინია, მაგრამ როგორც ბებიამ მითხრა, შვილიშვილი რაღაც „ბოევიკს“ უყურებდა და ტელევიზორში ისეთი სროლა და ხათქახუთქი იყო, რომ საწყალი იონასთვის ერთი კი არა, 10 ტყვიაც რომ დაეხალა ვინმეს, მაინც ვერ გავიგონებდითო.

— შვილიშვილი რამხელაა?

— არ მიკითხავს. ასეთი უმნიშვნელო დეტალის ცოდნა რაში გვჭირდება?

— ჯერ არ ვიცით, რა არის უმნიშვნელო ამ საქმეში და რა — მნიშვნელოვანი. თან, ხომ იცი, რომ ეშმაკი სწორედ დეტალებშია მოსაძებნი?

— კარგი, შეფ, ვიკითხავ, — ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა ლეკიშვილმა და, თან, საათზე დაიხედა.

— სადმე გეჩქარება? — დაინტერესდა ორდენიძე.

— არა. უბრალოდ, თორმეტ საათზე იოსებიძის ყოფილი შეგირდი გვყავს დასაკითხი.

— ყოფილი?

— ჰო, სულ ერთი თვეა, რაც მისგან წამოსულა. სხვათა შორის, თვითონ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. მაშინვე დავთანხმდი. სხვა რომ არაფერი, მისი დახმარებით იქნებ ის მაინც გავიგოთ, მოკლულის სახლიდან რამე ღირებული თუა წაღებული?

— ო, აი ეს უკვე საინტერესოა, — როგორც იქნა, შუბლი გახსნა გამომძიებელმა.

— ჯერ სადა ხარ?.. ორ-სამ დღეში გერმანიიდან მოკლულის საყვარელი ბრუნდება და საინტერესო ამბები მერე ნახე.

— რაო? — გაოცება ვეღარ დამალა ორდენიძემ. — იმ საცოდავ ხეიბარს საყვარელიც ჰყავდა?

— ჰყავდაო?.. თან იცი, რა მაგარი ქალი ყოფილა? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ლეკიშვილმა. — იოსებიძის მეზობელი მოხუცი ქალი მეჭორავა, ახალგაზრდობაში უბნის ყველა ბიჭს მასზე რჩებოდა თვალიო. მართლა, კინაღამ არ დამავიწყა? — საქაღალდიდან ანდრომ 2 სქელტანიანი რვეული ამოიღო და ორდენიძეს წინ დაუწყო.

— ეს რაღაა?

— იოსებიძის შემოქმედება. მისი საწერი მაგიდის უჯრაში ვიპოვე. აქეთ რომ მოვდიოდი, ერთ რვეულს გადა-

ვხედე და კლიენტების გვარ-სახელებითა და სარესტავრაციოდ მიტანილი ნივთების ჩამონათვალითაა აჭრელებული. როგორც ჩანს, ყველაფერს დეტალურად ინიშნავდა.

— ეს საქმეს გაგვიადვილებს, — ზემოთ მოქცეული რვეული სასწრაფოდ გადაშალა გამომძიებელმა, — აკი გითხარი, ეშმაკი დეტალებშია-მეთქი მოსაძებნი...

## თემო

„სისხამ დილით, ის იყო, სააბაზანოში პირის გასაპარსად შევედი, რომ ტელეფონიც აწკრიალდა. „ნეტავ, ამ დილაადრიან ვის არ ასვენებს გამჩენი?“ — გავღიზიანდი მე და ისევ ოთახში დავბრუნდი. ყურმილში მამაკაცის სასიამოვნო ხმა გაისმა:

— დილა მშვიდობისა. თუ შეიძლება, თემო სხიერელს სთხოვეთ!

— სხიერელი ვარ.

— მე კი ცნობილი მარკეტინგული ფირმა „ალგორითმის“ წარმომადგენელი — ალექსანდრე ელიოზიშვილი გახლავართ.

— გისმენთ.

— თქვენთან შეხვედრა მინდოდა.

— ჩემთან?.. — დავიბენი. — მაგრამ მარკეტინგის საკითხებთან რომ არაფერი მაკავშირებს... და, თან, გულახდილად რომ გითხრათ, თქვენი ფირმის სახელიც პირველად გავიგე.

— მესმის თქვენი, მაგრამ თუ ნებას მომცემთ, ახლავე ყველაფერს აგიხსნით.

— ბრძანეთ, — აღარ ჩამოვრჩი მეც.

— ჩვენმა ფირმამ კონკურსი ჩაატარა და ერთ-ერთი მთავარი პრიზი თქვენ გერგოთ. მე კი მისი გადმოცემა მაქვს დავალებული.

„ალბათ ვიღაც ახლობელი „მაღადავებს“, — გავიფიქრე, რადგან არასდროს არანაირ კონკურსში არ მიმიღია მონაწილეობა და ამის გაკეთებას არც მომავალში ვაპირებდი.

— სასწრაფოდ რომ არ გამოვა? — მაინც თავაზიანად გავაგრძელე უცნობთან საქმის გარკვევა. წუთი წუთზე მეგობარმა უნდა გამომიაროს მანქანით. სათევზაოდ მოვდივართ და შაბათ-კვირას ქალაქში არ ვიქნები. ასე რომ, თუ არ შეწუხდებით, იქნებ ორშაბათს შემეხმიანოთ.

— სათევზაოდ?.. შესანიშნავია! — აღფრთოვანდა მამაკაცი. — მითხარით, კონკრეტულად საით გაგიწევიათ და პრიზს პირდაპირ იქ მოგართმევთ.

— კი, მაგრამ ასე შეწუხება რა საჭიროა?

— რა შეწუხებაა? თან, მე ხომ ამაში ფულს მიხდიან.

ამის შემდეგ სხვა რაღა დამრჩენოდა, ალექსანდრეს ჩემი საყვარელი სათევზაო ადგილიც დავუსახელე და ისიც ავუხსენი, იქამდე ადვილად როგორ ჩამოაღწია. „არა, მაინც ვიღაც „მაღადავებს“, — ტელეფონის ყურმილი შეფიქრიანებულმა დავდე და ისევ სააბაზანოში შევედი.

მალე სარკიდან ჩემმა სუფთად წვერგაპარსულმა ორეულმა შემომხედა. „ისე, ცუდი ბიჭები არ ვართ, არა? — თვალი ჩავუკარი. — ჰა, რას იტყვი?“ ორეულმა, თანხმობის ნიშნად, მაშინვე თავი დამიქნია. „თან, ლამის მთელი ცხოვრებაც ჯერ კიდევ წინ გვაქვს. 32 წელი მამაკაცისთვის აბა, რა ასაკია, რომ ჩვენისთანა ნავარჯიშევი და თვალტანადი ვაჟკაცებისთვის რამეს ნიშნავდეს“, — საკუთარი თავის ქებას უკვე ურცხვად ვაგრძელებდი. ორეულმა არც ამჯერად დამწყვიტა გული და დასტურად უკვე მაღლა აწეული ცერა თითიც მაჩვენა. „აუ, მგონი, საბოლოოდ გავუბერე“, — სახეზე ცივი წყალი შევისხი და, როგორც იქნა, სააბაზანოდან გამოვეტიე. ტელეფონი ისევ აწკრიალდა. „თუ ისევ ის ალექსანდრეა თუ ვიღაც ოხერი, სულ მკვდარი და ცოცხალი უნდა ვაგინო!“ — უკვე ხმამაღლა წამოვიძახე და ყურმილს გაცოფებული დავწვდი.

— ალო, თემო, მე ვარ, — გაისმა ყურმილში მეგობარ ავთოს ხმა.

— შენი ბედი, რომ ხმა ამოიღე, თორემ კაი მამაპაპური გინების მოსმენა არ აგცდებოდა.

— რა მოხდა?

— წეღან ვიღაც იდიოტმა დამირეკა, გინდა თუ არა, რაღაც კონკურსში გაიმარჯვე და პრიზი დილაადრიან უნდა გადმოგცეო. ძლივს მოვიშორე თავიდან და მეგონა, ისევ ის რეკავდა.

— ჩვენი ბიჭები ხომ არ მაიმუნობენ?

— შეიძლება. შენ რას შვრები, უკვე გამოდიხარ?

— არა, ბიჭო, ველარ მოვდივარ.

— რა იყო?

— ჩემს ცოლს დედამისმა დაურეკა ქუთაისიდან, „მარშრუტკას“ მოვყვები, მძიმე ბარგი მაქვს და ჩემი საყვარელი სიძე დიდუბეში დამხვდესო. რაც იმას გულში ვუკურთხე, ერთი არ ასცდეს.

— მოკლედ, ორივე დილიდანვე დავითარსეთ.

— მაშინ იქნებ მომავალი შაბათკვირისთვის გადაგვედო ყველაფერი?

— არა, ბიჭო, უკვე „ლომკები“ დამეწყო, ისე მინდა ქალაქიდან გასვლა.

— მერე მანქანა?

— ჩემი მანქანით წავალ. ცოტას კი ურევს, მაგრამ როგორმე ჩავალ და ჩამოვალ. შენ იკითხე, მთელი 2 დღე სიდედრის გვერდით რომ მოგიწევს ყურყუტი.

— აუ, წავედი ახლა, თორემ ვიცი, მომაკვლევინებ იმ შობელ... — სათქმელის დაუსრულებლად დამიგდო ყურმილი ავთომ.



ტბაზე ჩასვლის შემდეგ მანქანა ჩრდილში დავაყენე და საბარგულიდან ანკესი ამოვიღე. თევზაობა ჩამოცხომამდე უნდა მომესწრო. „კიდევ კარგი, ჭიაყელები მოვიმარაგე და ავთოს იმედად არ დავრჩი“, — კმაყოფილებით გავიფიქრე, მერე ჭიაყელებით სავსე თუნუქის კოლოფს თავი ავხადე, ერთი ჭიაყელა ნემსკავზე წამოვაგე და ძუა ნაპირიდან სამ-ოთხ მეტრზე მოვისროლე. ტივტივა წყლის ზედაპირზე ერთი-ორჯერ შეირხა და შემდეგ ვერტიკალურად გაჩერდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ძუის სიგრძე სწორად მქონდა შერჩეული. საერთოდ, ამ ტბას მეთევზეები ნაკლებად სწყალობდნენ, რადგან მასში მსხვილი თევზი იშვიათობა იყო და ანკესს, ძირითადად, კარჩხ-

ანა და მისი მსგავსი „წვრილფეხობა“ თუ მოჰყვებოდა. მაგრამ ჩემთვის და ჩემნაირებისთვის — თევზის ხარისხსა და წონაზე მეტად, მისი დაჭერის პროცესი რომ გვხიბლავდა — აქაურობა პირდაპირ მისწრება იყო. სხვისი არ ვიცი და პირადად ჩემთვის, თევზაობა ის თავშესაქცევიც იყო, რომლის დროსაც მთლიანად მოშვება და რაიმე კარგსა და სასიამოვნოზე ფიქრი შემეძლო. თანაც, ამჯერად ერთი მეთევზეც კი არ მიშლიდა ამაში ხელს. ხანდახან წყლიდან წამით ამომხტარი თევზის დგაფუნი თუ მირღვევდა სიმშვიდეს, ანდა ტივტივა იწყებდა ძიგძიგს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ცოტაც და წყლიდან აფართხალებული და მზეზე ათასფერად აელვარებული კარჩხანა უნდა ამომეყვანა.

10 საათისთვის ტბაზე ჩამოცხა და აღარც თევზი მოდიოდა. ის კი არა და, მანამდე დაჭერილსაც ბოლოს ისევ წყალში გადავუძახე, რადგან წვრილი მეჩვენა და საუზმობა გადავწყვიტე. შინიდან წამოღებულმა საჭმელმა და ქაფქაფა ყავამ უკვე იმდენადაც გამახალისა, რომ იდუმალი ალექსანდრე ელიოზიშვილიც გადამავიწყდა და მასთან დათქმული შეხვედრაც. საუზმის შემდეგ ჩრდილში წამოვწექი და კარგა ხნის წინ დაწყებული ისტორიული რომანის კითხვა განვაგრძე. მერე ტბაში ბანაობით ვიჯერე გული და საღამოს ისევ თევზაობას მივუბრუნდი. ამჯერად ანკესს საკმაოდ მოზრდილი კარჩხანები ამოჰყვა და მეც მალე კოცონი გავაჩაღე, თევზი შევწვი და გემრიელად მივირთვი. ამასობაში ძილის დროც მოახლოვდა. მანქანის უკანა სავარძელზე მივწექი თუ არა, მაშინვე ჩამეძინა.

შუაღამეს უცნაურმა ბიძგმა (თითქოს, ვიღაცამ მანქანა გამეტებით შეანჯღრიაო) გამომაღვიძა, მაშინვე წამოვჯექი და გავიხედ-გამოვიხედე, მაგრამ მანქანის ფანჯრიდან ვერაფერი გავარჩიე. ბიძგი ისევ განმეორდა. ოღონდ ამჯერად ის წინაზე უფრო მსუბუქი მეჩვენა. მანქანიდან ფრთხილად გადმოვედი, მაგრამ ბოლომდე წელში გამართვაც კი ვერ მოვასწარი, რომ ჩემკენ მომავალი ორი უზარმაზარი არსება დავინახე, რომლებსაც ზურგში რაღაც არაბუნებრივად კაშკაშა სინათლე სცემდათ. ერთი შეხედვით, „გოლიათები“ თითქოს ადამიანებს ჰგავდნენ: თავი, წყვილწყვილი ხელი-ფეხი ჰქონდათ, მაგრამ სიარული უფრო დათვისას მიუგავდათ და ტანთან შედარებით ხელებიც არაბუნებრივად გრძელი მოუჩანდათ. ვერ ვიტყვი, შემეშინდა-მეთქი (ის კი არა და გრძნობას, რომელიც ამ უცნაური არსებების დანახვაზე დამეუფლა, დღემდე ვერ მოვუძებნე ადამიანური სახელი), მაგრამ ადგილზე ისე გავქვავდი, რომ ოდნავ განძრევის ძალაც კი აღარ შემრჩა. ამასობაში „გოლიათები“ მომიახლოვდნენ და უკვე ისიც გავარჩიე, რომ სკაფანდრები ეცვათ. ის იყო, გავიფიქრე, აი, თურმე, ასე უცნაურად რატომ მობაჯბაჯებდნენ-მეთქი, რომ ერთ-ერთმა ხმაც ამოიღო:

— მოგესალმებით, ბატონო თემო, ჩვენ ბატონმა ალექსანდრემ გამოგვგზავნა.

ჩემდა გასაკვირად, „გოლიათს“ ჩვეულებრივი ადამიანური ხმა აღმოაჩნდა.

ამ ხმის გაგონებაზე შიშმა წამში გამიარა, ჯერ გამეღიმა, მერე კი ერთი გემრიელადაც გადავიხარხარე.

— ესე იგი, ბატონმა ალექსანდრემ გამოგგზავნათ, ხომ? თვითონ სადღა ბრძანდება მისი ბრწყინვალება?

— აქვე, ახლოს.

— რას მეუბნები? თქვენ კი დესპანებად გამოგგზავნათ, ხომ?

— ჩვენ თქვენი მასთან მიცილება გვაქვს დავალებული, — მშვიდად მიპასუხა ისევ იმ „გოლიათმა“.

— მიცილებაო? — ხარხარს ველარაფრით ვიოკებდი მე. — თუ შორს ბრძანდება თქვენი ბატონი ალექსანდრე, მაშინ ბარემ ბალდახინი მოიტანეთ და იმით მიმასვენეთ, რაღა...

— ბატონი ალექსანდრე აგერ იქ, იმ მანქანაში გელოდებათ, — უცბად განზე გადგა „გოლიათი“ და ხელი იმ უცნაური სინათლისკენ გაიშვირა, რომელიც აქამდე ზურგში სცემდა.

„მასხარები!.. მაგათ ვუჩვენებ სეირს!.. — გავიფიქრე და სინათლისკენ ჯიქურ გავემართე. — მაინც რომელ ჩემს ძმაკაცს მოუვიდა თავში ეს სისულელე?“

ამასობაში სინათლეს იმდენად მივუახლოვდი, რომ თვალი მომჭრა და სახეზე ხელები ინსტინქტურად ავიფარე.

— მოვედით, — პირდაპირ ყურში ჩამძახა „გოლიათმა“.

— ცოტა ხმადაბლა, ყრუ კი არა ვარ! — შევუღრინე და მორიგი სპექტაკლისთვის მოვემზადე. მაგრამ ხელების ჩამოშვება და ყველა „სპექტაკლის“ დამთავრება ერთი აღმოჩნდა. უარმაზარი მფრინავი თეფშის, უფრო ზუსტად კი ერთმანეთთან მიერთებული 2 თეფშის წინ ვიდექი. გაერთიანებული „თეფში“ მიწიდან ოდნავ ზემოთ, ცაში გამოკიდებულიყო და მისი ილუმინატორებიდან თვალისმომჭრელი სინათლე იღვრებოდა. ეს უცნაური მოწყობილობა თითქოს თავისთვის, ხმადაბლა „თუხთუხებდა“ და, გამოქვაბულივით „ხახადაფჩენილი“, თავისკენ მიხმობდა. მაგრამ შიგნით შესვლის სურვილიც არ გამჩენია. ამის თქმა მინდოდა ჩემი თანმხლებლებისთვისაც, მაგრამ ვერ მოვასწარი, რადგან ბატონი ალექსანდრე შიგნით გელოდებათო, ერთხმად დაიგუგუნეს, „ხახისკენ“ უცერემონიოდ მიბიძგეს და იმავე წამს მარჯვენა მკლავში ვიღაცამ ნემსიც მიჩხვლიტა. ამის შემდეგ მთელ სხეულში სასიამოვნო სითბომ დამიარა, ქუთუთოები ნელ-ნელა დამიმძიმდა და სანამ გავითიშებოდი, ისიც ვიგრძენი, ვიღაცის ძლიერმა ხელებმა ჰარში როგორ ამიტაცა...

გონს რომ მოვეგე, ფართო და მაგარ საწოლზე, უბალიშოდ ვეგდე, აზრები ერთმანეთში მერეოდა და ვერაფრით ვიხსენებდი, იქ როგორ მოვხვდი. ძლივს წამოვიწიე, ირგვლივ მიმოვიხედე და აღმოვაჩინე, რომ მქრქალი შუქით განათებულ უზარმაზარ ოთახში ვიმყოფებოდი, სადაც ერთ კუთხეში რაღაც ტანსაცმლის კარადის მსგავსი ფერადნათურებიანი ყუთი იდგა და უცნაურად შიშინებდა. თავად ოთახს კი არც კარი ჰქონდა და არც ფანჯრები.

ის იყო, ამ უცნაური ნაგებობიდან თავის დაღწევაზე დავფიქრდი, რომ ოთახში ჯერ სასიამოვნო და მშვიდი მელოდია გაისმა, შემდეგ კი მამაკაცის ხმაც მოჰყვა:

— გვიხარია, რომ უკეთ ხართ, ბატონო თემო. ახლა კი ბატონი ალექსანდრე გაგესაუბრებათ.

ამის გაგონებისთანავე ტანში ცივად გამცრა, რადგან სკაფანდრიანი „გოლიათებიც“, მფრინავი „თეფშიცა“ და ყველა სხვა ოხრობაც ერთად გამახსენდა. ამასობაში ოთახის ერთ-ერთი კედელი გაიხსნა და იქიდან უზარმაზარი ტელევიზორის ეკრანი გამოვიდა, ეკრანზე კი მაგიდასთან მჯდომი საშუალო ასაკის თვალებმოციმციმე მამაკაცი გამოჩნდა.

— მოგესალმებით! — დაიწყო მან. — ალექსანდრე ელიოზიშვილი ვარ.

— გაუმარჯოს... — თავაზიანობისა და ამ კაცისთვის თქვენობით მიმართვის სურვილი რატომღაც უმალ გამიქრა. — ნამდვილად ასეთი ხარ თუ...

— არა, — გამაწყვეტინა მამაკაცმა, — ეს, გარდამქმნელი მოწყობილობის შედეგია.

— ასეც ვიცოდი, — ხელი უხალისოდ ჩავიქნიე, — აქ მგონი, ნამდვილი არავინ და არაფერია...

— ვწუხვარ, მაგრამ ჩემს ნამდვილ სახეს ვერ გაჩვენებთ, რადგან საუბარი აღარ გამოგვივა.

— რატომ? საშინელი შესახედი ხარ?

— არა, მაგრამ უცნურად კი მოგეჩვენებით.

— მაშინ მიპასუხე, რისთვის მომიტაცე, სად და ვისთან ვარ და ამ სარკოფაგში რისთვის მაყურყუტებ?

— ჩვენს კოსმოსურ ხომალდზე დროებით, სტუმრად ხართ, — თავაზიანობით განაგრძო ჩემთან საუბარი ბატონმა ალექსანდრემ.

— რაო? — თვალები მოვჭუტე. — ნამდვილ კოსმოსურ ხომალდზე?..

— დიახ.

— მაშინ დროა, ყველაფერი კარგად დავათვალიერო, თორემ ვინ იცის, აქ კიდევ როდის მოვხვდები.

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია, რადგან შენობაში, რომელშიც იმყოფებით, ხელოვნურად თუ ვახერხებთ თქვენი პლანეტის ატმოსფეროს შენარჩუნებას. ამიტომ ვერც თქვენ შეძლებთ ოთახიდან სკაფანდრის გარეშე გამოსვლას და ვერც ჩვენ — თქვენთან შემოსვლას. თან, საამისო დროც აღარ გვრჩება.

— არ მესმის, ასე სად გვეჩქარება?

— ახლავე აგიხსნით.

— მიდი, სცადე! ოღონდ, ტყუილები აღარ იყოს, იცოდე.

— საქმე ისაა, რომ ჩვენი ხომალდის ერთ-ერთი ძრავას გაუმართაობამ მზის სისტემის პლანეტების სიახლოვეს მოგვიყვანა. სწორედ ასე შევნიშნეთ თქვენი მშვენიერი პლანეტაც.

— კარგი ერთი!

— სიმართლეს გეუბნებით. სიტყვები არ მყოფნის თქვენი პლანეტის სილამაზის გადმოსაცემად, ის მთელი უკიდეგანო სამყაროს მარგალიტია... და სანამ ჩვენი ხომალდი ისევ მწყობრში ჩადგება, დრო რომ უქმად არ დავკარგოთ, თქვენი პლანეტის დაწვრილებით შესწავლით ვართ დაკავებულნი.

— დიდი მადლობა ჩემი პლანეტის ასე დაფასებისთვის, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, მე რა შუაში ვარ?

— თქვენ ჩვენმა კომპიუტერმა აგირჩიათ.

— ისევ ნუ დაიწყე რა, ძველებური! — ხელი ავუქნიე ბატონ ალექსანდრეს. — ჯერ იყო და, კონკურსში მაინცდამაინც გაიმარჯვეო, ახლა კიდევ კომპიუტერმა ამოგარჩიაო...



— დამიჯერეთ, მართლა ასე იყო.

— და რაო, თქვენმა კომპიუტერმა, ასე მაინც რით მომხიბლა საშუალო დონის ჟურნალისტმა და დამწყებმა მწერალმა თემო სხიერელმაო? — თავმდაბლობის ხასიათზე დავდექი.

— ახლავე აგიხსნით. კომპიუტერმა გვირჩია, თქვენთვის 2 შეკითხვა დაგვესვა და თუ ორივეზე სწორად უპასუხებდით...

— სწორად ვუპასუხე?

— დიახ.

— გამახსენეთ ერთი, რა შეკითხვები იყო?

— ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, თუმცა მომავალში თქვენთან შეკითხვები კიდევ გვექნება.

— და თუ სწორად ვერ გიპასუხებთ, რა მოხდება, ქვეყანა დაიქცევა თუ ცა დაემხობა დედამიწას?

— ჩვენც მაგის თქმას ვაპირებდით...

— ვერ გავიგე?

— თქვენს პლანეტას დაღუპვა ემუქრება. თუ, რა თქმა უნდა, მის გადარჩენაზე პირადად თქვენ არ იზრუნებთ.

— კარგი ერთი... — ჩამეცინა. — ესეც კომპიუტერმა გითხრათ?

— დიახ. თან, გაითვალისწინეთ, რომ კატასტროფამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა.

— ვიცოდი, რომ დღეს რაღაც აუცილებლად მეწყინებოდა... ასეთი მაინც რა კატასტროფა გვემუქრება? და, საერთოდ, დედამიწაზე ჩემ გარდა კიდევ მილიარდობით ადამიანი ცხოვრობს, რაღა მე მერგო წილად ასეთი პატივი?

— ეს რომ გაიგოთ, უკვდავი უნდა გახდეთ. თანახმა ხართ?

— უკვდავიო? რას აღარ გაიგებს კაცი? მოკვდავი ადამიანი უკვდავი როგორ უნდა გავხდე? რას გეტყვი, იცი? ყელში ამომივიდა შენი სისულეები. ახლა ერთი გემრიელად ვიჩქმეტ, გამეღვიძება და შენც და მთელი შენი აბდაუბდაც უკვალოდ გაქრებით.

— სცადეთ.

ხელზე მართლა გამეტებით ვიჩქმიტე, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ყველა და ყველაფერი თავის ადგილზე დარჩა. „მგონი, ეს არც სიზმარია და არც მოლანდება“, — შევშფოთდი.

— მიპასუხეთ, ბატონო თემო, თანახმა ხართ? — ისევ გამიმეორა კითხვა ბატონმა ალექსანდრემ.

— სხვა რა გზა მაქვს... — თავი მოვისაწყლე.

— შესანიშნავია, — თვალები ისევ აუციმციმდა ბატონ ალექსანდრეს, — მაშინ მომავალ შეხვედრამდე, ბატონო თემო...

ამის შემდეგ ეკრანი ჩაქრა და მის ადგილზე ისევ პირშეკრული კედელი გამოჩნდა. თუმცა კედელი მალევე გაიხსნა და ოთახში 3 სკაფანდრიანი გამოჩნდა, რომლებმაც ეგვიპტელი ფარაონების სარკოფაგის მსგავსი რაღაც აგრეგატი შემოაგორეს.

— ყველაფერი გაიხადეთ და გასწორდით, — მიბრძანა ერთ-ერთმა სკაფანდრიანმა.

— ბარემ ხელებიც ხომ არ დავიკრიფო, მკვდარს რომ დავემსგავსო.

— გაიხადეთ და გასწორდით, — გამიმეორა სკაფანდრიანმა.

ამჯერად ბრძანებას დავემორჩილე, მაგრამ ენას მაინც ვერ ვაჩერებდი:

— ქართულად მშვენივრად ლაპარაკობთ. ჩვენს ენას დიდხანს სწავლობდით?

— არ მისწავლია, — მიპასუხა მან, — კომპიუტერმა დამაპროგრამა, — ახლა კი თვალები დახუჭეთ, მოდუნდით და რამე სასიამოვნოზე იფიქრეთ.

თვალების დახუჭვისთანავე ცხადად წარმოვიდგინე, ჩემს ბინაში, დივანზე როგორ ვარ წამოწოლილი, „ბარსა“-„რეალის“ თამაშს ვუყურებ და, თან, ცივ „ჰაინეკენს“ ვწრუპავ. სკაფანდრიანებმა კი ამასობაში ციმციმ ამწიეს და ოქროსფერი სითხით სავსე სარკოფაგში ჩამაწვინეს. ამის შემდეგ თავი უკვე ისე ბედნიერად ვიგრძენი, თითქოს საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს მსოფლიო ნაკრებისთვის მოეგოს და სამყაროს ჩემპიონი გამხდარიყოს. როგორც კი სარკოფაგს თავი დაახურეს, ოქროსფერი სითხე მთელ სხეულზე სასიამოვნოდ მომედო და ნელ-ნელა გონებაც დავკარგე“...

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***



# ნაადრევი ენძელები

სვეტა ქვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ „გზა“ №2-18

ქალბატონი მანანა მეორე დღესვე გადმოვიდა შვილის ბინაში. ნუკი, რა თქმა უნდა, მთელი დღე შინ იჯდა და ზურას დედის გამოჩენას ელოდებოდა. ქალი საჭიროზე თბილად შეხვდა გოგონას.

— გენაცვალე... როგორ გალამაზებულხარ... — თაფლად დაიღვარა მანანა, — ჩემს შვილს ვერაფერი დავაცდენინე. როგორია გარეგნულად-მეთქი, რომ ვკითხე. კარგი გოგოაო, მორჩა და გათავდა... რა სიტყვაძუნწია ის საძაგელი! ამისთანა ანგელოზს მიმალავდა? როგორ შეცვლილხარ, შვილო. რამდენი წელია, არ მინახავხარ, აბა, რას გიცნობდი, სადმე რომ შემხვედროდი? გამიხარდა ძალიან შენი ნახვა, — მერე ხმას ისე დაუწია, ლამის ჩურჩულზე გადავიდა და, თითქოს დიდი საიდუმლო ყოფილიყო, ისე შეეკითხა, — დედაშენის არაფერი ისმის?

— კი, როგორ არა, ბოლო დროს გამოჩნდა.

— რას მელაპარაკები! მერე? რაო ხუტამ, მიიღო?

— ხუტას არა, მე დამიკავშირდა... ტელეფონით.

— ახ! ეს რა მითხარი! კარგია, შვილო, კარგი. რაც უნდა იყოს, მაინც დედაა. ყველაფერი ხდება ქვეყანაზე, უნდა აპატიო, აბა როგორ! სხვანაირად არც შეიძლება. იმიტომ უყვარხარ ჩემს შვილს ასე ძალიან, მართლა კარგი გოგო ყოფილხარ შენ! ტყუილად არ გაქებს.

ნუკის ლაწვები შეეფაკლა. როდის ელაპარაკა ზურა დედამისს მასზე? გამგზავრების წინ თუ უფრო ადრე? ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, თუმცა კითხვის დასმა (არც აპირებდა) არ დასჭირვებია, ქალმა „ნებაყოფლობით“ გააგრძელა, — გამოგვიჭედა მე და მამამისს შენზე ლაპარაკით ყურები! ამდენჯერ არასდროს უხსენებია სხვა გოგოების სახელი და ამდენი არ ულაპარაკია. რაც მამიდამისისგან ჩამოვიდა, პირზე სულ შენი სახელი აკერია. გაიხარე, შვილო, იქნებ ახლა მაინც მოვიდეს ჭკუაზე და იფიქროს ოჯახის შექმნაზე. რა უჭირს, ცოტა ახალგაზრდა რომ ხარ? აბა, ბებერი და ასაკოვანი რად უნდა? მაგნაირმა შეიძლება შვილი ვერც გაუჩინოს, ბატონო! მე კი შვილიშვილი მინდა. აგერ, მამამისიც სიკვდილის პირასაა მისული. ღმერთმა ნუ მომასწროს მაგ დღეს, მაგრამ... ისე რატომ უნდა წავიდეს ამ ქვეყნიდან, შვილიშვილს ვერ მოესწროს?

ნუკი ნაწილობრივ უსმენდა მანანას. მისი ფიქრები ამწუთას მხოლოდ იმ სიტყვების გარშემო ტრიალებდა, რომელმაც „აუწყა“, რომ თურმე ზურა დიდი ხანია, დედასთან მასზე „ჭორაობდა“. გამოდის, ნუკი მისთვის მართლა ღირებული ყოფილა. მაშინ რატომ უფრო არ იაქტიურა? რატომ მეტი არ მოითხოვა მისგან? რას მიაწეროს მისი ასეთი თავშეკავება?..

ნეტავ, რატომ ჩაუღრმავდა ამ ამბავს? აინტერესებს კი ზურა მასზე ფიქრობს თუ — არა? არ იცის... იქნებ აინტერესებს და თავს არ უტყდება ამაში? იქნებ ეს უბრალოდ, ხავსია მისთვის, ბოლო წამს რომ უნდა მოეჭიდოს? რადგან გიამ ხელი აიღო მასზე, სასწრაფოდ შემცვლელი იპოვოს? ამის გაფიქრებაზე ისე შეკრთა, თითქოს რალაც საშინელებაში გამოუტყდა საკუთარ თავსო. შავბნელი აზრები სწრაფად მოიშორა თავიდან და მანანას მორიდებით შეღიმა.

— გეშიებათ... ჩახოხბილი გავაკეთე, გაგიცხელებთ...

— არა, შვილო, დიდი მადლობა. ახლა ლუკმა არ გადამივა ყელში, ისე ვნერვიულობ, — ისეთი სახე მიიღო მანანამ, თითქოს ამბობდა, ჭირი ჭამოს ჩემმა პირმაო, როგორც სჩვევიათ ხოლმე ასაკოვან ქალებს, — როგორ ჩავიდნენ, როგორ მოეწყვნენ... ყოველ წამს ზარს ველი, როდის დამირეკავენ. ამომხდა სული ლოდინში.

— დარეკავენ, ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი კარგად იქნება. მოდი, ერთად ვისადილოთ.

ნუკი ქალის პასუხს არ დაელოდა, სამზარეულოში გავიდა და დაფაცურდა...

ზურამ გვიან ღამით დარეკა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მშვენივრად მოვეწყვეთ და პროფესორიც ვნახეთო. ხვალ ანალიზებს გაუკეთებენ და ოპერაციასაც დანიშნავენ, სავარაუდოდ, ზეგისთვისო. ქალბატონ მანანას ცრემლები წამოუვიდა და ვიშვიშს მოჰყვა. ნუკი მის დამშვიდებას შეეცადა, თუმცა კი ნერვებს უშლიდა ამგვარი რამეები. ვერ იტანდა, როცა ქალები უაზროდ მოჰყვებოდნენ ხოლმე თავში ხელების ცემას და წინასწარ გამოიტირებდნენ ავადმყოფ ადამიანს. ბიცოლამისმა იცოდა ასე წუწუნი, ერთი ვაი-უშველებელს ატეხდა, როცა ხუტას რამე წამოსტკივდებოდა. წყლული (თორმეტგოჯაზე) ჰქონდა ნუკის ბიძას და ხშირად ემართებოდა შეტევა. ერთხელ სისხლდენაც კი დაეწყო. აი, მაშინ ატეხა თამარამ, თუ ატეხა! მეზობლები ხომ შეყარა, ისეთი კივილი მორთო და „სასწრაფო დახმარების“ მანქანით საავადმყოფოში რომ გააქანეს მისი ქმარი, მთლად მოთქმით (მეგრელი ქალივით) დაიტირა, თითქოს უკვე გარდაცვლილი იყო საწყალი ხუტა და სასტუმრო ოთახში („ზალაში“) ესვენა.

ნუკი შეეცადა, სხვა რამეზე გადაერთო ქალბატონი მანანა და მოკრძალებით ჰკითხა, როგორ გაიცანით თქვენ და თქვენმა მეუღლემ ერთმანეთიო. მანანამ ერთი ღრმად ამოიოხრა, ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მერე სევდიანად დაიწყო თავისი ახალგაზრდობის ამბების მოყოლა...

ორივე ქალი (ხანდაზმული და ახალგაზრდა) გვიან ღამემდე კარგი დაქალებივით უშლიდა გულს ერთმანეთს...

ნუკი ადვილად შეეთვისა მანანას. თითქოს მთელი ცხოვრება ერთად გაეტარებინოთ, ისე შეეწყვნენ ერთმანეთს. ქალი საქმის გაკეთებას არ ანებებდა გოგონას, როგორც კი ნუკი რამეს ხელს შეავლებდა, ეგრევე გამოსტაცებდა ხელიდან, შენ დაისვენე, აქ რისთვის ვარ, შენ რატომ უნდა შეგაწუხოო. საბოლოოდ ისე გამოდიოდა, რომ ნუკი მთელი დღეებს უსაქმურობაში ატარებდა. სა-

მაგიეროდ, კომპიუტერი ჰქონდა ჩართული. შემძვრალი იყო „ოდნოკლასნიკებში“ და გიას გამოჩენას ელოდებოდა... მაგრამ ამაოდ. მამაკაცი არც ერთხელ არ გამოჩენილა საიტზე. ბოლმა (და ბრაზი) ახრჩობდა. უნდოდა დაერეკა, მაგრამ რამდენჯერაც ხელი წაუცდა დასარეკად, იმდენჯერ გადაიფიქრა. ვერ დაძლია სიამაყე (თუ შიში). იქნებ მართლა უჭირს რამე? ხომ არ მოიკითხოს? იქნებ დაუმესიჯოს მაინც? შეტყობინების გაგზავნით რა დაშავდება? ალბათ არაფერი. მაინც იკავებდა თავს...

იმ დღეს კი, ბარბარობას, საბაბიც მიეცა, ბოლოს და ბოლოს, საეკლესიო დღესასწაული იყო. ჰოდა, ამით ისარგებლა. ისეთი, ზოგადი ტექსტი დაწერა, ყველას რომ „მოერგებოდა“ და გაუგზავნა... პასუხი არ მიუღია. არადა, წერილი ადრესატამდე ახლაც დროულად მივიდა. რადგან ტელეფონი ჩართული აქვს, ესე იგი, ცოცხალია. თუ ცოცხალია, ესე იგი, წაიკითხავდა და თუკი წაიკითხავდა, თუ რამედ უღირს ნუკი, პასუხიც უნდა მოეწერა. რადგან არ მოსწერა, ესე იგი, არ უღირს... აი, აქ არის ძაღლის თავი დამარხული... გული შეეკუმშა. ინანა, რატომ ავჩქარდი და გავუგზავნეო... ისე ანერვიულდა, გაბრაზებულმა კომპიუტერი გამორთო და მას შემდეგ აღარ ჩაურთავს. სამაგიეროდ, სხვა რამეზე გადაერთო. წამოიღო სამკერვალოდან შეკვეთები და მათ გამოჭრა-დაბლანდვას შეუდგა, წინ რომ წაეწია საქმე, სანამ ზურა ჩამოვიდოდა...

ზურას მდივანი ყოველ საღამოს ურეკავდა და „ანგარიშს აბარებდა“. ნუკიც „კეთილად და პატიოსნად“ იწერდა ირმას ნალაპარაკევს და მერე ზურას უკითხავდა თავის ჩანაწერებს...

ასე გაგრძელდა 10 დღე. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, დარჩენილი დღეები პაციენტი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ამყოფეს და როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მამა-შვილი თბილისში ჩამოფრინდა...

მანანა წავიდა, ნუკი კვლავ მარტო დარჩა. ზურა 2 დღე არ გამოჩენილა. ამით ისარგებლა გოგონამ და სამკერვალოში დაბრუნდა, იფიქრა, მეტად აღარ ვჭირდები ზურასო... შეცდა. 2 დღის შემდეგ მამაკაცმა დაურეკა და სთხოვა, საღამოს ჩემთან გამოდი, აუცილებელი საქმე მაქვსო. ნუკის უცნაურად შეუფრთხიალდა გული. ვერ მიხვდა, გაუხარდა თუ შეეშინდა. ისე დააბნია (თუ დაძაბა) მოსალოდნელმა შეხვედრამ, მთელი დღე გული ვერ დაუდო სამუშაოს. ის კი არა, ქვედატანს რომ ბლანდავდა, ნემსიც კი შეერჭო რამდენჯერმე თითში.

საღამოს, მისდა უნებურად (ვითომ?) გამოიპრანჭა, ერთხანს იტრიალა სარკის წინ და გულის ფანცქალით გაეშურა მისი ბინისკენ.

ზურა უცნაურად გამოიყურებოდა, თითქოს უციმციმებდა თვალები. ნუკი შეეცადა, არ შეემჩნია მისთვის აქამდე (რატომღაც) უცნობი მზერა, ამიტომ ჩვეულებრივად მიესალმა, გვერდი აუარა და ოთახში შევიდა.

— არ მაკოცებ? — გზაში დაეწია ნაცნობი ხმა.

— როგორ არის მამა? — ისე იკითხა „მამაო“, თითქოს თავის მამას გულისხმობდა.

— მგონი, საშიშროება არ გვემუქრება.

— დიდი ჭრილობა აქვს? — ნუკი სავარძელში ჩაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— არა, რა ჭრილობა, ერთი ნახვრეტი აქვს მხოლოდ. ეგ ოპერაცია სხვანაირად კეთდება, გაჭრა არ ხდება.

— ააა! ეგ არ ვიცოდი, — წამოწითლდა ნუკი, შერცხვა თავისი უცოდინარობის.

ზურა ტახტზე მოკალათდა და ხელები საზურგეზე გარდიგარდმო გადააწყო, თან ღრმად ამოიხვნეშა.

— კარგად ხარ? რატომ ოხრავ? — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა გოგონამ.

მამაკაცმა დანისლული მზერა ესროლა. მისი ხმა (ისევე, როგორც სიცილი) ნაზი და ბავშვური იყო, რაც სრულიად არ ესადაგებოდა მისი ტემპერამენტის ქალს, თვალებიდან შიშველ ვნებას რომ ასხივებდა, განსაკუთრებით იქ, ქობულეთში, ზღვის სანაპიროზე. თვალწინ დაუდგა მისი ლამაზი ტერფები (მეტაფიზიკური) და კბილი კბილს დააჭირა, იმხელა სიამოვნება მოჰგვარა ამის გახსენებამ.

— ისეთი არაფერი. ჯობია, დაწვე და დაიძინო!

— რა? — ისეთი ტონით იკითხა გოგონამ, თითქოს მოესმაო, — დასაძინებლად დამიბარე აქ? — გაუმკაცრდა ხმა.

— რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე.

— რისი თქმა გინდოდა? — ნუკი კვლავ დაიძაბა.

— მადლობის... დედა ძალიან კმაყოფილია.

— მე ისეთი არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ, ერთად ვიცხოვრეთ რამდენიმე დღე და მორჩა.

— ვიცი, მაგრამ ჩემთვის სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი. არ მინდოდა მისი მარტო დატოვება. თან მეც მეხმარებოდი ჩემს საქმეებში.

— ეგ რა დახმარება იყო, ზურა, რაღაც სისულელეებს რომ ვჯღაბნიდი და მერე შენ გიკითხავდი? — სიცილი აუტყდა ნუკის.

მამაკაცს სწორედ მისი ეს სიცილი აგიჟებდა, ადამბლავებდა... მოულოდნელად ყრუდ დაიკვნესა და თავზე წაივლო ორივე ხელი.

— აუ, შენ რაღაც გჭირს... არ გინდა, მითხრა? თავი გტკივა? მითხარი!

— არა, რა თავი... ეს სხვა ტკივილია... — ყრუდ უპასუხა მან. — რომელზეც შენ წარმოდგენა არ გაქვს! — დაასრულა, თავი ასწია და დაჟინებით მიაშტერდა.

— იქნებ შემიძლია, რამით დაგეხმარო?

არა, ამის ატანა შეუძლებელი იყო! ზურას „ცოდვიანმა“ აზრებმა დარია ხელი. ახლა მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა, ჩახუტებოდა თავის საოცარ მირანდას და მოჰფერებოდა. სწორედ ამიტომ დალია ამ საღამოს ამდენი ღვინო.



— მთვრალი ვარ...

— მთვრალი? იმიტომაც გამოიყურები ასე, არა?

— როგორ ასე?

— რაღაც სხვანაირი ხარ... ვერ ავხსნი...

— პირველად მნახე მთვრალი?

— მთვრალი კი... ნასვამი ბევრჯერ ყოფილხარ, მაგრამ მთვრალი არასდროს.

— ცუდად ვარ... — ძალიან ხმადაბლა წარმოთქვა.

— რა გავაკეთო? რით დაგეხმარო? შემიძლია რამე? მითხარი.

— მგონი, შეგიძლია, — უეცრად ხმა გაებზარა ზურას, — მოდი, აქ გადმოჯექი!

— სად, აქ? — ნუკი თრთოლამ აიტანა.

— აი, აქ! — უპასუხა მამაკაცმა და ხელისგული მის გვერდით, ცარიელ ადგილს მოუთათუნა.

გოგონამ ჩიხში მომწყვდეული შველის თვალებით გახედა, მაგრამ მაინც ადგა.

— მოდი და განახვებ, სად მტკივა... ხელი დამადე მტკივან ადგილას, იქნებ მეშველოს...

„არ მჯერა, რომ ეს მე ვთქვი!“ — გაიფიქრა მამაკაცმა, — „ნუთუ სასმელმა გამათამამა? თუ მისი დაკარგვის შიშმა?“

ნუკი მიუახლოვდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ საშიშროების ნიშნების პირველივე გამოვლინებაზე მზად იყო, უკან დაეხია.

— აბა, სად გტკივა? — ფრთხილად ჰკითხა და კიდევ 2 ნაბიჯით მიუახლოვდა.

ნუთუ ეს მან უთხრა? და ვის, ნუკის? დაუჯერებელია! როგორ მოახერხა? — გოგონას გული ხმაურით უცემდა. ან ძალიან გალეშილია, ან დიდი ნაძირალაა და აქამდე არ ავლენდა! არა, არა... არც ერთია მართალი და არც — მეორე! აი, როგორ გაუღიმა... თბილად, საყვარლად... ნაძირალა ნამდვილად არ არის. მთვრალი? შეიძლება მთვრალია, მაგრამ გალეშილი არ არის...

და აი, სწორედ ამ მომენტში დაუშვა შეცდომა... გვერდით დაუჯდა მამაკაცს და მხარზე შეეხო... მერე თავი ასწია და თვალებში შეაჩერდა, რომ გაეგო, რა აწუხებდა „პაციენტს“.

— სანამ შანსი გქონდა, უნდა გაქცეულიყავი, — დახშული ხმით ამოთქვა ზურამ, მერე უეცრად მკლავი მოხვია და მის ტუჩებს დაეწაფა...

„ყოველ შემთხვევაში,“ — უთხრა მოგვიანებით (ცოტა მოგვიანებით) ზურამ თავის თავს, — „იმდენი გონი მაინც მეყო, რომ საწოლისკენ არ გავაქანე“. ის, რაც მოხდა, მოხდა შემთხვევით, დაუგეგმავად (უფრო სპონტანურად). კარგა ხანს არჩევდა საჭირო სიტყვას გუნებაში მამაკაცი. რა მოხდა მერე, აკოცა და მოეფერა, მეტი ხომ არაფერი? ამით დიდად არ დაუშავებია.

ადრეც უკოცნია მისთვის. ეს არ იყო პირველი. უბრალოდ, ახლა უფრო თამამად მოქმედებდა, უფრო მომთხოვნად. აქამდე თითქოს „უცოდველად“ გამოსდიოდა, უმწიკვლოდ. ადრე ისეთი კოცნები იყო, რომელთაც ზიანის მოტანა არ შეეძლო ნუკისთვის და არც დამუქრებია სხვა, უფრო უმართავ პროცესში გადასვლა, რადგან მკაცრად აკონტროლებდა თავის თავს და გრძნობებსაც.

ახლა კი... ახლა გადამთვრალი იყო... აქედან გამომდინარე — უფრო საშიშიც. იმდენი ღვინო ჰქონდა დალეული, სრულიად საკმარისი იყო, საღად აზროვნების უნარი დაეკარგა. ახლა შეიძლებოდა დიდი შეცდომა დაეშვა და... დაუშვა კიდეც!..

მისი სუნთქვა გოგონას ხმამაღალ სუნთქვას ერწყმოდა. თავდაპირველად თითქოს ნუკიც აჰყვა ცდუნებას, რამდენიმე კოცნაზე კოცნით უპასუხა, მაგრამ შემდეგ, როცა მამაკაცმა მისი მკერდი ჩაბღუჯა, ხელი ჰკრა და წამოხტა.

— გაწყენინე? — სევდით სავსე თვალები მიაპყრო ზურამ.

— არა... არც ისე... არ ვიცი, — ალუღლუღდა აცახცახებული გოგონა.

— მაპატიე... სასმლის ბრალია ყველაფერი...

— ვიცი.

— ყალბი თავის მართლებაა, ამაზე უარესის მოფიქრება შეუძლებელია...

— ვიცი.

— იმისთვის არ მითხოვია მოსვლა, რომ ეს გამეკეთებინა, გეფიცები...

— ვიცი.

— მერე?

— არ გინდა, ნუ იმართლებ თავს... არ გამოგდის, ხომ ხედავ? — შემცბარმა გაღიმება სცადა.

— შენ ყველაფერი იცი მოკლედ... ყველაფერი იცი და მაინც...

— რა მაინც?

— მაინც არ მაძლევ საშუალებას, ბოლომდე გავიხსნა.

— მაბრალებ... შენთვის არაფერი დამიშლია, — თავი გააქნია ნუკიმ და ფეხი მოინაცვლა.

— დაჯექი, ხელს არ გახლებ, პირობას ვიძლევი.

— არ მინდა, ფეხზე დგომა მირჩევნია, — არ ენდო მის პირობას.

— გეშინია?

— არ მეშინია. რაც უნდა მოხდეს, ამით არაფერს დავკარგავ. ქალიშვილი დიდი ხანია, არ ვარ.

— ვიცი.

— იცი? საიდან? — ნუკის თვალები გაუფართოვდა.

— რა მნიშვნელობა აქვს? ასეთი რამეები არ იმალება.

— მერე?

— რა მერე?

— ეს შენთვის რამეს ნიშნავს? — ეს სწორედ ის შეკითხვა იყო, რომელიც ამას წინათ გიას დაუსვა.

— აბსოლუტურად არაფერს. შენს წარსულთან მე რა ხელი მაქვს... ჩემთვის შენ ხარ მთავარი, სხვა არ მაინტერესებს.

ნუკიმ პასუხი არ გასცა. სასიამოვნო მოთენთილობამ შეიპყრო. არ ეგონა, ზურას თუ ასეთი შეხედულება ექნებოდა „არაქალიშვილებზე“. ალბათ „ამერიკული სკოლა“ თავისას შვრება. ამის გაფიქრებაზე ღიმილი ვერ შეიკავა.

— რატომ მითხარი, სანამ გქონდა შანსი, უნდა გაქცეულიყავიო?

— მე გითხარი? — წარბები აზიდა მამაკაცმა. — მართლა მე ვთქვი ეს სისულელე?

— ჰო, თანაც სულ რამდენიმე წუთის წინ... — ირონიულად შენიშნა გოგონამ.

— აი, რას ნიშნავს სიმთვრალე... აღარ მახსოვს... — ჩაიცინა. — არა, მახსოვს... მართალი ხარ... გამახსენდა... მართლა ვთქვი.

არ შეეძლო თავისი სიტყვების უკან წაღება. არადა, უკვე ნანობდა თავის საქციელს. ხომ იცოდა, რომ ნუკის არ უყვარდა, რატომ მოიქცა ასე? რას მოელოდა მისგან? რატომ ეგონა, რომ მის ნებას დაჰყვებოდა? არ უნდა დაერეკა! არ უნდა მოეყვანა აქ! არ უნდა დანახვებოდა ამ მდგომარეობაში. თავი გასცა, თან, ტყუილად. არაფერი გამოვიდა მაინც. მას ზურა არ სჭირდება.

„შენ რა, გჭირდება, ზურა?“ — თავის თავს დაუსვა „საჭირბოროტო“ შეკითხვა. „არ მკითხო!“ — სწრაფადვე გაუპასუხა გონებას.

ნუკი შეირხა. დაიღალა ერთ ადგილას დგომით, მაგრამ დაჯდომას ვერ ბედავდა. ვერც წასვლა გადაეწყვიტა. მამაკაცმა ახედა... რა ლამაზია მისი ნუკი (თუ მირანდა)... თან ნამდვილი, თან — გამოგონილი... მიწიერიც და არამიწიერიც ერთდროულად... ფიზიკურად აქ არის, მის წინ დგას, მაგრამ თან არ არის... მასთან არ არის... სადღაც, სხვაგან დაფრინავს მიუწვდომელია მისთვის...

„შენ რა, გჭირდება, ზურა?“ — კვლავ გაუმეორა თავის თავს გულში კითხვა... რომც უყვარდეს ნუკის, არის კი მზად, ცოლად შეირთოს? უნდა კი ოჯახური უღელი დაიდგას? არ იცის... თითქოს უნდა, თითქოს არც უნდა... იქნებ იმიტომ არ უნდა, რომ დარწმუნებულია, რომც მოითხოვოს, უარს მიიღებს? იქნებ ამიტომ იმშვიდებს თავს? მთლად აირია... თავგზა აუბნია ამ ნახევრად ნამდვილმა და ნახევრად მეტაფიზიკურმა ნუკი-მირანდამ. არა, მხოლოდ ეს არ არის მიზეზი. ის ყველაზე მეტად ამქვეყნად თავისუფლებას აფასებს. ამიტომაც გაუსხლტა მშობლებს და გაემგზავრა შორეულ ამერიკაში. რათა მისთვის ხელი არავის შეეშალა და თავად ემართა თავისი ცხოვრება. ნუკისაც ხომ იგივე სურს? განა, ასე არ უთხრა ამას წინათ? მინდა, თავად ვმართო ჩემი ცხ-

ოვრებაო? დამოუკიდებელი მინდა, ვიყოო? მერედა, ის ვიღაც? დაიჯეროს, რომ იმასაც იმავეს ეუბნება? ჰო, მართლა... „ის“ ახლა გაახსენდა.

— შენი რომანის ამბავი როგორ მიდის? — მოულოდნელად დასვა შეკითხვა... იმდენად მოულოდნელად, რომ ნუკის გააჟრჟოლა. მზერა აარიდა მამაკაცს.

— არანაირი რომანი არ ყოფილა, — ჩაილაპარაკა გოგონამ და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, სავარძლისკენ, აღარ შეეძლო ფეხზე დგომა, მით უმეტეს, ამ საშინელი შეკითხვის შემდეგ.

— ნუთუ?

— არ გჯერა? — ნიშნის მოგებით გახედა გოგონამ, ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და სავარძელში ჩაეშვა. — ნუ გჯერა... როგორც გინდა.

— რაღაც მცდელობა ხომ გქონდათ! — ბოლო ბგერას მახვილი დაასვა მამაკაცმა.

— თითქოს, — გაურკვეველი პასუხი გასცა ნუკიმ და ფეხზე შემოდებული ფეხი ააქანავა.

— აღარ დაფრინავ, ესე იგი, ღრუბლებში? დაეშვი მიწაზე?

— არც არასდროს დავფრინავდი! — ცივად მოუჭრა. — ამისთვის დამიბარე?

— არა, ამისთვის არა. უბრალოდ, საჩუქარი ჩამოგიტანე და მინდოდა, გადმომეცა, — შემრიგებლური ღიმილით დააჯილდოვა.

— საჩუქარი? რა საჩუქარი? რა საჭირო იყო? — დაიბნა გოგონა.

— შენ ძალიან დამეხმარე. მე კი არ მინდოდა, ვალში დავრჩენილიყავი. გარდა ამისა, დედაჩემსაც უნდოდა, შენთვის რამე კარგი ჩამომეტანა.

— დედაშენს? რას ამბობ!

— რასაც ვამბობ. დედას ძალიან მოსწონხარ. რამდენჯერაც ველაპარაკე, იმდენჯერ შენზე ჩამომიგდო საუბარი. რა ჩემი ბრალია, თუკი რძლად მოსწონხარ?

„შენ კი არ მოგწონვარ?“ — კინაღამ წამოსცდა, თუმცა დროზე დააჭირა ენას კბილი.

— და მეც მომწონხარ... თუმცა, არა მგონია, შენთვის ეს რამეს ნიშნავდეს.

— ტყუილად გგონია, — მისდა უნებურად წამოსცდა ნაფიქრი, ამჯერად ვერ დაიმორჩილა ენა.

— როგოოორ?! — წარბები შეჭმუხნა მამაკაცმა და მზერით გაბურღა.

ნუკი მიხვდა, უკან დახევას აზრი არ ჰქონდა.

— როგორ და... ტყუილად გგონია, რომ ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს. მსიამოვნებს, რომ მოგწონვარ. ყველა ქალს სიამოვნებს, როცა მამაკაცს მოსწონს... — „გამოასწორა“ შეცდომით წამოსროლილი ფრაზა.

— სულ ეგ იყო, რაც უნდა გეთქვა? — მწარედ გაეღიმა ზურას.

— ჰო... წავალ ახლა, თუკი საჩუქარს მომცემ. რახან ჩამომიტანე, სხვა გზა არ მაქვს, უნდა გამოგართვა, არ მინდა, უმადურობაში ჩამეთვალოს.

— არსადაც არ წახვალ. დარჩი აქ და შენს ოთახში დაიძინე! — მკაცრად გაისმა მისი ხმა.

— მაინცდამაინც კარგი აზრი არ მგონია ეგ! — ჯიუტად გადააქნია თავი ნუკიმ და ფეხები ერთად შეატყუპა, თითქოს საშიშროების მოახლოება იგრძნო და გასაქცევი პოზიცია უნდა დაიკავოსო.

— მე კი პირიქით მგონია. ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომც მთხოვო, მაინც ვერაფერს შევძლებ. ჰა-ჰა, ერთიორჯერ გაკოცო მხოლოდ და მორჩა! თუმცა, არც მაგას ვაპირებ. წადი, დაწექი, მეც დავწვები და დავიძინებ. საჩუქარს კი ხვალ დილით მოგცემ.

ნუკის სახე მოეღუშა. ვერ გადაეწყვიტა, წასვლა აეჩემებინა, თუ დარჩენილიყო.

— დარჩი-მეთქი, ვთქვი მე! — ახლა უკვე ძალიან მკაცრად წარმოთქვა მამაკაცმა, რადგან მიხვდა, ნუკი რომ ყოყმანობდა.

— კარგი, დავრჩები... ჩემგან კიდევ გინდა რამე?

— ბარემ კი მინდა, მაგრამ... — ეშმაკურად ჩაიცინა ზურამ, მის სითამამეს საზღვარი აღარ ჰქონდა. — ამაღამ მხოლოდ „ბორჯომს“ დავჯერდები. თუ არ შეწუხდები, გამომიტანე, სამზარეულოს მაგიდაზე დევს გაუხსნელი ბოთლი.

— ახლავე, — ნუკი მკვირცხლად წამოხტა და გახარებული იმით, რომ ოთახიდან გასვლამ მოუწია, სამზარეულოში შევარდა.

როცა ბოთლით ხელში უკან შემობრუნდა, ზურა ვიღაცას ტელეფონზე ელაპარაკებოდა და თითით ანიშნა, ახლოს მოდიო.

— თამარაა, შენთან ლაპარაკი უნდა, — თქვა და მობილური გოგონას მიაწოდა.

ნუკი დაიბნა. საიდან გაახსენდა თამარას? რა უნდა? რა იცოდა, ზურასთან რომ იყო? ათასმა კითხვამ გაუელვა თავში.

დაბნეულმა გამოართვა მამაკაცს ტელეფონი და ყურთან ფრთხილად მიიდო.

— ალო!

— ნუკი, შვილო, როგორ ხარ? ძლივს მოგაგენი, მოკლედ. რატომ გაქვს ტელეფონი გამორთული? კიდევ კარგი, ზურასთან დავრეკე. ვიფიქრე, მაგას ეცოდინება, როგორ გიპოვო-მეთქი. ძალიან ცუდად გამოვიდა მაშინ ყველაფერი. მე რომ ვყოფილიყავი სახლში, ის ამბავი არ მოხდებოდა, ჩემო გოგო. ეკამ რა იცოდა, იმ მეტიჩარას აღებული თუ იყო...



ნუკი აღარ უსმენდა ბიცოლას. ზურას მისჩერებოდა ირონიული ღიმილით, თითქოს ეუბნებოდა, ამასთან ლაპარაკის თავი არ მაქვსო. მოულოდნელად მამაკაცი ზეზე წამოიჭრა, მობილური ხელიდან გამოსტაცა და გათიშა.

— ვითომ დაჯდა ელემენტი... არ მიყვარს ასეთი სიყალბე... ეკამ ყველაფერი იცოდა, ზუსტად ვიცი! — კბილებში გამოცრა გაბრაზებულმა.

— რატომ დარეკა? — გაოგნებულმა ნუკიმ მხრები აიჩეჩა.

— ბიძაშენი აპირებს ხვალ ჩამოსვლას და იმიტომ! თავის მოქონვა სჭირდება, რომ ეკაზე გაგულისებულმა არ ილაპარაკო. იცის ხუტას ამბავი, თავზე დაამხობს მაგათ ყველაფერს.

— არც ვაპირებდი არაფრის თქმას. უკვე აღარ მადარდებს ეგ ამბავი. პირიქით, მადლობელიც კი ვარ ეკასი, იმ ტყვეობიდან რომ გამათავისუფლა... და კიდევ შენი.

— ჩემიც? რა კარგია! — მხიარულად შესძახა ზურამ. — მაშინ, სანამ ჩემი ლოგინისკენ ავიღებ გეზს, ერთი სამადლობელი კოცნა მაჩუქე... ხომ უნდა დავიჯერო, რომ გულწრფელი ხარ?

ნუკიმ ღიმილი ვერ შეიკავა. ისე საწყალობლად მისჩერებოდა მამაკაცი, აუცილებლობადაც კი ჩათვალა, ერთი ლამაზი კოცნით დაეჯილდოებინა.

თვალები ეშმაკურად მოწკურა, „ბორჯომის“ ბოთლი მკერდზე მიიხუტა და თავაღერებული გაემართა ტახტზე გვერდულად მიწოლილი მამაკაცისკენ...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# გზავნილები

# უხერხული სიტუაცია

მარი ჯაფარიძე

**მივესალმები „გზის“ მკითხველს. როგორ ხართ? ალბათ აფორიაქებულები, როგორც ადამიანების უმეტესობა — გაზაფხულზე. გული გარეთ მიგიწევს, საქმე კი არ გიშვებს. საკუთარ „ტყავზე“ მაქვს გამოცდილი, რა ძნელია ასეთ მდგომარეობაში ყოფნა. ჰოდა, ამ დროს ვერც საქმეს ვაკეთებ და ვერც სასეირნოდ მივდივარ — ვდგავარ ფანჯარასთან და უბრალოდ ვცდები. რაც შეეხება თემას — „უხერხული სიტუაცია“, ზედმიწევნით მიესადაგება იმას, რაც ახლა უნდა გითხრათ: საინტერესოა, რატომ გგონივართ უყურადღებო ან იქნებ — სულელიც? ანდა იქნებ გგონიათ, ციფრებს ვერ ვცნობ და ტელეფონის ნომრებს ვერ ვკითხულობ? ერთი და იმავე ნომრიდან ურთიერთგამომრიცხავ მესიჯებს ვიღებ და ხომ არ იცით, რისი ბრალია?.. მაგალითად, ერთ მესიჯში ერთ-ერთ მგზავნელს უშვერი სიტყვებით ლანძღავენ, იმავე ნომრიდან გამოგზავნილ სხვა მესიჯში კი იმავე მგზავნელს ალერსიანი სიტყვებით მიმართავენ და სიყვარულს უხსნიან... საკუთარი თავისთვის გაგზავნილ მესიჯებზე აღარ ვამახვილებ ყურადღებას. ჰოდა, ასეთ მესიჯებს არ გამოვაქვეყნებ და ნუ გეწყინებათ. არანაირი სურვილი არ მაქვს, დანარჩენი მკითხველები მოტყუებული დარჩნენ და ერთ-ერთის ფსევდოგამომგონებლობას აჰყვნენ. ასე რომ, ტყუილად ნუ დაიხარჯებით, მეგობრებო...**

## „ვითომპატარძალი“

„ხშირად ვვარდები უხერხულ სიტუაციაში, მაგრამ, როგორც წესი, ამას არ განვიცდი. არც მრცხვენია და არც „ბოდიშებს“ ვიხდი. ერთი ჩვეულებრივი ან არაჩვეულებრივი გოგო ვარ, არასდროს მყვარებია და საერთოდ, ამ გრძნობას ქალსა და მამაკაცს შორის, არ ვაღიარებ. ჩიტივით თავისუფალი ვარ და მამრობითი სქესის წარმომადგენლები ჩემს ინტერესს არ იმსახურებენ. ძნელი წარმოსადგენი და დასაჯერებელია, მაგრამ ასეა. ამდენი იმიტომ ვიტლიკინე, რომ ჩემი საქციელის არაადეკვატურობას გავუსვა ხაზი. დღეს ანუ 7 მაისს არაჩვეულებრივი, მზიანი დარი დადგა. ვინაიდან შაბათი დღე იყო და საქმე არ მქონდა, ჩემს ერთადერთ და „უნარშეფერხებულ“ დაქალთან ერთად გასეირნება გადავწყვიტე. ჯერ „მაკდონალდსში“ სტომაქები ამოვივსეთ, ვიქაქანეთ, შემდეგ — ქუჩაში გამოვედით. ახლა რა ვქნათ? — დავსვი კითხვა. — კინო და თეატრი ჯერ ადრეა და მაღაზიები დავიაროთ, „სარაფანჩიკი“ მაქვს საყიდელიო, — შემომთავაზა სალიმ. დავუყევით ელბაქიძეს ფეხით. ალბათ იცით, რომ მაგ ქუჩაზე საქორწილო კაბების 2 მაღაზიაა. ავცქმუტდი, ვიწუწუნე და ჩემი დაქალი დავითანხმე, რომ იქ შევსულიყავით. ძალიან თავაზიანად მიგვიღეს და მოგვემსახურნენ. თავი პოტენციურ პატარძლად გავასაღე და 4 კაბა მოვიზომე. უჰ, ერთი — კორსეტითა და დეკოლტეთი ისეთი ლამაზი იყო, სადმე მამრი რომ მენახა, იქვე გავთხოვდებოდი. მოკლედ, ვდგავარ მორიგი კაბით დამშვენებული სარკის წინ და ფანჯრიდან თვალი მოვკარი, როგორ ჩაიარა ჩემმა ერთ-ერთმა „პაკლომ“ მანქანით. უეცრად, მუხრუჭების ხმაც გავიგონე, რასაც მანქანის კარის ბრახუნიც მოჰყვა და მაღაზიის კარში ჩემი „პაკლოც“ გამოჩნდა. ცნობისთვის, ის ყველაზე არანორმალურია ჩემს თაყვანისმცემლებს შორის — ე.წ. „ძაღლია“ და საშინლად „ფსიხი“. ჩემი დაქალი იქვე, პატარა პუფზე დაებერტყა, მე კი უაზრო, მაგრამ მომხიბვლელი ღიმილი ავიწებე სახეზე. მძიმე ნაბიჯებით მომიახლოვდა. ისეთი სახე ჰქონდა, ეჭვი არ მეპარებოდა, თუ მე არა, კაბას მაინც დაჰგლეჯდა. თვალებში ჩამხედა და კბილებში გამოცრა: „თხოვდები?“

— ეს ის არ არის, რასაც შენ ფიქრობ, — ტრაფარეტული ფრაზა ვისროლე და ხელში ჩავაფრინდი იმის შიშით, კაბა არ შემომახიოს-მეთქი. მამრის ღრიალის, ჩხუბის, დალეწილი მინის მაგიდისა და საკომპენსაციოდ გადახდილი 200 ლარის შემდეგ, ჩემი ახსნა-განმარტებების საშუალებით ყველაფერი გავარკვიეთ. ახლა უკვე ნამდვილად ვიცი, თუ გავთხოვდი, მანდ კაბის საყიდლად ვერ მივალ. ან ვინ შემიშვებს, როო? ატარექსია“.

## მეღვინე გურამი

„გურჯაანში ერთი კაცი ცხოვრობს, რომელიც ღვინის ახალ-ახალ სახეობებს ამზადებს და ყიდის. თუ ვერ გაასაღა, რა თქმა უნდა, მეგობრებს უმასპინძლდება. ერთ დღეს ფრანგებმა ასწავლეს, როგორ უნდა დაემზადებინა კარგი ღვინო. გურამმაც ზედმიწევნით შეასრულა მათი ნათქვამი. ხის კასრში დაწურა ღვინო, შეფუთა, დალუქა, ბნელ, გრილ და მყუდრო ადგილზე მოათავსა და ზემოდან მიწა დააყარა. ჰო, ფრანგებმა ისიც უთხრეს, 3 წლის მერე გახსენიო. ჰოდა, ამ აღდგომას ზუსტად 3 წელი შეუსრულდა და გურამიც უცხოელი მეგობრებითურთ ესტუმრა გურჯაანს (ქალაქშია გადასული საცხოვრებლად), იმ „სასწაულმოქმედი“ ღვინის დასაჭაშნიკებლად. იმ ოჯახში ჩვენი ერთ-ერთი ყოფილი მგზავნელი მუშაობს, გურამის ბებიას უვლის. ერთი ჩასუქებული კატა, გალფო ყოველდღე დაეხეტებოდა იმ ადგილზე, სადაც ღვინო ინახებოდა. მარის უკვირდა, ამ კატას აქ რა დარჩენია ნეტავო?.. თურმე გალფოს ტუალეტი მოუწყვია იმ სილაზე. დადგა ნანატრი წამი, გურამმა და მისმა ძმაკაცებმა „მარანს“ მიაშურეს. მიადგნენ იმ ადგილს და სილის გადაყრა დაიწყეს. უცხოელებმა ცხვირზე აიფარეს ხელი, გურამს სიმწრით სისხლი მოაწვა ყელში. მხოლოდ მაშინ მიხვდა, რაში იყო საქმე, როცა გალფო გაიჩითა და

თავდამსხმელებს ბოროტად შეკნავლა. როგორც იქნა, გურამმა კასრს თავი ახადა და სუნზე მიხვდა, რომ დაძმარებულიყო. შერცხვენილმა, მაშინვე დაახურა თავი. იმას თუ არ ჩავთვლით, რა სირცხვილი ჭამა უცხოელი ძმაკაცების თვალში და როგორ დასცინოდნენ მთელი კვირა, სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა. ლუნა“.

## შლაპა

„როგორც ყველგან, სწავლა თეატრალურ ინსტიტუტშიც 1-ელ სექტემბერს დაიწყო. I კურსის სტუდენტი ვიყავი და მსახიობ ცეცილია წუწუნავასთან მარჯანიშვილის მოედანზე ვცხოვრობდი. ბედნიერი ვიყავი ჯერ იმით, რომ სტუდენტი ვიყავი და მეორეც — ცეცილიასთან ვცხოვრობდი ოჯახში. მაშინვე „უცნაურობის სკივრი“ ვიყავი. მინდა, ერთ კურიოზს მოგიყვეთ: 7 ნოემბრის დღესასწაული ახლოვდებოდა. დავდიოდით „მარშიროვკებზე“ — „პარადისთვის“ გვამზადებდნენ. დღესასწაულის დღეებში სწავლა არ იყო და ინსტიტუტში მორიგეებად დაგვნიშნეს. 8 ნოემბერს ცეცილია წავიყვანე თეატრში. სახლში საქმე არაფერი მქონდა და ვიფიქრე, ინსტიტუტში მორიგე თანაკურსელებს გავუვლი-მეთქი. გამოვაღე ცეცილიას კარადის კარი, სადაც ჩემი ტანსაცმელიც ეკიდა და ზედა თაროდან შლაპა ჩამოვარდა. ავიღე, დავიხურე, სარკეში ჩავიხედე, მომეწონა, ხან აქეთ შევაბრუნე, ხან — იქით... მიხდება, კარგი იქნება, ამ შლაპით წავიდე-მეთქი, — გავიფიქრე. გავემზადე, ჟაკეტი გადავიცვი, შლაპაც არ დამვიწყნია და წავედი ინსტიტუტში. იქიდან მალე დავბრუნდი, რადგან ცეცილია თეატრიდან მყავდა მოსაყვანი. ჩავუხვიე ჯონჯიაშვილის ქუჩაზე, დაღმართი ჩამოვიარე და მშრალ ხიდთან მაღალი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი დამეწია და რუსულად გამომელაპარაკა.

— მე „რუსკი იაზიკ ნე ზნაიუ“, — ვუთხარი და ფეხს ავუჩქარე. გულმა სულ ბაგაბუგი დაიწყო.

— „კაკაია ტი კრასივაია, კაკაია შლაპა უ ვას, კრასავიცა მოია, დავაი პოზნაკომიმსია, ია ხოროში ჩელოვეკ“, — თავს არ მანებებდა.

თითქმის გამოვრბოდი და მარქსის მოედანს მივაღწიე. იქიდან ტროლეიბუსით მარჯანიშვილის მოედნამდე უნდა მივსულიყავი. ეს კაცი უკან მომდევდა და თან ჩემს ქებაში იყო.

უეცრად ვიღაც ქალმა, რომელსაც გვერდით პატარა ბავშვი მოსდევდა, ჟაკეტში მომქაჩა და თავისკენ მიმაბრუნა.

— „ახ, ეტო ტი, სტერვა?“

გაკვირვებით ვუყურებდი ქალს, რომელიც რუსულად მიყვიროდა და მემუქრებოდა, ახლავე წაგიყვან მილიციაში, ოჯახს რომ მინგრევო! გამისკდა გული: მილიციაში რა მინდა, რა დავაშავე-მეთქი? ვფიქრობდი. ხმაურზე შეიყარა ხალხი, წრეში ვიდექი, ეს ქალი კი ხმამაღლა მიყვიროდა.




— „ახ ტი სტერვა, ნესჩასტნაია!“

ხალხი კითხულობდა, რა ამბავია, რა ამბავიაო?

— რა და, ცოლმა ქმარი გამოიჭირა, თავის ბოზთანაო! — პასუხობდნენ.

ის კაცი მომიბრუნდა და მითხრა:

— „გრაჟდანკა, რაზვე ია ს ვამი რაზგოვარივალ?“

მის ინტონაციაში იგულისხმებოდა — ვაი, შე უბედურო, როგორი არიფი ყოფილხარო?!

— „და, რაზგოვარივალ. ტი გოვორილ, დავაი პოზნაკომიმსია“, — იყო ჩემი პასუხი.

— „ვოტ ვიდიშ, უ ვას კაკოიტო სვიაზ, ა ტეპერ პრეტვორიაეწეს!“ — გაიძახოდა ქალი.

— სუსკაც! — უყვირა ქმარმა.

ხალხი ეუბნებოდა, გაანებე ამ გოგოს თავი, რა გინდათ ამ ბავშვისგან, ხომ ხედავთ, ხმას არ იღებსო.

ეს ჩხუბი მარქსის მოედანზე, მოდელების სახლთან მიმდინარეობდა. ქალმა ასწია ხელები და ჩემზე მიუთითა:

— „ს ტაკოი ტი მენია სრავნივაეშ?“

ახლა კი მომეკიდა ცეცხლი. ახალგამოჩეკილი წიწილივით უმანკო ვიყავი, ორი თვეც არ იყო გასული, რაც სოფლიდან ჩამოვედი, ეს როგორ მაკადრა-მეთქი და ვიყვირე:

— ქართული არ იცით? ამ სახლში ხორავა ცხოვრობს; აბა, დაუძახეთ, მე მისი სტუდენტი ვარ, ცუდი რომ ვყოფილიყავი, იმ ინსტიტუტში მიმიღებდა, სადაც მხოლოდ 12 კაცს იღებენ-მეთქი? — თან ტირილი წამსკდა.

ერთი ქალი მომიახლოვდა.

— მოდი შვილო, მოსცილდი ამ ხალხს, — გაჩერებამდე მიმიყვანა და ტროლეიბუსში ჩამსვა. ისე ვიყავი დაბნეული, მადლობაც არ მითქვამს. ფეხები ძლივს მივათრიე სახლამდე.

ჩემს თავზე გული მომდიოდა, რა ჭირად მინდოდა, ეს შლაპა რომ დავიხურე, როგორ ჩამშხამდა-მეთქი.

ცეცილია მოვიყვანე სახლში და ეს ამბავი მხოლოდ მაშინ მოვუყევი. ბევრი იცინა. რომელი კაბა გეცვაო? — მკითხა. რომ ვუპასუხე, — კაი სანახავი იქნებოდიო, — სიცილი აუტყდა.

— ნენა, ყველაფერს თავისი კულტურა აქვს. შეიძლება, რომ შენხელა გოგონამ ასეთ უბრალო კაბაზე დაიხუროს ასაკოვანი ქალის შლაპა, თანაც — ვუალით? დამშვიდდი, მაგის ბრალია ყველაფერი. დღეიდან იცოდე, სამოსი მაშინ დაგამშვენებს, თუ ერთმანეთთანაა შეხამებული. მომავალი წინ გაქვს, ყველაფერს ისწავლი და ეს ამბავი მწარე სიზმარივით გაგახსენდება.

ბევრი კი იცინა, მის სულს ვენაცვალე. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ბრწყინვალე ადამიანს, ცეცილია წუწუნავას! როგორც ყოველთვის, ცეცილია თეატრში ჰყვებოდა ხოლმე ყველაფერს. დამინახავდნენ თუ არა, მსახიობები იცინოდნენ. ერთხელ ქალბატონმა ვერიკო ანჯაფარიძემ მითხრა, ჩემი შლაპა არ მოგწონს? თუ გინდა, გათხოვებო. დარცხვენილი გამოვიქეცი მისი საგრიმიოროდან. მას შემდეგ რამდენი შლაპა მაქვს გამოცვლილი, ვინ მოთვლის?! ნანი დუმბაძე“.

## მეოცნებე

„თემამ ერთი სევდიანი ამბავი გამახსენა. ერთ პატარა ქალაქში ერთი პატარა გოგონა ცხოვრობდა. რადგან რთული ცხოვრება ჰქონდა, საოცრად მეოცნებე იყო. ხანდახან საკუთარ ბედნიერებას თავად გამოიგონებდა და ასე, მისსავე გამოგონილ სამყაროში მაინც იყო ბედნიერი. ის ხშირად ფიქრობდა, რომ მომავალში აუცილებლად გაუმართლებდა და იპოვიდა „პრინცს“, რომელსაც 20 წელი ელოდა. ერთ დღეს „პრინცი“ მართლაც მოვიდა და პატარა გოგონას გულის დაპყრობა მოახერხა. გოგონა უბედნიერესი იყო, როდესაც „პრინცმა“ ცოლობა სთხოვა. მან საყვარელ მამაკაცს პირველი კოცნა მიუძღვნა და გულიც აჩუქა. ის საკუთარ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, როცა მამაკაცს კოც-

ნიდა, მაგრამ სჯეროდა „პრინცის“ სიყვარულის, გულწრფელობისა და ერთგულების. სანაცვლოდ კი საშინელი ღალატი, დამცირება და ტყუილი მიიღო. ბედნიერება დაიმსხვრა, პატარა გოგონას ოცნება წაართვეს. სული მოუწამლეს, გული გაუყინეს, დარჩა მხოლოდ ტკივილისა და სინანულის განცდა. არასწორმა ნაბიჯმა მთელი მისი ცხოვრება შეცვალა. ამიტომ მან მხოლოდ „მიიხატა“ სახეზე ღიმილი და ისწავლა, როგორ განასახიეროს ბედნიერი გოგონას როლი. კესანე“.

## მელანოს სიჯიუტე

„უხერხული სიტუაცია მაშინ იყო, როცა ბიძაჩემს ჩემს სახლში უცხო ქალთან შევუსწარი. ზაფხული იყო, სოფელში ვიყავით მე და დედაჩემი. თბილისში მხოლოდ მამა იყო დარჩენილი. მე საქმე გამომიჩნდა და სოფლიდან ისე ჩამოვედი, რომ მამა არ გამიფრთხილებია წინასწარ. თან, დედაჩემმა მითხრა, მოულოდნელად დაადექი თავზე, ვნახოთ, რას აკეთებს უჩვენოდო. მამასთვის ბიძაჩემს უთხოვია, — ნაშა დავითრიე, მაგრამ ფული არა მაქვს, რომ სადმე წავიყვანო და შენი სახლი დამითმე საღამოთიო. ამასაც „გაუგია კაცურად“ და გასაღები მიუცია. ჰოდა, მივედი სახლში, ჩემი გასაღებით გავაღე კარი და ფეხაკრებით შევიპარე. ფანჯრიდან შუქი გამოდიოდა და ვიფიქრე, მამაჩემს სიურპრიზს მოვუწყობ-მეთქი. ჰოდა, საძინებლის კარს მივადექი და შევაღე... გაოცებისა და მოულოდნელობისგან ვიყვირე... რას ვხედავ? ვიღაც ქალს მამაჩემთან სექსი აქვს. მე მხოლოდ ქალი დავინახე, რადგან ის მთელი ტანით ჩანდა, მამაკაცი კი საწოლზე იწვა და სახე არ უჩანდა. კარი გამოვიჯახუნე და ისტერიკული სიცილი ამივარდა. ორიოდე წუთში, სანამ სიცილს მოვრჩებოდი, ოთახიდან ბიძაჩემი გამოვიდა. გამიკვირდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ მამა იყო. დათო მეხვეწებოდა, 1 საათით წადი, მერე დაგირეკავ და დაბრუნდიო, მაგრამ გავჯიუტდი და არ წავედი. ჩავამწარე მთელი საღამო. აბა, რა ეგონა?! მართალია, უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი, მაგრამ არ შევიმჩნიე და მშვენივრად გავართვი თავი. გკოცნით, მელანო“.

## აკრძალული სიყვარული

„ძლივს გადავწყვიტე, ჩემი გულის დარდი თქვენთვის გამეზიარებინა, რადგან მეტი უკვე აღარ შემიძლია. 12 წლის ვიყავი, როცა ბიძაჩემმა ცოლი შეირთო — თავისზე 14 წლით უმცროსი გოგონა. მისი დანახვისთანავე მოსვენება დავკარგე. 20 წელი გავიდა, მე კი მასზე ისევ სიგიჟემდე ვარ შეყვარებული. მას ოჯახში საშინლად ექცევიან — ქმარი სცემს, დედამთილი საშინლად ამცირებს, არადა, ძალიან კეთილშობილი, სათნო და შრომისმოყვარეა. შვილების გამო ყველაფერს იტანს. სიყვარულში გამოვუტყდი და ამით საშინლად ვატკინე გული. არადა, მინდა, ბედნიერი იყოს. მე კი მის გარდა არავინ მაინტერესებს. ვისთანაც უნდა წავიდე, სულ მისი ლამაზი თვალები მიდგას თვალწინ. მის გამო ვერც ოჯახს ვქმნი“.

## შეხვედრა წარსულთან

„მათ შემოდგომის წვიმიან ღამით გაიცნეს ერთმანეთი. მანქანა მთელი სიჩქარით მიქროდა გზატკეცილზე. რეზომ შორიდანვე შენიშნა წინ მიმავალი ადამიანი. მანქანა დაამუხრუჭა და კარი გაუღო. მერე იყო პაემანი, პირველი კოცნა. მათ სიგიჟემდე შეუყვარდათ ერთმანეთი. ერთ დღეს კი ნიამ რეზო უცხო ქალთან ჩახუტებული ნახა და მაშინვე ყველაფერი დასრულდა. რეზო პატიებას სთხოვდა, მაგრამ გოგონამ ვერ აპატია. თვით სიყვარულმაც ვერ შეაძლებინა პატიება. რეზო უცხოეთში წავიდა. ეს ნიასთვის დიდი ტკივილი იყო, მაგრამ მაინც არ დათმო. ცდილობდა, მეხსიერებიდან რეზოს სახე ამოეშალა. შემდეგ გათხოვდა, შვილიც შეეძინა, დავითი დაარქვა. შვილს ძალიან უყვარდა დედა. ერთ დღეს კი მის გულშიც გაიღვიძა უცნაურმა და სათუთმა გრძნობამ, რომელსაც პირველი სიყვარული ჰქვია. ბიჭმა ცოლის მოყვანა გადაწყვიტა და დედას გაუმხილა. შეყვარებულის ოჯახში ქალიშვილის ხელის სათხოვნელად მივიდნენ. ნია შუა ოთახში ჩაიკეცა, როდესაც სხვა ოთახიდან გამოსულ რეზოს მოჰკრა თვალი. ნია ამისთვის მზად არ იყო... ასეთ სიურპრიზს არ ელოდა ცხოვრებისგან. როდესაც გონს მოვიდა, რეზო ოთახიდან გავიდა — ვერ გაუძლო ქალის მზერას. ქორწილი შედგა. შემოდგომა იყო, წვიმდა. დათომ დედის ოთახის კარზე მიაკაკუნა. დედა არ გამოეპასუხა. კარი შეაღო... ნია საწოლზე უსულოდ ესვენა. ის მიცვალებულიც მშვენიერი იყო. დედა! — არაადამიანური ხმით იღრიალა დათომ. გასვენების დღეს წვიმდა. ხალხი დაიშალა. როცა სასაფლაოზე ბინდი ჩამოწვა, სიბნელეს ერთი ადამიანი გამოეყო, საფლავზე დაემხო და ხმამაღლა აქვითინდა. აჩრდილი“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„დაუფიქრებლობა იყო, აჭარიდან სამეგრელოში რომ გავთხოვდი და დატანჯული დავიარები. ან რა მომარბენინებდა აქ?! მაგრამ სიყვარულმა გადამრია, არავის რჩევა არ ვიღე ყურთ. მიყვარხართ და მენატრებით, ჩემო აჭარავ და აჭარლებო. ლიკა“.

„მე, როგორც ყოველთვის, ყველაზე სულელი ჩემს მეგობრებს შორის, ძალიან ბევრჯერ ჩავვარდნილვარ უხერხულ სიტუაციაში. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ყველაზე მეტად დამამახსოვრდა. გასულ ზაფხულს განსაკუთრებულად მომეწონა ბიჭი, რომელიც ყველასგან განსხვავებული იყო (ნუ, მაშინ ასე მეგონა). ერთხელ, როდესაც ბავშვებთან ერთად ეზოში ვიყავი, მან გამოიარა, შემხედა და რატომღაც ხელი დამიქნია. სიხარულისგან კინაღამ გავსკდი. ჩემს დაქალებს შევახარბე, დამიქნია-მეთქი. ის იყო, გოგონებმა დაიჯერეს, რომ ჩემმა ძმაკაცმა საბამ გვერდზე გამწია და გაემართა თოკოსკენ. თურმე მას მისალმებია, მე კი ტყუილად გამიხარდა. ასე აღმოვჩნდი უხერხულ სიტუაციაში. ანი“.

„უხერხული სიტუაცია იყო, როცა ჩემი ინგლისურის მასწავლებელი, რომელიც ძალიან „დონეა“ და ნამდვილი „შიკი“, ტუალეტიდან გამოვიდა და კაბა ტრუსში ჰქონდა ჩატანებული. ყველა მასზე იცინოდა, მაგრამ თქმას ვერავინ ბედავდა. ბოლოს მე ვუთხარი, აბა, რა მექნა? გაგიჟდა, გადაირია და მე მგონი, იმის მერე შემიძულა. ნატო“.

■

**ყურადღება!** **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „თავისუფალი თემა“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com*

# ვეძებ დედ-მამას
## ჩემი ბიოლოგიური მშობლები ჭიათურაში ცხოვრობენ



**მას შემდეგ, რაც „გზაში“ დაიბეჭდა, თუ როგორ იპოვა ჩვენი საშუალებით დედა-შვილმა ერთმანეთი 40 წლის შემდეგ, რედაქციაში ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონი მოვიდა და მშობლების მოძებნაში დამეხმარეთო, მთხოვა. მისი ამბავი სხვებისგან არაფრით განსხვავდება, მშობლებმა მიატოვეს, კეთილმა ადამიანებმა იშვილეს, გაზარდეს და... მოგვიანებით გაიგო, რომ ნაშვილები ყოფილა. თავისი ცხოვრების შესახებ ირმა თავად მოგიყვებათ.**

— როგორც ვიცი, ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლში დავუტოვებივარ მშობლებს. საბუთების მიხედვით, ორივე მშობელი თანახმა ყოფილა ჩემს გაშვილებაზე, მშობიარობის დროს მიღებული ტრავმის გამო.

— **კი, მაგრამ ახლა არაფერი გეტყობათ და რა ტრავმა იყო ასეთი, რომ მშობლებმა დასატოვებლად გაგიმეტეს?**

— ექიმებს უთქვამთ, მენჯის ძვლის ამოვარდნილობა აქვსო, თუმცა მართლა არაფერი მეტყობა.

— **თქვენ როდის გაიგეთ, რომ ნაშვილები იყავით?**

— უკვე მოზრდილი გოგონა ვიყავი, როცა ნათესავებისგან შევიტყვე, რომ ნაშვილები ვიყავი. თავიდან ცუდი რეაქცია მქონდა, განვიცდიდი და ვნერვიულობდი, მაგრამ გამზრდელ მშობლებს არაფერს ვაგრძნობინებდი. მერე შევეჩვიე. ის აზრი, რომ ნაშვილები ვარ და სადღაც ბიოლოგიური მშობლები არსებობენ, დისკომფორტს არ მიქმნის, მაგრამ ინტერესი მუდმივად მაქვს და ეს ალბათ ბუნებრივიცაა. მაინტერესებს, როგორ გამოიყურება დედაჩემი, მამაჩემი, როგორ პირობებში ვიცხოვრებდი, მათ რომ არ გავეშვილებინე. ან იქნებ და-ძმა მყავს? მაინტერესებს, როგორები არიან.

— **როგორ მოხვდით ახალ მშობლებთან? ჩვილ ბავშვთა სახლიდან გიშვილეს?**

— დიახ, ჩემი გამზრდელი დედა იქ მუშაობდა წლების განმავლობაში. რომ მნახა, მოვეწონე თურმე და გადაწყვიტა, შინ წამოვეყვანე. ჩემს გამზრდელ მამას 3 წლის შემდეგ სხვა ქალთან შვილი შეეძინა, რომელიც შინ მოიყვანა და მე და ჩემი ძმა ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ. ის ამ ცოტა ხნის წინ, 36 წლის ასაკში გარდაიცვალა. მამას იმავე ქალთან მეორე ვაჟიც შეეძინა, რომელიც უფლის წყალობით, საღ-სალამათია და ჩვენთან ურთიერთობს.

— **იმ ქალბატონმა პირველი შვილი რატომ დათმო?**

— ვერ გეტყვით, ალბათ მამამ სთხოვა, რადგან საკუთარი შვილი სხვა არ ჰყავდა.

— **თქვენ გრძნობდით, რომ მათი შვილი არ იყავით?**

— არა, რას ამბობთ, თან მყვებოდნენ მშობლები, არაფერს იშურებდნენ ჩემთვის.

— **დაბადების მოწმობაში რა გიწერიათ? თქვენი მშობლები ვინ არიან?**

— დაბადების მოწმობაში ჩემი გამზრდელი დედისა და მამის სახელები და გვარები წერია. საბუთებში კი, რომელიც ჩვილ ბავშვთა სახლში იყო დატოვებული, დედად ქეთინო კუპატაძე, მამად — გივი ან დათო ბარათაშვილი ყოფილა მითითებული. ისინი ჭიათურის რაიონიდან არიან. მინდა, „გზის“ მკითხველს ვთხოვო, თუ ამ ადამიანებს იცნობენ (ან იქნებ თავად წაიკითხონ და ჩემი ნახვის სურვილი გაუჩნდეთ), შემატყობინონ. ძალიან მინდა ჩემი მშობლებისა და დედმამიშვილების (თუ მყავს) გაცნობა.

— **თქვენ გაქვთ ოჯახი?**

— არა, სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ არ გავთხოვილვარ. ეტყობა, ჯერ არ გამოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელთან ერთადაც მთელი სიცოცხლის გატარებას მოვინდომებდი.

**იმედია, მკითხველი გულთან მიიტანს ირმას თხოვნას და მშობლების მოძებნაში დაეხმარება. ინფორმაცია შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 სულ მცირე დეტალმაც კი შესაძლოა, დიდი დახმარება გაუწიოს მშობლების მძებნელ ქალბატონს.**



# „დედაზე უკეთეს დაქალს ვერსად იპოვი“

## „ხალხს ნუ გაურბიხარ...“

**„გზის“ №17-ში დაიბეჭდა N.M. ROCK-ის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ უყვარს მარტოობა და როცა რაიმე უჭირს, როკს უსმენს. „ალბათ მეტყვით, — ასეთ დროს განმარტოება კარგი სულაც არააო, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს — მეგობრები თითქმის არ მყავს. ადამიანები ჩემთან ურთიერთობას იმიტომ გაურბიან, რომ მარტოობა მიყვარს. მინდა, ამხანაგები მყავდეს და მათთან ერთად გავერთო, მაგრამ ეს არ გამომდის...“**

*ლიკა ქაჯაია*

**გრუზინკა:**

„ნუთუ, არ გაგიგონია, — მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო?! მეგობრები როგორ გეყოლება, თუკი ეს თავად არ გინდა? შეეცადე, მარტო აღარ იყო, იცხოვრო ხალისიანად და ხალხს ეკონტაქტო“.

**ქაჯ-ანა:**

„მეგობრები რომ არ გყავს, ალბათ, ეს შენი ბრალიცაა. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა თქვან ჩემთან ურთიერთობაზე უარი მხოლოდ იმიტომ, რომ მარტოობა მიყვარს? დარწმუნებული ვარ, შენი პრობლემის ნამდვილ მიზეზს არ გვიმხელ, რადგანაც იცი, რომ ამ შემთხვევაში, არავინ გაგამართლებს. ჯობია, ეკლესიაში იარო. P.S. თუ გინდა, შემომეხმიანე. ვინ იცის, იქნებ საერთო ინტერესები აღმოგვაჩნდეს და დავმეგობრდეთ კიდეც“.

**ლუნა:**

„მარტოობა მეც ძალიან მიყვარს და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ბუნებრივია, როცა ადამიანს რაიმე უჭირს, განმარტოებას ცდილობს, რადგან ამ დროს სხვასთან ლაპარაკიც კი გამაღიზიანებელია. არა მგონია, მეგობრები მხოლოდ იმიტომ გარიდებდნენ თავს, რომ მარტოობა გიყვარს, ეს სისულელეა! არ მესმის, თუკი მათთან ერთად გართობა გინდა, ამაში რა გიშლის ხელს? იცოდე, თავად თუ არ მოინდომებ, ვერავინ ვერაფერში დაგეხმარება. გკოცნი“.

**მარი კზმ:**

„ადამიანები შენთან ურთიერთობას რომ გაურბიან, ეს უდავოდ შენივე ბრალია. თუ გინდა, მეგობრები გყავდეს, უნდა გახალისდე. პირადად მე, ბევრი მეგობარი არ მყავს, მაგრამ ვისთანაც ვურთიერთობ, მასთან მართლა კარგად ვარ. აბა, შენ იცი...“

**ნიკოლო:**

„ე.ი. მარტო ხარ იმიტომ, რომ მეგობრები არ გყავს და მეგობრები არ გყავს იმიტომ, რომ მარტო ხარ? — ეს ყველაფერი დამაბნეველია, თუმცა, შენი მაინც მესმის. მარტოობა სულაც არ არის ცუდი, მაგრამ შე-



საბამის სიტუაციაში სათანადო ნილბის მორგების ხელოვნებას უნდა ფლობდე. შეგიძლია, ამ მეილზე მომწერო: r.NicolloRotti@hotmail.com“.

CRazy.aNN:

„როკს მეც ვუსმენ და როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მამშვიდებს კიდეც, მაგრამ შენგან განსხვავებით, ადამიანებთან ურთიერთობა მომწონს და ბევრი მეგობარიც მყავს. პირველ რიგში, გირჩევ, ყველას კარგად მოექცე, ადამიანს სამეგობროდ გულის კარი გაუღო და დარწმუნებული იყავი, ყველაფერი კარგად იქნება! P.S. დიდი ხანია, რაც „გზას“ ვკითხულობ, მაგრამ პირველად გწერთ. წარმატებები!“

**ქეთა:**

„გამარჯობა. იცი, როკს მეც ვუსმენ და ზოგჯერ, მარტოობაც მიყვარს; მსგავსი პრობლემაც მქონდა, მაგრამ უკან მოვიტოვე. თუ ამ ნომერზე: 8(68) 59.54.60 შემეხმიანები, მგონი, ერთმანეთს გავუგებთ“.

**დიკი ანგელი:**

„ახლახან მეც როკერი გავხდი (ალბათ, ამის მიზეზი იცი, რადგანაც ჩემ შესახებ ხშირად გწერთ) ანუ შენნაირი ვარ. თუ სურვილი გექნება, ერთმანეთი გავიცნოთ და ვიმეგობროთ“.

**მარი 11:**

„მარტოობა მეც მსიამოვნებს ხოლმე. ჩემო კარგო, სარკის წინ ხშირად დადექი და საკუთარ თავს ჰკითხე: რატომ გიტაცებს მარტო ყოფნა? ჰოდა, მერწმუნე, როცა ამ კითხვას უპასუხებ, აუცილებლად გაგეცინება... მეგობრების არყოლას ასე ნუ განიცდი, რადგანაც საკუთარ თავზე ან თუნდაც, დედაზე უკეთეს დაქალს ვერსად იპოვი“.

CRITIK:

„მარტოობაც მიყვარს და როკის მოსმენაც, მაგრამ მეგობრებიც მყავს. ხალხს ნუ გაურბიხარ“.

**უცნობი:**

„თუ გინდა, მეგობრები გყავდეს, პირველ რიგში, თავადვე უნდა შეიცვალო და საკუთარ თავში იპოვო ძალა საიმისოდ, რომ მარტოობის სიყვარული დაძლიო. როცა რაიმე პრობლემა გექნება, სცადე და შენი საწუხარი ვინმეს გაანდვე, რჩევა ჰკითხე. იცოდე, როკი ვერ გიშველის. უკეთესი იქნება, მოძღვარს დაელაპარაკო...“

**ქრისტი:**

„განმარტოებით ყოფნის დაუოკებელი სურვილი და როკის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ, ასაკის ბრალია. ტაძარში იარე და დარწმუნებული ბრძანდებოდე, ამ პრობლემის დაძლევაში მოძღვარი დაგეხმარება. P.S. ჩემს რჩევას გაითვალისწინებ თუ არა, ეს შენი გადასაწყვეტია. უფალი გფარავდეს“.

**ქერივი:**

„ცხოვრების თავიდან დაწყება ადვილი ნამდვილად არაა. რჩევისთვის ფსიქოლოგს მიმართე და ის დაგეხმარება. იცოდე, ადამიანებთან მეგობრობა იოლი სულაც არაა, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო“.

**უცნობი, ათენიდან:**

„მოგესალმებით შორეული ათენიდან და ღმერთს მადლობას ვწირავ იმისთვის, რომ ჟურნალი „გზა“ და მისი ბრწყინვალე კოლექტივი არსებობს. ღმერთმა გაგაძლიეროთ. მინდა, N.M. ROCK-ს გამოვეხმაურო: მარტოობას და როკის მოსმენას სჯობია, უფლის სახლის კარი შეაღო, მოძღვარი აიყვანო, აღსარება ჩააბარო, ეზიარო და უფლის წყალობით, ნახავ, ამის შემდეგ როგორ გალამაზდება შენი ცხოვრება. ღმერთმა დაგლოცოს, სულისა და ხორცის ჯანმრთელობა არ მოგაკლოს“.

**ნათია:**

„შენზე ცუდ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ახლა არაჩვეულებრივი მეგობარი მყავს. ღმერთი შენც დაგეხმარება. შემიძლია, მეგობრობა გაგიწიო. თუ სურვილი გექნება, ამ ნომერზე დამიკავშირდი: 8(98) 79.14.79. წარმატებები!“ ■

# „მეგობრის სიყვარულს ხელს ვერ შეუშლი“

## „ის ყველასთვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს“

**„გზის“ №17-ში დაიბეჭდა მარი კზმ-ს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ მისი საუკეთესო მეგობარი ბიჭების მუსუსი გახდა. მარის თქმით, მისმა შეძენილმა დაიკომ 5 თვეში ხუთი ბიჭი გამოიცვალა, რასაც ის ძალიან განიცდის. „ვიცოდი, რომ თითოეული მათგანი მისით ერთობოდა, რადგანაც ძირითადად, ბიჭებთან ვმეგობრობ და მისი ე.წ. „ლოვეები“ კარგად გამოვიცანი, მაგრამ დაქალი ჩემს რჩევებს ყურად არ იღებდა, ეგონა, ვცდებოდი. სამწუხაროდ, ჩემი სიტყვები გამართლდა — ხუთივემ გული ატკინა. მას შემდეგ დაქალმა მითხრა: მორჩა, აწი დაგიჯერებ ხოლმეო, მაგრამ პირობა არ შეასრულა. მას უკვე ახალი „ლოვე“ ჰყავს. მეუბნება: ძალიან კარგი ბიჭია, ის მათ არ ჰგავსო, მაგრამ მე სულ სხვა რამეს მიგრძნობს გული...“ მარის ეშინია, რომ მის მეგობარს კიდევ ერთხელ გაუცრუვდება იმედი და ამიტომაც მოგმართათ ასეთი თხოვნით: „მირჩიეთ, რა ვქნა? ისეთი რა ვუთხრა, რომ იმ ბიჭს დროულად დაშორდეს, რათა გული აღარ ეტკინოს?..“**

**მია 92:**

„რატომ ხარ ასე დარწმუნებული იმაში, რომ ის ბიჭიც ატყუებს? ჯერ ყველაფერი კარგად გაარკვიე და დაქალს რჩევა ამის შემდეგ მიეცი. შენ ალბათ, ბიჭებს არ ენდობი, ყველა მამაკაცი მატყუარა გგონია...“

**უცნობი:**

„სიყვარული ის გრძნობაა, რომლის გარეშეც ცხოვრება შეუძლებელია. დააცადე, იქნებ ის ბიჭი კარგი ადამიანია. მეგობრის სიყვარულს ხელს ვერ შეუშლი და ამიტომაც, უნდა შეეშვა. წარმატებები!“

ROUTERA:

„არ გეჩვენება, რომ მეგობრის „პირადში“ ზედმეტად ერევი? რადგან ბიჭებთან მეგობრობ, ეგ იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მამრობითი სქესის ყველა წარმომადგენელს კარგად იცნობ. რატომ ხარ დარწმუნებული იმაში, რომ ის ბიჭები მასთან მხოლოდ ერთობოდნენ და თუ მართლა ასე იყო, იცოდე, ამაში ერთადერთი დამნაშავე შენი მეგობარია. საინტერესოა, მათ ზედმეტის უფლებას რატომ აძლევდა?.. თუ ჭკუა კიდევ ვერ ისწავლა, აწი ველარაფერს შეაგნებინებ. აჯობებს, საკუთარ თავს მიხედო და მეგობრის გადაწყვეტილებას პატივი სცე. P.S. იქნებ მისი ახალი „ლოვე“ ისეთი არ არის, როგორიც გგონია?..“

**ქვრივი:**

„არ უნდა და არ გიჯერებს. იცოდე, მის ცხოვრებაში აღარ ჩაერიო. ნება მისია: თუ საკუთარ სახელს არ უფრთხილდება, დაე, „იგულაოს...“

**ატარექსია:**

„როგორც ვხვდები, შენ და შენი დაქალი მოზარდები ხართ. ჰოდა, იმედია, ასაკის მატებასთან ერთად დაჭკვიანდება; ან შეიძლება, მთელი ცხოვრება ქარაფშუტად დარჩეს, ამ შემთხვევაში კი შენი ნებისმიერი ქმედება ამაო იქნება. აბა, ჭკუით, ბალნებო“.

**ქრისტინე:**

„ყველას აქვს უფლება, საკუთარი ცხოვრება ისე წარმართოს, როგორც თავად სურს. გასაგებია, რომ დად მიიჩნევ, მაგრამ შენს რჩევას გაითვალისწინებს თუ არა, მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. P.S. ჭკუა ამდენი გულისტკენის შემდეგაც თუ ვერ ისწავლა, მაშინ ერთი ხელიდან წასული გოგო ყოფილა და ალბათ, მისი გამოსწორების შანსიც ძალზე მცირეა“.

**ირაკლი:**

„მეც ვიცნობ მარის, რომლის დაქალსაც უამრავი „ლოვე“ ჰყავდა და ახლაც ჰყავს... შენს მეგობარს უთხარი, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს, მან თავი უნდა დაიფასოს. ვფიქრობ, მისნაირებს სიყვარულის არაფერი გაეგებათ და ვერც ვერასდროს გაიგებენ“.

**უცნობი:**

„იქნებ კიდევ ერთხელ სცადო და დაელაპარაკო, მაგრამ ამჯერად, ყველაფერი უკეთესად უნდა აუხსნა; თუ შენს რჩევას ისევ არ გაითვალისწინებს, შეეშვი. აბა, სხვა რა გზაა?.. იქნებ, ცდები და ის ბიჭი მის ყოფილ „ლოვეებს“ მართლა არ ჰგავს? ჯობს, დააცადო. მარი, არ გეწყინოს, მაგრამ ასე მგონია, შენი მეგობარი თავადაც ხვდება, ბიჭები რომ ატყუებენ, მაგრამ ამის დანახვა არ უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენს რჩევას აუცილებლად გაითვალისწინებდა. მაინც შეეცადე, დაელაპარაკო“.

**ფუფალა:**

„მარი, ჩემო კარგო, სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევა, თუნდაც ის სხვა შენი უახლოესი მეგობარი იყოს, არ შეიძლება, ყველამ საკუთარ ცხოვრებას უნდა მიხედოს. მესმის, რომ მეგობრის დახმარება გინდა, რომ მისი ტანჯვის ყურებისას გული გტკივა, მაგრამ ვიდრე შეეცდები, იმ ბიჭს დააშორო, მანამ კარგად უნდა დაფიქრდე: იქნებ ამჯერად ცდები და ის მართლა კარგი ადამიანია?.. თუ მეგობრის დახმარება გინდა, უბრალოდ, დაელაპარაკე და რჩევა მიეცი. იმედია, ჩემი შენიშვნა არ გეწყინება. პატივისცემით...“

**ლუნა:**

„მიხარია, რომ მეგობრის ბედი გაღელვებს. იცი, მეც მყავს ნათესავი, რომელსაც იმდენ ბიჭთან აქვს ურთიერთობა, რომ თავადაც ველარ ითვლის, მაგრამ შენი დაქალის არ იყოს, ვერც ერთი ვერ შეინარჩუნა. ცუდად გამომივა, მაგრამ მაინც გეტყვი: ვიდრე შენი მეგობარი ცხვირს არ წაიმტვრევს, გონს ვერ მოვა. იმედია, მალე ნამდვილი სიყვარული ეწვევა და სხვა ბიჭებისკენ გახედვის სურვილი აღარ გაუჩნდება. აბა, თქვენ იცით“.

**ქაჯ-ანა:**

„ეტყობა, იმ ბიჭთან გართობა მოსწონს, თორემ მეგობრის რჩევას ყურად იღებდა. მამა გაბრიელის სიტყვებს მოვიშველიებ: ადამიანს ერთხელ უთხარი, ორჯერ, სამჯერ და თუ ვერ გაიგო, თავი დაანებეო. გთხოვ, ეს გაითვალისწინე. უფალი იყოს შენი მფარველი“.

**ნიკოლო:**

„შენ რჩევა მიეცი, მეგობრის ვალი მოიხადე და დაგიჯერებს თუ არა, ეს მისი საქმეა. ტყუილად თავს ნურავის აცემინებ, მათ ურთიერთობაში ნუ ჩაერევი. ამ ისტერიას შეეშვი და საკუთარ საქმეს მიხედე, რა. გატყობ, ვერ ისვენებ და ჯობს, დაწყნარდე“.

**ნევროზიანი:**

„ჩემს ცხოვრებაშიც იყო პერიოდი, როცა დაუფიქრებელ საქციელს ჩავდიოდი. მართალია, შენი მეგობარივით არ ვიქცეოდი, მაგრამ ერთხელ, ისეთ ადამიანთან ვაბამდი ისეთ ურთიერთობას, რომელიც გაუმართლებელი იქნებოდა და იცი, ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი როგორ მოიქცა? — დაჰკრა ფეხი და ჩემი ცხოვრებიდან რამდენიმე დღით გაქრა: არ მაკითხავდა, არ მნახულობდა, გამარჯობასაც ძლივს მეუბნებოდა. ჰოდა, სწორედ ამის წყალობით მივხვდი, თუ როგორი ძვირფასი იყო ის ჩემთვის და რა უაზრობის გამო ვკარგავდი... გირჩევ, შენც ასე მოიქცე და ვინ იცის, იქნებ, გონება გაუნათდეს...“

**გრუზინკა:**

„დაქალის ასაკი არ მიგითითებია. იქნებ ეს ყველაფერი გარდატეხის ასაკის ბრალია, ამ დროს ხომ გოგონებს გაორებული ხასიათი აქვთ. ძნელია, რაიმე გირჩიო, რადგანაც თუ ასეთ მცირე დროში ხუთი ბიჭი გამოიცვალა და ჭკუა მაინც ვერ ისწავლა, რთულად ყოფილა მისი საქმე. იქნებ სანდო ბიჭი გააცნო და ის შეიყვაროს...“

**უწუწური:**

„ერთს გეტყვი: შენი დაქალი აცუნდრუკებულია და ვიდრე რაიმეს არ გაიჩალიჩებს, მანამ ვერც შენ დაამშვიდებ და ვერც მგზავნელების რჩევები. პატრონი არ ჰყავს? უთხარი: თუ ჭკუას არ მოუხმობ, დამკარგავ-თქო. P.S. ისე, შენ რა გინდა, იქნებ ბიჭების კოლექციას აგროვებს? ჰოდა, აცადე, რა“. ■



# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილ-ურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკ-ლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*

## ქალები



1. გავიცნობ 44 წლამდე მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 37 წლის.

2. ვარ 44 წლის ქალბატონი, მეუღლესთან განქორწინებული. ვცხოვრობ თბილისში. გავიცნობ 45-დან 55 წლამდე მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით.

3. თუ ფიქრობ, რომ გსურს ოჯახი, თუ ხარ დარწმუნებული, რომ ოჯახს თავს გაართმევ, გსურს სიყვარული და შვილები, მომწერე, ვარ 78 კგ, 180 სმ, ვარ განათხოვარი. სოფო.

4. ვარ 27 წლის. მყავს შვილი. გავიცნობ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით.

5. ვეხმიანები „გზა“ №16-ის მე-14 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომეცით მისი ნომერი, ან მას მიეცით ჩემი ნომერი. მადლობა.



## მამაკაცები

6. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის წესიერ გოგოს, 26 წლამდე. თბილისელს ან რუსთაველს.

7. ვკრებთ მითითებულ — გული 18-2 და არ მოგვდის სმს-ის ავტორის ნომერი. რატომ გვატყუებთ?

8. ვეხმიანები მესამე სმს-ის ავტორს, 42 წლის ქალბატონს. კობა. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი ან მას მისცეთ ჩემი ნომერი. გმადლობ.

9. ვეძებ კარგ და ნორმალურ მანდილოსანს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 30 წლის, სამსახურით, ბინით უზრუნველყოფილი. საშაყიროდ არ შემეხმიანოთ. მაგარი გულნატკენი ვარ.

10. გავიცნობ კარგი ხასიათის გოგოს, 30 წლამდე.

11. გავიცნობ სოფლელ მანდილოსანს, სასურველია, აღმოსავლეთ საქართველოდან, რომელსაც ნამდვილად სურს ჰქონდეს ოჯახი და ჰყავდეს შვილი. ვარ 40 წლის, ცოლს გაცილებული. გოჩა.

12. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრობ გოგოს. გიო24.

13. ვეხმაურები 1-ელ ნომერს. ვარ 27 წლის და ოჯახის შექმნის მიზნით თქვენი გაცნობა მინდა. „გზა“ №4.



## სხვადასხვა

• პატარავ, როგორ ხარ, დედი? ისე მენატრები, ლამის გავგიჟდე. შენი ჩახუტება მინდა... შორიდან ნახვა არ მშველის. დე, ჩემი ცხოვრება ხარ... მთავარია, გავუძლოთ. მეც ძალიან მიჭირს უშენოდ. შენ — უჩვენოდ. მოდი, ასე მოვიქცეთ, მე სადაც უნდა ვიყო და რასაც უნდა ვაკეთებდე, საღამოს 10 საათზე თვალებს დავხუჭავ და შენზე ვიფიქრებ, შენც ასე მოიქეცი და ერთად ვიქნებით... დედას სიცოცხლე რომ გშველოდეს, მოგცემდი, დე, ოღონდ ჩემ გვერდით გნახო... საბა უკვე დიდი კაცივით აზროვნებს... რამეს რომ ჰკითხავ და ვერ გაიგებს, მე მეკითხებიო? გეტყვის. ამას წინათ, მულტფილმს უყურებდა და თან საჭმელს ჭამდა. ტუალეტში მინდაო, მითხრა. წადი-მეთქი... მულტფილმი დამთავრდება, რომ წავიდე, ტელევიზორი გამორთე, მულტფილმი შემინახე და რომ მოვალ, ისევ ჩართეო... პატარა სულელია, შენსავით, დე... შენ ახლაც ასეთი ხარ, ჩემი პაწია და ურჩი ბიჭი... ყველას გვენატრები, ახალი კი არაფერია ჩვენთან, ყველაფერი ძველებურადაა. ბადრიც ძველებურადაა, გკითხულობს და მოკითხვებს მაბარებს. ბებია ცოტა ავად იყო, ნემსებს ვუკეთებდი. ახლა უკეთაა. ნინოს ენატრები, ხანდახან დგას და ტირის, ჩუმად... ამას წინათ ვამბობდი, ასეთი ფოკუსი თუ გინახავთ ვინმეს, 2 ბიჭი მყავდა და ერთი გოგო და პატარა ბიჭი დამრჩა-მეთქი... ბესოც შორსაა, იმის დარდი ცალკე მკლავს... ღმერთის იმედი მაქვს, რომ მალე დავიბრუნებ ჩემს ორივე შვილს და ჩემთან ახლოს მეყოლებიან. თავს გაუფრთხილდი, დე... უთქვენოდ ჩემს სიცოცხლეს ფასი არ აქვს. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს... გეხუტები, ღმერთი გფარავდეს... დედა.

•მუკი, ისეთი გაბრაზებული ვარ, რომ არ იცი... კიდევ არ აქვს მოსამართლეს დაწერილი, ვეხუბობ, მაგრამ აზრი? დავიტანჯე, ამდენი ხანია, არ მინახავხარ. არ მოიწყინო, მალე მოვალთ.

• როგორ ხართ, მგზავნელებო? CRAZY GIRL და აურა, სად დამეკარგეთ? უწუწური, შემოგევლე გულში, დავმეგობრდებით, მჯერა.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

ახლებო, ლაქლაქა, ბიბიკო, ქრისტი, მიხარია, აქ რომ ხართ. ლი23.

•გიო, პაწი, დე, როგორ ხარ? იმედია, მაგრად იქნები, დე. ყველას გვენატრები. ნიაკო დიდი გოგოა უკვე. ნიკუშა ბუზღუნებს, მალე ჩამოვიდესო. ბაღში წასვლა რომ არ უნდა, დაახველებს ხოლმე და ავად ვარო. ძალიან გვენატრები. ა — სიდედრი?!

•უფალო მოწყალეო და მამაო ჩვენო, მაღალო, ძლიერო და დიდო ღმერთო, შენზე ვართ მონდობილნი იმედო ჩვენო, შენს წყალობას ველით, წმიდაო ღმერთო. შენს სიყვარულს.

•კასკუ, ჩემო სიხარულო და სიყვარულო! ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, როგორ მტკივხარ და როგორ მჭირდები. წარმომიდგენია, შენი მდგომარეობა, მაგრამ შენ ხომ ძალიან მაგარი ხარ?

•კასკუ, შენ გაუძლებ ყველაფერს და ისეთივე მხიარული კასკუნა დაგვიბრუნდები. ფინალისკენ მივდივართ, ნელა, მაგრამ მაინც ხომ დასრულდება, ოდესღაც? მე შენ მიყვარხარ.

•კასკუ, რაც არ უნდა იყოს, მე ყველაფერში შენ გვერდით ვარ. გულში ღრმად მჯერა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება და მალე ისევ ერთად ვიქნებით. მთავარია, თავს მიხედე.

•კასკუ, ჩვენი დარდი არ გქონდეს, კარგად ვართ. გთხოვ, ნაკლები მოსწიე, რა. ძალიან, ძალიან გვიყვარხარ და გეფერებით, შენი გოგომები და დედა. გკოცნი ბევრს, შენი ლიკუნა.

•ნაომი, :) ალბათ ძალიან მარტივი ხარ, მაგიტომ ვერ მიმულამებ. დიკი ანგელ, რა წაიღე ტვინი ტო! მაგ შენ ყოფილს, „გზის" ფურცლებიდან რომ არ ელაპარაკო, არ შეიძლება? ნიკოლო.

•მააარ, მადლობა, რომ წინა გზავნილი დამიბეჭდე... :) იმედია, ესეც იხილავს დღის სინათლეს. :) ეს ხალხი გადამრევს, რა, ყველას თავი დორიან გრეი ჰგონია. :) :) ნიმა.

•კაკადუ, გიგა ვარ. მაგრად მენატრები და მაკლიხარ. არაფერზე ინერვიულო, თეას და ბავშვების პონტში. ყოჩაღად იყავი, ბიჭო. მიყვარხარ და გელოდები!

•ქალი რა არის, თუ არა გველი, თუმცა იგი ზოგჯერ გველზეც ცუდია. ვით დახეული სამოსი ძველი, გვერდზე გაგდებენ, სხვაზე გყიდიან. ცდებიო, მეტყვით; არ ვცდები, არა! მე ყველა ქალის ვიცი თვისება, დრო თუ დაუდგა, წუთიც კი კმარა, აღელდება და ვნებით ივსება. ტყეა ულრანი. არ ჩანს არავინ, ქალს ლონემიხდილს გზა არევია. არ ჩანს სოფელი, არ ჩანს კარავი, ტანჯვისგან ძალა გამოლევია. ჩამოჯდა ოხვრით, ღამეა ბნელი, ხელში უჭირავს დანა პატარა. თითქოს გამოჩნდა ბედშავის მცველი, ვიღაცამ ხელი წამოატანა. შეჰკივლა ქალმა, აღმართა დანა; ბიჭი დგას მის წინ სახემზიანი. და ეუბნება, ვეღარ მცნობ განა? კაცი ვარ, კაცი, ადამიანი. ძმაც ვარ, სატრფოც ვარ შენი, ჩემო შავთვალა გოგო, მე შეყვარებულს ყველას, შენს სახებაში ვხედავ. ეს სიკვდილს უდრის თითქმის, ეს შეუძლოა თითქმის. შენ ერთს გეკუთვნის ყველა, რაც სიყვარულად ითქმის. სატრფოვ, შავთვალა გოგოვ, ჩემო ძვირფასო ცოლო. ყველას მაგივრად ერთად, მე შენ მიყვარხარ მხოლოდ. რა მაბადია ქვეყნად, ამ სიყვარულზე კარგი. ძლიერ მიყვარხარ, ძლიერ, ვარ შენი ტრფობის შმაგი. თუ ტრფობისათვის რამე, ჯილდო იქნება ბოლოს. ის შენ გეკუთვნის მარტო, ის შენ გეკუთვნის მხოლოდ. ნაყოფი მისი არის, ვინც ნორჩი ნერგი დარგო, ეს სიყვარული დიდი, შენ შემასწავლე, კარგო. ჩიტუნები ჩამომსხდარან ხეზე და ღელეში ჩახუტულან ერთად, შენ ყოველთვის გამწყრალი ხარ ჩემზე, მე კი მუდამ ყოფნა მინდა შენთან. მხეცი მეგონე, უთხრა ასულმა, და მორცხვობისგან თავი დახარა. ღმერთი ახსენა, მადლი უსურვა, ტყეში მშველელი რომ შეეყარა. მაგრამ რას ხედავს, რას ისმენს ყური, ვილევი, შენი ეშხით მთვრალი ვარ! შენ ითმენ ქალის სპეტაკი გული და ეუბნები, ქმარიანი ვარ. მით უკეთესი, ჩემო ოცნებავ, წუთით მე უნდა გაგიხდე ქმარი. შეიფრთხიალეს ტყეში ფრთოსნებმა, სიტყვას არ იღებს უცნობი ქალი. თვალი მოლულა მორცხვობით ქალმა, ვინ იცის, რა არის, გულს რასა ნატრობს. უცებ დაჰქროლა უჟმურმა ქარმა და უკვე უცნობს ალერსით ათრობს. იტყვით, რა ექნა, ტყეში დარჩენილს? ბიჭს ვერ დასძლევდა უძლური ქალი. მე გეტყვით, სპეტაკ გულით გაჩენილს, რა დარჩენოდა ბნელ ღამეს ტყეში? ჰქონდა შემთხვევა თავი დაეხსნა, დანა ხომ ჰქონდა, პატარა დანა, ჩაეცა გულში, რაც ჰქონდა ღონე! მაგრამ წამხდარი ეს ჩვენი ხანა, ქმრისთვის არ სცხელა, სხვას ირჩევს იგი. განსაჯე ძმაო, ახლა ქალების ერთგულება და ქმრის სიყვარული. ნუ გაცდენთ ძმაო, მათი თვალები, ო, მათში შხამი ბუდობს ფარული. კუნკულა.

•ჩემს ასაკში განდის სამი შვილი ჰყავდა, მოცარტს 30 სიმფონია ჰქონდა შექმნილი, მე კი ვცხოვრობ და მეტი არაფერი. ფოთოლცვენიდან — ფოთოლცვენამდე. ატარექსია.

•ნიკოლოს, გვიან, მაგრამ მაინც მადლობას მოვახსენებ, სიმპათიისთვის. :) მე რაღაც, არ მომხვედრიხარ თვალში. თუ იაქტიურებ, იქნებ მეც მესიმპათიურო. ატარექსია.

•ორიოდე კვირის წინ შეთქმულებივით, ჩემი გაცნობის სურვილი ჰქონდა ხალხს და ახლა ჩემი გამწყდარი სამაჯურის თვლებივით დაიკარგნენ. ატარექსია.

•კიდევ კარგი, ეს „ბედნიერი ზარი"... უჰ, უკაცრავად, „იღბლიანი ბორბალი" გამოიგონეს, ხანდახან მაინც გაერთობი კაცი. ისე, ის პირველი ცეკვა-თამაში აგვისტოს ომთან ასოცირდება. დუტა-დემეტრე კი „ჯეოსელის" რეკლამაში ყომარის წესებზე ფაქიზად გვესაუბრება და ეშმაკის მაგისტრალიდან უფლის გზას აჩვენებს სააკაშვილს. კუნკულა.

•მიკვირს, მანდილოსნებო; ეძებთ განათლებულს, სიმპათიურს, დასაქმებულს, უცოლოს და თბილისელ კაცს! როგორ ფიქრობთ, ასეთი კაცი მარტო იქნება? ეგ იმედი არ მოგიშალოთ.

•კაკადუ, გვენატრები ბექას და ანის. დიდი გულით გელოდებით. გვიყვარხარ.

•გაუ, როგორ ხართ? მე ქეთი ვარ. ძაან მინდა მისტერის, რუისპირის, SWEET GIRL-ის, კლეოპატრას, ლუნას გაცნობა. იმედია, გამეცნობით.

•კ3. 198. გი, დღეს სამსახურში მომიტანეს შენი 7 აპრილს დაწერილი წერილი. ძალიან გამიხარდა და თან ვინერვიულე. მე ჭკვიანად ვარ და აბა, შენ იცი.

•შემთხვევით შევავლე თვალი ამ სმს-ებს და რატომღაც კუნკულას გაცნობის სურვილი გამიჩნდა... SKILLET. :)

•როგორც იქნა, დედაქალაქს ვესტუმრე და ჩემი უსაყვარლესი მგზავნელებიც გავიცანი. ედელვაის, ჩემო ანგელოზო, მაგრად მიყვარხარ დაი, უფალი გფარავდეს. გაკოცეეე. ფლამინგო.

•სვანებმა გამაგიჟეს, რა საყვარელი და მხიარული ქალუკები მყვანან, ლამის ჩამეყლაპნენ. :) ქაჯების დედოფალო, შემოგევლე, რა ჯიგარი ხარ, მიყვარხარ მაგრად. ფლამინგო.

•ფიფქია-სანტა, უსაყვარლესი და უთბილესი ხარ დაი, მაგრად მაგრად უყვარხარ შენი გულის ტორნადოს. :) რავარი დაგაფეთეთ შეხვედრისას?! მაგარი დღე იყო. :) გაკოცეთ. ფლამინგო.

•კლეოპატრა, ძალიან დამწყდა გული, რომ ვერ ჩაგეხუტე. :( უმაგრესად მიყვარხარ და გაფასებ, საყვარელო. მადლობა ყველას, ვინც იუბილე მომილოცა. გაიხარეთ, მიყვარხართ. ფლამინგო.

•30 აპრილი მართლა ძალიან ბედნიერი დღე იყო, ულამაზესი და უთბილესი. დიდი მადლობა, ნათი და გიო, თქვენ, ამ უბედნიერესი დღისთვის. მიყვარხართ მაგრად. ფლამინგო.

•კუნკულა, თუ ვხედავ, რომ ადამიანს დახმარება უნდა და მე შემიძლია, მხარში ამოვუდგე, უკან არაფერზე ვიხევ. P.S. ნეტავ ჩემი ლივერპული ლიგაზე ითამაშებს? ეჰ...

•ლაკვასტ, ჩემო უსაყვარლესო დაიკო, ვკითხულობ და ვტირი შენს გზავნილზე, რადგან ტკივილამდე მომინდა, ისევ ჩაგხუტებოდი გულში. მენატრები და მიყვარხააააარ. ფლამინგო.

•მარიამულ, დიდი დიდი მადლობა, ასეთი კარგი, საუკეთესო ადამიანების პოვნისთვის. სალო, ძალიან გამიხარდა შენი გაცნობა. ნათი, ფატი, ქეთი, ედე, გენაცვალეთ, მიყვარხართ. ფლამინგო.

•ირაკლი, როგორ ხარ? ძიება მიმდინარეობს, ოთო და ნიკა დაჰკითხეს, ის ბიჭი ვნახეთ და ვუთხარით, რომ შუამავლობა მაინც გაეწია იმ მხარესთან და მოგვცა ერთის მამის ნომერი. ვინ უნდა მისულიყო? რატომღაც ყველა ერიდებოდა იმათთან მისვლას. ჰოდა, ერთ დილას ავდექი და დავურეკე, ნახვა მინდა-მეთქი და შევხვდი მარტო. ვესაუბრე და ყველაფერი OK. ნუნუ ბებოა ჩამოსული, გია მუშაობდა და არ იცოდა, რას ვაპირებდი. მერე დავურეკე და ვუთხარი. დღეს მოვა და კიდევ მივდივართ იმ ხალხის სანახავად. ნოდარი და ვახოც მოდიან. გილოცავ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს, წმინდა გიორგის მადლი გფარავდეს, გზას გინათებდეს ცხოვრების სავალს, შუქი კაშკაშა, წმინდა სანთლისა... გვენატრები. ლუკა.

•ვკითხულობ, მაგრამ პირველად ვწერ... რუისპირ, საინტერესო ადამიანი ხარ! P.S. გიორგობას გილოცავთ! LADY.

•აუ, ეს კუნკულა რა კაი ტიპი ჩანს, ოღონდ მაგარი — არა... ძველი „გზის"

ნომრებს გადავხედე და მაგრა ვიკაიფე, აუ, რა კაიაააააა... ნიკოლოც ძაან მომწონს...

•ზოგიერთი მგზავნელის საყურადღებოდ ვამბობ: თუ არ გაქვთ ლექსის წერის ნიჭი, მე ნუ მპარავთ. ორი ჩემი ლექსი წერია წინა ნომერში, ვილაცის მიერ, უნიკოდ. სევდიანი ქალი.

•მუკი, გილოცავ, დღეს გიორგობაა, მისი მადლი გფარავდეს, პაწ. ძალიან მენატრები, უკვე მართლა ველარ ვძლებ, შენთან მინდა. გამაგიჟეს, ესენი ვინ არიან... მიკაი. მალე მოვალ.

•ლუნა, რალაც, შენი ლექსები არ მხიბლავს, უაზრობააა... გზავნილები ჯობია აშკარად... ოღონდ ერთზე მაგრა ვიკაიფე, გამისწორდა, ის რო იყო, სიბნელემ მოიტანა ვნებაო და რალაც ასეთები. ნამდვილი პორნოპოეზიის ნიმუშია. მაპიპ.

•ჯ.ხავი, რომ დამკარგო, ჯერ უნდა მიპოვოო. :) აქა ვარ, აქ! წანდერერ, ახლა მე ვცდი, იქნებ გავიგო შენი ნომერი. ატარექსია.

•ედელვაის, შემოგევლე დაიკო, რა საყვარელი ხარ. მაგრად მიყვარხარ. მილენა, ჩემო ანგელოზო, მახსოვხარ და მიყვარხარ, გეხუტე შენს თბილ გულუკაშიო. გაკოცეთ. ფლამინგო.

•დილა მშვიდობისა, მარი. როგორ ხართ? ყველას გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს... აუ, რა ყოფილა ეს პახმელიააა :) მიყვარხართ და გეხუტებით ყველას. WANDERER.

•ბედნიერი ვარ, კაცებს ჩემი შურთ, რადგან შენ მხოლოდ ჩემი ხარ და მე მეკუთვნი. მიყვარხარ. ალიმა.

•მარი, დიდი მადლობა, ლომის წვლილი მიგიძღვის, ჩემი ველურის მოთვინიერებაში. ჯიგარი ხარ. ალიმა.

•მამაჩია, ჩემს ბრჭყალებიან ფისოს თურმე რბილი თათიც ჰქონია. მაი, კიდევ უფრო მეტად მიყვარხარ. ალიმა.

•გამარჯობა. მინდა, დიკი ანგელს მივმართო — უაზრო მესიჯების წერას თავი დაანებოს. კუსასო.

•თავს შემახსენებს წუხილის გრძნობა, გაორებული შევცქერი სარკმელს, თავს ვერ ვპატიობ, უკან დახევას და ჯერ ვერუთქმელ უამრავ სათქმელს... ამორძალი.

•ქერუბიმები ნისლში ქრებიან, ნელა მიცურავს ზეცისკენ მთვარე, ბოლო მსხვერპლი ხომ ჯერაც ბავშვია, და მე მიამბობს ამ ბავშვზე მთვარე... ამორძალი.

•ოლა. იმედია, კარგად ხართ ყველა. როგორ მინდოდა თქვენთან დამეგობრება მგზავნელებო, მეგონა, ერთი დიდი ოჯახი იყო, სადაც ჩემს ადგილს მეც ვიპოვიდი, მაგრამ. წავალ მალე. ლი23.

•კაკადუ, გილოცავთ გიორგობას, ყველას მაგრად გვენატრები. ბავშვები სულ შენს ხსენებაში არიან. ამ კვირაში გნახავთ ალბათ ან დარეკავ მაინც. ნიკამ მოდელების შეგროვება ისწავლა და გია მოვა თუ არა, ეგრევე ეკითხება, მანქანა მომიტანეო? გვიყვარხარ და გვენატრები. კახა.

•გამარჯობა. როგორ ხართ? მარ, ბალზე არ მაქვს და ჯეოსელიდან მოგწერ. ბავშვებო, ძალიან მინდა თქვენი გაცნობა. კუტრინა ისეთი თბილი ადამიანია... აბა, ჰე. თქვენ იცით...

•ლი23, შენც რა კარგი ხარ. სასიამოვნო იქნება შენი გაცნობა. თუ სურვილი გაგიჩნდება, შემეხმიანე. ბარამბო. :-):-)

•მოვიკითხავ ყველას, ვინც ჩემი გაცნობის სურვილი გამოთქვა და რატომლაც აქამდე ვერ გაგიცანით. ძალიან კარგები ხართ. გენაცვალოთ ჩემი სევდიანი გული. ბუც, როგორ ხარ? ქვრივი.

•მუკი, შენი ტელეფონი დაინახა ნიკამ, აილო და გირეკავდა ბოთე. ძაან ენატრები ორივეს. მეც. ამბობენ, ეგუება ადამიანი ყველაფერსო, მაგრამ რაც დრო გადის, უარესად მენატრები.

•პაწი, მამიკო, ძალიან მენატრები. იმედია, მალე მოვახერხებთ შენს ნახვას. ძალიან მენატრები. ახლა საზაფხულო არდადეგები გვექნება და ხშირად გნახავ. მიყვარხარ.

•კასკუ, ძალიან მინდა მეძინოს, ვილაცამ გამაღვიძოს და ეს ყველაფერი სიზმარი აღმოჩნდეს. ჩვენი სიყვარული ამ გამოცდასაც გაუძლებს, ოღონდ თავს მიხედე და არ გატყდე.

•კასკუ, შენით ვსუნთქავ, ჩემი დარდი შენ ხარ და ვიცი, შენს გულში რაც ხდება, მაგრამ გაუძლო უნდა. იმედი მაქვს ღვთის სასწაულის. მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. ლიკუნა.

•კასკუ, ძალიან ბევრს გკოცნიან დედა და ბავშვები. ჭკუაზე არ არიან, ისეთი გახარებულები არიან, რომ გნახეს. რა ქნან? მამას სულელი გოგოები არიან. გეხუტები გულში. ბითააა.

•ბავშვებო, არ ვიცი, საიდან დავიწყო. :) უბრალოდ, თქვენი გაცნობა მინდა. თუ მიმიღებთ, რა თქმა უნდა. :) ბუბუ.

•კასკუ, როცა ამას წაიკითხავ, ოთხშაბათიც ჩავლილი იქნება და რამე უკვე გარკვეული იყოს იქნებ, ერთადერთი, რაზეც ვლოცულობ და ვევედრები უფალს, შენი კარგად ყოფნაა და ამ მოლოდინის მალე და კარგად დამთავრებაა, ოღონდ შენ გაუფრთხილდი თავს, შენი მაგრად ყოფნით ჩვენც გვაძლიერებ. მიყვარხარ, მენატრები, გკოცნი, შენი ქეთი.

•კუნკულა, გოგოს გაცნობა გინდა? რა, ნაცნობები დაგელია? აქ რას ეძებ? :) CRAZY, ოდნოში გეძებდი და ბევრი ნიკი ამომიგდო. ლი23, გეხუტე გულში. ვმეგობრობთ, აბა რა... :) უწუწური.

•კასკუ, ყველა მაგრად ვართ და შენი მაგრად ყოფნაც ჰაერივით გვჭირდება იცოდე, შენ რომ გატეხილი გნახო, ჩემს თავს ვერასდროს ვაპატიებ, რომ ასეთი უსუსური ვარ. ქეთი.

•კასკუ, ვერაფერში დაგეხმარე. გეხვეწები, წესიერად ჭამე, ბევრს ნუ ეწევი და თავს გაუფრთხილდი. საერთოდ, წინ მთელი ცხოვრებაა და იმ ცხოვრებისთვის უნდა ვივარგოთ. ქეთი.

•კასკუ, ყველაფერი უფლის ნებაა, უფალმა გაგაძლიეროს, ჩემო სიცოცხლევ, მიყვარხარ და მენატრები, სიტყვებით რომ ვერ გადმოგცემ, ისე. გკოცნი, გეხუტები გულში. შენი ქეთი.

•კასკუ, ჩემო სიცოცხლევ, იქნებ მესიჯებით უფრო გაფორიაქებთ და დამშვიდების საშუალებას არ გაძლევთ, მაგრამ როცა ვერ მოგწერე, მეგონა, მარტო დაგტოვე დარდებთან. ქეთი.

•სიყვარულმა დალალა. ლექსის წერა გასწავლა, თავში ცოტა ტვინი გქონდა, ისიც გამოგაცალა. ლიპსო.

•გამარჯობა მარი, გთხოვ, ჩემი მესიჯი არ დაბლოკო, რადგან ეს ჩემთვის ძაან მნიშვნელოვანია, მივმართავ ლუნას, ვიცი, ვინ ამესიჯებს „გზაში“ და ვინ — არა. ამაში თავად გავერკვეოდი და საერთოდ, შენ რა იცი, მე ვინ მგონია და ვინ — არა? მე ვისაც მივწერე ის მესიჯი, თავის თავს თვითონ დაიცავს, შენ ნუ ჩაერევი, ეს ჩემი მეგობრული რჩევაა. ახლა კი გრუზინკას მინდა ვუთხრა: შენი რჩევა და მით უმეტეს — გაფრთხილება ნამდვილად არ მჭირდება. არც არავისი მეშინია, რადგანაც მშიშარა ქალების კატეგორიას არ მივეკუთვნები. შენს რჩევას გავითვალისწინებდი იმ შემთხვევაში, აქამდე რომ გაგხსენებოდი. ნეტავ, რატომ დამივიწყე? პირველად შენ და ტირიფი მოხვედით, სევდიანმა მოგიყვანათ ჩემთან, მერე იყო ჭრიჭინა, სოფი-19, ქალი-ცდუნება, მანაველი, ოლეგარიო და სხვათა შორის, მოხუცი მებალეც. ჩემთან რომ იყავით და სადღეგრძელოებს ამბობდით, მეგონა, მართლა კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვექნებოდა, მაგრამ შევცდი. თქვე კაი ხალხო, რომ გახვედით და გაიხურეთ კარი, ამით დამთავრდა ყველაფერი? ნუთუ არ გაგახსენდით, მოგეკითხეთ მაინც, ერთი სიტყვით. მგონი დავიმსახურე. რაც შემეძლო, სულით და გულით პატივი გეცით და მოკითხვის ღირსი არ ვიყავი? ჭრიჭინა ხელებზე მკოცნიდა, რა გემრიელი ხელი გქონიაო. ქალი-ცდუნება და ჭრიჭინა გაოცდნენ ჩემი ნახელავით და „გზაშიც“ კი დაწერეს იმ დღის ქეიფის ამბები, მაგრამ მერე რატომლაც დაგავიწყდათ სუყველას, ოლეგარიოს გარდა. ოლე მართლა რომ „გზის“ კოლორიტი და არაჩვეულებრივი ადამიანია, ვისთანაც დღემდე შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. ასე რომ, თუ აქამდე არ გაგხსენებივართ, ახლა ნანას თქვენი რჩევა და მით უმეტეს — გაფრთხილება არაფერში სჭირდება. უმჯობესია, თქვენს თავს გაუფრთხილდეთ, მე არ განწუხებთ და არც გახსენებთ. ასე რომ, თქვენც ნუ შეწუხდებით. მარი, დიდი მადლობა იმისთვის, რომ ეს მესიჯი არ დაბლოკე და დღის სინათლე იხილა. პატივისცემით, იდუმალი-ქალი.

•ცხოვრება თავისი მოულოდნელი საჩუქრებით, ცხოვრება თავისი უცნაურობებით, ცხოვრება მოულოდნელი სტუმრებით... და უბრალოდ, ცხოვრება ადამიანებთან, ეგოისტ ადამიანებთან ჩემთვის დიდი ტვირთი და სიმძიმეა, სიმძიმე, რომელიც ვერ ვხვდები, როგორ უნდა შევიმსუბუქო. ცხოვრება დაწყებული შეცდომით და დღესაც გაგრძელებული — შეცდომებით, მაგრამ მაინც, ცხოვრება დიდი მასწავლებელია, ჩემი დიდი მასწავლებელი. მოულოდნელი საჩუქარი კი რამდენიც გინდა... და მაინც, მგონია, რომ თვითონ ვფუთავ ამ საჩუქარს და ბომბს თვითონ ვდებ... და მაინც... და ისევ და ისევ!.. არ მესმის ცხოვრების... იმიტომ, რომ ჩემი არ ესმის თავად ცხოვრებას!.. სალო.

•რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ გადავწყვიტე, ისევ მომეწერა თქვენთვის. ეს კი ერთმა მშვენიერმა დღემ განაპირობა. ლაკვასტისთან სრულიად შემთხვევით მისულმა, მგ-

ზავნელები გავიცანი: ფლამინგო, ფიფქია და ქაჯების დედოფალი. გამაოცა მათმა ასეთმა სიყვარულმა. საოცარი, თბილი დამოკიდებულებით ერთმანეთის მიმართ და ჩემ მიმართაც. გოგონებო, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ამ დღისთვის და ჩემდამი ასეთი თბილი დამოკიდებულებისთვის. ამ დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ მე დავბრუნდი თქვენთან. სალო.

•...და მოდიოდა მზის კაცი ცხელი ოკეანის ზედაპირზე. ღმერთს ავედრებდა მას, რომლის მოვლინება ახარა ზღვებს, თოლიას, წვიმას, რომლის შხეფები პირს ჰბანდა ახალშობილს!.. სალო.

•ქართა ქროლვა, რას მოგვტაცებს თეთრი თქეში, შენს გულს ჩემი სიყვარული, ბავშვივით რომ უხარია. ორთაჭალის ბაღებს ათოვს, ატმის კვირტთა ზეიმია. შენს ლაწვებზე მარგალიტთა, კრიალოსნის მძივებია. მერე რა, რომ სიცივეა? ჩვენს გულში ხომ სიყვარულის ხანძარია. ღამის ცაზე აგახედა, ვარსკვლავების მთელი ჯარი, შენ წამწამთა ნარნარია. მერე რა, რომ ეს სიბერე, ხეთა ტოტებს შეჰპარვიათ, ჩემს გულს შენი სიყვარული, კვლავ ბავშვივით უხარია. ბაჩი.

•მთვარე ჩაეკონა ღრუბლებს, მზე ეამბორა დილას. სულში შემოდგომა ფოთლებს, ყრიდა, ყრიდა და ყრიდა. მე ვითარეშე შენში, ვით გაზაფხულის ხვატმა და ფერად ფერთა ნაცვლად, მრჩება და მრჩება დრამა. ეს მე ვამხილე დარდი, ეს მე შევკარი გუდად, ზაფხულის დიდი ღამე, და თუთარჩელას სუნთქვა. ტანკენარ ქალთა მსგავსი, გაზაფხული და წვიმა, ოდეს დაიცხროს ქრობა, ჭკნობა და არა — ხმობა, გარდაუვალი ჟამი, სიბერის მაინც მოვა, ვერაფერს ვიზამ ვიცი, დაველოდები თოვას. მთვარე ჩაეკონა ღრუბლებს, მზე ეამბორა დილას, სულში შემოდგომა ფოთლებს ყრიდა, ყრიდა და ყრიდა... ბაჩი.

•დაბადების ჟამი, რეკავს რეკვიემი. დღეთა აპოგეა, წუთი, დრო და წამი. ძეთა და ასულთა მოვლენის ჟამი, რეკავს რეკვიემი, იესოს კვართით, ზეცად აღვლენილი, დადის შევრდომება, ხელს ატატებული ჩვილი ბავშვით შენი დაბადების წუთი, დრო და წამი, რეკავს რეკვიემი, რეკავს გამალებით. შენი გაზაფხულის თეთრი ყვავილები, ზოგჯერ ნაზია და ზოგჯერ გიჟმაჟია, მორჩა ოცდაათი ჩვენი გაზაფხული, ოცდამეთერთმეტეს რეკავს გამალებით, მე რა შემიძლია, გარდა სტრიქონების, გარდა ამ სიტყვების, მე რა მაბადია. ჩემი გამარჯვების, ლალი სურვილების, წრფელი ოცნებების მთელი ბატალია. ზეცად აღვლენილი დადის შევრდომება, ხელს ატატებული ჩვილი ბავშვივით. დღეა, აისია, 15 აპრილია, ლურჯია ცა და ხალასია. ბაჩი.

•მარ, მინდა პატიება შენც გთხოვო, პრობლემები გქონდა ჩემ გამო. მაპატიე, გთხოვ, ძალიან დიდ პატივს გცემ და ვნანობ, რაც ჩავიდინე. აღარ შემიძლია ასე ყოფნა, დედამ ბავშვი მომაშორებინა ძალით, ზურას ნაბიჭვარი არ მინდაო, რა ნერვებზე უნდა ვიყო? 4 დღეა, რაც დავკარგე შვილი და თავს ცუდად ვგრძნობ, თითქოს რაღაც ჩამწყდა, ისე ვარ. ჩემები მართლა მიმონებენ, დავიტანჯე ღმერთო, მიშველე რამე, ნუთუ ჩემთვის სამართალი არაა? ზურა, გევედრები, ნუ დამღუპავ, ცხოვრებაზე ხელს ნუ ამაღებინებ, გუშინ შენი ხმა რო, გავიგონე, ღმერთს ვფიცავ, ძლივს დამაკავეს მეზობლებმა, რომ მანქანას არ შევვარდნოდი. გაქრა ის სიყვარული? ნუ მტანჯავ, გთხოვ, დამიბრუნდი, გთხოვ, ღმერთს ვფიცავ, თუ დამიბრუნდები, უბედნიერეს კაცად გაქცევ, მართლა გეუბნები, ჩემით არ ინანებ, გთხოვ, დამირეკე ან ის მითხარი, მოვდივარო. ან ის, რომ ჩამოდიო. ვიცი, ჩემზე ფიქრობ, გიჭირს უჩემობა. ასე ნუ მექცევი, შენ ჩემი ქმარი ხარ, ბოლოს და ბოლოს, მოდი გონს, სიგიჟემდე მიყვარხარ, მეუბნებიან, გაგიჟდიო. ასეა, შენმა სიყვარულმა გამაგიჟა. მარ, გთხოვ, დამიბეჭდე, მართლა დავიტანჯე ზურას გარეშე, თავს ვერ ვაკონტროლებ ხოლმე, ხანდახან. ზურა დამიბრუნდეს, რა იქნება. ზურას კნეინა, დიკი ანგელი.

•ედელვაის, რატომ მიდიხარ აქედან? შენ კი არა და მე მართლა ვაპირებ, აღარ მინდა დამესიჯება აქ, რა მაწყენინე? შენ არა-თქო, ხომ გითხარი. ნომერი მინდა შენი, სხვისი არავის გაცნობა არ მინდა, გაიგეთ? ვსო. ზურას კნეინა, დიკი ანგელი.

•მინდა, 19 წლის მ-ს გამოვეხმაურო, მეც შენს დღეში ვიყავი თითქმის, სანამ ზურას გავიცნობდი, მანამდე მყავდა შეყვარებული, გაპარვას ვაპირებდით მე და იკა, სახელს ვცვლი. მომავალზე ვსაუბრობდით, მერე ჩამოსვლა უნდოდა და უნდა გავპარულიყავით. ვგეგმავდით, რომ ამ დროს ის გავიცანი, ვინც მჭირდებოდა, ზურა გავიცანი, და იკას დავშორდი. ზურას გავყევი ცოლად, მე და ზურა გავიპარეთ, დედაჩემს მოვატყუე, მაღაზიაში გავალ-თქო და დავტყდი ზურასკენ, იქვე მელოდა, მარა რა... :( დავშორდით. აქ ჩემები არიან დამნაშავენი, ჩემო მ, :) ასეც ხდება ხოლმე რა, გიჟს ვგავარ, რომ ვილვიძებ დილაობით და ჩემ გვერდით ვერ ვხედავ, ღმერთის იმედი მაქვს, რომ დამიბრუნებს. ჩემო კარგო, იბრძოლე სიყვარულისთვის, მე აღარც ძალა მაქვს, ზურასთვის რომ ვიბრძოლო და არც პატრონი მყავს წესიერი, მაგრამ შენ? შენ მაინც ხომ შეგიძლია? კარგი გოგო ჩანხარ. დიკი ანგელი.

•გამარჯობა, მარი! შენი ძალიან მადლობელი ვარ, მოხუცის ნომერი რომ მომეცი. მე ლუნასგან ვიცოდი, რომ ძველი მოხუცი „გზაში" აღარ წერს და ამაში დარწმუნებული ვიყავი. მე იდუმალი ქალის მესიჯმა გადამაწყვეტინა გამერკვია, მოხუცის ნიკით ვინ წერდა. მინდოდა, იდუმალი დამერწმუნებინა და შენი წყალობით მე ეს მოვახერხე. მე ახალი მოხუცისთვის წასვლა არ მითხოვია ან რა უფლება მქონდა? პირიქით, შენი წყალობით მე მას დავუმეგობრდი. ის უაღრესად კარგი ადამიანია. ერთს კი გეტყვი ჩემო კარგო, ეს ჩემი საქმეა და არავის ვაკითხებ. ზუსტად ზოგიერთის მიზეზით დავშორდი მოხუცს. მე არავის პირადულში არ ვიქექები და მეც დამანებონ თავი. სულში ნუ მიფათურებენ ხელებს. მიუხედავად იმისა, მოხუცს დავშორდი, მაინც არავის მივცემ მისი შეურაცხყოფის უფლებას, თუნდაც ჩემი დაქალი იყოს. მინდა, ყველა მგზავნელს თხოვნით მივმართო: გიყვარდეთ ერთმანეთი და პატივი ეცით ერთმანეთის აზრს. თუ კარგის გაკეთება არ შეგიძლიათ, ნურც ცუდს გაუკეთებთ ერთმანეთს. ნუ იქექებით სხვის პირადულში. მეც ბევრზე ბევრი რამ ვიცი, მაგრამ სადაც ჩემი საქმე არაა, იქ ცხვირს არ ვყოფ. ზოგიერთს კი ვეტყვი: პირი არ გამაღებინოთ, თორემ „გზაში" დამესიჯება კი არა, ჟურნალის ყიდვის სურვილიც კი გაგიქრებათ. მე არავისთვის ცუდი არ მინდა და თავი დაანებეთ კბენას. მე თქვენ ყველა მიყვარხართ და გთხოვთ, უაზრო და ზედმეტი ლაპარაკით ერთმანეთს გულს ნუ ვატკენთ. არ არის საჭირო წარსულის „გზის" ფურცლებზე აფიშირება. სევდიანი ქალი.

•ნინო და ზურა ერთად იზრდებოდნენ. ერთად ატარებდნენ ბავშვობის ულამაზეს და ხალისიან დღეებს. ზურასთვის ნინო მეგობარზე მეტი იყო და მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. ნინო



გრძნობდა ამას და უფრო მეტად ეპრანჭებოდა. ერთ დღეს ზურა გამოუტყდა სიყვარულში, ნინომაც სიყვარულითვე უპასუხა. მალე სკოლა დაამთავრეს და ერთმანეთთან განშორება მოუწიათ. ნინო თბილისში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად, ზურა კი ჯარში გამოიძახეს. დრო გადიოდა. პირველი სიყვარული ხომ დაუვიწყარია, განსაკუთრებული ძალა და ხიბლი აქვს... საშინლად ენატრებოდათ ერთმანეთი, ერთად ყოფნა უნდოდათ, რამდენჯერმე წერილით მოიკითხეს ერთმანეთი, მერე კი ზურა ნინოსგან პასუხს ველარ იღებდა. სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლდა, სოფელში დაბრუნდა და მაშინვე ნინოსთან გაეშურა — გულმა ველარ გაუძლო ლოდინს. ნინოს მამამ სიხარულით მიიღო ვაჟი. ნინო შინ არ იყო, მხოლოდ მისი მამა და სამი უცხო ყმაწვილი დახვდა. გელამ ბიჭებს ნარდის თამაში შესთავაზა. ზურამ ყველას მოუგო, მხოლოდ ერთთან დამარცხდა, თუმცა, მისთვის ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? სულ კარისკენ იცქირებოდა და ნინოს შემოსვლას ელოდა... მალე შემოფრინდა ნინო ოთახში, ზურა შეეგება, ნინომ გაუღიმა და უბრალო ნაცნობივით მიესალმა. მერე კი თავისი მეუღლე გააცნო. ეს ის ბიჭი იყო, რომელთანაც ზურამ ნარდი წააგო. ზურამ საქმე მოიმიზეზა და წასასვლელად მოემზადა. მისთვის შეუძლებელი იყო, იქ გაჩერება. ნინოს ეზოს მოავლო თვალი. გაახსენდა, როგორ თამაშობდნენ ერთად იმ მინდორზე, როგორ დასდევდნენ ერთმანეთს, საათობით. — როგორ შეცვლილა ნინო, დაქალებულა, მაშინდელი ბავშვური ნინო უფრო მიყვარდა... — გაიფიქრა ზურამ და შინისკენ მიმავალ გზას ნელი ნაბიჯით გაუყვა. ლუნა.

• ბოლოს ნუ იწყენ ძმობილო, შენი ცხოვრების გმობასა, წარსულს ნუ დაემდურები, ნუ იქმ მომავლის თმობასა. სანამ ცხოვრებას დაიწყებ, ელოდე ოფლში წრთობასა, უნდა იცოდე რა მოსდევს, ცოლობას, გინდა ქმრობასა. ცხოვრებას ისე შეხედე, რომ გქონდეს სალი გონება, თუ გსურს ბოლოს არ მოგიხდეს, ულირსთა ყოფნა, მონება. მწყურვალეს ყველა სასმელი, ბადაგი ნუ ეგონება, წუთიერ გრძნობას აყოლილს, ვის გააჩნია გონება? როს ცხოვრების გზას ადგები, წინ შორს უნდა გაიხედო, თუ გსურს წყალი რომ დალიო, ჯერ შიგ უნდა ჩაიხედო, ზღვის ტალღებთან შეჭიდება, არასოდეს არ გაბედო, თორემ ბევრი დაუხრჩვია, თავის მკლავის მოიმედო. უპირველესად, არ გირჩევ, ყველა დიაცის ტრფობასა, იგია ცეცხლთან თამაში, წაგავს ბანგით თრობასა და მთვრალი განა რასა იქმს, მოეკითხება გრძნობასა? ისმინე ჩემო მკითხველო, გაფიცებ კაცურ გრძნობასა. ყველა ქალი ნუ გგონია, რომ იყოს მზეთუნახავი, ყველა გრძნობა ნუ გგონია, რომც იყოს შენახულია. ყველა ტრფიალის ნუ გჯერა, ნურც მისი მონაჩმახავი, თუ არ იცოდე მის გულში, მიზნები განაზრახავი. ერთ სოფელში დიდი ხნის წინ, იყო ვინმე ქვრივი ქალი, მშვენიერი, ტანად სარო, ვით ნათალი ქვაფიქალი. წარბი ოდნავ მოშვილდოდა, სახე ოდნავ ფერმიმკრთალი, თვალთა შუქით გამოკრთოდა, დიდი სევდის ნაფიქრალი. მშრომელი და გამრჯე ქალი, არ ჩიოდა ბედზე ნინა, თუმცა მისი ტკბილი ქმარი, ღმერთმა მიწას ჩააწვინა, 8 წელია არ ჰყავს ქმარი, 8 წელია გლოვობს ნინა, მხოლოდ ერთადერთ ნუგეშად, ღმერთმა შვილი შეარჩინა. 16 წლის არის პირმშო, შვილი მისი ანატოლი, მთელ სოფელში ვერ ედრება, მას ვერცერთი თანატოლი, ტანადობა მამას უგავს, სიმხნე მისგან ანაყოლი, მშვენება და სილამაზე, დედისგან აქვს დანაყოლი. ნინა პირმშოს ანატოლის, ვით სიცოცხლეს შესცქეროდა, შორს წასულის მომლოდინე, ფანჯრიდან ცას გაჰყურებდა. მასზე ფიქრით გადაღლილი, ბევრი ღამე დასთენოდა, რა ქნას, ქმრისგან მხოლოდ შვილი და გულქანდი დარჩენოდა. ნინა გულქანდს მარად უბით, ვით თილისმას ატარებდა, მასთან ბუტბუტს და ალერსსა, ქმართან ალერსს ადარებდა. თუმც მთხოვნელი ბევრი ჰყავდა, გულს კი არვის აკარებდა, ქმართან დამარხულ გრძნობასა, სხვას ველარ შეაყვარებდა. მას ჰყავდა გოგო მსახური, მას როგორ ეტყვის შველასა, გოგოსთან როგორ იქმოდა, თავის დარდების მხელასა. ვინც კი ეტყოდა ქმრობასა, ყველას ეტყოდა უარსა, მას ანატოლი ერჩივნა, ცის ქვეშ ზღვასა და ხმელეთსა. მისი შვილი ანატოლი, ახლო ქალაქში სწავლობდა, როს იხილავდა მოსულსა, დედა სიამით ტკბებოდა, და მომლოდინე სარკმელთან, იჯდა შეყრასა ლამობდა, ღმერთო, შვილიო მიცოცხლე, ჩურჩულით ამას ამბობდა. ახლაც, სარკმელთან მჯდომარე, შორს გაჰყურებდა არესა, მაღალ მწვერვალთა თავები, გაეჩირაღდნა მთვარესა. ბაღში ბულბულის გალობა, ატკბობდა არემარესა, ალბათ გულის ტოლს უხმობდა, მართოდ მყოფ მგლოვიარესა. ქვევით რაკრაკი მდინარის, ასალბუნებდა სმენასა, ბუნებაც ხმას მიუგდებდა, ამ საამურსა ჟღერასა. ქვრივმა იფიქრა, დავწვები, აქ ველოდები მე რასა, შვილო, როდემდე გავუძლო, ამდენსა გულის ძგერასა. ადგა, წავიდა საძილედ, შეაღო ოთახის კარი, თან შეიტანა სურნელი და თვალწამწამთა ლაშქარი. ამ დროს მოისმა შორიდან, ცხენთა ჭენება მედგარი, ნინამ იფიქრა, უთუოდ, ჩემი შვილია, ის არის! მართლაც მიადგა ჭიშკარსა, ეტლი, შებმული სამცხენა, გადმოხტა პირმშო ფიცხელი, ნუგეში და აღმაფრენა. სიცილი უგავს კისკისსა, შვენის კბილების დაჩენა, გული დედისკენ გაურბის, არ სურს საგულეს დარჩენა. მარდად ავალა კიბენი, წინ დედა შემოეგება, და მოიდრიკა საკოცნად, შვილი ბადახშის ბაგება, დიდხანს ჰკოცნიდა ქვითინით, ქვრივი ნუშისფერთვალება, წლობით ნათმენი ალერსი, სულ ერთად შემოაგება. მას აქეთ ნინამ დაიწყო, წყნარი და მშვიდი ცხოვრება, შვილისთვის თავი დაედო, ეს იყო მისი ოცნება. შვილს ეკუთვნოდა იმისი, აზრი, გული და გონება, კარგია აზრს და გონებას, გულიც თუ დაემონება. მაგრამ, ხანგრძლივ ეს ქვეყანა, გაახარებს ვინმეს განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას, მისი გამოცანა. როს არ ელი, მაშინ დაგკრავს, ვითა ელვა და სატანა, სულ ერთ წამში დაგილეწავს, რაც ბუნებამ მოგიტანა. ძველთაგანვე ნათქვამია, ხალხს ასე გაუგონია, ბუნება თვისას მოითხოვს და ახალგაზრდის გონება, სიყრმის პირველსა ტრფიალსა, ადვილად დაემონება, მისგან უსჯელად შეერთვის, მისი აზრი და გონება. ტრფიალით მთვრალი ვერ ამჩნევს, მის წინა ღობე ზღუდესა, იმას იქმოდეს რაიცა, ტრფიალის გულს მოუნდება, თვით მეფეც მოახლესთანა, ტრფობას დაუდებს ბუდესა, მას დაუკოცნის რიდესა და ჰპოვებს ნეტარებასა. როს ანატოლიმ მოახლეს გაუბა საუბარია, სისხლი აენთო ძარღვებში, ვით ტალღა, ბობოქარია. კბილნი მოჭრილი წყობილად, ნათელი ლამაზ-ლამაზი, ვისაც ვინ უყვარს ქვეყნადა, ის არის იმის ლამაზი. მოახლე უყვარს, ვერ ბედავს, მიჰყვა გულისა ვნებასა, კაცი ვერსად ვერ წაუვა, რაც რომ ბუნებას ნებავსა. გაგიჟებული მდინარე, ზღვას ერთვის, ჩქარობს შერწყმასა, ვაჟსა მოახლე ერჩივნა, ქვეშ მიწას, მაღლა — ზეცასა. მოახლემ ყველა მოუთხრო, წყნარად ისმინა ნინამა, ვერ მოითმინა, აღელდა, თვალთაგან ცრემლი ინამა, გაუკრთა პირზე ღიმილი, იელვა კბილთა წყობამა: რად გაბედეთო, შეჰყვირა, გინდა შენა და გინდ მანა. ქვრივს აწვალებდა, ახრჩობდა, ზვიადი თავმოყვარება, რომ შვილმა ადათი დაგმო და ქნა მოახლის ყვარება. მთელი დღე-ღამე ფიქრობდა და ძილი არ ეკარება, თავს დაათენდა, დაიწყო, მზემ მთიდან ამონათება. მეორე ღამეს დაუთმო მოახლეს თავის საწოლი, თვითონ მოახლის საწოლზე დაწვა, გულს დარდგანაწოლი. იფერფლებოდა დღის ბინდი, ღამეს დაეგო საწოლი, გაშალა თავის ნაბადი, მთის კალთებს წამოსაწოლი. დედა მოახლის საწოლში, მწარე ფიქრისგან კვდებოდა, თითქოს მახეში გაბმული, როგორც კაკაბი კრთებოდა, ხანდისხან იმის გონებას, ბინდბუნდი ეფინებოდა, ყოველი ჩქამის ხმაზედა, გულსა რაღაცა სწყდებოდა. ამ დროს, ფრთხილად შემოაღო, ანატოლიმ ბინის კარი, ბრგე ვაჟკაცი, მოხდენილი, ჰშვენის წარბ-წამწამთა ჯარი. საწოლისკენ მიუპყრია, ვნების ღელვა, გულის კარი, სად მოახლე ეგულება, განაბული, ვით კანჯარი. უცბად, გულში შეეპარა ეჭვები და რაღაც ხინჯი, გაიყინა ერთ ადგილზე და ვერ წარდგა წინ ნაბიჯი, სულ შებორკა უხილავმა, თითქოს რაღაც დაჰკრეს ტვინში, ქანდაკებას დაემსგავსა, გახდა სახე დანაღრიჯი. ამ დროს საწოლი შეირხა, გაისმა ფარჩის შრიალი, კვლავ უწყო გულმა ძგერა და ძარღვებმა სისხლის ჩქრიალი. მიისწრაფვის და არ იცის, რას უქადს ბედის ტრიალი, თუ რარიგ, მეხმა დამეხოს, მშფოთვარე გულის წრიალი. დედა ხედავდა წყვდიადში, შვილის ანთებულ თვალებსა, შებოჭა რაღაც ძალამა, უხმოდ კრთის და კანკალებსა. ანატოლი თან გზადაგზა ნელა იხდის ტანსაცმელსა, ღიმილი ბაგეს უპობდა და უელვებდა კბილებსა. დედა აღმოჩნდა უძლური, ვნების ცდუნების წინაო, რომ შვილი გონს მოსულიყო, სისხლი არ შეერცხვინაო. უცბად უნდოდა ეყვირა, ფეხი არ წარდგა წინაო, წამოიწია შვილისთვის, რომ სილა გაეწვდინაო. მაგრამ დაიცა? რა მოხდა? ოჰ! ღმერთმა რა ინებაო, შვილის მხურვალე ტუჩებსა, მან თვისი შეაგებაო. დაკარგა დედური გრძნობა, შვილს მიჰყვა ნება-ნებაო, ცაო, ჩამოსკდი, რას შვრები, დასაჯე ღმერთის ნებაო. დაივიწყა დედის გრძნობა, დაბლა მიწა, მაღლა ზენა, 8 წლის ქვრივი, შვილის ხელით სარეცელზე მიესვენა. უნაზესი ტკ-

ბილი გრძნობა, გაყიდა, გადააშენა, შეპყრობილი ვნების ცეცხლით, ბალიშებზე მიესვენა. მაგრამ ღამეც მიილია, მთებზე ჯანღი გაიწეწა, და რაც მოხდა ორთა შორის, დაიმსხვრა და დაილეწა. შვილმა დედა რომ იხილა, კედელს თავი შეალეწა, შეჯდა მამის ლურჯა ცხენზე, შორს დასაკარგს გადიხვეწა. გატყდა ქვრივის ქალობა, ოჯახი დაღმა დაიქცა, ის ერთადერთი მოახლე, ისიც სახლიდან გაიქცა. ჩამოდნა, როგორც სანთელი, ჩამოჭკნა, ჩირად გადიქცა, ამ ქვეყნად პირი იბრუნა, საიმქვეყნოდ გადაიქცა. ხალხს გაურბოდა, რცხვენოდა, გადიქცა როგორც ზმანება, გულქანდის ქვაზე რამდენი, ცრემლი ადინა ღვარებად. წარსულის ხსოვნად ცდენილსა, ჰკოცნის და ზედ ეზმანება, მაგრამ ყოველი ნაქნარი, ცრემლებით განიბანება? რად არ ჰკრა ხელი შობილსა, რად არ აღუდგა წინაშე, როცა რომ კარი შეაღო, შობილმა პირმომცინარემ, უსირცხოდ გამოემართა, თითქოს მოახლის წინაშე, და მოეხვია უსირცხვოდ, გატაცებული, მძვინვარე... კმაროდა ერთი სიტყვა და შვილი გონს მოეგებოდა, რაღად შეუკრა პირი, რად, სანამ ქვეშ გაეგებოდა, რისთვის დასცალა ფიალა, რაცა არ შეერგებოდა, სანამდე სისხლი უმანკო, შვილისგან დაიღვრებოდა. ასეთი გლოვა-გოდებით გაცვდა იმისი გონება, სახე დაღარა ნაოჭმა, თმამ უწყო ჩამოთოვება. მისი სიმდიდრეც დანაცრდა, წაერთვა საღი გონება, გულქანდი დარჩა მხოლოდღა, წარსულის ტკბილ მოგონებად. ახლა, მოხუცი მოახლე, უვლიდა როგორც დედაო, არც სმა უნდოდა, არც ჭამა, მალიმალ მოსდის ბნედაო. შვილს მოუხმობდა მოდიო, შვილო, გიკვდება დედაო, ჩემი ცოდვების რისხვითა, ცა დამასკდება ზედაო. იმ დროს კი, იმისი შვილი, იყო ბანდიტი მთავარი, დედაზე აღარ ფიქრობდა, რა დღეშია და სად არის, იმ დილით, როცა იხილა, დედა, მრუშობით დამტკბარი, დაკარგა საღი გონება, ფიქრი გაუხდა სხვაგვარი. მთელ რომში იმას იცნობდნენ, როგორც საშიში ბანდიტი, ვერას აკლებდა მთავრობა, პაპი და არქიმანდრიტი. პოლიციასაც შიშისგან, ველარ გაეღო ხმა-კრინტი, თვით იყო ყოვლის განმგები, შიშის დამცემი ბანდიტი. ქვრივმა რა იცის, თუ მისი შვილი ანატოლი რა დღეშია, მარადი მისი ლოდინით, მოთქმა და გოდებაშია. ეზო-მიდამოს მოევლო გლოვისა შავი არშია, არ სტვენს მის ბაღში ბულბული და არც ტოროლა — ცაშია. ჭასთან მივიდა გიჟივით, ულონოდ შიგ ჩაიხედა, ანარეკლს თავის სახისას, აღიქვამს შვილის სახედა. შიგ ჭაში შვილი ელანდა, წინ წადგა, ისევ ჩახედა, ძე მისი შვილი უცქერის, ტკბილმოღიმარი სახითა. და როს მოვიდა გონზედა, ხელი წაივლო თმაშია, არვინ ჰყავდა ნუგეშად, არც დაბლა და არც ცაშია. ველარ გაუძლო ტანჯვასა, თავი დაიხრჩო ჭაშია, მანამდე შვილის სიცოცხლე, ღმერთს შეავედრა ცაშია. მუჭ-მუჭად მიწა აილეს, კუბოს აკურთხეს ცრემლებად, დამარხეს, მერე წავიდნენ, ცალ-ცალკე, ზოგიც ჯგუფებად. საყდარზე შემომსხდარიყვნენ, მტრედები გუნდებ-გუნდებად, ზოგნი კი ახალ საფლავსა, დასტრიალებდნენ ღრუბლებად. ისევ დგას მთაზე საყდარი, ძველი ამბების მთხრობელად, ისევ ჯვრები და საფლავნი, გულის სევდისა მფლობელად, საბრალო ნინას საფლავი, გადაქცეულა ტყე-ველად, ვარდი არავის დაურგავს, არვინ ჩანს იმის მომვლელად. აი, ვიღაცა ბილიკსა, დაბლიდან მაღლა მიჰყვება, მისი უძლური მკლავები, პატარა გოგოს ეყრდნობა. არ ძალუძს მოხუცს ალმასვლა, მიჩოჩავს სვენებ-სვენებით, იცის, რომ ისიც სულ მალე, იმ მიწას ჩაესვენება. უკვე ჩამოდგა ბინდბუნდი, ძლივს მოჩანს მთას საყდარია, წამოუბერა ნიავმა, ფოთლები არივ-დარია. შორსა ისმოდა საბრალო, გოგოს ქვითინი მწარია, დედის საფლავსა აფრქვია, ობოლმა ცრემლის ღვარია. დედის საფლავი ეგონა, ნუგეშად შესაფარია, დედის საფლავსა ეკვროდა, ხალხისგან განაწყარია. აფრქვევდა ცრემლსა საბრალო, ვით მარგალიტის ღვარია, ოჰ! ვინლა იცის ობლისა, ცრემლები რარიგ მწარეა. არა მყავს ქვეყნად მფარველი, არც და, არც დედა, არც ძმაო, მოსთქვამს 7 წლის გოგონა, სად ხარ, მიშველე მამაო. ჩასძახის საფლავის ქვასა, ობლობამ გამამწარაო, უცნობ მამასა მოუხმობს, მოდი, სადა ხარ, მამაო. ნუ გინდა ნურცა სიმდიდრე, ნურც უთვალავი ფულები, თვალუწვდენელი სამეფო, ზურმუხტით დარახტულები. ინატრე მშვიდი ცხოვრება, უყვედრი უორგულები, ტკბილი ტრფობა და ალერსი, უსყიდველ-უმადურები. თორემ, ცხოვრებამ ერთხელაც, კარი თუ გადაგიკეტა, ოხრად დაგრჩება სიმდიდრე და შენი ავლა-დიდება. მერე ეშმაკიც ვერ გიხსნის, ციხეში თუ გამოგკეტა, მაშინ დახურე ძმობილო, შენი ცხოვრების ანკეტა. ამას ფიქრობდა ტუსაღი, ციხეში გამოკეტილი, წინათ ლაღი და ძლიერი, ამჟამად ბორკილგაყრილი. მას კუნთმაგარი მკლავები, ჰქონდა უძლურად დაყრილი, დამდნარი-ფერმილეული, იწვა ვითარცა აჩრდილი. ლამაზ სახეს უჩრდილავდა, შავი თმა და შავი წვერი, ხანდახან დაიყვირებდა, როგორც ხანჯლით დანაჭერი. ირგვლივ იყო სიბინძურე, ნესტიანი კედელ-ჭერი, გულსაკლავად გაისმოდა, ბორკილების ჟღარაჟღური. ხსნას არსითგან მოელოდა, დაჰკეტვოდა ყველა კარი, რადგან სიკვდილს უქადიდა, ყველა მისი ნასაქმარი. ის არ იყო ვინმეს მამა, არცა ძმა და არცა ქმარი, ბანდიტების მეფე იყო, დაუმდგარი მინდვრის ქარი. იყო ხუნდით შებორკილი, ბედისაგან დანაქოლი, როგორც ლომი შებორკილი, უძლეველი ანატოლი, ცხოვრება მას გულს უკლავდა, აჩრდილივით განაქოლი, არ გააჩნდა ქვეყანაზე, მშობელი და გულის ტოლი. მოდი, მნახე დედა-შვილი, საკანს მჯდომი დასევდილი, მოდი, დედა შემიბრალე, უმოწყალოდ დასეტყვილი, რად აჰყევი ცდუნებასა, რად დამღუპე შენი შვილი, რად არ მოხვედი ჭკუაზე, ქალურ ვნებისგან შეშლილი. ამ დროს ილება კარები, ხმაურითა და ჟღერითა, თავს სწევს ბანდიტთა ბელადი, მძიმე ბორკილის ჟღერითა. შემოდის 10 ბადრაგი, სახე ჯალათის ფერითა, გაგვიძეხიო, ანიშნეს, წინ მაუზერის შვერითა. წამოდგა მძიმედ ტუსაღი, მორჩილი მომდგარ ბედისა, ჩაიბუტბუტა, ძაღლებო, ჰოი, ღმერთს თქვენი დედისა, თუ გადაგირჩით ცოცხალი, თვალნი გიტიროთ დედისა, თუმც არსაიდან არ მოჩანს, ვარსკვლავი ჩემი ბედისა. შუა დგას დიდი მაგიდა, ირგვლივ შავმუქი სკამებით, მარჯვნივ ზის ბრალისმდებელი, უელავს სათვალეები. პირდაპირ უზის ტუსაღი, ვერსაით გასაპარები, თავზე ადგია ბადრაგი, ჯალათის დასადარები. ილება გვერდით კარები, შემოდის მოსამართლეო, ხალხი ადგება, შეხვდება, წესია სამართლისაო. შემდეგ ირკვევენ, ვინა თქვა, ვინ ტყვილი, ვინ სიმართლეო, იმათ წინაშე ბიჭი ხარ და თავი გაიმართლეო. წამოდგა ბრალისმდებელი, წიგნი აიღო სქელიო, გადაფურცლა და მოუთხრო, ხალხს მან საქმენი ძნელიო. ეს არის ავაზაკიო და ბნელი საქმის მქნელიო, ურიცხვი ხალხის მძარცველი, ქალის ნამუსის მხდელიო. ვერ აპატიებს კანონი, რაც ქნა და განიზრახაო, მრავალი ქალის მანდილი, შელახა-გააბახაო. ამისგან უარესს ველოდეთ, თუ კვლავ მზე დაინახაო, თუ არ მოვსპეთ და მოვცელეთ, დროზე არ დაიმარხაო. სიტყვა მისცეს მის დამცველსა, სთქვი, რით დაიცავ მაგასო, ადგა თვალები მიაპყრო, მღვდელს, ეშმაკების მამასო, ცოდვა და მონანიება, ქრისტე ღაღადებს ამასო, მიუტევეთო, ხომ უთქვამს, აბრამს ყოველის მამასო.



## გილოცავ!

ნათია სტურუა-ბიწაძეს: გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, საყვარელ ოჯახთან ერთად. სიხარული და ბედნიერება არ მოგაკლოთ უფალმა. თამუნა, ნიკა, ნათელა, მზია.

ჩემს მონატრებულ და უსაყვარლეს შვილიშვილს, ქეთათო საბაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 13 მაისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. ბებიკო.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

## დეფექტიანი ლამაზმანები

• ფრენსის ო'კონერი ზედა კიდურების გარეშე დაიბადა. ის ხელების ნაცვლად ფეხებს იყენებდა. მუდმივი ვარჯიშის შედეგად, ფრენსისმა ფეხის თითებით წერა ისწავლა. შემდეგ საბეჭდ მანქანაზეც შეძლო ტექსტის აკრება. ელიტურ საზოგადოებაში ო'კონერი ერთი ფეხის თითებით შამპანურის ბოკალს იჭერდა, მეორით — მუნდშტუკიან სიგარეტს. ქალი ისე გაიწაფა, რომ ფეხის თითებით საყურის გაკეთება შეეძლო. ფრენსისი ტოდ ბროუნინგმა გადაიღო ფილმში — „მახინჯები“.

• გაბრიელ ფულერი „ნახევარპრინცესა“ (1872-1901) ფეხების გარეშე დაიბადა. ამ ნაკლის მიუხედავად, ლამაზმანი ოთხჯერ იყო გათხოვილი და უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ქალს სპეციალური კორსეტი შეუკერეს, რათა „ჯდომის“ დროს წონასწორობა შეენარჩუნებინა და არ გადავარდნილიყო.

• კენადი ჯორდინ-ბრმული 2003 წლის 13 თებერვალს დაიბადა. ახალშობილი კილოგრამს იწონიდა და ექიმებს მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ... კენადი მცირე პარამეტრების მიუხედავად, უხერხულობას არ განიცდის. ის ხშირად თანამშრომლობს სხვადასხვა ჟურნალთან; ჟურნალისტები „პატარა ანგელოზს“ ეძახიან. მშობლები ცდილობენ, მაქსიმალური კომფორტი შეუქმნან გოგონას — ავეჯსა და ტანსაცმელს მისთვის შეკვეთით ამზადებინებენ.

• ებიგაილ და ბრიტანი ჰენსელების შესახებ ჟურნალი „ლაიფი“ ასე წერდა — „ერთი ტანი, ორი სული“, რადგანაც მკერდით შეზრდილ სიამის ტყუპ გოგონას ერთი ტანი, წყვილი კიდური და 2 თავი აქვს. ასეთები 10 წლამდეც იშვიათად ცოცხლობენ, მაგრამ ჰენსელებმა 18 წელს გადააბიჯეს. ჩვეულებრივად ვითარდებოდნენ და სკოლაც დაამთავრეს. სამომავლოდ, გოგონები თავისნაირ სიამის ტყუპ ვაჟზე დაქორწინებაზე ოცნებობენ...

• 14 წლის ინდოელი გოგონა, ჯიოტი ამგე დედამიწის ყველაზე პატარა ადამიანია. მისი სიმაღლეა — 58 სმ, წონა — 5,2 კგ. ტანის დეფექტის მიუხედავად, ამგე გონებრივად ჩვეულებრივად ვითარდება, თანატოლებივით სკოლაში დადის, უყვარს ფილმების ყურება და მუსიკა. ცოტა ხნის წინ კი საყვარელ მომღერალ Mike Singh-თან ერთად სიმღერა ჩაწერა. „მომწონს ყურადღების ცენტრში ყოფნა. მინდა, ფილმებში გადამიღონ და ინგლისსა და ამერიკაში ვიმოგზაურო“, — ამბობს ჯიოტი.


ჯიოტი ამგე


კენადი ჯორდინ-ბრმული


გაბრიელ ფულერი


ფრენსის ო'კონერი


ებიგაილ და ბრიტანი ჰენსელები

# ყოველდღიური მოხმარების ყველაზე ძვირად ღირებული ნივთები

### ქოლგა

მამაკაცის შავ, ნიანგის ტყავისგან შეკერილ ქოლგას ლონდონის მილიონერთა სახლში, წინასწარი შეკვეთით, 50.000 დოლარად შეიძენთ.

### ლაქი

მდიდარ მანდილოსნებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფრჩხილის ლაქი I Do, რომელიც 250 დოლარი ღირს. ლაქი პლატინის ფხვნილს შეიცავს. თავდაპირველად, იგი 55 ათასი დოლარი ღირდა, რადგან ლაქის წასასმელი ფუნჯის ტარი, ასევე ბოთლის ფსკერი და თავსახური პლატინის იყო.

### კალმისტარი



La Modernista Diamonds-ის ოქროს კალმისტარი 5072 ალმასითა და 96 ლალითაა გაფორმებული. ძვირად ღირებული ნივთი 265 ათასი დოლარი ღირს.

### სიგარის კოლოფი

კუბელი მანდილოსნების მიერ ხე-



ლით დახვეული ერთი კოლოფი სიგარის Cohiba Behike-ის ფასი 20 ათასი დოლარია.

### პური

ლონდონში, Harrods-ის ბუტიკში ძვირად ღირებულ პურს 25 დოლარად შეიძენთ. მას უმაღლესი ხარისხის ფქვილის, ფრანგული „როკფორისა“ და ნუშისგან ამზადებენ.

### დიქსონის შტამპი

1750 წელს ენდრიუ დიქსონმა გოლფის პირველი ჩოგანი (ყვანჭი) დაამზადა და მას საკუთარი შტამპი დაურთო. დღეს იგი 181 ათასი დოლარი ღირს.

### აკვარიუმის თევზები

იშვიათი ჯიშის ციცქნა თევზი — აროვენა 80 ათასი, ხოლო კიდევ უფრო იშვიათი, პლატინის აროვენა 400 ათასი დოლარი ღირს.

### დისკი

Woman, Sweet 10 Diamonds-ის პლატინის დისკი ბრილიანტის თვლებით იყო დამშვენებული. იგი იაპონიაში 100 ათას დოლარად გაიყიდა.

### მტვერსასრუტი

პოლონელმა დიზაინერმა ლუკაზ ჯემიოლიმ „ელექტროლუქსის“ სტანდარტული მტვერსასრუტი სვაროვსკის 3730 კრისტალით გააფორმა.

### ბარბი

1999 წელს პირველი ბარბის გამოშვებიდან 40 წლისთავზე, კომპანიამ საიუბილეო თოჯინა გამოუშვა. მისი კაბა 160 ბრილიანტით იყო გაფორმებული. ■



## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. ერთხელ, ღამით, ვერის დაღმართზე მიმავალი ეს ქართველი პოეტი დასასვენებლად თუთის ძირას ჩამოჯდა. ნასვამსა და დაღლილს უნებლიეთ ჩაეძინა. როცა გაეღვიძა, აღარც პალტო ეცვა და აღარც ფეხსაცმელი. დაასახელეთ იგი.

2. რა შესძახა ლეგენდის თანახმად, რომის იმპერატორმა ტიტუს ფლავიუსმა, როცა მიხვდა, რომ დღის განმავლობაში კარგი არაფერი გაუკეთებია?

3. როცა ბოლშევიკებმა ლევან რაზიკაშვილს სიკვდილი მიუსაჯეს, სერგო ორჯონიკიძისთვის უთხოვიათ, ვაჟა-ფშაველას შვილს სასიკვდილოდ ნუ გაიმეტებო. რა პასუხი გასცა ორჯონიკიძემ მთხოვნელებს?

4. მას შემდეგ, რაც ინკების უკანასკნელმა იმპერატორმა, სიკვდილმისჯილმა ატაჰუალპამ, კონკისტადორ ფრანსისკო პისაროს გამოსასყიდის სახით მთელი დარბაზი ოქროთი გაუვსო, ესპანელებს გული მოულბათ. რაში გამოიხატა მათი გულმოწყალება?

5. რა არის „ხარდალი“?

6. ვინ იყო მერილინ მონროს მამა?

7. დაასახელეთ მწერალი, რომელსაც თბილისში ბინა არ ჰქონდა და ამის გამო „დროების“ რედაქციაში ცხოვრობდა.

8. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ყოველდღე უნდა მოისმინო თუნდაც ერთი სიმღერა, შეხედო კარგ სურათს, წაიკითხო ერთი ბრძნული აზრი მაინც“?

9. არტურო ტოსკანინი და ცნობილი კომპოზიტორი პიეტრო მასკანი მუსიკალურ ფესტივალზე მიიწვიეს. მასკანი, რომელსაც ტოსკანინის სადირიჟორო დიდების შურდა, იმ პირობით დათანხმდა, თუ ტოსკანინიზე მაღალ ჰონორარს მიიღებდა — თუნდაც ერთი ლირით მეტს. მხარეები შეთანხმდნენ. ჰონორარის მიღებისას მასკანის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. რა თანხა აღმოჩნდა მისთვის განკუთვნილ კონვერტში?

# ანეკდოტები



* * *

— ბაბუ, მართალია, რომ ნადირობის დროს დათვმა გიკბინა?
— კი, ბაბუ, მართალია.
— სად გიკბინა, ბაბუ?
— აჰ, მაი არაა მართალი, ბაბუ!

* * *

— ტყეში მივდიოდი და გველი არ შემხვდა?!
— მერე?
— დავაკვირდი და ჯოხი ყოფილა.
— მერე?
— აღება მინდოდა და მიკბინა!..

* * *

— ჭიჭიკია, შენს ცოლს მოწევის ნებას აძლევ?
— რა ვქნა, ეს ოხერი, ცოტა ხნით ხომ მაინც უნდა იყოს გაჩუმებული!..

* * *

ჭიჭიკია უყვება ბიჭიკიას:
— გუშინ ქორწილში ვიყავი მეჯვარედ... ჰოდა, შუა ქორწილში გადაირია სიძე, წამოხტა ფეხზე და დედოფალს წიხლი არ ჩააზილა ფეხებს შუა!..
— მერე, მერე?!.
— რაღა მერე, ჩააზილა და ხელი მომტეხა, მე მაგისი დედა რო ვატირე!...

* * *

— ბონდოია, რაზე ოცნებობ?
— მარია შარაპოვას სიყვარულზე.
— მერე ეგ ხომ უიღბლო და ცალმხრივი სიყვარული იქნება?!.
— არაფერია, გაუშვი, დაიტანჯოს!..

* * *

გურულს სადარბაზოში ყაჩაღი დახვდა და შუბლზე იარაღი დაადო.
— არ გაინძრე!..
— დედა, შენ არ გეინძრე, თვარა, მე რავა გევინძრევი!

* * *

— აუ, ჭიჭიკიასთანა ჟმოტი ცხოვრებაში თუ ვინმე მენახოს!..
— რა მოხდა, კი მარა?
— რა და საქორწინო მოგზაურობაში მარტო იყო წათრეული...

* * *

განცხადება გაზეთში: „ვეძებ ქმარს! მწეველს, მსმელს, ქალების მოყვარულს! მიმაჩნია, რომ მეუღლეებს საერთო ინტერესები უნდა ჰქონდეთ!“.

* * *

სვანი 50 წლის გახდა, ტორტი გამოუცხვეს, შიგ 50 სანთელი ჩაარჭვეს, აანთეს და მიუტანეს. სვანმა ერთხანს უყურა, მერე უკან დაიხია, გამოექანა და გადაახტა.

* * *

— მართალია, რომ ამბობენ, მამაკაცის გულისაკენ მიმავალი გზა კუჭზე გადისო?
— ლამაზი ქალებისთვის, კი!..
— ულამაზოებისთვის?
— ულამაზოებისთვის ღვიძლზე!..

* * *

გოგო და ბიჭი კაფეში სხედან:
— ყველა ადამიანში არის რაღაც უცნაური, — ამბობს გოგო.
— ჩემში არა, — პასუხობს ბიჭი.
— როგორ არა! ახლა გაკვირდებოდი — ჩაის მარცხენა ხელით ურევ.
— მერე რა?!
— უმრავლესობა კი ჩაის კოვზით ურევს.

* * *

შუაღამისას ცოლი ქმარს აღვიძებს და ეკითხება:
— ძილში რატომ კვნესოდი?
— ნატაშა დამესიზმრა.
— ნატაშა?! ვინ ნატაშა?!
— შენ არ იცნობ, სიზმარში გავიცანი.



* * *

— ჩემი ძაღლი მხოლოდ ცუდ ხალხს ჰკბენს!..
— მიკვირს, აქამდე რომ არ შეგჭამა!...

***

ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ესპანელი ტაქსიში სხედან. გაალეს კარი და ესპანელი მანქანიდან გადმოაგდეს — ანეკდოტს აფუჭებო.

***

— სად იყავი, მიხო, 4 დღე რომ არ ჩანდი?

— სანადიროდ ვიყავი წასული. უშველებელი მგელი გამომივარდა და შეშინებული, ხეზე ავძვერი.

— მერე, 4 დღე ეგრე გაატარე, მშიერ-მწყურვალმა?

— რატომ, მშიერ-მწყურვალმა? საჭმელს ჩემი მარო მიზიდავდა!..

***

ჩუქჩას ჰკითხეს:

— რომელი ეროვნების ხალხია ყველაზე შეუგნებელი?

— სომხები.

— რატომ?

— ერთი სომეხი მეზობელი მყავს და ჩემს ცოლთან დადის. ყოველდღე ვეუბნები, — ჩემი ცოლია, თავი დაანებე-მეთქი, მაგრამ მაინც არაფერი ესმის.

***

განცხადება მორბენალ სტრიქონში: „ტაქსის მძღოლს, რომელმაც ამ დილით მანქანაში იპოვა დოკუმენტი გრიფით — „სრულიად საიდუმლო“, დაბეჯითებით ვურჩევთ, თვითონ მოიკლას თავი“.

***

— ანზორიამ ცოლი მოიყვანა და ამოდითო...

— თვითონ ვერაფერი მოუხერხა?

***

მესამე მსოფლიო ომის შემდეგ მხოლოდ ერთი ქალი და ერთი მამაკაცი გადარჩა ცოცხალი. ქალმა კაცს საგულდაგულოდ გადანახული ვაშლი გაუწოდა.

— ღმერთო ჩემო, ყველაფერი ისევ თავიდან იწყება! — თავში ხელი შემოიკრა კაცმა.

***

ქალი ექიმთან მივიდა:

— ექიმო, ჩემმა ქმარმა აიჩემა, ნაპოლეონი ვარო!

— არაფერია, შევეცდები განვკურნო.

— იქნებ პირდაპირ კუნძულზე გადავესახლებინა?!

***

ჭიჭიკიამ და ბიჭიკიამ უდაბნოში პროფილაქტიკა გახსნეს. მივიდა ბედუინი:

— ჩემი აქლემი რაღაც ძველებურად ველარ დადის.

— დააყენე „იამაზე“!

ბედუინმა ცხოველი ორმოზე შეაგდო. ჭიჭიკიამ ორი აგური აიღო და აქლემს მამაკაცურ ღირსებაში აქეთ-იქიდან შემოსცხო. აქლემმა ისე გაქუსლა, თვალი ველარ მოჰკრეს. პროფილაქტიკაში დარჩენილმა ბედუინმა ჩხუბი დაიწყო, ახლა როგორ დავეწიო ჩემს აქლემსო. ჭიჭიკიამ და ბიჭიკიამ ბედუინიც „იამაზე“ დააყენეს, აქეთ-იქიდან ორი აგური შემოსცხეს და ისიც დაეწია თავის აქლემს.

— ფული თუ გამოართვი?! — გაახსენდა უცებ ბიჭიკიას.

— არა!..

— აბა, დადექი „იამაზე“!..



***

პატარა კუ 2 საათია ხეზე ასვლას ცდილობს, მაგრამ უშედეგოდ. ამ ამბავს შორიახლოდან 2 მაიმუნი ადევნებს თვალს:

— იქნებ ვუთხრათ, რომ ნაშვილები გვყავს?!.

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. გალაკტიონ ტაბიძე.
2. „მე დავკარგე დღე!“.
3. „ვაჟა-ფშაველას შვილს კი არა, თუ საჭირო იქნებოდა, თავად ვაჟა-ფშაველას დავხვრეტდი!“. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძმადნაფიცი 1923 წლის 16 თებერვალს ღამის ორ საათზე დახვრიტეს.
4. კონკისტადორებმა იმპერატორს კოცონზე დაწვა ჩამოხრჩობით შეუცვალეს. სიკვდილით დასჯამდე ატაჰუალპა აიძულეს, ქრისტიანობა მიეღო. მონათვლიდან 3 საათის შემდეგ კი ჩამოახრჩვეს.
5. „მდოგვი“ და „ხარდალი“ სინონიმებია.
6. არავინ იცის.
7. ალექსანდრე ყაზბეგი.
8. გოეთეს.
9. ერთი ლირა. ტოსკანინი თურმე უფასოდ დირიჟორობდა.

## ჩვენი ფოტო გალერეა



რუბრიკა მოამზადა თემურ ივანიძემ

# ჰოროსკოპი

## 12-18 მაისი

### ვერძი
თავს განტვირთვის საშუალება მიეცით. მეგობრების წრეში დრო მხიარულად გაატარეთ. გავლენიან ადამიანებთან კონფლიქტს მოერიდეთ.

### კურო
იდეებს განახორციელებთ. თავისუფალი დრო ბინის მოწყობას დაუთმეთ. არ ენდოთ ინტერნეტით გაცნობილ ადამიანებს. კვირის ბოლოს კარგი იქნება, თუ ყოფილ შეყვარებულს შეხვდებით.

### ტყუპი
საინტერესო მგზავრობა და ახალი ნაცნობობა გელით. შუა კვირაში საჭირბოროტო საკითხებს მოაგვარებთ. კრიმინალური წარსულის მქონე ნაცნობებისგან თავი შორს დაიჭირეთ.

### კირჩხიბი
ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. მგზავრობისას საინტერესო ადამიანებს გაიცნობთ. მოერიდეთ მეუღლესთან კონფლიქტს. კვირის ბოლოს დაწყებული საქმეები დაასრულეთ.

### ლომი
კვირის დასაწყისში უცხოელ პარტიორებთან მოგიწევთ შეხვედრა. საღამოები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. შაბათ-კვირას, მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

### ქალწული
იურიდიული დოკუმენტების შედგენისას ყურადღება გამოიჩინეთ. გაფრთხილდით, დაოჯახებულ ქალწულებს მეუღლეებთან ურთიერთობა არ დაგეძაბოთ.

### სასწორი
კვირას საქმეებისგან დაისვენეთ და ეს დღე საკუთარ თავს მიუძღვენით. საყვარელი ადამიანი ოჯახის წევრებს გააცანით და ქორწილის თარიღიც დანიშნეთ.

### მორიელი
რომანტიკული შეხვედრები გელით, მაგრამ დაქორწინებას ნუ იჩქარებთ. პარასკევს საბუთების გაფორმებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. სამუშაოს მეტი სერიოზულობით მოეკიდეთ. ფული არ გაასესხოთ.

### მშვილდოსანი
კვირის განმავლობაში მხიარულება გელით. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზარდოს. შუა კვირაში ძველი ნივთები გადაყარეთ.

### თხის რქა
კარგი პერიოდია განმარტოებისთვის. დროა, განაწყენებული ახლობლები შემოირიგოთ. შუა კვირაში რომანტიკული ნაცნობობა გელით. შაბათ-კვირას აზარტულ თამაშებს მოერიდეთ.

### მერწყული
თუ რემონტის გაკეთება გადაწყვიტეთ, აღარ დააყოვნოთ. უკიდურეს შემთხვევაში, ავეჯი განაახლეთ, ინტერიერი შეცვალეთ. მოულოდნელად მივლინებაში გაემგზავრებით. დასვენების დღეებში გამოიძინეთ.

### თევზები
გავლენიანი მეგობრების დახმარებით მატერიალურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. საღამოობით ფეხით ისეირნეთ. დედმამიშვილებთან კონფლიქტს მოერიდეთ. დასვენების დღეებში მგზავრობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ.

# მზრუნველი, ერთგული და ეჭვიანი ქმრები

(გაგრძელება. დას. იხ. „გზა“ №18)

### სასწორი – დახვეწილი თაყვანისმცემელი
ზოდიაქოს ნიშნებს შორის ყველაზე დახვეწილი სასწორის ნიშნით დაბადებული მამაკაცია. შეყვარებულს ხელოვნების ნიმუშივით ექცევა. თაიგულებს, ლექსებსა და კომპლიმენტებს უძღვნის. სასწორი შემოქმედებითი ნატურაა, ცოლმა საოჯახო საქმეებით არ უნდა დატვირთოს, თორემ გაექცევა.

### მორიელი – ეჭვიანი საყვარელი
მესაკუთრე და ეჭვიანი მორიელი ცოლს ხშირად უწყობს სკანდალებს. სიამოვნებს, როცა გარშემო მყოფები ემოციური წნეხის ქვეშ ჰყავს. თუ ქალმა თავი შეაყვარა, მისი გულისთვის რაინდად გადაიქცევა. მის ცოლს ძვირად ღირებული საჩუქრები და მოულოდნელი სიურპრიზები ელის.

### მშვილდოსანი – კარგი მეგობარი
ცოლად გემოვნებიან ქალს მოიყვანს. მშვილდოსანი მხიარული ადამიანია, საყვარელ ადამიანს რომანტიკულ შეხვედრებს მოუწყობს, მაგრამ მის წესებს



არასდროს დაემორჩილება. თუ ქალი მის ინტერესებსა და შეხედულებებს არ გაიზიარებს, მშვილდოსან მამაკაცს სამუდამოდ დაკარგავს.

### თხის რქა – ერთგული თანამგზავრი
სიყვარულზე ხმამაღლა ლაპარაკი არ უყვარს. საკუთარი გრძნობები რომ დამალოს, საყვარელ ქალს ზოგჯერ უხეშადაც კი ექცევა. თუ ქალი მართლა შეუყვარდა, საჩუქრებზე ფულს არ დახარჯავს; დაქორწინებას შესთავაზებს და მთელი ცხოვრება მასზე იზრუნებს. ცოლის ერთგულია. შვილებს ბავშვობიდან ასწავლის დედის პატივისცემას.

### მერწყული – თავისუფალი მოქალაქე
საყვარელ ადამიანს არასდროს ზღუდავს. პირიქით, მაქსიმალურ თავისუფლებას ანიჭებს და მისგანაც იმავეს მოითხოვს. არ უყვარს, როცა მბრძანებლური ტონით ელაპარაკებიან. მხიარული, ლაღი ადამიანია და სურს, მის ოჯახში ჰარმონია სუფევდეს.

### თევზები – რომანტიკული გმირი
მეოცნებე ნიშანია. საყვარელ ადამიანს უკანასკნელი ფულით საჩუქარს უყიდის. სურს, რეალობას მოსწყდეს და მასთან ერთად ზღაპრული გარემო შეიქმნას. სამწუხაროდ, ხშირად ეცვლება განწყობილება. ზოგჯერ საკუთარ თავში იკეტება. თუ ყოველდღიური პრობლემებითა და საზრუნავით არ დატვირთავთ, მასთან ხანგრძლივი და ბედნიერი თანაცხოვრება გელით. ■



1. ადგილი მზის აბაზანების მისაღებად
2. რძის ნაწარმი
3. სასვენი ნიშანი
4. კომში
5. მეფის ან დედოფლის საყვარელი
6. მარადმწვანე წიწვოვანი ხე
7. ... პაჩინო
8. ტოტი
9. საგანგებო დავალება
10. სპორტის სახეობა
11. შინაური ფრინველი
12. მშობელი
13. საფენი ბრტყელტერფიანებისთვის
14. უკრაინული ავტომობილი
15. ერთგვარი ყველი
16. ქართველი მწერალი
17. ებრაელთა სამლოცველო
18. სისხლძარღვი
19. ტყის მხალი
20. კარგი ამინდი
21. დათვზე სანადირო ტყვია
22. აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი
23. ლიტერატურული ჟანრი
24. ავტორბოლა
25. ძვირფასი ლითონი
26. აჩემებული სურვილი
27. ხარების ბრძოლა
28. უკრაინელი მომღერალი ქალი
29. ორკესტრის ხელმძღვანელი
30. მწვანილი
31. სპირტიანი სასმელი
32. მოჩვენება უდაბნოში
33. წალკოტი უდაბნოში
34. ... ბადურაშვილი
35. კატაბალახა
36. იაპონიის კუნძული
37. სპოროვანი მცენარე
38. ვაჟა-ფშაველას პოემა



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. მარმელადი; 2. რეალი; 3. ვენა; 4. ლალი; 5. მდარე; 6. სპასალარი; 7. სუმო; 8. იოლი; 9. აღსარება; 10. რეალობა; 11. მამა; 12. ჯემი; 13. ჯინი; 14. სირაჯი; 15. მიდია; 16. ღორღი; 17. საგარეჯო; 18. დეკადა; 19. სმენა; 20. გულაბი; 21. ბაწარი; 22. კრულვა; 23. ბალისტა; 24. ლუდი; 25. ოკლაჰომა; 26. ვანი; 27. ბრელოკი; 28. ბებია; 29. გელოვანი; 30. ჯო; 31. ვასაკა; 32. ონავარი; 33. დალალი; 34. ლაბადა; 35. აკაცია; 36. ბეთჰოვენი; 37. ონაგრი; 38. იმერეთი; 39. ეპიტაფია.
**სურათებზე:** 1. მესი; 2. რონალდო.

# საფირმო კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | ს | ჟ | უ | რ | ნ | ა | ლ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ე | რ | | პ | ნ | ე | ა | | ძ | ე | ბ | ა | ი | ვ | ი | ი | ჭ | ნ | | ა | ა | ზ | ე | ა | ა | ა | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**დ**. გერმანელი ფერმწერი; **ა**. თვითმფრინავის სადგომი; **ი**. ფრინველი, რომლის ხორცისგან მომზადებულ ტოლმას ხუმრობით ახსენებენ ხოლმე; **ს**. თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **ვ**. ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას" მოქმედება; **ე**. ძველი ბერძენი მეიგავე; **ნ**. ერი; **ე**. სილამაზე, ლაზათი, მიმზიდველობა; **ჩ**. ქართველი კინორეჟისორი; **ვ**. შურისძიების სიცილიურ-კორსიკული წესი; **ე**. ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი, რომელსაც სიცოცხლეში დაუდგეს ძეგლი; **ნ**. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ს**. ინგლისელი მწერალი, „რობ როისა" და „აივენჰოს" ავტორი; **ჟ**. ქალაქი შვეიცარიაში; **უ**. რა ერქვა ბადრისა და ამირანის შუათანა ძმას? **რ**. ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ნ**. რაიმე ნაყოფის ბუნებრივი, მაგარი გარსი; **ა**. დიეგო მარადონას მეორე სახელი; **ლ**. სიგრძის საზომი ერთეული საფრანგეთში, უდრიდა ოთხ კილომეტრს; **თ**. დამოკლეს მახვილი, არიადნეს ძაფი, ავგიას — ?; **ა**. დაავადება, რომელსაც სულის ხუთვის შეტევები ახასიათებს; **ნ**. კვიპროსის დედაქალაქი; **ე**. რა ერქვა ქალს, რომლის გულისთვისაც დაიწყო ტროას ომი? **რ**. სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **თ**. წვრილი ღვედი; **ა**. სამცხის მმართველთა ტიტული; **დ**. ხანი, ჟამი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ**. გივი; **ა**. ატაშე; **ე**. ელიოზი; **რ**. რევერსი; **თ**. თეირანი; **ე**. ერშოვი; **თ**. თრითინა; **ჩ**. ჩითილი; **ვ**. ვიმპელი; **ე**. ესტრადა; **ნ**. ნოე; **ს**. სირტაკი; **ჟ**. ჟენევა; **უ**. უნიკუმი; **რ**. რეალი; **ნ**. ნარცისი; **ა**. არშინი; **ლ**. ლიე; **თ**. თხილი; **ა**. ანშლაგი; **ნ**. ნაიკი; **ე**. ერნესტო; **რ**. როენა; **თ**. თიბათვე; **ა**. არიადნე; **დ**. დასაევი.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**

**ვაი-ვიშით მტერნი არ შეიშინების**

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

**„გზის" წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 5 | 8 | 3 | 2 | 4 | 9 | 7 |
| 2 | 8 | 3 | 9 | 4 | 7 | 1 | 6 | 5 |
| 9 | 4 | 7 | 6 | 1 | 5 | 2 | 3 | 8 |
| 5 | 7 | 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 4 | 3 |
| 8 | 6 | 9 | 3 | 2 | 4 | 5 | 7 | 1 |
| 4 | 3 | 1 | 7 | 5 | 6 | 9 | 8 | 2 |
| 7 | 2 | 4 | 5 | 8 | 9 | 3 | 1 | 6 |
| 1 | 9 | 6 | 2 | 7 | 3 | 8 | 5 | 4 |
| 3 | 5 | 8 | 4 | 6 | 1 | 7 | 2 | 9 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 7 | 6 | 3 | 4 | 1 | 5 | 8 |
| 3 | 1 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 2 |
| 8 | 4 | 6 | 5 | 2 | 1 | 3 | 7 | 9 |
| 2 | 7 | 9 | 1 | 6 | 5 | 8 | 3 | 4 |
| 5 | 6 | 3 | 8 | 4 | 2 | 7 | 9 | 1 |
| 1 | 8 | 4 | 3 | 7 | 9 | 2 | 6 | 5 |
| 7 | 9 | 2 | 4 | 1 | 3 | 5 | 8 | 6 |
| 6 | 5 | 1 | 7 | 9 | 8 | 4 | 2 | 3 |
| 4 | 3 | 8 | 2 | 5 | 6 | 9 | 1 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 6 | 9 | 5 | 8 | 4 | 2 | 3 |
| 2 | 8 | 3 | 1 | 4 | 6 | 7 | 9 | 5 |
| 9 | 4 | 5 | 3 | 7 | 2 | 1 | 6 | 8 |
| 8 | 7 | 1 | 6 | 3 | 5 | 9 | 4 | 2 |
| 5 | 6 | 2 | 8 | 9 | 4 | 3 | 7 | 1 |
| 4 | 3 | 9 | 2 | 1 | 7 | 8 | 5 | 6 |
| 1 | 5 | 8 | 7 | 2 | 9 | 6 | 3 | 4 |
| 6 | 2 | 7 | 4 | 8 | 3 | 5 | 1 | 9 |
| 3 | 9 | 4 | 5 | 6 | 1 | 2 | 8 | 7 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | | 1 | | 4 | |
| 2 | | | 4 | | | | | 9 |
| | | | | 5 | | | 6 | |
| | 2 | | | 8 | 4 | | | 3 |
| | | 6 | | 1 | | 9 | | |
| 4 | | | | 2 | | | 8 | |
| | 1 | | | 9 | | | | |
| 7 | | | | | 3 | | | 2 |
| | 3 | | 2 | | | | | 7 |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | | 1 | | | | 4 |
| 4 | | | | | 7 | 2 | | |
| | | | | | 8 | | | 7 |
| | | 9 | | 3 | | | | 5 |
| | 6 | | | 4 | 1 | | 2 | |
| 7 | | | 6 | | | 4 | | |
| 6 | | | 2 | | | | | |
| | | 8 | 9 | | | | | 6 |
| 5 | | | | 7 | | 8 | | |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | 6 | | | 1 | 8 |
| | | 8 | | | 4 | | 2 | |
| | | 1 | | 3 | | | 4 | |
| 7 | | | 6 | | 1 | | | 2 |
| | 2 | | | 7 | | | 5 | |
| 5 | | | | 8 | | | | 4 |
| | 1 | | | 9 | | 4 | | |
| | 6 | | 5 | | | 2 | | |
| 8 | 4 | | | 2 | | | 9 | |

# ფოტოკურიოზები














# ნუ გადაიხდი ზედმეტს!

## შემოგვიერთდი ტარიფზე “ნონ-სტოპი”

# 0

თეთრი

# ბილაინის ქსელში

ტარიფი მოქმედებს ადგილობრივ ზარებზე. ზარის წამოწყების ღირებულებაა 5 თეთრი.

06 11
(32) 20 06 11

**www.beeline.ge**
facebook.com/beeline.ge

ბილაინი®
გადმოდი ნათელ მხარეზე